

79



ISSN 0132-568 X

საქართველოს
ანტიკვნილობის
ინსტიტუტი

გეოგრაფია

114

7

75
1979



გეოტოპი

საქართველოს მწიგნობართა კავშირის გამომცემი
და საზოგადოებრივი-კულტურული მუშაკთა შტაბი

წელიწადი 56-ე

№ 7

ივლისი, 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობრის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

მუკაბე ლეგანძე — ლექსები	3
მაცნე ნოვაქოლაძე — მოთხრობები	9
ბენიკ ბარანაული — ორი ლექსი	23
ლალი პარტაშვილი — კრეატიული კვლევა. მოთხრობა	31
მანო ჩხიკვაძე — ლექსები	37
ინალი ბაზაძე — მოთხრობები. ლექსი	40
სტეპან იოსელიანი — შავი და ცისფერი მღინარი რომანი. ვაგჟაძე	46
ჯემალ იფეიძე — ლექსები	78
გრიგოლ რუხიანი — ლექსები	80
ვახტანგ ბარბაქაძე — ლექსები	83
კახიკორ ნიკოლაძე — ლექსები	86
გულამი შაბაძე — ლექსები	89
დავით ასკარაძე — ბავშვების წინ. მოთხრობა	91
ვვა შიგინძე — ლექსები. თარგ. შედეგ კახიძე	110

კრიტიკა და კულტურული

გუგუშვილი — „სივრცითი სივრცე და სივრცე“. დასასრულო	113
დავით მანუჩიძე — ვიქტორ ჰერბსტის საბჭოთაო	125
მუხომბე ბარბაქაძე — ვახტანგ კრიტიკის	135
გიორგი ჯიბლაძე — შალვა ნუბუაძის „ბავშვების თეორია“	145
მუხომბე მანუჩიძე — მკვთივი ნიკო — ბავშვული კომპანის ავტორი	166
ვახტანგ ბარბაქაძე — კრეატიული და მკვთივი საბჭოთა სივრცის	179
ივანე ბარბაქაძე — ბავშვის მოთხრობის მიხედვით	187

წიგნების მიმოხილვა

ა. კახიძე — ორის მართალი სურათები	191
---	-----

ქ. ა. ა. ა. ა.
15 11/11-79



მთავარი რედაქტორი ზიორბი ნატროშვილი

ნაკრებებით კრებული

ზრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ანაწუაძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბარულავა, ო. გვიგენიშვილი, ა. გომიზაშვილი, კ. კალაძე, მ. ლეხანიძე, ლ. შველაშვილი, ბ. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ს. შანთიაშვილი, დ. შინაბერიძე, ნ. წაღვიძირი, ვ. წულუკიძე, ო. შილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯანაშია, ბ. კრიზაძე.

რედაქტორი რ. ჩაჩავაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-66-11.
პ/მგ. შვეციხის — 98-66-13, ვანო-ლავრაძე-
ბის — 98-66-16, 98-66-17, 98-66-20.

გადაცემა ასაწყობად 22/V-79 წ., ხელმოწერა-
ლი დასაბეჭდად 12/VII-79 წ., ასაწყობის ზომა
7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-სივამომცემლო
თაბახი 16,58.

№ 08351. ტირაჟი 15.250. შეკვ. 1584
საქ. კვ ც-ის გამოცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

• • •

მოგდგამს ოქროს წნულებად
სიტყვის ჩაწენა-ჩაგრება;
უმარჯვია ბუნებას,
ღმერთს არ დაუწაგრისხარ.

ღმესი უნდა ქალს ჰგავდეს, —
პროსპექტს რომ მოანათებს,
სიშინეს რომ მოგანატრებს
სიყრმეს რომ მოგალანდებს.

გახაფრენად გცეცხლავდეს,
რომ იყო საპყარივით —

ღექსი უნდა ცხენს ჰგავდეს —
კოჭებში სამზარებით...
ყალბის ერთი გამოკვრით,
მარქვი, რაფრად, რაგვარად
არაფრისგან ჩამოქპნი
უჭვირფასეს საყვარლად!

სიტყვის ჩაწენა-ჩაგრება
მოგდგამს ოქროს წნულებად —
ღმერთს არ დაუწაგრისხარ და
ღვთივეკურთხეულ ბუნებას!

• • •

ფლოსტებში ფეხი წაპყო, ხელ-პირი დაიბანა,
დღის ჩამოირეცხა კვარტლი და ტალახი,
ივანშია — ჰაიპარად, საბანი — წაიფარა,
საძილედ ემზადება დადლილი ქალაქი...

წენუთიდან დავყურებ სკას მილიონიანს —
ვარსკვლავთა მდინარეს ზვალის დღე მოჰყავს —
ყურს ვუგდებ ქალაქის წრიალს და ბორიალს,
ყურს ვუგდებ ქალაქის ფშვინფას და ოხვრას.

ათასი საწუხარი რჩება უთქმელივით,
ათასი საფიქრალი არ თქვა რომ არ აქვს.
სძინავს კურდღელივით, სძინავს კურდღელივით,
უჭირს დაძინება მშობლიურ ქალაქს.

ფიქრისგან ამაოდ ლამობს თავდაღწევას,
ფიქრობს, — იფიქროს ამაღამ რაზე...
ფიქრს რომ შესძლებოდა რაიმედ გადაქცევა,
კვამლი დადგებოდა ქალაქის თავზე.

ქ. მარტისი სპ. სპ.
სსრ. სახელწიფო
რუსულენოვანი
ბიბლიოთეკა

• • •

აი, სოფლები, —
 სად ჯერ კიდევ ამოდის კვამლი!
 აი, სოფლებიც, —
 სად არამცთუ შვება-ხალისის,
 არამცთუ ხმევა
 ალტაცების ყიფინის მძლავრის,
 არამცთუ „ლაღე“
 ხეობაზე ჩავლილი მგზავრის, —
 ვლიან დღეები
 და, — უბრალოდ, ყიფილი მამლის,
 უბრალოდ —
 ძაღლის ყუფაც არ იხმის!

• • •

ერთი ზამთარი, ალბათ, იმდენს ვერაფერს იზამს, —
 მოვა, მეორე,
 გადაბამავს
 კუკიის მიწას;

მოვა მესამე, — მეოთხეც და მეხუთეც მოვა, —
 იქნება ქარი,
 იქნება მზე,
 იქნება თოვა;

და, უცბად, ერთ დღეს, გაზაფხულიც ხომ იტყვის მისას,
 გაფაშფაშდება
 და ჭურჭლისას
 ჩატეხავს ფიცარს..

ამასობაში, — ათას დღიურ საქმეში ჩამხრჩვალს, —
 კაცს მაინც ახსოვს
 მშობლის ბორცვი —
 შოულობს სახსარს;

გაზაფხულია, — გამოსულა ფოთოლი ნორჩი, —
 ხედავს, რას ხედავს,
 დაწვეულა
 სამარხი ბორცვი;

ვაი, სირცხვილო! — ბორცვს ჩარღვეულს ჩაქყურებს
 დიდხანს! —
 კაცს უახლოესს
 იჭენეულად
 მაზანდას ჭკითხავს;

ვიღაც არიგებს, ვიღაც ძმურად რაღაცას ურჩევდ —
შეწუხებული
ურიცდება
წარბშეკრულ მუშებს;

რიგი და წესი ძველთა ჩვენთა შორს განთქმულია —
არა, ხომ ვარგა!
ხომ კარგია!
ხომ ქართულია!

სიცოცხლეს ვაშა! — ის ზოზიდავს ხრეშსა და ქვიშას! —
მაგრამ ესეც ხომ,
ეს სიკვდილიც
რაღაცას ნიშნავს!

ხომ ლამაზია: ბაზალტს სწუნობს, ქვაში: ერჩევა, —
მამის საფლავზე
მშენებლობას
კაფი ეწვევა!

კი, ზატონო, ტაძრები
დავდგათ მკვდართა ქალაქს
მაგრამ — ცაში დამწვრები?!
ახლა — წყალში დამხრჩველები
ატლანტს, პონტოსს, არაგვს?!
ჰო, იმათთვის რას შერები,
ვისაც საფლავიც არ აქვს?!

იმან, იმან, ციალავე,
მშობელს, თვისტომს, სახლ-კარს
ხორციანა, ძელიანა
ვინც მოსწყვეტეს მთლიანად,

ვინც ხანძრებში იალა
და უკვალოდ გაჰქრა,
იმან?! იმან, ციალავე?!
არა, იმან კი არა,
მისმა მშობელმა რა ჰქნას?!

— არაფერი! არწინოს
მოგონება ლურჯი...
თაუნალებით გასწიოს
წუთისოფლის ხნულში —
სასაფლაოთი გულში!

ა გ ე. თ უ ა რ ა

მშაა თუ დაა?!
მეგობარი, ცოლი თუ დედა?!
ვინ გვინთებს სანთელს?!
ვინ გვიზარშავს კოლიო-წანდილს?!
ვინ გვიცხობს საკურთხეს?!
შავით მოსილს ვის — რომელს
უხედავთ?!

სასაფლაოზე
უფრო ხშირად რომელი დადის?!

ავეავდა ნუში,
კუკისკენ წამომყე მაღლა,
მე შენ გინევენო,
ვისიც მეტად ჰყვავის წუხილი...
აგე, თუ არა!
მარტოდმარტო მოსულა ახლაც —
ზის დედაბერი
შე გრანტიტზე შავი კრუხივით!

კურაძე ივანე...

პოეტზე იტყვი, — ჯამი იტყვის, ფეხლევი იტყვის,
რუდაქი იტყვის, — სიტყვისიტყვით ამასვე თითქმის!

შორიდან ხალმით შენს ხელმწიფეს დასდევდი ფასი —
კაცია ისიც — მაგრამ მაინც ქვეითად გასწი!

არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვედ,
არ იყო ბავშვი —
არამც და არამც
არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში!

ვთქვათ, გაწყრა ღმერთი და გრიგალმა დაჰქურა ავმა,
მიემსხვრა მეჩენს, ანუ ზღვაში დაყვინთა ნავმა,

ეტყვიან ერთნი: „აეციდა ხელმწიფეს გზაში
ვერ უვაზირა — ვაზირობა იცოდა ნავსი!“

იტყვიან სხვანი: „უყვარდათ ლიქნი და ტაში!“
შენ დაგბრალდება — ჩაგარდები დუნიანს ყბაში..

კიდევ რომ გიხმოს,
არ გაბრიყვედ,
არ იყო ბავშვი,
არამც და არამც
არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში!

ხოლო თუ დაცხრა, ვინც დღეებში ქარიშხლებს ურევს,
ნავმა მშვიდობით ღიაღმია დიდების ყურეს, —

დიდებს დიადს, არ გაბრიყვედ, ხელმწიფე კმოვეზს, —
ხელმწიფის ჩრდილში ლოგისდება დადგომა პოეტს..

კვარცხლობაზე მდგარი და ქარიშხლით წყალწაღებულად —
ასეც და ისეც — ხალხის თვალში ხარ წაგებულად!

მაშ, გასწი ფუბით! პურს გიწვდიან ჩანგში და თარში
სვი ხალხის დვინთ — ხალხისა შეილი ხალხადვე დარწი..

არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვედ,
არ იყო ბავშვი —
არამც და არამც
არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში!

დაეუფა ნაღირობა

სივრცით დათვი...
დაეუფინეთ ლუწრუტი ტყავი

მწეზე საშრობად, —
დაეუფავენეთ მეზობლებს ხორცი;
დათვის ხინკალი
იყო ვახშმად... შავი და მჭავე —
თბრობას, პურობას,
არყის სმას და
ხუა-ზაასს მოვრჩით;

და შეღმე, როცა
დაეუფლა წყვედიანი პალატს,
ცა მოიკენჭა
და ქვიტკირი გაივსო ხურიწვით,
შე ხელში შევრჩი
დათნაშავედ ხაკითხავს მარადს,
არ დაშეძინა
გუშინდელის
ბელაილა ხილვით...

და დავინახე —
შუა ტყეში მდგელო ტბასავით, —
თეთრი გვირგვინით,
შაფ მოცვით, წითელი მარწყვით, —
ხადაც წაქცაქცულს
გაძოვებრით ყელი ხარსავით,
ცხოვრება ხიხი
ხადაც წუთში
დასრულდა მარცხით...

ჩაშთდირდა
ტყე გორიგორ მდგელომდე ფერდად, —
ფუფლებოდათ
გორგადაღმა ჩვენს თუშებს ბერო, —
ის კი აქ სძოვდა —
ირხეოდა ყვაფილთან ერთად
ჩირვებსუკან
მისი ხარაკო,
მშხინეარე ქერო.

არც ხეახტავს გლვფადა,
არც არავის გვიღრუნდა ავად,
ჩაედოთ თ-ვი —
ხატო-რჯული, ხმობავით სძოვდა...

დაშლილი ჩვენგან
 ღმერთო ჩემო,
 ცალკე ხორცად და ცალკე ტყავად,
 თუ დათვი თავად —
 რომელი სჯობდა!

კ ა ს უ ხ ი

გაუგებარო! თავქლესო!
 ბრიყვო!
 ჯერ ჭყინტო!
 სულელი!
 თვით — არარაიხ წაქნისო!
 სხვისის
 კაცობის მწუნელი!

მე — სისხლი გამდის წურწურით,
 წყლულს ვიფეგ,
 პერს ვნატრულობ,
 ვუყვამ სკულიან-უსკულის,
 შენ —
 საყვედურებს კადრულა!

* * * * *

სხვა თუ არა და, სოფლისაგინ
 ჩვენ —
 ძერა აგვიშევიდა..

შენ, შენ მეტს ჰყვირი, სწოპლცხივის
 ფის
 „ჩხირი არ გიქცევია!“





მოთხრობები

დასასრული და... დასაწყისი

ბიჭს აყაყუელი ტანი და ღონიერი წვი-
გები ჰქონდა. ვიწრო, მობღუნებული
მხრებით, ჭანგამოცლილი მკლავებით
და თვალთმაქცი კაცივით ზომახე მე-
ტად გაძენილი თეძოებით უწყლოობით
ჩამქნარ უყვავილო მცენარეს ჰგავდა.
ზურგიდან, კისრის აქეთ-იქით ორი ფა-
რთო ყბა და კეფაზე მოხუქუქო თმებს
შორის ხორბლისფერი, ღინღლიანი სიმ-
რგვალე მოუჩანდა.

ცხოვრების ავ-კარგს არც მისი ოდნავ
დაქანებული, თვალებთან ბეჭობად გად-
მომდგარი შუბლი დაენდო და სამახსო-
ვროდ რამდენიმე ხაზით ჩაეხრამა.
ხრტილიანი, თხელი კანის ქვეშეიდან ცი-
სფერგამომკრთალი, ფართო ხვრელები-
ანი ცხვირით, წვრილი, მუდამ კიდებ-
აპრეხილი, სიგრძეზე წასული ტუჩებით
და ლამის ქვედა ბაგემდე ამობორცვა-
კებული ნიკაპით ერთი შეხედვით ნების-
ყოფიანი კაცის შთაბეჭდილებას ქმნიდა.

გამოხუხუბული წარბები ისე ჩასცი-
ცაობებოდა საფეთქლებისაკენ, რომ
სულ მუდამ რალადაზე გაჯავრებულსა
და აღრენილს ჰგავდა. გაღაღებულ,
წარბებისფერივე თვლებში ორი
მსხვერპლს დადარაჯებული, ბეწვაბურ-
ძენული ავაზა განაბულიყო.

საუბარი ცხარე და ენერგიული იყო-
და. თავის გასამართლებლად ათასგვარ

გატყლარქულ ფრაზებს ხორხოშელას-
ვით ისე დაუნდობლად დაგაყრიდათ,
ვიდრე იმდენი, იმ საუბრისათვის ზედ-
მეტრი, სრულიად შეუსაბამო და გაუგე-
ბარი სიტყვების ტყვეობაში უმწეოდ არ
იგრძნობდით თავს. მერე სიფრიფანა,
მოკაუჭებულ თითებიან ხელებსაც მოი-
შველიებდა და ისე შემზარავად კრუნ-
ჩხავდა და პრანქავდა, რომ უნებურად
ორივე ხელს ისე იტაცებდით ყელზე,
თითქოს ამ ვინმეს დასაშთობად ენება-
მოგვრილ ხელებს იგერიებდით; ხახვა-
ფხროკილს რალაც ადამიანებისადმი გა-
მოუცნობი შიში აკაწკაწებული კბილე-
ბით ჩაგიძეკავდათ აფართკალებულ
ქვედა ტუჩს. სუნთქვაშეკრულნი უხმოდ
შეათვალისწინებდით ბიჭს თავიდან ფე-
ხებამდე, ფეხებიდან თავამდე. ზიზლი
თუ სიბრალული დაგიკეჭნიდათ ლო-
ყებს და აბედივით გაგიხევებდათ ოდნავ
დაშორებულ ბაგეებს.

მერე იმ ბიჭის მაგივრად სირცხვილის
გრძნობა თქვენ თვითონვე ავილანძავ-
დათ წითლად ყურებს და კარის სახე-
ლურს ჩაქიღებულნი ამ კაცისაგან რაც
შეიძლება შორს ინატრებდით თავს. მი-
უხედავად ამისა, მაინც დიდხანს, ფეხის
მონაცვლეობით დადგებოდით ნახევრად

ლი კართან და რაიმეს თქმა, ან წასვლა გაგვირდებოდათ.

— მისაბრუნებელი, მე ვტყუივარო, — იტყობოდა ბოლოს თავჩაქინდრული და ბიჭისკენ მიმართულ მხერას ისევ ის სირცხვილის გრძნობა გაამრუდებდა და ისტელტდა.

— არაფერსო, — იტყობდა თითქოს ამის მომლოდინე ბიჭიც და ორი ავაზას ოთხი თვალი ავეცხდებოდა...

საკვირველი ის არის, რომ თავიანთი სისასტიკის მიუხედავად და ხანდახან კი ამავე თვისების გამოც, ეს ადამიანებიც უყვართ და ხშირად საოცარი თავდავიწყებით...

...გოგო სულ რაღაც ორწელნახევრით იყო უმცროსი ბიჭზე...

ტანმორჩილი, მხრებამდეც ძლიერ სწვდებოდა, თუმცა ესეც საოცრად ზიზღავდა მას.

სიყვარულით ატაცებული გოგო ლექსებსაც სწერდა, მაგრამ ბიჭს ეტყობა ისიც მოყირპებოდა და მისი მხატვრულად დაწერილი სისულელეებიც.

...უფრო ხშირად მარტო დადიოდა. ამოიჩრდიდა ჩანთას ილიაში, ააფრიალებდა ჰაერში თმას და სახიდან საქმიანი, ეკვიანი ქალის გამომეტყველებას არ იცილებდა. თუმცა ამოად ირჩებოდა გოგო...

...თვალეები დატყვევებულ, თავისუფლებას მონატრებულ, რიდიფარებულ საწადელს გაეთანჯა; ხანაც სარკმელთან მომდგარი, ამხრზენ, ეჭვიან ღიმილში მოსერილ ქრიალდავლილ თითქოს ცრემლით იბანდა, დახავსებულ რიკულებს ჩაეჭიდებოდა და უხმო კვილით ეძახდა მშველელს...

...არაფერს იცოდა ვის ელოდა სარკმელთან დამებდებათოვლილი გრძნობა, ვინ იყო, რა ერქვა, ან რისთვის, რა დანაშაულისათვის დაეტყვევებინათ ესოდენ მშვენიერი და ლამაზი.

საიდუმლოებით მოცული საწადელის გინობას და ყისმათს ყველა თავისი ბუნების დარად სჯიდა და ამიტომაც იყო, რომ გოგოს თითქმის ყოველი ბირველი შემხედდარე თქმით თუ არა,

გულში მაინც გაივლებდა, რომ მის უცნაურს, შინაგანიდან, მთელი სხეულიდან დაძრულ იდუმალ მხერას თითქოს რაღაც შავბნელი, სვეტო წარსული უნდა სდებოდა საფუძვლად...

ბიჭს არ ეძინა. ოდნავ წაზრდილფრახილებიანი ფეხები საწოლის რიკულის გარეთ გამოეყო და თავკომბალა თითებს ასავსავებდა.

გოგო კარადაში ჩაწიქციებულ დამტვრილ წიგნებს ვინ იცის უკვე მერამდენედ ითვლიდა. გონებას ატორღიალებულ ციფრებს ამრავლებდა. უმატებდა... მერე რატომღაც ისევ ყოფდა, აკლებდა... გულის კუნჭულში საღათას ძილს მიცემულ წვრილმან მოგონებებს აჯანჯღარებდა, აღვიძებდა, აფორიატებდა, დაუსრულებლად რაღაცაზე ეკინკლავებოდა; ვიღაც უსხეულო არსებებს, ბინდისფერ ბურუსს რაღაცას დიდი მოთმინებით უმტკიცებდა...

კუთხეში გაბმული ქსელი გამოხუტული მწერების სიმძიმეს გუმბათოვით მოეფსკერა და გოგოს ყოველი ამოსუნთქვისას ირწეოდა. ამ ბაწაწინა ჰამიკიდან გადმოვადებულ რამოდენიმე გოგონას ოდენა პრიალა კიბეზე მშვენიერ ობობა აღმაღალმა ბოლთას სცემდა და ხანჯოხან თუ ახედავდა ნამუსრევს... მერე ეტყობა რაღაც შენიშნა, თავქვე დაეკიდა და გაილურსა.

გოგომ თითქოს მისი ნახევრად მთქუტული ნემსის წვერისოდენა დაკვესებული თვალეებიც დანახა და მოეჩვენა, რომ ეს თვალეები საღაღაც უნახავს... ერთხანს გაუაციციებთ ათვალეობა თავმოკატუნებული მწერი...

იგრძნო როგორ დააწვა ტყვილი ეფლის დაკოდილ კიდეს, ბასრი ზრკყალეებით გაავართობა და უზარმაზარი ტრნით შიგ ჩაიყურყუმელავა.

უმტკივნეულო ტყვილმა იტანა მთელი სხეული.

— არა! — გულზე ხელეუბი იტაცა გოგომ.

ტყვილმა თვალეებს ჩამოფარებულად,

მოფხრუნწული ქუთუთოები და ერთმანეთს შეხლართული, სიმრგვალე დაკარგული წარბები შეუძივტივა და მხრებში ჩარგული კისერი გაუხევა.

— არა! — მუდარით სთხოვა კვლავ ვილაცას შიშით ატანილმა გოგომ.

მერმე ძლივს აპგლიჯანიაკაბი კანახორკლილ მკერდს, ბიჭისკენ შებრუნდა და თვალის ვახელა გაუქიჭდა.

ბიჭი თითქოს თავის სხეულში იშვრებოდა. გუგები ნახევრად გადმოფარებულ ბრტყელკიდებთან ქუთუთოების სიღრმეში აეტანა და წამწამების ორ ზოლს შუა წითლად დაკაწრული სითეთრე მოუჩინდა... თითქოს იგრძნოთ გოგოს შურა...

გუგები ნელა დაეშვენნ ფსკერზე... გულს დაწაფებული ტყვილი ნადირივით ბორგავდა, გაშმაგებული, კედლებს აწყდებოდა და სისხლიან ნაკვალევს სტოვებდა...

...ბიჭმა იდაყვზე წამოიწია. ქვედა წვრილი ტუჩი გადმოაბრუნა, ვარდისფერი, სველი კანი გამოაჩინა, მერე ფეხზე ამოხავესებული კოყრი მოისინჯა.

გოგომ თავი ასწია, ფიქრიანი მზერით დააკვდა მყესებდარუმბულ მამაკაცურ თითებს, ოდნავ შემაგრებულ ქუსლს და საოცარი სიცხადით იგრძნო, რომ ქალი იყო თვითონ.

— იცი, მამაკაცებს ძალიან უხდებათ, როცა ფეხზე კორბი აქვთ!

— თანაც სტივიათ, — დაამთქნარა ბიჭმა.

— გეძინება?

— ნტუ!..

— იცი?... — ენაზე მომდგარი სიტყვა ნერწყვთან ერთად გადაყლაბა გოგომ.

— რა?!

— რატომ მატყუებ?!

— გატყუებ?... — მხრების აჩეჩვით ზეწარი მოჭუჭუკა ბიჭმა — ვითომ რატომ არ უნდა მოგატყუო. მე არ მოგატყუებ, სხვა მოგატყუებს... რა მნიშვნელობა აქვს. მაინც მოტყუებული დარჩები... ყველანი ვატყუებთ და ყველანი მტყუდვდებით; ტყუილი მოქმელსაც და

გამგონესაც ორივეს ერთნაირად ატყუებს; ქვეყანა კი ტყუილების გულაა...

— მეც?... მეც უნდა მომატყუო? — გაოცდა გოგო.

— ვითომ შენ ვინა ხარ.

— მე?... მე ვინა ვარ?... მართლაც ვინა ვარ? — ჩაფიქრდა.

მოგონების ლიანდაგზე ჩაირახრახხეს განვლილმა დღეებმა. იქ იყო ცრემლი, იყო ნუგეში. იყო სასოწარკვეთა და იმედი, სიყვარული და სიძულვილი, იყო ღიმილი და სიხარული, იყო ლოდინი...

— ...და მე ვინა ვარ?... ეს ხომ მე ვარ... მე! — ხელები მკერდზე გადაიანაკვა მან, — მე...

მერე თვლებამოკრიალებულმა ბიჭის ისე შეხედა, თითქოს უკვირდა — გაიხსენე, ეს როგორ დაგავიწყდაო — და თავი უკან, ალბათ წარსულისაკენ გადააქნია — იქ ხომ ჩვენ ვიყავით... მე და შენ... იქ ხომ მე ვიყავი... იქ ხომ სიყვარული იყო...

— სისულელეა! — შეკრულმა კრიჭამ ყურის ბიბლიოები ოდნავ მაღლა შეუქანა ბიჭს და სახის გასაყართან კანი სამი ნაკეციტ მოუფხრუნწა, — მომკლა ამდენმა ვათხლემმა: გულისამარწყვბელმა სიტყვებმა.

„დამნაშავეები ხშირად ამბარტავენბი ხდებიან!“ — გაიფიქრა გოგომ.

გეტურმა ხარხარმა გაკვეთა გამოღვიძებული სიჩუმე. იყო ამ სიცილში რალაც საშინელი და ამბზრზენი, ბიჭს ტანზე დახორკლა და ძვლებიც კი აფხრიალა.

„...და მართლაც რომ სისულელეა, — მოძალებული ცრემლებისაგან ხითხითებდა მისავათებული გოგო, — ვითომ რაო, რა მინდა-მეთქი. რას მოვითხოვ ამ კაცისაგან... საბრალო! სულს იქით თურმე არაფერი აბადია... მაშ, ეს კაცი ყველასაგან უპატრონოდ მიტოვებული, სიცოცხლეჩამკვდარი ციხე-სიმაგრე ყოფილა, დროყამის მწვრველ მარჯვენას უბრძოლველად რომ მინებებია... ეს კაცი გრძნობებისაგან ყოფილა დაცლილი... ჩემი გრძნობები მისთვის უცხოა, რადგან მას არასოდეს უგრძენია, ამ

გრძნობების არსებობის შესახებაც კი არაფერი იცის. გრძნობების სიღარიბე... საბრალო!.. მაშ, რაღა მინდა ამ კაცისაგან!.. განა შეიძლება ადამიანს მოსთხოვოს ის, რაც არა აქვს...

...ასეთები ცხოვრებაში ერთ მიზანს დანახავენ და ყველას და ყველაფერს მას ამსახურებენ. ზიზლით გადათელავენ სუსტს და უხმოდ დაემორჩილებიან ძლიერს მანამ, სანამ ძალას არ მოიკრებენ, რომ უფრო მეტი სისასტიკით მიუზღონ მაგიერო.

მათ გული მუდამ დაკეტილი აქვთ და თუ მაინც ვინმეს შეუცდება ფეხი, დონდლო თითები რკინის მარწყუებად იქცევიან და გლეჯენ და ამსხვრევენ. არ დაინდობენ ახლობელ ადამიანებსაც, დაფლეთავენ ატირებულ გულებს, უგულვლად ჩააყვანებენ ცრემლის გუბეში და მხოლოდ მაშინ, როცა ასრულებული მიზნისა და სარკიდან გამომზიარალი დაღვრემილი თეთრთმანიან ორეულის ანაბარა რჩებიან, თავის თავსაც არ უშხებენ რომ უბედურნი არიან... ბედნიერი კაცის ნიღაბს შინ მისვლამდე არ ჩამოიშორებენ და მათ გარდა არავინ იცის რა ძვირად უჯდებათ ზოლმე ეს..."

...ესენი როდის იყიდეთ — სიცილისაგან ხმა ჩაეხრინწა გოგოს.

— მაჩუქეს, — ისე ნაძალადევად და მზაკვრულად იღიმებოდა ბიჭი, თითქოს იმ ღიმილს იქით რაღაც მნიშვნელოვანს და საიდუმლოს ფარავდა.

— გაჩუქეს, გაჩუქეს, ყველაფერი გაჩუქეს? — ხელში აფრიალებდა ტანსაცმელს საშინლად გამხიარულებული გოგო, — მაშ ყველაფერი გაჩუქა?..

— მაჩუქა!

— გაჩუქა? — უცებ შეკრთა გოგო, ბიჭი შიშნულად შეათვალიერა და სახე დაეძაბა...

მერე ისევ ბიჭს დახედა, მაგრამ ისე უაზროდ, რომ ეტყობა მის სახეზე მხოლოდ იმ საბედისწერო სიტყვას ხედავდა, მანამდე ათასჯერ გავიონილს, ნაცნობს, ჩვეულებრივს... კითხულობდა, იმეორებდა... კვლავ კითხულობდა, იმე-

ორებდა, თუმცა ვერაფრით ჩასწვდომიდა მის აზრს.

...და ბოლოს მიხვდა...

...მიხვდა და გაოცდა — ...და ამ საჩუქრების გულისათვის?.. და მე მიყვარდა?.. ეს კაცი მიყვარდა? — ხმაძალდა ფიქრობდა გოგო და ეტყობა ვერც თავისი ნათქვამის სიღრმესთვის ჩაეწვდინა თვალი.

მერე კვლავ შიშით შეხედა ბიჭს...

— როგორღა მიყვარდეს?! — გონებას ამოჩემებულ სიტყვებს უაზროდ, ბუტბუტით იმეორებდა გოგო.

კვლავ ამორგდა გულში ტყიფილი ხმაურით თქვეფვდა და სვლებდა განწირულს... ლამაზს, საყვარელს და საშინლად კარგს...

გოგო მოეშვა, დაიმტვრა, მუხლებზე დაეცა ძალაგამოცლილი. ერთხანს ისევ რაღაცას ფიქრობდა გამწარებულ. მერე თავი ასწია, ბიჭს სახეზე დაამტვრდა და ერთბაშად ჩახვდა ყველაფერს.

ხელები გაუწოდა და სთხოვა — დაუბრუნე ყველაფერი და... დამიბრუნე სიყვარული, რწმენა დამიბრუნეო.

მოჩხუბარი მამლებივით ეძიძვილაგებოდნენ ერთმანეთს ბიჭის დამტვრეული, ბოლოებამარეხილი წარბები. პაერში აღიოდნენ მძლავრად ატოკებულ მკერდზე დამხოვილი ხელები.

— არა! — თავს ძალა დაატანა და მტკივნეულად გამოსცრა ბიჭმა.

...და გოგო მიხვდა, რომ გულიდან იგლეჯდა ბიჭი.

— სინდისი არა გქონია, უსინდისო ყოფილხარ, — დამკინავი ღიმილით ვილაცას გაუცინა გოგომ.

— სინდისი ყველას აქვს; სინდისიანებსაც და უსინდისოებსაც.

— სინდისი მეორე „მე“ არის, უსხეულო, უხორცო, მხოლოდ ხმაა, მუნჯი ხმა, რომლის ენაც მხოლოდ ჩვენ გვესმის... მხოლოდ ჩვენ ის იგივე ჩვენი ხმაა, მხოლოდ გულში გავლილი და დაწმენდილი, სუფთა, სამართლიანი. სინდისი ყველას გვაქვს, იგი ჩვენში უმანკო ქალწულია, რომელიც მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში უნდა

ვმალეთ და გავუფრთხილდეთ, რადგან ერთხელაც კი თუ მოხვდა ცხოვრების თქვეში, წაიბილწება, გზას ასდებდა და გაიჩვენებდა.

— მაგრამ თუკი სინდისსაც გადაიბირებენ, მოატყუებენ და თანამონაწილედ გაიხდიან?... ან სულ აუკრძალავენ ლაპარაკს, დასჯაბნიან?..

— დასჯაბნიან და ჰგონიათ დასჯაბნეს... მაშინ უარყოფლი, მობზრებულ სინდისი სადღაც გულის კუნჭულში მიიყუებდა და დრომდე სდუმს. მას ვერაფერს გამოაპარებ, მას ყველაფერი ესმის, ყველაფერს ხედავს და გასაპართლებს... და თუ ერთხელაც ხმა აიმაღლა, არაფერს შეგარჩენს, ყველა შენს ცოდვას გაგახსენებს, ყვედრებით სულს ამოგზნის და სიცოცხლეს გაგიმწარებს... სინდისისაგან ოდნავ უკანონობასაც არ ელოდო, რადგან მასაც აქვს საკუთარი სინდისი.

— სისულელეა, ყველაფერი სისულელეა, — ღრიალებდა მზერაგაგვიებული ბიჭი.

„თავის თავს უმტკიცებს... ოჰ! როგორ იტანჯება, როგორ დავიტანჯება!.. განა ადვილია მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში შენს თავს საკუთარი უდანაშაულობა უმტკიცო მაშინ, როცა შენც და ისიც დარწმუნებულნი ხართ რომ დამნაშავე ხარ“ — გულს სიბრაღული უმღერებდა გოგოს.

— სისულელეა, ყველაფერი სისულელეა, — კვლავ ამტკიცებდა ბიჭი.

„მძულვარ, საშინლად ვძულვარ... იმიტომ, რომ მის ყველა მოქმედებაში შეამზანაგებულ სინდისთან ეპიზოდურად და უნდობლობა და შუღლი გავადივიე, მშვიდობა დავარღვიე... დაიწყება ერთმანეთის თვალთვალი, ფიქრების გამოცნობა... გაუჭირდებათ ერთად ყოფნა.“

ბიჭი დაწყნარდა.

— ცუდად დამთავრდა ყველაფერი, — ისე თქვა გოგომ, თითქოს ის „ცუდი“ მას კი არა, სულ სხვას შემთხვეოდეს — „საოცარია, თავს დატეხილი უბედურება არც ისეთი საშინელი ყოფილა, როგორც ამ უბედურებამდე გა-

მოვლილი გზა და... ლოდინი უბედურებისა... მთელი გზა ლოდინი და მღელვარება სუნთქვას მიკრავდა, სულს მიმფრთხილებდა... ეხლა კი, როცა ეს ყველაფერი ერთად შეიკრა, ჩიხლართა და გამკვრივდა... ეხლა როცა კუშტად დგას ჩემს წინ, ვგრძნობ, რომ თავისუფლად ვსუნთქავ. ვუვლი ამ შავ საფლავის ქვას გარშემო და სულაც ვერ ვგრძნობ, რომ ჩემთვის არის განკუთვნილი... საოცარია! ეს ქვა ხომ ის ლოდინი, გზა და ღელვაა, რომელსაც განვიცდიდი, ვგრძნობდი... და ეხლა, როცა ეს ყველაფერი შედუღადა, ვუყურებ მას და მივიჩნევ, რომ ვერაფერს ვეღარ ვგრძნობ... მხოლოდ ვხედავ, სხვისი თვალით ვხედავ“...

— ცუდია... ცუდი — ამოიხირა გოგომ.

— არ არსებობს ცუდი და კარგი, — მუბღუთე დარუმბული ძარღვი დაეტოტა ბიჭს, — ცხოვრებაში ბევრ რამეს ვნანობთ და შემდგომ ვამართლებთ. ის, რაც ეხლა ცუდად გვეჩვენება, მერე შეიძლება კარგიც აღმოჩნდეს... და საერთოდ ვერაფერს გაუგებ, მომზადარი „ცუდი“ მართლა ცუდია, თუ იქნებ კარგიც... გგონი კი, ცხოვრებაში ყველაფერი ისე ხდება როგორც უნდა მოხდეს, როგორც საჭიროა... იქნებ შენთვის ასეც სჯობდა.

— იქნებ ასეც სჯობდა, — ვილაცა ანუგეშა გოგომ, — იქნებ...

— გგონია გიყვარდი?... გავა ხანი და მიხვდები, რომ ჩემზე უფრო ძალიან ჩემდამი სიყვარული გიყვარდა. შენ სხვა არავინ არ გიყვარს, ვერც შეიყვარებ... შენ მხოლოდ ის სიყვარული გიყვარს, რომელიც შენში არის და მუდამ გეყვარება ვგონისტური სიყვარულით... მე კი იმიტომ გვირდებოდი, რომ ამ გრძნობის სიმძიმის ზიდვა გვიკირდა მარტოს.

— იქნებ... — ფიქრებისაგან თავი ვეღარ დაეღწია გოგოს, რომ ეფიქრა.

ერთხანს სიჩუმემ იმეფა. გოგო შუა ოთახში იდგა ზურგშექცეული. თავი-

ქინდრულს მკლავები წყნარად ჩამოეკიდა ძირს.

ბიჭმა უეცრად სიბრალული იგრძნო ამ ბატარა, აკანკალებული სხეულისადმი. საოცრად მოუნდა ყველაფერი ეთქვა, თუმცა თვითონაც არ იცოდა რა.

— დაქვითო — საწოლის კიდეზე მიუთითა მან.

გოგო ჩამოჯდა, გულზე თითებჩაწნული ხელები დაიკრიბა და გატერენილმა თავი უფრო ჩაქინდრა.

ბიჭმა გადანასკვული ხელები გაუსხსნა, მოეხვია, მუშტისტოლად ქვეულ მკერდზე შებლით მიეხუტა და ღრმად ჩაისუნთქა.

— არ მემეტება, — მიხვდა და გული ეტყინა — სხვისთვის როგორ ვავიმეტო.

გოგომ წამოიწია, წამოდგა. თავი არ აუწევია, ფეხსაცმლის წვერით იატაკზე ბატარა რგოლები შემოხაზა და შებლი მოიქიციყნა.

— ნუთუ მართლა მთავრდება ყველაფერიო, — აფორიაქდა ბიჭი, — შემომხედო — სთხოვა.

გოგომ თავი ასწია და ბიჭი გაოცდა — პირველად შენიშნა მის თვალბეჭდის თვისი.

მერე თვალბეჭდს ცვარი მოერიათ: იმატეს, ცრემლის ბურთულებად იქცნენ.

ბიჭი შეძრწუნდა — იმ ცრემლებში თვითონ იყო... ის ცრემლები თვითონ იყო.

თვალი ველარ მოსწყვიტა ცრემლებში აღუფხულ თავის თავს. დინახა როგორ გადმფეკიდა წამწამებზე, ერთხანს შემზარავი კივილით ტორტმანობდა... მერე ლაწვებზე გადმოიჩიხა და დასრიალდა.

ბიჭმა შეპკიელა...

გვიანდა იყო, გოგოს ფეხებთან ორი ცრემლი გორავდა...

მერე კვლავ ტიროდა გოგო და ბიჭი მიხვდა, რომ ის იმ ცრემლებს დასტიროდა... ის ცრემლები კი არასოდეს აღარ დაუბრუნდებოდნენ თვალბეჭდს...

ქუჩაში სამნი იყვნენ... ორს ეგონა, რომ ორნი იყვნენ: ერთმა კი იცოდა, რომ სამნი იყვნენ.

გოგო ხის ტანს აპკეროდა და ბიჭს უყურებდა...

ბიჭი თვალბეჭდულ ქალს ლაწვევებს, ოღნავ ნაოკებმიყრილ საფეთქლებს, შუბლს, ბაგეებს უკოცინდა და... გოგო ხედებოდა, რომ არც ის ქალი უყვარდა ბიჭს.

— განა შეიძლება მღვიძარე ადამიანი სიზმარს ხედავდესო — გულუბრყვილო ღიმილით ვიღაცას უცინოდა გაშეშებული ხმით აჩურჩულებული გოგო.

უყურებდა და უყვირდა, რომ არაფერი არ უყვირდა, რომ სულაც არაფერი არ სწყინდა; რომ სულაც არაფერი იყო საკვირველი და საწყენი; რომ თითქოს სასეირო და სასაცილოც კი იყო ქალის სახეზე ბიჭის ზანტად, უგემურად მოცოციალე, კიდეებაბრებილი ტუჩების ცქერა.

გოგოს კვლავ გაეღიმა და ეოცა — საკუთარი უბედურების ცქერა თითქოს ართობდა კიდეც.

მერე ლამპიონიდან მოფარფატე სინათლეზე ალაპლაპებულ ბიჭის შუბლს პკიდა თვალი და უფრო გაოცდა — სისხლმიმხმარი კრილობებივით დაესერა მტკივნეულ ნაოკებს.

...ქალმა თვალი გაახილა და ბიჭს შესცინა, ბიჭმა შორს გადახვეწილი მზერა დააბრუნა და ტუჩებით გაუღიმა...

— სასაცილოა, აბა რა არის, — ითრიკებოდა გოგოც — დახუჭობანას ვთამაშობთ.

...აკლ-დუკლ-დუკი-ზანი-ჩარან-ჩურან-ფუკუ-ზანი-ვახტა - ტოტე - დამპალ-კოტე-კიანური-კუტ... — გაითვალა...

მორღვეულმა მუხლებმა უმტყუნეს გოგოს. ხის ძირას ჩაიოქა და ცრემლგამოწურული, დახუჭული თვალები გაყინული ხელისგულებით დაიფარა...

• • •

ირველივე ზმორებაზმორეული, მოთენ-
 თილი სიჩუმე იდგა...

უღროოდ დაქვრივებული, მწუხარე-
 ბისაგან შეშლილი ქალივით შიშველი
 ფეხებით დატანტალეზდა ყველასაგან
 მიტოვებული, მარტოობისაგან გამოყ-
 რუებული, გაბოროტებული დანე.

ხესთან ჩამობილი გოგო რომ შენიშ-
 ნა, შავ გულში სიბრაღული აღნაკვერც-
 ხლდა... გოგო ფრთხილად წამოაყენა,

გაქვავებული ხელები სახიდან ჩამოხს-
 ნა, თვალები გაუხილა და ცრემლი შე-
 უშრო...

შავბნულ თავში ნათელი ფიქრები და-
 ებადა...

მერე ის სინათლე გოგოს ფეხებთან
 დაეცა და ღამის ქვეყნისტოლ, კუპრის-
 ფერ მისასხამზე შექიან ბილიყად გაი-
 წოწა...

შორს, ძალიან შორს ვარსკვლავები
 ეტეღვნენ თვალებს...

ბჰისმცვალი

გიორგიმ ცელი გვერდით შიავდო,
 მოკაცული წელი გაისწორა და წალ-
 დით დაკვენილი ხის ქერქივით დანაფო-
 ტებული ხელებით ბებრულ მკერდზე
 შერჩენილ ჭაღარა ბალანზე ჩალიცილი-
 ცებული ოფლის წვეთები ჩამოიწრიტა.

პაპიროსს მოუკიდა და თივით დატ-
 ვირთულ ურემს გახედა. ხარები დაქუ-
 ძულ, გადაღვტილ კისრებზე მობზუი-
 ლე ბზიყებს თავის წელი ხვანხვალით
 აფრთხობდნენ და ღაბაზჩამოშვებულნი,
 ზედაპირდაჩორკნილი თეთრი ჩირკის
 მსგავსი კბილებით ბალახს აღლაქუნებ-
 დნენ.

„ცოტა კიდევა ძოკონ და წავალო,“ —
 გაიფიქრა გიორგიმ და ავუნგლულ თი-
 ვაზე გულაღმა წამოწვა.

ღრუბლების თეთრი ტყავბუკით და
 ბოხობა ქუდით მოსილი მზე ნიგვზის
 ტოტზე შემომქდარიყო და კენკაობდა.
 უნაგირა მთას ხეუქუმატყლა ცხვრის
 ფარასავით ჩაგრუზული ღრუბლები
 რქებზე წამოიყო და ჩამწვანებული პი-
 რით ილიმებოდა...

...დაცხული ნიადგიდან ჰიანტყველე-
 ბი ამოლოდნენ და წვნიკი ფეხებით
 მოხუცს ყურის ძირში შეუღტირნეს. გი-
 ორგი წამოდგა და კისერში მოტანტალე
 პაწია მწერები დაიბერტყა. მერე ნაბდის
 ქუდი კისერზე მოიგდო, ხრამის პირას

აბიბინებულ ლოდზე ჩამოჭდა და გაღმა
 ნაპირს მიაჩერდა.

იქ, სადაც ხევში აყუფებული მდინარე
 მკვეთრ მოსახვევს ქმნიდა და მოტიტე-
 ლებულ, ქვა-ღორღით ახორხლილ ცი-
 ცაბოს ყელსაბამივით შემოხვეოდა, მა-
 ლალ სალ კლდეს წამოიყყო თავი. ერთი
 შეხედვით კი მიხედებოდა ყველა, რომ
 ეს უბრალო პიტალო კი არა, ბუნების
 მადლიანი მარჯვენით გამოკვართული
 ტიტველი ქალი იყო.

ამ ქვა ქალის შემხედვარე გიორგის
 რატომღაც ცრემლი მოერეოდა და თა-
 ვისი შვილიშვილი, პატარა დარო გაახ-
 სენდებოდა. გააკანკალებდა ამ დროს
 მოხუცს, თვალებს დახუქავდა და ხე-
 ლებს ისე გაიქნევდა ხრამის პირას, თი-
 თქოს რაღაც საშინელ ფიქრებს იგერი-
 ებსო. მერე ისევ ქალის ახლად აკოკრე-
 ბულ ქვის ძუძუებს შეხედავდა და
 კლდებზე აბლატებულ დოღრიელა მდი-
 ნარეს მუშტს მოუღერებდა.

— ბეჩავი ქალი! რარიგად ენდომებო-
 და სიცოცხლე, — დასცდებოდა დამკვ-
 ნარი ბაგეებიდან და ისევ თავისი ჰიკ-
 ჰიკა დარო მოაგონდებოდა.

ერთ ადგილას ხავსისფერ მდინარეს
 უჩვეულო როკვა-ტორტმანი გაეჩაღებინ-
 ნა, დოღაბივით დატრიალებულიყო და
 მღელარესავით დგანდვარებდა. პირდა-

სავსავებულ, წითლად დაკენვილ თევზებს შიდა აისროდა და ხახადამანწული დგაფუნით ყლაპავდა.

— ე ტიელი მორვეი საწუთროს არა გავს?! — აჯაგრული ნიკაპი მოიფხანა გიორგიმ — ...აი, დედასა... თვალებს აგვიპრელებს და მიგვიზიდავს. ჩვენც, რეტდასხმულნი გადავეშვებით და მერე ცივი წყლით გონისმოსულნი ფონის საპოვენელად ვიბრძვი, ვფართხალებთ და ტობველ კლდეებზე ამოწვერილ ბლაბზულას ვებლაუჭებით... ვაი იმასა, ვინც დაიღლება, ჩაითრევს, წყალს აყლაპებს და შავბნელ ხახაში ჩანთქავს...

— გაჩერდი ბალო, თორემ ისე დატყლიშავ რო... — მოესმა გიორგის.

ჩიკვანარში ენაგატლევალი, წვივებდა... ზოლი გოგო მოხტოდა. ცხვირთან თითებგახანხლი ორვე ხელი ერთის ბერათი და მეორის იეკით ერთმანეთთან შეკრთებია და უკან მომავლ ბიჭს ენაგადმოგდებლი ევლანებოდა.

— დაახზე იქითა... წინ დატყლევშილები აგრე ექით, დრანტეზე ყრთან, — დაუტია ზურგზე ფინსაყუდალავებულმა ბიჭმა, — დაკვლიე ერთი ანა, ბაღს გაუციენ და უკანას გჩჩინებსო... ისე დატყლიშავ, რო ყურებსშუა თავს ამოგაყოფინებ...

— ეს ფილოთ გოგოშავბნელაა, — თვალეზი ხელით მოიჩრდილა გიორგიმ, — ი ბაღლი ალბათ ძმა იქნება, რამოდენა გაზრდილა — გაიფიქრა და ლაფში მოტუსტუსე მუცელგამობზეკილი, ცინგლიანი ბაღლი გაახსენდა.

— გამარჯობა, გიორგი პაპავ, — წნელით შერული ფინხი ძირს დაავლო ბიჭმა და ბამბახის ხალათის კალთით კისერში ჩაწურწურებული ხვითქი მოიწმინდა.

— აი, გაგიმარჯოს, ლექსო... ე გოგოშავას რაღა აღნავლებს.

— რა და... ვუთხრა?..

— არა!.. — სველ თვალეზი მუშტებში ამოიტრიალა გოგომ.

— გიორგი პაპავ... ამ ჩემ აბდაუბდა დასა ქვაწურიაანთ გახუხული ბაღლი შეპყვარებიაო, — იკრიბებოდა ლექსო

და საკებნად პირდაღებულ დას იგერიებდა, — გადი, ძალო, იქითა... გაღმეთქი ძალო...

— არ დაუჯერო, გიორგი პაპავ, — ცრემლებისაგან დასველებულ კბილებს აწკაპუნებდა გოგო და კისერწაგრძელებული ბიჭს მკლავე ეფოფრებოდა.

— განა მჭერა რო!.. მაგან ეგრე იცის პატარების დაბრავება... ი ქვაწურიაანთა სწორედ მაგის საფერი წუწიანი გოგო ჰყავთ — მოხუცის დაბებრილ, დაფიცებულ ხელებს ესაიამოვნათ გოგოს გრილ თმაზე შეხება.

— ინდუ... — გაითრიკა პატარა ქალი.

— დამალე ენა, თორე... გიორგი პაპავ, წითელი წყალი... ნახე, ნახე... კლდიდან წითელი წყალი გადმოდის, — გაფოფინებული პირიდან ენის წვერი გადმოუვარდა თვალეზამირგვალელებულ ლექსოს.

ვებდავო — კობი დაისვა მოხუცმა შუბლზე და კლდეზე მოწანწყარე წყაროს შეხედა, თიხისაგან შეწითლებული, მზის სხივებზე სისხლისფრად რომ მოქცეულიყო. წყალი ოკრობოკრო, დაჩეხილ სხეულს თავქვე მოუყვებოდა და უცებ იკარგებოდა.

— შეხედეთ... ამ პატარა ჩქერალს, ისე ჩაუბუტებია მკერდში თითოეული წვეთი და ისეთი სიფრთხილით მიცოცავს, თითქოს ეშინია, ემანდ ფეხი არ დამიცდეს და მდინარეში არ გადავიჩეხოვო. ნახეთ, ნახეთ... თითქოს ქალის გამობილი გულიდან იღვრება სისხლი და აქერცლილ, დამბალ ლოდზე ძარღვებივით დახლართულა... ვაიმე, დედილო... გულსაც ჰქონია ფესვები... ამოშრება, ამოიხაპება სისხლი, გახმება დამბალი ლოდი და... მოკვდება გულიც...

გოგოს ძმისათვის წელზე მაგრად შემოკვდო ხელი, წვრილი კისერი წავერძელებინა და ქალის მუხლებთან დამხობილ მდინარეს ბაღლური ცნობისმოყვარეობისაგან დაცეცებული თვალეზით ჩასცქეროდა...

— ქისტეთში... — დაიწყო გიორგიმ და მისკენ შემოტრიალებულ და-ძმის ხელით ტყის მხარეს მიუთითა, — ძალი-

ან დიდი ხნის წინათ, სოფლის განაპირას ერთი კომლი დასახლებულა. ჯალაბთ უფროსი დიდი უჭილაგო, ყიამყრალი კაცი ყოფილა. სალამ-ქალამი იმას არ სცოდნია და სტუმარ-მასპინძლობა. აზონდრიდებოდა ცხენზე და დაეხეტებოდა ტყე-ღრეში.

იმისაგან მარტო ორიოდ სიტყვას თუ მოჰკრავდა კაცი ყურს — სხვისი არა გვინდა რაო.

ჰოდა, სოფელსაც მეტი კი არ სდომნია, გული და ენა იმით მოუფხანიათ, რომ იცხვირაბზეცილი კაცისათვის „არაგვინდა“ შეურქმევიათ და თითონაც ცხვირი აუბზეციათ.

— აბა, ესრეთი სიცოცხლე რა ბედენაო, მეზობელი ჩვენ არა გვყავს და მოჭირისუფლე, რომ დავიხოცნეთ, დასამარხნი დავრჩებითო — ტყუილად იყაწრავდა სახეს იმისი ჩამომხმარი ცოლი და ტყუილად იცემდა ექვსი ბაღისაგან გამოხვრებილ, ჩამომქნარ მყერდში ჯაგისაგან დაჩხვლეტილ ხელებს.

წამოვარდებოდა კაცი, ცოლს სულ გამჭვარტლულ კედელზე ახლევინებდა თავს, აღრიალებულ ბაღლებსაც მიაყოლებდა და ისევ ტყეს მისცემდა თავს.

ქალს თითო-ოროლა მეზობელი თუ გამოუჩნდებოდა პატრონად, საჭმელს მიაწოდებდნენ, დახოკილ, დალილავებულ ადგილებზე მრავალძარღვას დაადებდნენ. მისი ცოდვით თვითონაც ცოტას წაუტირებდნენ, ანუ გეშებდნენ და ისევე ჩუმად გაიპარებოდნენ, როგორც აქეთობას მოსვლისას.

ერთხელ, თურმე „არაგვინდას“ ტყეში წაწილისას კაცი შემოჰკვდომია, გადაულაჭვებია თავის შუბლფოთოლა ცხენზე, დაუყრია ჯალაბი უპატრონოდ და ჩვენსკენ გადმოხვეწილა.

მაშინ ეს ტყე ისეთი ხშირი და გაუვალი ყოფილა, რომ თურმე მზის ერთი სხივიც კი ვერ აღწევდა მიწამდინა, გაუთიბია „არაგვინდას“ ტყის პირას ქვემძრომით საცხე ყელყელა ბალახი და ერთი ფარალალა ქოხი მოუწნავს.

...კარგა ხანს ისე გაუვლია, რომ იმის ყურთასმენას დათვების ბურღულენს,

მგლებს ყმეილისა და ტურების კივილის გარდა არა მისწვდომია რა, მაგრამ...

...გამომხდარა ხანი და „არაგვინდას“ რაც არ სდომნია, ყველაფერი ერთბაშად მოსდომნია. ჩუმჩუმად სოფელშიც ჩადიოდა თურმე, საქონლის ნეხვით გალუფებულ გომურთან მოლანდებასავით აიტუზებოდა და გაფოფინებულ წვერზე ჩამომხტარ კაცალ-კაცალ ცრემლებს დაკორძებული ხელებით იღვებდა.

მონატრებია თურმე თავისი სახადით გაყვითლებული მუშტისტოლა დედაკაციცა, იმისი ჯაფისაგან დამქნარი სხეულიცა და მანამდე აქლებული ბაღებიცა.

ერთხელ ის უყისმათო „არაგვინდა“ თავის ლასტებით აჩონჩხილ ქოსში წოლილა, რომ თავქვე მიმავალი ქურციკით წერწეტწვივა გოგო დაუნახავს. იარალი მოუბლუჯია, გამოსდევნებია და შიშისაგან ენაჩავარდნილი და დაფეთებული კარავში შეუთრევია.

— მიყვარხარ, ქალო... — მეხლებზე დაცემულა წვერგაბურდნული კაცი — ...ძალიან მიყვარხარო... დავებეტები ტყე-ღრეში და შენზე ვფიქრობ, ძილშიაიც სულ შენ მესიზმრები, ძალიან მომენატრეო... ქალავ, გამეცი ხმა, მითხარი, რომ შენც გიყვარეარ, რომ ეხლაც მე გეძებდი, ტყუილად ამ უკაცურ ადგილზე რა მოგიყვანდაო... ხმა გამეცი, ქალო. ადამიანი ხომ ხარ... მეხუთე ზაფხულია შენი სიყვარული არის ჩემთვის საგზალიც და მეგზურიც, მეხუთე ზაფხულია შენს კვალს დავდეგ... მეხუთე ზაფხულია ჩემს თავს გარდა არავის დავლაპარაკებეიარო... მითხარი რამე, ამ მთისა, იმ მთისა, გამძლე შენი ცქერით, პატარა ხანს მიინც მეფიხენე რაიმეზე, მელაპარაკე, მარტო არ დამტოვოო...

შიშისაგან კანკალავარდნილი და თვლებდატყვრეილი ქალი კუთხეში მიჯრუნჩხულა და კრინტიც ვერ დაუძრავს.

— ვაიმე, ბედშავს — ბნედიანივით დაუწყია ძირს ფართხალი დორბლმორეულ „არაგვინდას“ — მაშ, არა გყვარე-

არძინს ხახ ს.ძ.
ს.ი. სახელმწიფო

ბივარო... ჩემთან ლაპარაკიც არა გდომებიოთ... მაშ, უშენოდ რაღა ბედენაა ჩემი სიცოცხლე. აბა, სატევარი, მომკალი ბარემ... ქრისტიანი ხო ხარ, შემიბრალებ. ამამართვი ე ძალი სული და მომასვენებო...

მერე გონარეულს ქალი ქოხში გამოუმწყვდევია და ტყვეს მოსდებია.

...შინ დაბრუნებულს მომაკვდავი უნახავს... ძუძუებს შორის სატევარი ვაღამდე ჩარტობოდა და დაქარგულ გულისპირზე წითელი სისხლი მოწანწკარებდა...

ღმუილით მივარდნაა კაცი და ახრიალებულს თავი წამოუწევია. ქალს წამწამები აუფახტლებია, ერთხელ კიდევ შეუხედდას ქოხში შემოკვრეტილი მზისათვის, ფოთლებისათვის, ბალახებისათვის და ცისფერი თვალებიდან უკანასკნელი ცრემლი გადმოჰკვდებია...

დაკონებაა „აბაგინდა“ ქალის ასკილის ყვავილივით გაფითრებულ, სითბოშერჩენილ ტუჩებს, ხელში აუტაცია და ერთხანს გიჟივით ურბენია.

მერე ძირს დაუსვენებია, გულისპირი შეუხსნია და უმანკო სხეული კოცნით დაუფარავს. სატევარი განზე უსვრია, ქალს მუხლებზე შემოხვევია და უთქვამს — ღმერთო დამსაჯე, ამ ქალს კი არ მომამორაო...

იმ წამსვე ხმლის ნაჭდევი მიწაზე ხრამად ქცეულა. მკერდგამოშვლებული ქალი პიტალო კლდედ, მის მუხლებთან დამხობილი კაცი კი ვადარცულ მდინარედ...

... — მაშ, წითელი წყალი მართლაც სისხლი ყოფილა — ძლივს გამოერკვა ლექსო.

— არა, სისხლი როგორ იქნება, — ვალიმება სცადა გიორგიმ, — წყალია, ჩვეულებრივი წყალი, ოღონო შემოთაჯეობ?... ნაპრალებს შორის წითელი შლამია. მაგრათა, რომ წყალსაც ფერი ეცვლება... მაგრამ მთელი საკვირველება ის არის, რომ ეს წყალი ხანდისხან თუ გადმოხეთქავს და მაშინაც იტყვიან ხოლმე — ტყვეს რაღაც უჭირსო.

— მაშ ეხლა რო... — ენა დაებნა ლექსოს.

— რა ვიცი, შვილო, მეც ეგ მაფიქრებს.

— ვაიმე, როგორი ბუჭი დამდგარა იქითა?! — ლოყებზე ხელები შემოირტყა გოგომ.

...ხევს გაღმა, ფიქვების თავზე ალინფერი ენები ცას მჭვარტლავდნენ, ტყვეს თითქოს შავი ოხშივარი ასდიოდა.

— მწყემსებია, თუ ტყვეს მოედო ცეცხლი, — წამოიჭრა შესუფოთებული გიორგი, — ამოდენა ცეცხლი მწყემსებს რისთვის დასქირადებოდათ. აკი ვთქვი ტყვეს რაღაც უჭირს-მეთქი, წყალი ტყუილად კი არ ვადმოსკდა... აბაიმე, ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ ამ გაფიცხებულ ფოთოლ-ბალახთან ხუმრობა არ ვარგა. მოედება ცეცხლი და ვადიბუტება ტყე. აბა, ბალღებო, რაღაც უნდა ვილონოთ. ჩემი მუხლებით იქამდე როდის მივალ. ნეტა ი ცხენი ვისი რა არის!

ცოტა მოშორებით ვიდაცინ ცხენი სძოვდა ბალახს. გიორგიმ გუდიდან პურის ნატები ამოიღო და მისკენ გაემართა. კისერზე ხელი მოუთათუნა, სავსე ფერდებზე დაუხანა და პური შეაჭამა. ცხენმა არ იცხოვოვა, ეტყობა პატრონისაგანაც მიჩვეული იყო ფერებს.

მოხუცმა მალე თოკიც მოსდო კისერზე. იქვე ბუქობთან მიაყენა და ახალგაზრდული იერით ზურგზე მოექცა.

— ურემში ნიჩაბი და ფიწალი ევდებდა, მომწოდო, — გასძახა ლექსოს და გოგო უკან შემოისვა — ლექსო. შენ ველარ ვატარებთ, გამოიქე... ბეწვახიდზე ფრთხილად იყავი, წყალში არ იცქირო, თვალებს აგიკრელებს. აბა, შალე, თორემ მარტო მე და ეს გოგო რას ვიზამთ.

...ცეცხლს საკმაოდ ვაეწია განზე. წვრილ, გამხმარ ტოტებს ტყაცა-ტყუცი გაჰკონდათ, ხრწოლივდა ვადატრუსული ბალახი. გიორგიმ ცხენი მოშორებით, ხის ტოტზე მიიბა და ნიჩაბი მოიმარჯვა. აყრილი ნესტიან მიწას ცეცხ-

ლის ალსფერ ენებს და საშუალებას არ აძლევდა გაძლიერებულიყო.

მალე ლექსომაც მოიბრინა გულის-ხეთქებით და ქანცავარდნილ მოხუცს მიეშველა.

ორი საათი იბრძოდნენ გიორგი და ლექსო და, როცა ცეცხლის უკანასკნელი კვალიც ჩაყლაბა მიწამ, ძირს დაეცნენ და გამურული ხელებით შავი ხვითქი მოიწმინდეს. მერე ერთმანეთს შეხედეს და სიცილი აუტყდათ.

— ბუხრიდან ამომძვრალეებს არა ეგვევართ? — თეთრი კბილები გამოაჩინა ლექსომ.

— ბუხრიდან კი არა და... ნეტაი კი გამაგებინა ვინ იყვნენ აქა, უღვურძლავიანთ იმ დასაქცევებს და აქაობა ნაგვით აუვისათ, ფური... — თვალეები აუპრიალდა გიორგის, — ნეტაი კი მომესწრო აქა... დამაცადონ, ხო მაინც გავიგებ... უნამუსოებში... აბა უყურეთ ამ ხეებსა, როგორ შეტრუსულან... არ ეცოდებოდით მაინცა?... ამას კაცი იზამდა?... მხეცები, კაცო, მხეცები...

მოხუცი წამოღდა და ხეები სათითაოდ შეათვალიერა. მერე მალალ ალვის კენწერომდე აუწვდინა თვალი და ორივე ხელი შემოხვია — ეს ხე, ჩემი ბიჭი რო დიბადა, იმ დღეს დავრგე, ჯერ სულ თითო იყო. რამოდენა გაიზარდა, თვალს ველარ ვუწვდნენ. ჩემი ვაჟის სწორია... ომში რო მივდიოდი, მამაჩემს პირველ რიგში ის დავუბარე — ჯაგები შემოუწყე, საქონელმა არ ამოთხაროს-მეთქი... ეს წყაროც მაშინ გავაკეთე, შემთხვევით წავაწყდი...

მიწის გულიდან, წვრილ კენჭებს შუა წყლის წვრილი ბუშტულები მოფრინავდნენ, თანდათან იზრდებოდნენ და წყაროს ზედაპირზე თრთოლვით იშლებოდნენ.

— ამ წყაროს რო ვუყურებ, — წყალთან ჩაიკუცქა გიორგი, — ასე მგონია, ალალ, გულმართალ კაცს ჩავტყერი თვალეებში. ადამიანის თვალსა ჰკავს ე დალოცვილი. ჩავხედავ და ჩემს თავს რო დავინახავ ამ სიკრიალეში, გამიხარდება ხოლმე.

ჩამოვდები ხანდახან და ველაბარაკები. ასე მგონია, ყველაფერი ესმის... ამის კაცი იზამდა?! ბოთლის ნამტრეკები ჩაუყრიათ შიგა... არა! ადამიანს გარედან რას შეატყობ, გაგელრიგებთან და თეთრ კბილებს გირევენებენ. კბილები კი ყველას თეთრი აქვს, რას გაუგებ ვინ არის, რა შეილია, თორე ზოგიერთი არც კი უნდა გააჰაჯანო აქა... იქეიფე, სუფთა პერი ისუნთქე?! შე დალოცვილო, ცეცხლს რაღას უკიდებ, რას ავერანებ აქაურობას... ყველა შენაირმა რო ცეცხლი წაუკიდოს და გაახრიოკოს, ი მწვანეზე რო ქეიფი და დროსტარება გიყვარს, ნეტა მერე სადღა იქეიფებ.

მოხუცს ბალებიცი მიეშველნენ და იქაურობა მოასუფთავეს, წყაროც ამოწმინდეს.

— აბა, წადით ეხლა ლექსო. წაიყვანე ე გოგო შინა, გვიანია.

— შენ, გიორგი პაპავ?... — მე გავალ ისრიე უკანა, ურემს დავხედავ. ცხენიც წაიყვანეთ, ნუ გეშინია, არა ფრთხეება. ჩაიყვანეთ სოფელში, ვინ იცის, პატრონი ეძებს. სხვა რა გითხრა, ჩემო ლექსო! შენ შენი თვალეებითა ნახე, რა ცოდვა-ჭირიც დატრიალდა, კიდეც კარგი, დროზე მოვასწარიო. ამის შემდეგ სადაც უნდა იყო, შენ იცი და შენმა კაცობამა...

მოხუცი რომ თვალს მიეფარა, გოგომ ჩაფიქრებულ ძმას მკლავზე ჩამოქაჩა, მერე ბალახი მოწიწა, დაასორსოლა და გამწვანებული თითებით თვალეები მოიჭყლიტა.

— იცი, ლექსო!.. იმ ალვის ხეს რო ხელებს უსვამდა, თან ტიროდა გიორგი პაპა... არა გჯერა? არ უნდოდა ჩვენ დავგვინახა, ე ტივლ ცხვირს რა დაემართაო — ვითომ ცხვირი მოიხოცა, იქით მიტრიალდა და ცრემლები მოიწმინდა... — მერე?

— მერე ისა რო, ცოდოა... იცი, რო...

— შენ რაღაც იცი...

— არაფერი! არაფერსაც არ გეტყვი, — გამურული ფეხის წვერით მიწა მო-

ჩიჩქნა გოგომ, — არ გეტყვი, არაფერ-საც არ გეტყვი...

• • •

კარგა ზნის დაღამებული იყო, გიორგი რომ სახლს მიადგა. ლოდინით თვალებგაწყალბებულ, შალმოსხმულ მატრონას ერთი კი უთხრა — ლოგინი აიგანზე დამიგეო და მეტი კრინტიც აღარ დაუძრავს.

მერე განჯინასთან ჩაიცუცქა, კარი გამოაღო და დამბალ ხაჭოსა და პურს დასწვდა.

— თუ გვია, შეჭამანდს გაგიცხელებ — ხენეშით გაიტანა ლეიბი მატრონამ.

გიორგიმ გახევებული ხაჭო წინა კბილებით ჩაკბინა და ცოლს ცერად გახედდა.

— რა იყო კაცო, რა უნძრახად დამადეგო, — იფეთქა ქალმა, — თქვი რამე, ენა ხო არ ჩაგვარდნია მუცელში.

— ნეტაი რა გაკვილებს, ფეხზე ხო არ დაგადგა ვინმემ ფეხი — გაიკვირვა მოხუცმა და ლეკვა განავრძო — ვერა ხედავ, ფეხზე მძლიესლა ვდგეეარ, ლამის ზეზეულას-დამეძინოს.

...მეორე ოთახიდან ვილაცის ძლიერი ზერინვა მოისმა, მერე იმ ვილაცამ ერთი-ორჯერ დაახველა, მოქნარებ-მოქნარებით რალაცის თქმა სცადა და ეტყობა ცხვირით, წვნიკ ხმაზე სტვენას მოჰყვა.

გიორგის ჩასაკბეჩად დაღებული პირი და მალლა შემართული პურიანი ხელი გაუშეშდა და ცოლს ისე გახედა, რომ მატრონამ ცალი ხელი ცალად დარჩენილ კბილზე აიფარა და დამორცხვებულმა მეორე ხელით ქოქოლა მიაყარა — აი, მიწამ კი შეგკამოს. ეაჟაა, ვინ იქნება... ჩემად იყავი, არ გააღვიძო!

— რაში ეკადრებაო, — გულში გაიფიქრა მოხუცმა და უცებ... — კი მაგრამ სად დალია... რა ვქნა, რა ეშმაკივით შე-

მომიჩნდი. არა, არა-მეთქი. გავაღვიძებ და ვკითხავ... ისე ვკითხავ...

...გიორგი ფეხის ცერებზე დაირწა...

ოთახში შესვლისთანავე ლეინის მყარალი სუნი ეცა და კოპები შეიკრა — ავიყოლდა ცხვირ-პირი.

პირველად ნახა მამამ შვილი ასე შიშველი. მთლად კუნთებია ეს მამაძალი — სიამაყით შეათვალღერა ბიჭი. საბანი გადააფარა და მკერდზე თითი ატაკა — გაიღვიძე ბიჭო პატარა ხანს.

დიდხანს აჯანჯლარა. როგორც იქნა, ჩააგდო გონში და ისე ჰკითხა — სად დაღიეო — თითქოს ეუბნებოდა, ყოველი შემთხვევისათვის გეკითხები, თორე ჩემი შვილი რომ იმ ავკაცობის ჩამდენი არ იქნება, ისედაც ვიცეო.

— ქალაქიდან სტუმრები ჩამოგვივიდნენ და წყაროსთან ვიქეიფეთ, — წაიბურტყუნა ვაჟამ და საბნის წაფარება სცადა.

— წყაროსთან იქეიფეთ? — გიორგი ვერ ვერაფრით ვერ მიხვდა, რა უთხრა შვილმა, მაგრამ უცებ...

— რაო, სად იქეიფე, წყაროსთან იქეიფეთ? — გული აუქისქასდა მოხუცს. მერე დაკარგულ, დამწვარ ხელებზე დაიხედა და ცრემლი მოერია.

— რა არის, მამა — წამოჯდა გამოფხიზლებული ბიჭი და მამას ხელები წაართვა, — რა მოგივიდა... სად დაიწვი, კაცო, გამაგებინე. მამა გესმის?.. ნამუსს გეფიცები მე...

— ღმერთმა შენც შეგარცხინოს და შენი დაარხეინებული ნამუსიც, — ჩაიღმუილა გიორგიმ და კარი მიიჯახუნა.

• • •

გამთენიისას, სრამის პირას, აბიბინებულ ლოდზე გაეღვიძა გიორგის...

...მუდარით მზირალი ორი ცრემლიანი თვალი დაკოცნა და თავდახრილი შვილი მკერდში ჩაიკრა.

თეკლე დამლაგებელი

დილით ყველაზე ადრე გამოცხადდებოდა მალაზიაში თეკლე-დამლაგებელი. ცოცხის ტარით გამოაცოცებდა დახლის ქვეშ მიყრილ ქუსლგადაბრეცილ, დამტვერილ ფოსტლებს, ერთმანეთზე ძირების შემოკვრით დაბერტყავდა და შალის, მკბენარა სქელწინდიან ფეხზე ძლივს მოირგებდა. მერე კანაქერცილი მუშაობის ჩანთიდან ჭრელა-ჭრულა, წითელ-ყვითელი, უცნაური ფორმის ყვავილებით მოჩითულ თავსაფარს ამოიღებდა, თავზე წაიკრავდა. შრომისათვის ერთ ბლუჯა ნამგალივით მორკალულ კულულსაც გადმოიკენტავდა შუბლზე და ჭარასავით დატრიალდებოდა, ციბრუტავით დაბზრილდებოდა — დახლს მტვერი დასდებოდა, იატაკიც მოსარეცხივით, ის სკამი იქ რომ დგას, იქ არ უნდა იდგეს, ფეხებშიც გვეხორხლება და თვალებშიც.

მერე ოფლის წინწყლებით დაცვარულ, ოდნავ ქერა ბუსუსით შერინდულ ზედა ტუჩს ხელის ზურგით მოიწმენდა, თვალებზე ჩამოფხატულ თმას აიკუნდავებდა და კატასავით ფრთხილი ნაბიჯებით იმ მოცისფრო-მომწვანოდ შეღებილ ფანერის კართან მივადოდა, ზედ რომ არაფერი ეწერა და, ურთმლისოდაც დირექტორის კაბინეტში ვერსაიდან ვერ მოხვდებოდი...

...რატომაც დირექტორის კაბინეტში შეხიზნულ, იატაკიდან ქერამდე აწოწილ მუყაოს ყუთებს დამკინავად შეათვალიერებდა, არც მოდიდან უკვე დიდი ხნის გადასულ მორყეულ ავეჯს დააყრიდა კარგ დღეს და დაოინჯშემოყრილი ტუჩაბზუებით აუცილებლად გაიფიქრებდა, რომ დიდი ვერაფერი სახელი იყო იმ კაბინეტის სახელწოდებიან მოსკუბულ ოთახში დირექტორობა... ამას რომ გაიფიქრებდა, თითქოს შვებას იგრძნობდა, ლოდოდ ქვეულ გულს კიდევ ჩამოატყდებოდა, ჩაიჩოქებოდა და მაგიდის გარშემო მოფანტულ, დაკუჭულ, ათასგვარი „სულელური“, „უაზრო“ ციფრებით

აჭრელებულ ქალღლებს თუნუქის პრილა, ერთ დროს იმპორტული კონფეტებით სავსე ყუთში ჩაყრიდა და ვინ იცის უკვე მერამდენედ ინატრებდა, რომ მისი ხელიკისფერთვალეებიანი დირექტორიც როდისმე, ერთხელ მაინც, ერთი საათით დამლაგებელი ყოფილიყო.

...გაიღებოდა მალაზია და კუთხეში ჩუმად მიმჯდარი თეკლე მხოლოდ და მხოლოდ ფეხსაცმელებს ხედავდა, სქელლანჩიან, ქუსლით მაღლა აქაჩულ ფეხსაცმელებს, მის მოკრიალებულ, ზებრასავით ჭრელი ქვის ფილებით მოგებულ იატაკზე რომ დადიოდნენ და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ტალახისაგან მოხატულ გატყლარკულ ნაფეხურებს ტოვებდნენ...

...მერე დირექტორიც შემოალაგებდა ორმოცდახუთ ნომრიან უზარმაზარი ფეხსაცმელებით... თეკლეს რომ შენიშნავდა, ამ ზონზრობა კაცს რალაც უცნაური, ნაძალადევი, თითქოს მოშიშო ღიმილი დაუპრანქავდა ნაჩიჩქნი ნიადაგით დაკეცილ პირისკანს და ერთხელ კიდევ შენიშნავდა, რომ ამ გამწლივეული დამლაგებლის თვალები რალაც საოცრად ჰგავდა ჩახმანზე შემდგარ ორლულიან თოფს...

— აბა, რა ეგონაო... — ჩაიჭირქილებდა ვილაც, — ადრე რომ ლეთის რისხვად გვევლინებოდა და დამნაშავეს და უდანაშაულოს აღარ დაეძებდა, გულანძღავდა და გვთათხავდა მხოლოდ იმიტომ, რომ უგუნებოდ ბრძანდებოდა, როგორ ეგონა, ყველა მოუთმენდაო?.

— მაშა ქალო, გვაჯობა ამ დალეულმა გოგომ.

— აფსუსი არ არის, დამლაგებელი იყოს?

— დააცადე, ჩემო კარგო, მაგასა ჩვენზე მეტი ჰქუა აქვს, მაგისთანები ასე იოლად არ იკარგებიან. ისეთი ქალი დადგება, მგონი, მასთან ნაცნობობით ვტრიაბახობდეთ კიდევ... უმაღლესშიც

სულ ხუთებზე უსწავლია. ძალიან ნიკიერი გოგოაო, ამბობენ.

— დედა, დედა... აფსუს გოგოვ...

— ეჰ! ჩემო ოლა, უპატრონობას რა ვუთხრა, თორემ... აღბათ ძალიან უჭირს. სულ რაღაცას ფიქრობს, ხანდახან ცრემლებიც ერევა, მაგრამ გვიმალავს. ვაიმე, შვილო, მაგის ტოლები... ეჰ! მეცოდება.

— გაჩუმდი, ქალო, არ გაიგონოს. იმ დღეს არ იყო, რომ გამოგვიცხადა — მართა დეიდა, მერე რა რომ დამლაგებელი ვარ, მე ჩემი საქმე ძალიან მიყვარსო.

— მაშა ქალო, ერთი ციცქნაა და რა ამაყი ყოფილა, მის დღეში მაგის წუწუნი არ გამიგია...

...მერე აკრიალებდა და აპრიალებდა უზარმაზარ მინებს სკამზე შემდგარი პატარა დამლაგებელი.

— ღორის შვილია ვიყო, ამ გოგოს რომ კარგად ჩააცვა, ქალაქის თვალი იქნებოდა, — უთითებს გოგოზე ვიღაც უღვაშებგაწყობინებული, მეცხვარის ტყაბუქიანი ბიჭი მეგობარს.

— ვინა სიმონ! რქებიც რომ ჰქონდეს ქაჯი იქნებოდა, — ასანთის ღერს იღეპება გამწვლიკულ წვივებზე ტეხასურ შარვალშემოწყვილი ვაჟი.

— აბა შენ გქონია გემოვნება, — არ იშლის ის მეცხვარის ტყაბუქიანი, ღერსმანზე გამოხეულს რომ უგავს პირი და მინაზე ცხვირ-პირ მიკვლევითი ვითომ თეკლეს კოცნას ცდილობს.

ყელში ცრემლების ბურთი ეხირება თეკლეს, მერე მთელ სხეულშიც რაღაც ძარღვები მთვრალი კაცივით იწყებენ ბარბაცს და ცრემლი ერევა თეკლე-დამლაგებელს, რადგან იცის, რომ მინა რომ არა, ის ბიჭი კოცნასაც არ შეეცდებოდა...

თეკლე არც არაფერს შესჩიოდა არავის, მაგრამ „ვილაციები“ მაინც ცდი-

ლობდნენ ენუტეშებიანათ ^{შვილო,} უურს ნურავის ათხოვებ, დამლაგებლობა სათაჯილო კი არ არისო...

...მერე ლოგინში იწვა თეკლე. თავქვეშ ხელები ამოეწყო, უაზროდ შესცქეროდა ჰერში ნესტისაგან დახატულ ფანტასტიკურ ცხოველებს და ფიქრობდა, რომ იმ „ვილაციების“ შვილები დამლაგებლები არ იყვნენ და რომ არც არასოდეს იქნებოდნენ; არც იმას დაივიწყებდა, რომ ჯერ მხოლოდ თერამეტი წლის იყო... რომ მის ტოლებს, სიცოცხლეს და ტკრციალით რომ ჩაუქროლებდნენ გვერდით, მანიკიურით დაფარული, გრძელფრჩხილიანი ნაზი ხელები ჰქონდათ და, რომ მასაც აუცილებლად ექნებოდა, როცა დამლაგებელი აღარ იქნებოდა... ჯერ კიდევ მიუღებელ ჯამაგირს ოცნებით გაანაწილებდა, დააქუცმაცებდა და იმ საცოდავი ექვსი თუმნით რამდენი რამის ყიდვას აპირებდა... იმასაც აუცილებლად გაიხსენებდა, რომ დილის ძილი საშინლად კარგი ყოფილა და რომ დიდი სისულელეა, მხოლოდ იმისათვის გაიღვიძო, რომ სადღაც იდამლაგებლო...

თვლებზე რული ეკიდებოდა თეკლე-დამლაგებელს...

...მერე ღამეც დასაძინებლად მიდიოდა და თენდებოდა.

თეკლე-დამლაგებელი ისევ ყველაზე პირველი გამოცხადდებოდა მალაზიაში. ჯარასავით დატრიალდებოდა, ციბრტევით დაბზრიალდებოდა... დახლს მტვერი დასდებიაო, იატაკიც მოსარეცხიაო, ის სკამი, იქ რომ დგას, იქ არ უნდა იდგეს, ფეხებშიც გვეხორხლება და თვლებშიცო...

...მერე კუთხეში უჩუმრად მიჭდებოდა, კულულებიან პატარა თავს ამაყად შემართავდა და ყველას, ყველას უთქმელად თითქოს ეტყოდა — „მერე რა, რომ დამლაგებელი ვარ“...

გაზაფხულის პირველი დღე

ქალბატონო!.. შაპატივით,
მე უნდა მეთქვა... მაგრამ არა...
როგორ თბილა... თუმცა, რას ვამბობ —
გაზაფხულის პირველი დღე ისევ ზამთარია.
მაგრამ მაინც გამოგვიტყუა.
და ჩვენ უხვად მოვეფინეთ აივნებს, ქუჩებს,
ეს ჩვენა ვართ, რომ ვნიავედებით,
ისინიც კი, ვისაც ზამთარი
ნალვინევივით გამოჰყოლია,
და ჯიუტად არ უნდათ, რომ იყვნენ ბედნიერნი,
გრძნობენ ნირწამხდარნი,
რომ ნაზამთრალ ჯავრს შიარულად იცობნებიან.
— სულ რომ ასე იყოს — ფიქრობენ ისინი,
— ჩვენს სვედას მიჯნა რომ დაედოს, რა გვეშველება,
და გაუცნობიერებელი სიხარულის შვენებას
შეურაცხყოფილი აგვირდებიან.

ნუ გეშინიათ (ვეუბნები მე შათ),
გაზაფხული არას ერჩის თქვენს სიმარტოვებს,
მარტალიტს თქვენსას.
თუ ოდნავ შეგეზოთ,
თქვენს წრეში თუ გადმოაბიჯა,
ყვირილს ნუ ასტეხთ
და საგანგაშო ზარს ნუ შემოჰკრავთ.
იგი კვლავ წაგა,
შოლოდ ოდნავ მხრით შეგეზებათ
და ისევ წაგა.

ჩემი მხრებისთვის მუდამ არის ადგილი ქუჩაში.

შაპატივით, ქალბატონო,
მე უნდა მეთქვა...



მაგრამ არა,

ჯერ პატიება უნდა გთხოვოთ შესაფერისად
 და რადგ ნაც მეშინია, რომ არ დაგაფრთხოთ,
 მე გიხდით ქუდს,
 რომ თქვენი გული
 ჩემმა გამცვდარმა თავმა მოაღბოს.
 თუ გსურთ, პალტოს საყელოს გავიხსნი
 და ჩემს ყელზე ნაოჭებს დაგანახებთ,
 რომლებშიც გაზაფხულის ოფლის მარცვლებია.
 თუ გსურთ, შეგახედებთ
 ჩემს მოუვლელ, გახეხილ პერანგს,
 რომ თქვენ გულში გაიფიქროთ — უსაფრთხოათ.

გაზაფხულის პირველი დღე ისევ ზამთარია.

მაპატიეთ,

რომ ასე თავხედურად დაგიწყეთ ლაპარაკი,
 მაპატიეთ და თან კიდევაც
 მოემზადეთ უფრო მეტის საპატიებლად,
 რადგანაც, რასაც ახლა მოგახსენებთ,
 მართლაც რომ წმინდა წყლის თავხედობაა.

საქმე იმაშია, რომ მე ვეძებ ქალს,

რომელსაც, ვიცი რომ...

ვიცი, რომ ვუყვარვარ!

საიდან ვიცი, რომ ასეთი ქალი არსებობს?

და საიდან ვიცი,

რომ მე იმ ქალს ვუყვარვარ?

თუ თქვენ ასეთ კითხვას დამისვამთ,
 იცოდეთ, რომ არ იქნებით გონებაშეშლილი
 და მეც უბერბულობაში ჩამადგებით ალბათ:
 მე ხომ არ შემინძლია გაეცე სხვისი საიდუმლოება.

დღესაც, ქალბატონო, ამ საღამოთი,

როდესაც ჩემს შერეულ ოთახში ვიწვიქი

და ოთხ კედელსა და მესუთეს — ქერს

მეუშვოთებლად გათვალისწინებდი...

— სხვათა შორის, ეს შეხანიშნავი გამოგონებაა

მარტოხელა კაცისთვის:

საზოგადოებას არაფერში არ ეცილება,

არც ქანგბადს უწევას, არც პურს უჭანა,

ის თავისთვის, ნებაყოფლობით დაგდებულა მომთმენ საწოლზე

და ოთხ კედელსა და მესუთეს — ქერს —

მშვიდად შესცქერის.

კედლებიც ძველია, ძველია სახურავიც

და უმურველი ბუნება, კომუნალურ არსებით,

თავისუფლად, მხრებგაშლით შემოდის ბინაში.

წვიმის ლაქები

და სხვადასხვაფერად გახუნებული საღებავები
 ასპარეზს აძლევენ კაცის ფანტაზიას
 და იგი ადვილად პოულობს უთვალავ სახეებს,
 ნაცნობთა პორტრეტებს, ცხოველებს, ლანდშაფტებს,
 ომებს თუ ინტრიგებს
 და სასიყვარულო სცენებსაც კი,
 მაგრამ მე მათ თვალს ავარიდებ —

ახალგაზრდა აღარ გახლავართ.

პოდა, დღესაც, ქალბატონო,
 ამ საღამოთი,
 როდესაც ჩემს შეჩვეულ ოთახში ვიწვიქი
 და ოთხ კედელსა და მუხუთეს — ჭერს
 ნებაყოფლობით ვათავლიერებდი
 და კარნავალის დაწყებას ველოდი,
 რაღაცამ წამკრა ხელი საფეთქელში,
 უდიერად, როგორც „გაიღვიძე შე ვირიშვილო“ —
 და გარეთ გამომაგდო
 და ჩამწნა ამ ქუჩაში,
 ბთასობით წვაფილთან ურთად,
 (რის გამოც განუწყვეტლივ ვვრძნობ უხერხულობას).

პოდა, როგორც ხედავთ, მე ისევე აჭა ვარ
 და ისევე ვუძებ ქალს,
 რომელსაც, ვიცი, რომ ვუყვარვარ.
 მაგრამ იგი კვლავ მენალდება,
 განსაკუთრებით აი ასეთ დროს,
 საღამოსხანს, სამსახურში როცა თავდება,
 როცა იგი წამოაყლებს ხელს თავის ჩანთას,
 ჩანთიბენს კიბეებზე — ლილტს არ დაუცდის,
 კარისკაცებს თავს დაუკრავს თავაზიანად
 და ქუჩაში გამობრძანდება.

ქუჩა არის ხალისი და სიხარული,
 ქუჩა არის ეპიკური ძღობა,
 როგორც ვახშამი
 პატრიარქალურ მუხის შავიდაზე,
 სადაც მარტო არასოდეს არა ხარ
 და უფლება არა გაქვს,
 თავი შეირცხვინო.
 ფეხებს ნაბრძანები აქვთ — იდგნენ,
 თვლებს ნაბრძანები აქვთ — შედავდნენ,
 გულს ნაბრძანები აქვს — ფეთქავდეს,
 მხრებს ნებადართული აქვთ — შეეხონ.
 შეიძლება ვიღაცამ იდაყვი გაგკრას,
 შეიძლება ბორთი მხერით შეგაშინოს,

შეიძლება ერთ გავლასზე იმდენი მოჭესალმოს,
 რომ კაცს ვგონება — შენია ქვეყანა...
 შეიძლება ჩამოვლისას კუთხეში მიგაყენონ.
 შეიძლება ნიკაპშიც ამოგკრან მუშტი,
 მაგრამ ყველაფერი ბაღე დამთავრდება,
 მარადიული ქუჩა კი ივლის და ივლას.
 თვალებით ისევ გაკენეტენ ერთმანეთს,
 ისევ გაზომავენ და შეაფასებენ,
 ისევ დალევენ წყალს ერთუროთის თვალთაგან,
 მაგრამ არავინ ამოგაცლის ეკალს გულიდან.
 ქუჩა არის ხალისი და სიხარული,
 ჩვენთვის ადვილია, როდესაც ერთად ვართ,
 ჩვენ ცალცალკე რომ ვიყოთ, გავვიქედებოდით,
 ახლა კი მხოლოდ სულელები ვართ
 და ეს ძალიან გვებმარება ცხოვრებაში...
 ქუჩა არის ხალისი და სიხარული,
 საპირისპიროდ მიმავალი მდინარეები
 ერთურთში გაივლიან და გზას განაგრძობენ,
 რადგანაც ყველას აკლია სიყვარული,
 ყველა დაეძებს და გულში სთვლს: ეს არა, ეს არა...
 დიდსა და ბატარას,
 ბოროტს და კეთილს,
 ცინდ რიდით მიაბიჯებდეს,
 ცინდ ქუჩა თან მიქონდეს,
 სუყველას ათანასწორებს
 ერთი რამ — სიყვარული,
 სიყვარული, რომელიც
 აკლია სუყველას.

და აი ახლა, როცა თქვენ მიხვდით,
 რომ მე ვეძებ ქალს, რომელსაც ვუყვარვარ
 და რაკი დაიჯერეთ ჩემი გულწრფელობა,
 ალბათ უფრო შეგაშოთათ ჩემმა თავხედობამ.
 რა თავხედი მე ვარ!

მე სიცოცხლით ვზომავ ამ წუთებს
 და ჩემი თავისუფლების ფასად ვშოულობ,
 მაგრამ როგორც თქვენ თვითონ ხედავთ,
 მე ამ წუთებსაც როდი ვფლობ სრულად.
 მე ბევრი-ბევრი ამ წუთების მეთედით
 ვსარგებლობ მხოლოდ.
 აბა წარმოიდგინეთ,
 რამდენ რაიმეს შეიცავს ეს წუთი:
 — თქვენი თვალები,
 ყველაზე უფრო მკაფიო თქვენს თვალებში
 გაოცებაა,
 გაოცებაში დამშვიდება შემოიჭრა ერთი წამის წინ,
 რადგანაც მიხვდით, რომ უსაფრუბო ვარ...
 ბევრს ვკარგავთ, ქალბატონო, მთავარის ძიებაში-

არ დაუმართნიათ ასეთი რამ:
 რაღაც აზრი დაგებადებით
 და იმას კი ვერ მიხვედრილხათ,
 თუ საიდან გეწვიათ იგი.
 მერე გავიწყდებათ,
 ვწვევით და უკვე აღარ გაინტერესებთ.
 სამაგიეროდ გეწვევებათ,
 რომ იგი აზრი კი არ იყო,
 — სურვილი იყო
 და თქვენ ეძებთ თქვენს გარშემო
 იმ აზრის თუ სურვილის მიზეზს.
 უკვირდებით საგნებს, თქვენს ფიქრებს.
 რას შეიძლება გაჯინა?
 რა მოგონებას?
 რომელიც შემდეგ შეერწყმოდა თქვენს ფანტაზიას
 და ჯერ აზრს გაგიჩინდათ,
 შემდეგ კი სურვილს.
 თქვენ დაჟინებით თქვენს ფიქრს უკვირდებით,
 მაგრამ იგი
 ისე სავესებით ითხოვს თქვენს თავს,
 რომ გეწვევებათ:
 საკმარისია გაქვე იმის უხასრულო ძაფს
 და იცოცხლებ მარადიულად.

მაგრამ ეს ჩემი ცხოვრება არ არის.

მე რომ ტრაგიკული მსახიობი ვიყო,
 სიყვარულზე ლაპარაკით გულს სცენაზე მოვიოხებდი.
 კულისებში კი გარყვნილი ვიქნებოდი.
 დეზდემონა! — ნინიკო, ქალის...
 მაპატიეთ ქალბატონო,
 თქვენი მოთმინება რომ ზორივით გამოვიყენე.
 როცა ღამდება ხოლმე,
 მუსხლებიც მელდება.
 და მწარედ ვგრძნობ,
 თუ როგორ შეძახის მე ჩემი ოთახი —
 დაიღალა მარტოობისგან...
 დაიღალენ ოთხ კედელსა და მუხუთე — ჭერზე გამოფენილი
 სახეები და სურათები.
 დარღვეულია სიმეტრიები, უფროს-უმცროსობა,
 ყველა ჩემი ხელის აქნევას ელის...
 მე მელოდება ჩემი ლოგინი,
 რომელთანაც ერთად ახლა უნდა ღამე ვითმინო,
 უნდა დავიძინო და მთელი ღამე უნდა გაბმით ვიხვიინო,
 რადგანაც ეს სენიც სიმარტოვისგან მჭირს,
 ვინ გამაღვიძებს — „ჩემო ძვირფასო,
 გადაბრუნდი, ცუდად წყევხარო!“
 მე მელის ქალაქი,

მე მელის დედამიწა,
 მე მიცდის სცენა,
 მე მიცდის ხალხი
 და მეც, ჩვეულებრივ, ბევრი ხვეწნა არა მჭირდება,
 საწოლში მკვიდრად მოწყობილი თვალს ჭურს მივაბჯენ
 და უმაღლე, ერთი ბებრული ნახტომი და
 სცენაზე ვდგაგარ.

ქალბატონო!

სცენაზე ვდგაგარ,
 დარბაზი მიცდის:

სიყვარულზე უნდა ვთქვა რამე!

ძველმა კლოუნმა

ძველ გრძობაზე უნდა ვუთხრო,

გამოცდილების გამშმარ ტოტზე ჩამოყრდნობილმა.

მე შეუბნებოდნენ,

რომ მაყურებელი არ შეყოლებოდა,

ისე გამცვლადრი თემა არის — სიყვარული,

აბა, გახედეთ, ნემსი არ ჩაფარდება!

როგორ სულგანაბული მელოდება ხალხი,

თითქოს იმქვეყნიდან ვიყო მობრუნებული

და პასუხი მომჭონდეს მარადიულ კითხვაზე.

ისე დანატრებულა ყველა სიყვარულისთვის,

ისე დამცირებულან, რომ თავიანთ ოცნებებს

უმაღ რაგინდარა, იმ სახელს დაარქმევენ,

თღონდ არ ახსენონ მათ სიტყვა — სიყვარული.

მე მხოლოდ ერთ ეპიზოდს ვითამაშებ მათთვის,

ეპიზოდს, რომელშიც ძველი მანიაკი

სიყვარულს დაეძებს

და იქიდან დავიწყებ,

სადაც გუშინ გავეჩერდი.

გაზაფხულის პირველი დღე ისევ სამთარია.

სიხსნილის შუბლზე

რატომ დამივიწყე მე, მარიამ,

რატომ დამივიწყე!

შენი კალთა

ფოთლებით იფნება

ხოლო მე კი

თავს გუბეში ვრგავ.

ქუჩაში გდია მთვრალი,

ქარი ახურავს საბანს...

როცა მე გავეჩნდი,

მთვარემ თმები ჩამოიშალა,

ხოლო ქალწულმა ვარსკვლავებმა

ტუნზე იკბინეს,

ბებია-ქალი კი ამტკიცებდა —

— დაიბადაო!
 შენ არ იყავი იქ, მარიამ,
 შენ არ დაგბრალდეს,
 მე ქურაში მანქანა გამსრქეს.

ესაა ქალაქი,
 სადაც ადამიანს
 სასო წარეკვეთება
 საყულოს შეკვრისას,
 რადგანაც უნდა გამოვიდეს
 დილის ქურაში,
 გამოეთხოვოს სიმარტოვეს
 ღამით ნათბილარს
 და ველწაგდებით შეპლადადოს:
 — გამარჯვება დღევ,
 მე კვლავ ხელცარიელი
 ვდგავარ შენს წინაშე!
 ნუ მიმცემ კაცთა დასაჭმელად,
 ნუ დამტანჯავ მოუპოვრობით!
 სერზე დამრჩალი მგელიც
 განა ასე ყმულით
 არ იფარავს მთვარეს ზოლმე
 დღის ხინათლისგან?
 ეხვეწება — ნუ წახვალო,
 ვით თავის მკერდზე გამთბარ სატრფოს.

მაგრამ წავიდა...
 დღე წავიდა,
 ღამე წავიდა,
 მთვარე წავიდა,
 სატრფო წავიდა,
 და ცხოვრებამაც წარმავალ
 გრძნობების ხეივანებით
 ჩაიარა, წავიდა.

და შენ დაგავიწყდი მე, მარიამ,
 თითქოს რაღაც სიჩქარეში დაგრჩი სადმე
 და ვერ იხსენებ,
 თითქოს სხვაგან გემყუდროვა
 და აღარ გსურს
 ჩემი ხსენებით
 პირი იწწარო,
 თითქოს ასეთი დიდი იყოს
 ჩვენი ქალაქი.

II

ყველაფერს ახსოვს

ჩემი მისამართი,
 ამ მიწის სურვილს,
 შიშის ელდას, მოვალეობას,
 და მხოლოდ ერთმა — სიყვარულმა
 ვერ გაიგნო გზა
 ჩემს სახლამდის.
 მეც არა ვცდილობ
 გავეგებო და წინ დაუდგე,
 რადგანაც უკვე მივერეიე,
 რომ ყოველი,
 რასაც უნდა ჩემი სისხლი,
 თვითონ მპოულობს.
 ფანჯრები ღია მაქვს,
 კარებები ჩამოგლეჯილი
 და ორპირ ქარში
 ვმრები,
 როგორც თიხის ქანდაკი.

III

ვაშლი რომ ყუნწს მოშორდება,
 რას გაიფიქრებს?!

როცა ქარი ქრის,
 იგი ვიცი, საიდანაც ქრის,
 და შენიძლია გაეარკვეო
 ჩემი ჰალტოს საყულოთიც,
 ხის კენწეროთიც...
 როცა ქარი ქრის,
 იგი ვიცი, საიდანაც ქრის,
 მას შეუძლია
 მე ქალაღის ნახვეთან ერთად
 შენავდოს უცხო სადარბაზოში,
 რათა ვიხილო ქალი — ზეგით,
 სადაც კიბე უჩინარდება,

როცა ქარი ქრის,
 იგი ვიცი, საიდანაც ქრის,
 მაგრამ საიდან მოგელოდი შენ,
 ჩემო ტკბილო,
 უნახავო,
 უფერებელო,
 და ტყუპისცალო!
 ფუი შენ!
 — ვასწრებ ვუთხრა ჩემს თავს
 ყველა სარკეში
 და ვმორდები ამ წუთინოფელს.

IV

ნეტადი როდის დამინახე,
როდის მოცდა შენი თვალები:
ხაფლავის ქვაზე ჩამომჯდარი
მწვანე მთლის სარკეში მნახე?
გზაჯვარედინზე
სიფარტს რომ ვუკიდებდი
მანქანების გამოჯვარებით,
მაშინა მნახე?!
მოწამლულმა და სიცხიანმა
უცხო მხარეში
თვალები რომ დავხუჭე და
სიგვდილს დავნებდი,
შენ მითხარი — გაახილეო?!
მთვრალს რომ გამარტყეს
და გაიქცნენ,
შენ ამაყენე?!

სირცხვილის შემდეგ რომ დავწვები
შე ჩემს ლოგინში

და ეკლასხმულ ბალიშზე რომ
თავს ვერ ვიჩერებ,
გარიჟრაჟზე შენ მეუბნები —
დაიძინე, ჩემო შვილო,
დაიდალეო?!
თუ შენ აგროვებ
შენს კალთაში
ჩემს საწყალ ცრემლებს,
რომელთაც მე გზადაგზა ვაბნეფ,
აგროვებ,
რათა გეში არვინ აიღოს ჩემზე!
შესე შენ მაყვარებ?
შენი არის დღე,
დამესთან დანაბარები?!
ჩემს სიზმრებში
ხანდახან ქალი თუ შემოიკყოფს
თავის გრძნეულ ფეხს,
მას შენ აქეზებ?!
რატომ დამივიწყე მე, მარიამ,
რატომ დამივიწყე...



როცა კაცი კვდება

მედიცინა

დროული კაცის დასაფლავებინ დღეები ანგარიშგების დღეებსა ჰგავს. როგორც სარკეში, ისე გამოჩნდება შენი ცხოვრება. კაცი იყავ? დაგრ? სასოვარი? აღიბეჭდა დედამიწაზე შენი ნაფეხური?

— შეილები? კაცი კვდება და შეილები რჩებიან. შეილებს რა სჯობია მამული-სათვის. უკეთესი სახსოვარი რა იქნება? არც კაცის ოფლით დაბრუნებული მიწის ვაზია ურიგო! ამაზე დიდი ნაფეხური რაღაა ეგებ კარგი სიტყვა დარჩა. კაცი კვდება და კარგი ნათქვამი ძეგლივითა რჩება. იქნებ ხე დარჩა სხვის საჩრდილობლად, აბა ეგ არი ცოცხალი ძეგლი, აი! სახელის ხეს რა შეედრება, იდგება და ყოველ გაზაფხულ-ზაფხულს დამრგველის კაიკაცობაზე იშრიანებს.

ძველი კაცი იტყოდა — სიკვდილის შემდეგაც კარგი ადამიანი რჩებათ „სულითა ცხოველ“ და მე მჯერა ეს. მაშთუ სულით ცოცხალი არარის ჩემი სანდრო ძია, მე ახლა რა მალაპარაკებს რაღაში გავიხსენებდი მას! კაი ათი წელიწადი იქნება, რაც მან დასტოვა მზე და ქვეყანა. მივაცილე სამარის კარამდი? მივაცილე. სულ ამით გათავდებოდა ჩემი ვალი მეზობლისა და ჩემი მეგობრის მამისადმი.

ეს სწორედ ის მუხაა, სახელის ხედ რომ დაურგავს სანდრო ძიას სამოცი წლის წინათ. ახლა ამ მუხას სანდროს მუხას ეძახიან სოფელში. მაშინ დამრგველი კაი ჯომარდი ვაეკაცი იყო და მუხა კი ერთი გრძელ-მოკლე ჯოხი და მეტი არაფერი. მუხა ახლა იწყებს მუხობას, სანდრო ძიამ კი დაამთავრა ცხოვრება. მუხამ ათასი წელი უნდა იცხოვროს, სანდრო ძიამ კი, პა და პა, ცხრა ათეული ჩათვალა.

— ხედავ, რა არი ბუნება? ვუთხარ ერთხელ სანდრო ძიას — დაყარა ფოთლები ხემ, გაზაფხულზე ისევე თავიდან დაიწყებს ცხოვრებას, ადამიანი კი მოყვდება, წაეა და დაიკარგება.

— დაიკარგებათ, ვინ მოგახსენა. მოდი აქა, ბიჭო ლექსით — გასძახა შეილიშვილს, — აბა ერთი გაშალე ხელი და დაარტყი — ბიჭმა თავისი, ბავშვის კვალობაზე დიდი ხელი დაატყაუნა პაპის ვეება ხელს. ხედავ, პაპისავით დიდი ხელები აქვს, განახლება არ არი? მაშ რა არი!

...მაშინაც წითელ-ყვითელი გვიანა შემოდგომა იდგა, როცა სანდრო ძიას სულთამხუთავი დაადგა თავზე. არა,

ტყეში რალას წავიდოდა, მუხამდისაც ძლივს მილასლასდა, დაავდო წალდი დედამიწაზე, დაჯდა და ზურგიით მიაწვა მუხას.

— ვაი, ჩემო ფარო და ხმალო! — გაიფიქრა, მუხლებზე დალაგებულ ხელებს რომ დახედა. ეთხოვებოდა კაცი ხელებს, ეთხოვებოდა თავის თოხსა და ბარს, თავის მორჩილ ყმებს, ერთგულად რომ ემსახურებოდნენ მასა და მის ოჯახს, სოფელსა და ქვეყანას.

— იმუშავეთ, იმუშავეთ და აღარ ვარგობათ? პო, სწორედ ასე იყო. ახლა ეს ხელები ანგარიშს აბარებდნენ პატრონს: სოფლის სიგრძე ვენახის ამუშენება, დიდი ოჯახის პური და წყალი, ბოსტანი და ვენახი, ტყე და მინდორი, შვილების წიგნი და რვეული, იქით მეზობელი, აქეთ ნათესავი. ეს ხელები, რომლებიც დილაბნელზე იწყებდნენ მუშაობას და ბინდზე ამთავრებდნენ, ახლა ფრთებივით დაკეცილიყვნენ და უარს ამბობდნენ ფრენაზე.

კვდებოდა კაცი, კვდებოდა როცა ზღვა გამოციდილება ჰქონდა, როცა სახლიცა ჰქონდა და კარიც, სახელიცა და სახრავიც.

მეგრედი უხურდა და მაჯა ფიცხლად მუშაობდა.

— გიკვდები სალომე, — ჩაიღიღინასავით. რამდენიც ვინდა იფიქროს, იმას ვერ მოიფიქრებს სალომე ახლა სად არის მისი სანდრო. გამოვეპარე დედაკაცს, წალდი არ დავანახვე, თორემ რას გამომიშვებდა!

...მერე რალაცნაირად ძილი მოუნდა. მე ძილი მეძინებოდა, — გაუელვა ძველმა ლექსმა, — სიხმარი მეზმანებოდა, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით მესვენებოდა... მერე თვლებამ წაიღო. მოეღანდა, რომ ცხრა ანგელოზი ჩამოფრინდა, ცხრა ხატი ჩამოასვენეს და მომაცვდავს თავთ დაუსვენა.

ისევ გამოფხიზლდა, წამოდგომა სცადა. ვერა! — უპასუხა თავის თავს და მიაწვა მუხას.

— ბიჭო ალექსანდრე, სანდრო, —

ალექსი, ლექსო — იმახტამ ზღვრის მკვეთ იყოდა თურმე, როცა ერთ დამახეზაზე ვერ გაავგონებდა მთელ დღეს ბიჭებში სათამაშოდ ვავარდნილ ბიჭს.

სანდრო ძიას დედა — გოგოსაანთ მარიამი — ჰქვიანი დედაკაცი ყოფილა, სნეულის მკურნალობა სცოდნია. რა ბაღანი ვინდოდა, რომ არ იყოდა — იტყოდა ხოლმე დედაჩემი. მრავალი სააქიმო წიგნი ჰქონია წაკითხული თურმე. პირმართალი და უხარბო ქალი იყოთ, სატიყერის გამგები და მშველელით. სხვა რომ არაფერი, ავადმყოფს გუნებას გამოუყვებდათ. ვარდსა და იას მოატანინებდა (რა დროს რა ყვავილი იყო), ლოვინზე მოუყრიდა, ავადმყოფს ეამებათ. ჩანგურზე ჩამოპკრავდა თითებს, დაბალი ხმით დაამღერებდა კიდევ (რა დროს როგორ მოუხდებოდა). მკითხავი და სიზმარი არა სჯეროდა თურმე. სიზმრის ამყოლი და ჩრდილის შემპყრობელი ერთაათ. მკითხავი ცრუ სასოების მომგვრელია და ცრუ სასოების შემპყრობელი რწმუნება უპყროთა საქმეაო.

სანდრო ძია ზშირად მოიშველიებდი ხოლმე დედის ნათქვამს. როცა ხანდაზმულს შვილები უშლიდნენ ღვინის სმას, დედის სიტყვებით პასუხობდა: ღვინო ვაქაკის სხეულს აწყნარებს, გულს ამხიარულებს, ნაღველსა კშველის, ძარღვებიდან ავი სისხლი გამოაქვს. ნაჩვევი კაცი ვერ მოიკლებს ღვინოს და თუ მოიკლებს, სენი გაუმძლავრდებათ. პატივსა სცემდა სანდრო ძია თავისი მარჯვენით ნაალერსები ვაზის წვეს და ერთი ჰიკლა ღვინოს თუ ერთ წელვიწრო ჰიქა წყალსაც გაურევედა, დედის რძესავით შეერგებოდა ხოლმე.

— გულს მიეშველე, შვილო, — ისევ გაისმა დედის ხმა, — გული ნებეირია, მთვრალი არა გნახოს ჩემმა თვალებმა, დედა გენაცვალოს, მემთვრალე კაცს გვამთა აგებულება სნეულებით სავსე აქვს, შვილო!

...ერთხელ ცოლისძმას დაუთვრია, ვითომ პატივი უცია, ცა და ქვეყანა ხან

წისქვილივითა და ხან ურმის თვალვით დატრიალებულა მის თვალწინ. კედელ-კედელ ყუდებოდა და ფორთხვით მოუღწევია სახლამდე და ძლივს გამოუვარა სიტყვები: სალომე, შენი სანდრო ეხლა უფუნური და საცოდავია, რაც ვინდა ის უყავი სალომე ძალი იფინებდა ხოლმე — ეს კაი კაცი ისეთი იყო, ძალღისთვის რომ მიგვედო, პირს არ ახლებდაო.

...ისევ გონს მოეგო. ხელი მაჯაზე დაიდო, ვერ გაიგო — არეულიყო თუ აწყობილიყო ძარღვისცემა.

— მაიკა ეე, — დაელაპარაკა თავის თავს. მერე ისევ ძილი მოუნდა, ტკბილი ძილი, თოხს რომ მოუქანცავს და ლოგინში ჩაწოლა და ძილი მოსდომებია. ისიც ესამოვნებოდა, რომ იქ არც სალომე იყო და არც შეილები იყვნენ, არც ეჭიმი იყო და არც წამალი. ხელს არავინ უშლიდა. მუხა ედგა მხარში და ისა ჰყოფნიდა.

...ანგელოზები შემიდგებიან მხარში და გამაფრენენ. ვიფრენ, ვიფრენ ორმოც დღეს ორმოცი დღის სავალზე და მივადგები საიშქვეყნო კარს. იქ არი საქმე აი! იქ გამოჩნდება ჯოჯოხეთის ღირსი ვარ, თუ სამოთხისა. ჩემმა კეთილმა ანგელოზებმა ხომ იციან, ბრწყინილი არ იყოდა ჩემმა გულმა. ისინი ვადამაფრენენ ბეწვის ხიდზე და ისე შემაფრენენ სამოთხეში, ვერც კი გავიგებ.

კენესის ლოგინი არა ჰგებია სანდრო ძიას. ისე უტკივრად მიიბარა სული უფალს. ახლა იგი გაშობილა სიკვდილის ტახტზე, სახე სანთლისფერი აქვს და ჭაბუკობის სახიერება საესებით არ დაჰკარგვია. ერთ დროს ლელი-თმა ახლა სწორი, თხელი და თეთრი აქვს. გულხელი დაუკრფვია და ჯიშინი მარჯვენა ხელი მარცხენაზე დაუფარებია. მოკვდა სანდრო ძიას დიდი მარჯვენა, კაცივით მოკვდა მარჯვენა...

მე კი ედგავარ მის კუბოსთან, ჭირის-უფლების უკან და რამდენი რომ მაგონდება... როგორა ხარ, სანდრო ძიავ, — მოვიკითხავდი, — ბიჭა ბატკანივითაო, მიპასუხებდა, როცა ოთხმოც წელს გადაცილებული იყო.. იქნება არცა ხუმ-

რობდა, ვერ კიდევ ტყე და ფეხს ქვეშა ჰქონდა ამოგებულა.

იმ წლებში ორჯერ ჩაებაბარე გამოცდა და მაინც ვერ მოვხვდი უნივერსიტეტში მიღებულთაშიაში. მე ცრემლში ძლივს გამოვავე სათქმელი და ჩემი ჭირი ჩამოვყავე. როგორია, ჰა, სანდრო ძიავ-მეთქი, „ოთხზე“ ნაკლებს რომ არ მიიღებ გამოცდაზე, მერე რა მწელად წერენ კარგ ნიშანს. იცი, როგორ თხოვლობენ? რაც სკოლაში მასწავლეს, ერთი იმდენი კიდევ უნდა იცოდე, ჰო და მაინც რომ „ოთხზეზე“ ჩაებაბარებ, ჰო და მაინც კიდევ რომ ვერ ეღირსები უნივერსიტეტს, როგორია ჰა!

— ცხოვრება, შეილო, ჭიდაობაა — მითხრა, იცი რამოდენა წაღწავილი ჩამოდგება მარიაშობის თვემდე? როგორც შენ ვაჯობეს, ახლა შენ აჯობებ სხვას. წაიქციე? წამოდექი და უფრო მაგრად დადექ, რომ აღარ წაიქციე!

სანდრო ძიას შეგონება მაგრად ჩაიბეჭდებოდა თავში და სეორე დღეს ვასარე: წუხელ ოთხ საათამდე ვმეცადინებოდი-მეთქი. მოველოდი რომ მეტყვოდა: ყოჩაღად მოქცეულხარ, შეილო, ასე თუ იზამ, რაღა წაგაქცივს!

— ერიპა, ავრე როგორ იქნება, გოგო, დილაადრიანი როგორ დაჰკარგე, შეილო! ქვეყნიერება დილის ძალღონეს აუშენებია. მუშაობისთვის დღეა დაწესებული და დასვენებისთვის — ღამე. შენ არ ემორჩილები წესს? დღეს როგორა ხარ, შენ ისა თქვი, შეგიძლიან რამე გაინარდიშო? — ამაზე რაღა მეპასუხნა სანდრო ძიასთვის, როცა დაღაფლულ წიწილასა გვაკვდი უძილობისაგან და ის დღე უხეიროდ გავატარე. სანდრო ძიას უღვაწეებში გავეცინა ჩემზე.

— მთვარესავით მოგსვლია, შეილო! — მითხრა მერე.

სანდრო ძიამ ხომ აუარებელი ზღაპარი თუ ლეგენდა იყოდა და, მგონია, ისე წავიდა სამუდამოში, ზღაპრის გულდა მთლად დაკლილი არა ჰქონდა.

...ღმერთმა მნათობებს უბრძანა: თქვენ ორში ვინც ხვალ დილით ადგომას დაასწრებს, დღის განათებას მას

ვარგუნებ წილადაო. ერთმა მნათობმა ადრე დაიძინა, მეორემ კი დიდხანს იფხიზლა. მერე ჭინჭარი და ეკალი გაიშალა და იმაზე დაწვა, რომ არ ჩამეძინოსო და მეტოქემ არ დამასწროს ადვლამო. მთელი ღამის ნამწარვეი და დაქანცული სწორედ ვათენებისას წაიღო ძილმა. პირველს კი ადრე გამოეღვიძა და, რაღა თქმა უნდა, დღის ვათენება, მზებობა, იმას ერგო წილად. დაგვიანებულს კი ღამის ვათენება — მთვარეობა დაეკისრა. მთვარის დედა ცოცხა ზელდა, როცა დაინახა დამარცხებული შვილი, აღელვებულმა ცოცხანი სილა უთავაზა შვილს ცხვირპირში, რაც საშუალოდ ლაქებად დაეცყო მთვარეს.

კაცი კვდება და სიტყვა რჩება...

ჩემმა ძმამ ნადრევედ იღო ოჯახი კასრად. სკოლიდან გამოვარდა თუ არა, ერთი მეცხრეკლასელი, სკოლის ფორმაში გამოწყობილი ვაკო მოგვყენდა კარზე, ვაცეცხლდა მამაჩემი — რა დროს შენი ცოლია, შე მამაძაღლო, იმოდენას ყვიროდა მამაჩემი, ქვეითა უბნამდე ჩადიოდა ხმა.

— ცოლს რა უნდა აქამო, შე ცინგლიანო შენა, შენი მონაგარი ვის რა უნახავს ჯერა. რა ვქნა აბა, მხრებს იჩეჩდა დედაჩემი, სო ვერ გავაგდებ, ქა, სხვის შვილს სო ვერ გავაუბედურებ. მეც ძალიან მინდოდა, რომ ესწავლა ბიჭსა, მაგრამ რა ვუყო აბა, თავის სწორებს ჩამორჩება და თავის თავს დააბრალებს, დედ-მამას ხომ არა. შე არ ვიცოდი რა შექნა. მამაჩემს, სულერთია, ვერ გავაჩუქებდი, ისევ ასლუკუნებულ პატარძალს ვამშვიდებდი, სანდრო ძიამ გაიგო ჩვენი ამბავი, მოვიდა, ვაიცუნო დარცხვენილი პატარძალი და უთხრა მამაჩემს — ვაჩუქდი, გიგო! სწორმა სწორს რითი აჯობა და ცოლითა და შვილებითაო. სიკვდილის გარდა ყველაფერი ნადრევეი სჯობია, რას ამბობ კაცო, ერთი შახნედე და, მარწყვის კონსახით გოგოა, რა გაგიკლებს, შენც გაძნარე და ესწავლე ვაძარე. შენ რაფერი ვფიქრობ, მარტო უმჯობა ვამბობ? **სიცილი ცილი აძინებს, აღ-**

ბათ, თავის მარჯვენის იბღოც აქემ, ჯერ შენ მიეშველე, მერე ესენიც ამოგიდგებიან მხარში, რა იყო, რა ამბავში ხარ, შეგვმეტა, სო არ დაგაკლდა, კაცო!

წავიდა სანდრო ძია, მამაჩემმა ერთი კიდევ დაილაპარაკა ვაჯავრებულმა, მაგრამ ფარ-ხმალი უკვე დაუჩილი ჰქონდა. ვავიდა სახლიდან და ბოსტანში შევიდა. ბოსტანი, ხეხილი, დიდი ცა და ნაბარი დედამიწა აწყნარებდა ზოლმე მამაჩემს. და ერთი საათის შემდეგ რომ შემოვიდა სახლში, ჩვენს ოჯახში ხმას აღარაყენ იღებდა. დედაჩემი და მე ჩუმჩუმად ვხარობდით.

სწორმა სწორს რითი აჯობა და — ცოლითა და შვილითაო, იგონებდა ზოლმე მამაჩემი სანდრო ძიას სიტყვას, როცა პირველი შვილიშვილი დაინვა მუხლზე.

— იცი რასა ენატრობ, სალომე, — უთქვამს სანდრო ძიას, — სიკვდილი ხომ ჩემს კარზედაც დაიხოტებს, ნეტავ ისეთ დროს მაინც ამომხადოს სული, რომ ვახურებული მუშაობა არ იყოს, არც შვილები ვავადინო საქმეს და არც ნათესავსა თუ მეზობელს შეგუშალო ხელი.

არავის შეშლია ხელი, არაყენ გამცდარა. აუარებელი ხალხი მოდიოდა სანდრო ძიას „გასაბატიოსნებლად“. დიდ ჭირისუფლად სალომე ძალო იჭდა. გვერდით შვილი, ლიანა, ეჭდა, მეორე გვერდით რძლები ისხდნენ. სალომე ძალო ჩუმად იყო. ხანდისხან თუ წყნარი ხმით რამეს იტყოდა სანდრო ძიას კაიკაობაზე. ლიანა ერთღაიგივეს იმეორებდა ჩუმ ხმით: ჩემი კარგი მამა, ჩემი კეთილი მამა, ჩემი ტყბილი მამა, ჩემი მშრომელი მამა!

შემოდიოდნენ მოსამძიმრენი, წყნარადვე ვადიოდნენ და აივანზე ჩამწყვრივებულ სკამებზე სხდებოდნენ.

ხანდახან ზემოცრემლიანი სამგლოვიარო ოთახი აღელდებოდა. ეს მაშინ, როცა ვინმე შვილს ცუცხლთ დამწვლნი დედა შემოვიღიოდა.

დახანაში რაღა რამ შემოვიღა სამ-



ძიმარზე, გამაერთოლა, აქვეითინდა და ააქვეითინა იქტურობა.

ჯერ სანდრო ძიას დაატარა, მშვიდობის მგზავრობა უსურვა და მეორე თავისი დარდი ამოყარა. ვაშა-ლა ორივე ხელი და „შვილო“ რომ დაიგმინა, იქტურობამ ხანი მისცა — ისე დაბრმავდეს დედაშენი, როგორც შენა ხარ დაბრმავებული; ისე დადუმდეს დედაშენი, როგორც შენა ხარ დადუმებული; ისე დაყრუვდეს დედაშენი, როგორც... ჩემო ოცდასამი წლის ნეტარებავ, შვილო, ჩემო ოცდასამი წლის სიხარულო, შვილო, ჩემო ოცდასამი წლის სიამაყევე, შვილო ჩემო სიგიჟით ნაბოვნო, ჩემო ქალობის დღესასწაულო, შვილო!

მართა ძალო, საწყალი მართა ძალო. ის სხვა პანჯზე ტაროდა. — ნეტარება შენ სანდრო, რომ შვილები და შვილი-შვილები გახვევია. ნეტარება შენა, რომ შენს კუბოს შვილები ასწევენ და მიწას შვილები მოგაყრიან. მე დამნატრულდეს, ქალებო, ჩემი დიდმზრებიანი შალიკოს ხელით მიწის მოყრა. მე დამნატრულდეს, ქალებო, ჩემი ჩანდონიერი ბიჭის საფლავით, ვაი და უი ჩემს თავს — ჩაიქვითქვითა მართა ძალომ და დაასრულა ომში უფხოუკვლოდ დაკარგულ შვილზე გოდება.

— ეგრე აგისრულდეს სიცოცხლით შვილები და შვილიშვილები — ეუბნებოდნენ მოსამბირენი სალომე ძალოს და — ამის სწორი მოიყარე, შვილო, — პასუხობდა ისიც.

დიღხანს იცოცხლა სანდრო ძიამ. რატომაც არ იცოცხლებდა რა. თავის დღეში შრომაში იყო. პურივითა და წყალივით აუცილებელი იყო მისთვის მოქმედება. ორგანიზმი გამოკეცილი ჰქონდა მუდმივ მოძრაობაში, მონაგრობდა და ხარობდა. ვაზაფხულ-ზაფხულს მუხლს არ ჩახრიდა, ხელს არ დააყენებდა და შემოდგომაზე დოვლათს ითვლიდა. ხამთარში გრძელი შეგებულება ჰქონდა და სანამ ზეცა დედამიწას წყლით გააბლობდა, ის ჯანს დაასვენებდა. ხაშში, ავპეროვანი ადგილი არ იყო და რა იყო.

სულ გარეთ იყო, ეზონა და ბოსტანში, ვენახსა და მინდორში. გაღმა და გამოღმა.

პირის პატვიც იცოდა სანდრო ძიამ. წარამარად ხორცს არა სჭამდა, კუჭნაწლავს დასვენება უნდა და ცხოველსაც — გამრავლებათ. აბა ჰქუთხელები კი არ იყვნენ, ვინც მარხვა მოიგონათ.

დიღხანს იცოცხლა სანდრო ძიამ. რატომაც არ იცოცხლებდა რა, ღმერთმა ისეთი დედაკაცი შეჰყარა, რა მოჰკლავდა იმის ხელში! სანდრო ძიას ორი უმცროსი ძმა ჰყავდა. ილო ძია წელში მოხრილი იყო და ჯოხით დადიოდა. შეგეხედათ, ღრმა მოხუცი გეგონებოდათ. კოტე ძია ხომ სათქმელი აღარ იყო, აღარც ყურთ ეყურებოდა და ვეღარც თვალთ ხედავდა. სანდრო ძიას რომ ჰკითხავდნენ, შენი უმცროსი ძმები ასე რამ ვატეხათ, გუნება გაუფუჭდებოდა და იტყოდა — ჩემი ძმები მძინარა და ყბედმა ცოლებმა დააბერეს უფროოდანო. ჩემი ძმების დიდი მარჯვენის მონავარი დედაკაცებმა განაიყვესო. დიდი ჯანის პატრონები და მომნავრებლები მწარე ლუქმასა სჭამდნენო. იქნებ ასეც იყო. უმცროსმა ძმებმა გაასწრეს სანდრო ძიას, ისინი რა ხანია ჩაპბარდნენ დედამიწას.

ცოლშვილით ზედნიერი კაცი იყო სანდრო ძია. ორი ვაჟი ვაგზავნა ომში და იმათი დაბრუნების იმედი არ ვადასწყევტია. სალომე ძალოს უფრო მოდარდე გული ჰქონდა. სანდრო ძია იმის ნუგეშობას უნდებოდა.

— ომი დამთავრდა სალომე — რადიოს გადმოუძახნია, დედაკაცო — ახორა ერთ დღეს სანდრო ძიამ ცოლს და უფროსი ვაჟის წერილიც მოვიდა. დედი და მამიო, თერამეტ აბრილს დავიპერი და ისევე პოსპიტალში ვწვევართ. პანტაპენტითა ცვივა ფეხები და ყოველდღე ილღია-ილღია გააქვთ დასამარხავად და მე კი რაღაცა სასწაულით შემრჩაო, იგრე რომა საღსალამათი ჩამოვალო და აბა თქვენ იცით როგორც სამაღარიო ღვინის ქვევრს პირსაცხეს და-

მსხვედრებთ და, მამი, ერთი ჭედლიაც დაგჭირდებო. მერე აღარა მოუწერია რა. ერთ ღამეს ააყვავა ძალი და ჩემების ბრახტნით დედ-მამას სიხარულით გულები დაუხეთქა.

მეორე ვაჟი იყო და ომში საჯრონტო ვახეთის სტამბაში მუშაობდა. ცა და ქვეყანა ზანზარებდა. ფრონტიდან ორმოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული, მაგრამ ქვისმტეხლის ჯურღმულში სტამბიანად უვნებლად გადარჩა. მაისიც დადგა და ჩამოვიდა კაცი. გაკაწრულიც არსადა ჰქონდა; გოგო იყო და რაღა ცისკარი და რაღა ის, ისეთი ღამაში იყო, სკოლა გაათავა თუ არა, ჩაბარდა პატრონს და ერთ წელიწადში აკვანიც დაიდგა გვერდზე, სანდრო ძიასა და სალომე ძალოს აღარ ეუღარდით მის სწავლა-განათლებაზე. არც ბიჭების ბედზე უთენებიათ ღამეები, საღ შვეიცარიანოთ და რა გზაზე დავაყვნოთო. უფროსი შოფრობის გიჟი იყო და დაფუგუნებდა კიდევ ტონანახეკრიან

სატვირთოს ზევით-ქვევით. უმცროსმა ვაჟმა თქვა — სწავლა მინდაო. გინდა და ვინ გიშლისო, უთხრეს. წავიდა ბიჭი ქალაქში, მივიდა უნივერსიტეტში და დიდი კარი გაუღეს, მობრძანდით, ომის მონაწილე რომ არ მივიღოთ, სხვა ვინდა უნდა მივიღოთო, „სამებზე“ ჩაგვაბარე გამოცდა, შეგანმეტი არ გვინდაო. მერე სტიპენდიაც, იყო და საერთო საცხოვრებელიც. დრო და დრო სოფელში ჩამოდით და გატენილი ზურჯინითა ბრუნდებოდა. დაამთავრა სწავლა. ჩამოვიდა სოფელში და მასწავლებლობს კაცი. ძმები კარგი ცოლშვილის პატრონები არიან და საბელი დიდ რამედ უღირთ.

სიკვდილსაც თავისი ბედნიერება ჰქონია. ცხოვრება რომ ბუნებრივად დამთავრდება, მემკვიდრეები რომ ფეხზე მაგრაღ დგანან, ჯანით რომ დულან და გადმოდიან, მერე მამის კუბოს მხრებს რომ შეუდგამენ და ვაუყენებენ გზას.

სანდრო ძიაც ბედნიერი მიცვალებული იყო.



მანო ჩხიკვაძე

ს ე რ ი ღ ი

მე შენი ხელით გამოწვდილი მარილი მინდა...

უნდა მოვიდე,
რომ მოვკვდე მაინც უნდა მოვიდე —
კლდეზე ამოყრილ მურყნის ფესვებთან —
მე შენს ხელებთან უნდა მოვიდე.
და როგორც ცხვარმა თავის ბატკანი
უნდა ჩემი ხმა
ათას ხმაში გამოთარჩიო...

მე შენი ხელით გამოწვდილი მარილი მინდა —
ავლოკავ და ისევ, თავიდან
ამღვრეულ მორევს დავეწაუები...

უნდა მოვიდე.
მე არ ვიცი ხვალ მწუხარება
თუ სინარული მომიყვანს შენთან —
ჩვენს ძველ სახლში —
ბებერ კუხავით
მთელი სიცოცხლე ზურგით რომ დაგაქვს
და ერთადერთი შენლა მკურნალობ
დასწეულებულ ჯილაგის სსოვნას...

აქ ვიტანჯები, როცა შენი ხელები წვალობს,
ჩინჩხვარს ამტვრევს თუ
თავსაფარს კემსავს.
აქ ვიტანჯები, როცა ლამაის ფერმერთალი შუქი
შუაღამიდან გამოეონილ
ცრემლივით ბრწყინავს...
ჩამოიარა ძველმა მოვალემ —
ჩამოაშავა უფთალოთ ხე ნოემბრის წვიმამ,

აკრეფილ ნისლში
 ხანდახან თუ გამოანათებს
 სასაფლაოზე მომღერალი ახკილის ტანა —
 რა უხარია,
 გარე-გარე მოხეტიალე
 ჰკუაზე შემცდარ სოფელელ გოგოს, —
 არ იცე, მაგრამ
 ჭვლებს გიკანკალებს
 უფსკრულებში გადაჩეხილი
 უკანასკნელი ხარხარის ეჭო —

ჩაჭრა აკილიც.
 მგელივით ყმუის
 ტყისპირებიდან მოარული უნუგეშობა..

ვერ გავამართლე იმედები —
 ცხრასართულიან ორშიში ვზივარ
 და ვერ ვიხსენებ ძაფის ზოლო სად დამკვარგა...

უნდა მოვიდე,
 რომ მოვკვდე, მაინც უნდა მოვიდე —
 მე შენი ხელით გამოწვდილი მარილი მინდა.

• • •

სწირად მკონია ყველაფერი გამოვიგონე...
 მთელი სიცოცხლე: ხიყვარული, ცრემლი, დაღატი...
 მთელი სიცოცხლე: გატანა თუ გულნამცეცობა...
 ამ უთავბოლო ორთმტრიალში,
 მოჩანს ყველაზე ნათელი კადრი, —
 შენი სიცილით ხატე სადამო —
 გაცვივა მწიფე ალუბალი,
 მიტყუებულ მუხლისთავებზე
 პეპლის ფრთებივით კანკალებენ შენი ხელები...

ცხოვრება: მტვერი და უარყოფა...

ცხოვრება: ჩქარი მატარებელი —
 მიდის,

მაეიწყებს აუტანლად ტკბილ და საყვარელ
 დღეებს — გადამწვარ სემაფორებს...

წლებს — ძილ-ღვიძილში გავლილ სადგურებს...

მთლილად შენ ჩანხარ,

ვით შორეულ ნახნაებში

მობორძივე დეიანი ბატკანი.

დაცარიელდა შენი საწოლი,
დალაგდა სახლი,
ყველაფერი რიგზეა თითქოს.
მხოლოდ პატარა ვერ იხვეწებს, —
ძილში აბოდებს
და სიცხიანი შენს ნახვას ითხოვს.
— სად არის მამა? —

მერამდენედ კითხულობს ბავშვი, —
უმწეო ყლორტი,
შენი ხისხლის ფეხვი და ძირი...
კარს გაიხურავს,
ბნელ ბოსელში შოიხდის თავშალს
და უხმო ზარით
ჩაემსობა თივაში ქვრივი.

ს ბ რ ქ ე

ნაოჭი — შემზარავი აღმოჩენა...
— როდის გაჩნდა! —
გაოცდა ქალი —

აღბათ წუხანდელმა ცრემლმა ჩახრამა...
ჩამოხსნა სარკე
და შედარებით ბნელ ოთახში გადაიტანა.

ფშაურ სოფელში,
გამარჯვების დღეს,
ვმირთა დიდების ობელისკთან
საბრალო დედამ,
თავისი შვილის გაღივებულ სურათს შესტირა:
„შევეყანას დასტორდა შენი თავი,
ქვეყანამ მომთხოვა შენი თავი,
ქვეყანას მივეცი შენი თავი...
მაგრამ მე რა ვქნა...“
და მოკვეთილი ტოტებივით
ჩამოუცვივდა ლოდზე მკლავები.

ისეთი დღეა, — უნდა შეერიგდეთ,
შუბლი შუბლს უნდა მიუჯახუნოთ.
ნულარ მოვიტანთ წითელ ღვინოს —
სისხლს გაგვახსენებს,
აკვიმღვრვეს ძარღვებს,
მკერდში ძველი ბოლმა იფეთქებს.
ზარის თავივით დაგორებულ მზის სადღეგრძელო
ჩუმი გერინით ვთქვათ,
თორემ იქნებ აღარც გათუნდეს.
უნდა მოვასწროთ,
თორემ შამად გალაიქცევა
უკანასკნელი წვეთი ჩვენი სიყვარულისა.

ირაკლი ბაზაძე

გონიერება

ვინილუ ერთხელ
დაშწიფებულ ჰურის ყანაში,
მკლავღონიერი ჭაბუკები იქნევედნენ ცელებს.
სხვა არი მიწა,
რამიც შენა ძელებს დათესავს ეამი
და ამწვანებს
შენს ციფ ხსოვნას შენსავე შგავსში.
რადაც ნათელი სახება აქვს გმირის თვალებში
ქვეყნას მისას, ზოლო მონის თვალებში მისი
არ ირეკლება ხატი სრული ღვთიურ სიმაღლით.
განვეული ვარ გაზაფხულის
ღბილ სამოსელში,
მზე მკერდს უპოტნის
უფსკრულებთან შიშველ ფლატეებს;
თვალსაწიერზე ხიზმრებივით იცვლება წელა
ხიერცე უამრავ ფერების ხითხით
და მუჭვნება,
რომ ახლა ცხადიც
ხიზმარივით მშვენიერია-
მშვენიერია დაურება ფოფანის წამის,
მდინარესავით თუ ჯი გიღირს უარყო თავი
ზღვაში ჩაკარგვის უღამაზე თაგაწწირვისთვის.
კარგია, როცა სწერს ბალახი ვველაზე ძვირფას
მიწის ხიმღერას
მიტოვებულ ჭამარინ ბორცვზე.
როცა ანთია იელების ფერმკრთალი სევდა,
სევდა — პირველი სიყვარულის გარდასვლის შგავსი.
წელა შემოაქვს თვალებში ფრთენი
მსით დამწვარ ნაავს



და მახსენდება გაწაფხულზე...
ბაღის მთვლემარე,

ჩრდილი — მშობლიურ ქალაქის პირას.

და ისე შორი არის ეს განცდა —

რომ მახსენდება და აღარ მტკივა!

რატომღაც მაინც

ბაღის — მშობლიურ ქალაქის პირას

მე მახსენდება მთვლემარე ჩრდილი...

და პრიალებდა დასავლეთით მზის ჩაწურვისას

და მახსენდება,

როგორ ნთქავდა ჩემს მშვიტ ვნებებს

მზე ჰორიზონტზე დამავალი აღმაცურ მხერით.

ვნება თავისას მოითხოვდა ისევ და ისევ,

თავის წილ თრობას, გადარევას და აღტკინებას

და რაც შორს ცხიკენ მიფრინავდა ფარული ჟინით,

მით უფრო ცხადად ხორციხა და მიწის შვავსებას

ვგრძნობდი რატომღაც უზრუნველი და მომლოდინე.

ვისილგ ერთხელ

დამწიფებულ პურის ყანაში,

მკლავლონიერი ტაბუკები იქნევდნენ ცელებს.

II

...და მე მოვდივარ სინათლიდან

და ჩემს თვალეზზე

ტყდება სიმორც,

როგორც თოვლზე მზინავი სბიფი.

რით დააცხრობენ შენს ხარბ წყურვილს სიყვარულისას?

და ან შენს ტკივილს რა განკურნავს,

თითქო უშქარი

გულს წვროები დაგაფრინდა

და მარცვლებივით

შენი სიმღერა ამოქვენკეს,

მწარე სიმღერა!

ჩვენ ერთნაირად ვხედავთ,

მაგრამ ვგრძნობ სულსხვაგვარად

მდინარის რწყვას,

მწვერვალების სახეს და იერს;

დასრესილ ბაღას,

ღელის პირას მოთიბულ ვალტამს;

ქალს — ელვასავით მოქნილი ტანით;

სიკვდილს ჩვენს გვამში ჩაბუღებულს

ჩამქრალი მხერით,

ჩვენ ერთნაირად ვხედავთ,

მაგრამ ვგრძნობთ სულსხვაგვარად.

...და როგორც ხნულში ჩავდებული

თესლის ბრჭყვიალი,
 ჩემში გამკრთალი დღე განათდა
 და გაირინდა
 ჩემი ხარკმლიდან უსასრულოდ ვრცელი მინდორი —
 ნიანგის ზურგი...
 და ჩემს თვალებზე გამოეონა სიმორემ —
 ცრემლმა.

III

ნეტა რა ერქვა იმ სიხარულს?
 ან ამ სიხარულს რა ჰქვია ჩემსას —
 განათებულს ქარების ფრთებით?
 განქვავდნენ ჩემი ტკივილები
 და ყვავილივით
 ამოკრთის თრთოლვა უცნაური,
 ამოკრთის თრთოლვა.
 მდინარებაში, ფიქრის მაღალ მდინარებაში
 გაისმის ყეფა სამუმების
 და უმძიმესი
 ტორტმანებს ჩრდილი უდაბნოთა,
 ტორტმანებს ჩრდილი-
 და პორიზონტის ლამაზ თვლესში,
 რეკენ ზარები უარყოფის და შერიგების.
 ვინ მიმატოვა
 აქ ამ სამის ზმანებებს შორის?
 ვინ განმარადა ამ სიცხადეს,
 ვინ შემიწყნარა?
 არი კი იგი — მეუფება ზენაარული
 და ან ჩვენ ვლირვართ წამებისთვის
 ან და შიშისთვის, —
 დამრეც ველობზე მკრთომარენი გვირილასავით?!
 მე მიწას ვიფუნე ტლანქ ხელებზე
 და ძოწისფერი
 მღუმარებაა ჩემი ღამე — უფსკრულის პირი.
 გაკაწრულ სისმრებს ჰგავდნენ დღეები
 რომელთაც რუბი ღრუბლებივით გადაიარეს
 და ამოხაპეს მოლოდინი ერთფეროვნებით.
 მე მივაბიჯებ შიშველ მზისკენ
 და შემოდგომა აპკერია ზეცას ღომის ტყავივით.
 ...ვინ მიმატოვა მე ამ სამის
 ზმანებებს შორის?

IV

აქვს მოძრაობის
 კანონები სიკვდილს მარტივი...
 გულის წიაღში ისადგურებს ხშირად იოლად

ტკივილი, ვიდრე
 სიხარულის ნაზი სირბილე.
 და იარებასაც არ სჭირდებათ ზოგჯერ საღებნი,
 იკურნებიან იარებიც ხშირად თავისით...
 მე კი სხვებისთვის
 გაურკვეველი მესმოდა ხმები
 ჭრელ ქათხიდან მომდინარე
 ცივი ფათქუნი
 სიკვდილის მღვრიე მდინარების,
 რისი სათავეც არის მისსავე დასასრულში
 და დასასრული
 დასაწყისშივე არის მისი...
 რგოლისებური
 აქვს მოძრაობის კანონები
 სიკვდილს მარტივი.
 შორს სადღაც ჩემგან
 ჯუჯა ზეთა ხშირი კორომი
 ამრიალებდა დახრილ შტოებს
 და მე ვხედავდი:
 მაშვრალი მგზავრი
 ცად გასაფრენ ხელს იბრუნებდა,
 ხოლო მდინარე
 მოფათქუნე ცივი ტალღებით
 მის ფერხთა ახლო ირწეოდა
 და აცდუნებდა
 კაცის სიბერეს, სიმარტოვეს და დაღლილობას
 ვხედავდი: ტყვიის ზომკაკალით დაოსებულებს
 როგორ შეაქონდათ
 დატანჯული ცხელი სხეული
 სიკვდილის მღვრიე მდინარეში
 ჯერაც უმწეო
 ბავშვებს, რომელთაც
 თოჯინები ეჭირათ ხელში
 და უნებლიეთ იბეჭდავდნენ ტვინის სფეროზე
 გშირებისა და ბელადების
 ხმოვან სახელებს.
 და ჩემს ხელში რომ მომიება
 არ ვგრძნობ დიდი, —
 ვით აბრეშუმის ჭიებს თუთის ლურჯი ფითლებით,
 იტვს აპურებდნენ უნაპირო ხშირი ხანძრებით.

...აქვს მოძრაობის
 კანონები სიკვდილს მარტივი..

და მოაქვს ტანი ფერად ჩვენებებს,
 რომელიც დიდხანს აცდუნებდა
 ჩემს მწყაზარ ყრმობას
 და ჩამკვებულ დამეებით ისურებოდნენ,
 ჩემი ოცნების ლურჯი ხარკმლები.

მთვრალი ვარ ასლა
 უმარტივეს ქალით — სივრცეთი,
 მე კარებს ვალებ ჰირნამზვეი ღიმილის ნიღბით,
 ბედი უცნაურ თამაშისთვის
 მამზადებს დღემდე
 და თიხის ხელში ჩაუბლუჯავს ჩემი წრიალი.
 მაგრამ შენ არ ხარ აქ არც მოწმე...
 მინდა მოგესმას
 მხოლოდ ჩემი ხმა —
 შექუბებულ ფოთლის შრიალი.
 ოდესმე ისევ თუ გიპოვნი გზად მთრონინეს
 ჩემი ცით დაგლოი,
 უნაპირო ცით — დასასრულით.
 რადგან მე აქ ვარ
 ამოზრდილი კლდეთა გვარცხლებზე,
 ფერადი ძეგლი გაძეწილი ხინათლის ქვაში,
 ჩემი ალურსი დასთამაშებს
 და არ ნებდება
 ბებური ზაფხვის გულუბრყვილს
 თინს სიკვდილისას.
 მაგრამ შენ არ ხარ
 აქ არც მოწმე
 და არც ღმერთია,
 აქ ხაუფლოა შიშისმომცვერელ ბედნიერებას.

მთვრალი ვარ ასლა უმარტივეს ქალით — სივრცეთი.

VI

ერთის ლურჯი ნევხლა სიზმარულ უცხო ჩვენებად,
 მარმარილოთა ცივი ტანიდან,
 ამორბის ხითბო — პატიება
 და შეჩვენება.

ამაოთავან ამონი ამაოდ ვითროდით,
 და მთვარის შუქზე გეფებდა ღანდი
 და მთვარის შუქზე გაცრცილი ცა გვიხაროდა..

ვით ქერუბიმის სველი ფრთენი —
 მიწა რბილდება შემოდგომის დაღლილი ფერით.
 ნეტავი ასე რამ ააფევა,
 რა შუქი ჩადგა ნეტა ხულის
 უღრმეს წყვედიადში,

თუ შეგორებს ბლანტ მღვიმეში
 ხანძრის ბორბალი?

აღბათ ნეტოი შენს სხეულზე
 უნდა გათენდეს
 ჩემი კუთვნილი თეთრი სამოთხე,
 უნდა გაღვივდეს შენს ღრმა ბნულში
 მიწათ, ჩემი უკვდავების
 კეთილი თესლიც.
 ვინ მოიტანა,
 ვინ მოზიდა ეს გახელება,
 ან გრილი ქარი ვინ გააფინა,
 როგორც ზავერდი
 ნოემბრის ფუნჯით მოხატულ ხეებს?

შენ აქ იწყები
 ლბილ სივრცეში შენი გოლგოთა
 მაინც ანათებს...
 საკუთარი ჯვარის მტვირთველი
 ცად ეშურები...
 საგნებს ფერი ადევს ყვეთელი,
 ცად ეშურები:
 თავისუფალი სხეულისაგან,
 თავისუფალი მიწისგან,
 თავისუფალი ტკივილისაგან
 და... თავისუფლებისაგან თავისუფალი.

კრთის ღურჯი ცეცხლი სიზმარულ უცხო ჩვენებად.

თბილისი

შავი და ცისფერი მდინარე

რომანო

წიგნების კავშირი

საბჭოთავო გამომცემი

თბილისი

I

ბაკურს ბავშვობიდან მძაფრი შთაბეჭდილებები გამოჰყვია. წლების გასვლითა და ზრდით, მეტიც ნახვით და ცოდნით კი არ გაფერმკრთალდნენ და გაუფერულდნენ, პირიქით, თითქოს მაშინ იყვნენ შორეულნი და ბუნდოვანი, დრო კი აახლოებდა, ბურუსს აცლიდა.

ცხრა-ათი წლისა იქნებოდა, მეზობელ სოფელ მალაშში სტუმრად რომ იყო. სტუმრად იყვნენ ბებიასთან ანაო ადგიშვილის ბიჭებიც. მალხაზი და ზურა რალანაირი დონდლო, ძალიან კეთილნი, თეთრნი, დუმვულა ბავშვები იყვნენ. იქვე, ღობის ვადალა ნიკარაძე სახლობდა, რვა ქალ-ვაგი ჰყავდა, ბაკურზე უმცროსებიც და უფროსებიც. ადგიშვილების მიაშიტ, თანაც უმცროს ბართხალა ბიჭებთან თამაში ჰქონდა. ისინი ვერც დამალვას ახერხებდნენ, ვერც გაქცევას და ვერც რიკტაფელას

თამაშს. ნიკარაძის ბავშვები, რაც მრავალ დედ-მამიშვილს ჩვევია, რწყილს ატყაუებდნენ. ამ რვა გოგო-ბიჭმა სოფელში კენჭი სად ეგდო იცოდნენ და მათ ეზოში, კუკუ-დამალობანას თამაშისას, ბაკური სად უნდა შემტვრალიყო, რომ არ ეპოვათ. ვერაფერს რომ ვერ გახდა, ოდა საბლს მიაშურა. აივანზე მიპოვნიანო და ოთანში შეაპარა. კარადა გვერდით კედლიდან მტკაველნახვერით იყო დაშორებული. ამ დროს თვალდახუჭულმაც გათვლა დაამთავრა, ბაკურს სხვა არჩევანის დროც არ რჩებოდა და კარადასა და კედელს შორის შეძერა. ერთი კი ღრმად ჩაისუნთქა და გაილურსა, მაგრამ მაშინვე გადაავიწყდა რატომ შემოძერა, ვის ემალეზოდა ან აქ რა ესაქმებოდა. სუნთქავდა სახეტარო, ალერსით და უამესი დედური სუნით გაუღენთილ ჰაერს. რა თქმა უნდა, ვერავინ მიაგნო (საერთოდ სახელში არც უძებნიათ) და დიდხანს, დიდხანს იყო განცხრომაში. დედას მაშინ

* ვაგარძელა თბ. „მნათობი“ 16 2, 3, 4, 5, 6.

დამორდა პირველად ორი კვირით და იმდენად მონატრებოდა, კარადის გვერდზე მიკიდებული, ქალის გასარეცხი პერანგის სუნმა დედის სითბო და ადუქსით გააბრუნა.

ახლაც, ამდენი ნათრევი და ნაჩიკვნი, წყლიდან, ცეცხლიდან, და ჯოჯოხეთიდან გამორაყულიყო, დაჭრილი და დაღეწილი, სახლისაკენ რომ მოდიოდა, დედ-მამისაკენ იმ სხვა ქალის პერანგის სუნით განცდილ ნეტარებას მაინც ელოდა, მაგრამ ესეც არ ელირსა.

გათენიისას მატარებლიდან რომ ჩამოხტა და ჯერ კიდევ სიბნელეში, ნაცნობ გზას დაადგა, იმდენად მიეჩვია ბნელში ქურდულ, თვალ-ყურ დაცეცებულ, ძრწოლისა და კანკალში ყოველი ნაბიჯის გადადგმას, აქ საშიში რომ აღარაფერი იყო, ხელს უშლიდა ევლო. ამას ემატებოდა ისიც, რომ აქ წინასწარ იცოდა ფეხი სად დაედგა და მაინც ეს ნაჩვევი და ნაცნობი, გაუცხოებულყოფი. მთელი წელიწადი, უმთავრესად ღამ-ღამობით, დაძრწოდა უცხო, უგზო, უკაცრიელ ქაობსა თუ უღრანში და ახლა ასე ნაცნობი, უხიფათო, თანაც გატკეპნილი ბილიკი, საკუთარი სოფლისა და სახლისაკენ რომ მიუძღვებოდა, პირში ნერწყვის მაინც უსქვლვებდა და ისევე იმ საქონლის ჩლიქის გემოს უჩენდა, აქედან წასვლისას რომ სჭირდა. ისევე ძნელი გასავლელი იყო სახლის კარებთან მოსული, მთელი წლის გოლგოთას გზა, როგორც დასაწყისი.

ამას ემატებოდა დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა თავისი დაბრუნებით მათ წინაშე, ვინც ვერ დაბრუნდა და ვერც ველარასოდეს დაბრუნდება. როგორც წასვლა იყო მძიმე და ძნელი, ისე დაბრუნება — გაუმართლებელი და კერიამდე ძნელად მისათრევი ტვირთი. თითქოს არაფერი დაინისლა, მაგრამ შეგბრუნებული კოვრიტიდან დანახულებით შორიდან ჩანდა ყველაფერი და ამ ბილიკზე ფეხის დაღვმა და ზედ ჩექმების ბრახუნით გავლა, გადაბუგული სოფლის ცხელ ღაღარში გავლაზე ადვილი არ იყო...

და ბაკური საკუთარ დედის უბესავით, თბილ და ნეტარ სოფელში შემოიბარა, შემოიბარა წელში მოხრილი და დამფრთხალი, როგორც მტრით გარემოცულ ადგილებში უვლია. მეზობლის ძაღლების ყეფა და საქონლის ზრუტუნნი ისე აფრთხობდა და აკრთობდა, როგორც გერმანული ნაგაზების გნაისი და ცხენების ფრუტუნნი. ამ მყუდროებაში და მოახლოებულ განთიადში რომ აღარაფერი ჩანდა სახიფათო და შემზარავი, თითქოს მყუდროება გაუფასურებული იყო და გათენება გაუგვემურებული. დაჯერებულმა, რომ ამ სიჩუმეს ჩიტის გალობის, ქათმის კრიახის და ძაღლის ყეფის მეტი არაფერი დაარღვევს, ძაღლის, რომელსაც ლაფაროს აქეთ გამოქცევაც დაეზარება, ამ გათენებას არავინ წავართმევს, ეს არ იქნება შენი უკანასკნელი გათენება, არც კი ვინდა თავი აიღო და ცას ახედო. მზე შეიძლება ისე ამოიბაროს, საკუთარი ჩრდილით დაინახო რომ ამოსულა.

დედა გაბედნიერდება, რომ შვილი დაუბრუნდა, მამა, ბებია, ბიძა, მეზობელი, მეგობარი და ალბათ ისიც... გაიხარებენ...

როგორ არ ჰგავს ეს იმას, რასაც ბედნიერებას და სიხარულს ეძახდნენ და აქ, ალბათ, ისევე ისეთი ჰგონიათ. როგორ ვერაფრით ვერ გაიგებენ რა გადახდა თავს და ვერაფრით ვერ აუხსნი, რომ არ გიხარია ეს მყუდროება და იდილია, და რომ გადაჩრი, ჰგონიათ ეს გადაჩენა. შენ აქ, ამ სოფელში, ახლა კი არა, მთელი ასი წელი რომ გაატარო, ისეთივე ვერ დაბრუნდები, როგორც აქედან წახვედი.

სახლის უკან აივნიდან გამოქცეულმა ძაღლმა, კიდევ კარგი, რომ ტიშკრამდე მოიბრინა და უკან რომ არ გაბრუნებულყოფო, ბაკურიც იქვე ჩაშვავდა. ეზოში შესვლა აღარც უნდოდა, ისედაც კარგად ხედავს: როგორ აფლიქვინდება ბედნიერი დედა? როგორ ეცდება მამა სიხარულის დაფარვას; „ბიჭო, ბაკური ხარ ბებია, შე უსინდისო, შენ!“ — შეიცხადებს ბებია და „კიდევ ველირსე, ბი-

ჭო, შენს ნახვას?..“ — ამოახროტინებს ყვლაზეული ლუკა.

ყველაფერი თითქოს ასევე ნანახი, გამეორდებოდა უფრო ცუდად, ვინემ ახსოვდა და მასაც ასევე განცდილი უნდა გაემეორებინა დაზუსტული გაკვეთილივით, რომელმაც დალაღა და დააოსა ვაზეპირებისას, ახლა კი თითქოს მასწავლებლისთვის უნდა მოეყოლა, რომ კარგი ნიშანი მიეღო. ვითომ არ იყო ეს სიყალბე, არც ტყუილი, მაგრამ რატომ იყო ყველაფერთან ასე ახლოს და თან ასე შორს? რატომ ჰქონდა ცხვირი შეყოფილი ჭიშკრის ლატანებში და არ მიუწვდებოდა ხელი თავის სოფელ-ქვეყანაზე? რატომ იყო ამ მიწაზე და არ იყო, რამ გადახვეწა აქედან, თუ შეიძლებოდა აქ ყოფნა?..

ასე გუგუტასთანაც ზომ ახლოსაა, აქვე, მეცხრე-მეათე მოსახლეში ცხოვრობს, მაგრამ ისევე შორსაა, როგორც ამ ერთი წლის მანძილზე, მანძილი ზომ არ ნიშნავს სიახლოვეს და სიახლოვე სიშორეს? თამარიც ზომ... ამ ბოლო დროს მაინც სულ მის გვერდითაა... ლოგინზეც კი ერთად წოლილან და მაინც გუგუტა იყო უფრო ახლოს... ან ლუკა ბიძია, დღეს-ხვალ ამ ქვეყნად რომ სულ არ იქნეს, სიკვდილი დააშორებს ამ კაცთან, რომელსაც ბაკურისა ყველაზე მეტი ესმის?.. ან ახლა, ამ ქვეყნად დაგდებულს, ჭიშკრის იქედან მოწოლილი ძალი მართლა ისე მოუახლოვდა, ლატანებში ხელი რომ გაჰყოს, მიწვდება?

იმიტომ სხებდა ტყვია ირგვლივ ბალახებს, დგანდგარებდა მიწა ტანკების სიმძიმით და ჭურვების ცეცხლის სვეტები უღვა ზეცას, იფარებოდა ცა შავი, ყვითელ სვასტიკიანი, ბომბებით მუცელდატენილი სვავებით, იმიტომ ითრევედა ჭაობი და საფლობი, მდინარე და ზღვა, რომ ახლა ვადაწიო თუნდაც იმ ადგილას დაჰრიოლი მარჯვენა ხელი და შენმა შავმა ძაღლმა თბილი და აღურსიანი ენით თითები მოგლოკოს?..

II

— გვიანაა დედა აწი, ბოვებებს კლთაში ჩაეძინებათ... — ბუხრის პირას, დაბალ ჯორჯოზე ჩამომკდარმა მოსულმა, განიერ კალთაში თავით ჩამსაბილ პატარა ბიჭს — ანდროს, ვაბზევ. ლ უტანალზე ხელი წამოკრა. უფროსს — აკაკის ჩაეცინა: ბიძებთან და ჯარისკაც ბიძაშვილთან ჩემს ძმას ეს რა აკადრესო, ბებიაზე განაწყენებულმა ანდრომ, ძილი რატომ მე წამომეპარა და ჩემს ძმას არაო, აკაკის სახელოში ეცა და მაქაზე უჩქმიტა.

— გაჩერდი ბიჭო, არ გრცხვენია? — უჩურჩულა ძმამ და მკლავი გამოსტაცა.

— კარგი დედა, მიზეღე ბავშვებს, მაგრამ ერთად არ გევეახშმა? — ხმაინახვებულმა ლუკამ პირზე ძვალტყავა ფართო ხელი აიფარა და კისერში მომდგარი ხველა დაიოკა.

ბებია ერთი კი ახედა ბუხრის გვერდით თაროზე ბეჭით მიყუდებულ ბაკურს, წამოდგომისას ხელს წამომაშველებსო, მაგრამ მთელ მკლავზე დადებული სახვევი რომ შენიშნა, ბუხრის თაღს წაეტანა, ჯარისკაც შეიღიშვილზე საყვედურით:

— შე ვლახა, შენ...

— კი ბებია, კი... — ბაკურს გაეღიმა და მოხუცს მხარში მარცხენა შეაშველა.

— რავა დოუღვევი ასე ხელი ამ ოჯახდაქვეულს, რამენაირად ვერ მიახვედრე რომ ლეთისნიერი ბიჭი ხარ? ზომ არაფერი მოწიე ბებია, კაციშვილს?

— არა, ბებია, არა.

ბავშვები უცებ შეარიგა ჯარისკაცი ბიძაშვილის ნათქვამმა, ხელი მოუტეხით და ბაკურს მოჩხუბარისათვის ვერაფერი დაუშავებიაო.

— მორევია... — გულისტყვილით უჩურჩულა უმცროსმა უფროსს. ბებიას ბუხრის გვერდზე მიყუდებული თავკატუიანი ჯოხი მოუტანეს, რომ აქაურობას მალე გაცლოდნენ.

— აბა, შე შერცხვენლო, მამუკა იმ ღამის შერე ველარსად ნახე?.. — კარის

გამოღებამდე შემობრუნდა მოხუცად წვრილ უჯრედებად დაღარული სახე და უკბილო პირით, ძლიერა მკვრივადმდე რომ მიუწყვდინა, დაჭრილ წილიწვილს გიმნასტურის ღილებთან აკოცა და პაქურზე იმედგაცრელებული თვალთ შერმოჩერებულ, ნიორით პირამყრალეულ პატარებს ხელები გადახვია, ზებზერა დაფსორილ ინდაურს რომ ორი სცოდნეი ჭუკი შემორჩება.

— არ გაცივდე, შვილო, შენ! — კარის გამოღების წინ ლუკა გაფრთხილა, ამალამ რომ მთელი ყურადღება ბაქურმა წაიღო, ახლა მოაჯონდა და იბრუნდა, შვალს საბანი გულსაბირზე ჩაფუფუნა, შებლზე ხელი დაადო, თავი იმეღიანად დაიქნია და ზღუტბლთან დატოვებულ, უძრავად დაფუღებულ ბავშვებში ჩადგა.

— რაღაცა გეჭმია, დედა ბავშვებთან თვის! — ისევე მოიბოღინა ლუკამ და ტიხარს იქით გასძახა: — ნინა!.. საღ დაიკარგა ეს დედაკაცი?..

— იმე! — იწყინა მოხუცმა — არ იცი, წისკვილში რომ იყო? წელან მოვიდა, აცალე ვერცახე!

— რა უნდა ქალს წისკვილში? — ლუკამ პირი მიიბრუნა, ვიღაცის საყვედური კედელს უთხრა.

— ბიჭო! რა ვქნათ ამა, ეს ერთი დაბრნა ვერ გაწვდა ყველაფერს... ჰე, კარგად იყავით ახლა... გააღე ბებია, კარგი ბაქურმა იატაკზე ათრეული კარი მარცხენათი მალლა ახიდა და ბოლომდე მოღება დააპირა, მაგრამ მოხუცმა ილლიაში შეფარებული ბავშვები წინ სათითაოდ გააძვრინა და თვითონაც გვერდულად გავიდა.

— მოხუტე ბებია! არ გამოწყვე... მანისის სიცივემ ცხენს კვიცი მოაგდებანო, ცხონებული ჩემი დედამთილიდან გამიგონია...

— დედა, გოგოები მაინც ვაგაცილებენ!.. თიკო!

— რატომ უძახი, აგერ არ მადეას მხარში გამცილებლები? ან რა ვაცილება მინდა! შენ მე ვინმე გადაღებებული ბებერი ხომ არ გგონივარ?

— მე თავი დამანებე, ბებიაშენს შეხედე... — გაეღიმა ლუკას. ყბა ჩამოვარდნილი თავის ქალა მოაგონა ბაქურს ამ ღიმილმა და თვალი მოაჩინა, — გვერდზე რე იხედები, კარგად გაიგონე, რას გეუბნები!

— გისმენ, ბიძია!

— ჩვენ გაგვზარდა, თქვენ ვაგვზარდათ, ახლა მესამე თაობას ზრდის და იცოდე, სანამ კაცად არ აქცევს, არ მოკვდება, სწამს, რომ მისი სიცოცხლე აუცილებელია...

— რა იყო, მამა, გვეძახდი? — ტიხარის კარში თიკომ მკერდზე დაბჯენილი ნაკაპი და გვერდზე ოდნავ გადაბრილი თავი შემოჰყო, ბაქურს შეპლიმა.

— რას აკეთებთ ამდენი ხანი, რომ იმ მოხუტულიდან გარეთ არ იხედებით? — უწყველდურა ლუკამ და წელან, პატარა მისწულებთან, წეგუბებულმა, კისერში მობჯენილმა ნახველმა ხიხინი ახლა აუტეხა.

— მამა, რანაირი ხარ, წელან არ მოვიდნენ დედა და მზია წისკვილიდან, არ იცი თუ?!

— მე რომ ვიცი, ბავშვმა არ იცას და მშვიერს ნაეძინა კალთაში...

— დავეწვეო, დავაბრუნებ, ამა რა ვქნა? — თიკოს ისედაც გადაბრილი თავი უმწეობით სულ გადაეღრცა.

— არაფერია, ბიძაჩემო! — ბაქური ლუკას პირდაპირ ლოგინზე ნამოუჭდა.

— აგერ, ბაქური, ბუხართან დაქექი! — თიკო კარში ნუცბათეფად შემოძვრა და კედელთან მიდგმული თალ-სახურ-გიახი სელის სკამი ბუხარისკენ წააჩოჩა.

— გადაქექი, გადაქექი, ცეცხლთან გადაქექი! — ამოიკენესა ლუკამ, — ბუხარი პაერს იწოვს... იქ ვირჩენია.

„როგორც მე გამოვიჩინე გამბედაობა და ახლოს დაეუქექი, ისიც მზრუნველობს და კლექს მარიდებს. ჩვენ ერთი ტალახიდან ვართ გამოგლესილი“.

— ლეონის არაფერია ა? — ვაიმეორა ლუკამ მართას წასვლამდე ათვტრ ნათქვამი.

— არაფერი.

— კი მაგრამ, არ შეიძლება სადმე

ისიც... დასწყველა ღმერთმა, ხედა მკლავს თუ არა, ისე კიდევ გავუძღვებდი... ვცივდები ალბათ...

— ღამე არ უნდა გახვიდე ოთახიდან.

— ისედაც ავიქოთე აქაურობა... ჯანდაბას ჩემი თავი... არ შეიძლება საღამე მტრის ზურგში... პარტიზანებთან, ბოლოს და ბოლოს ტყვეობაში...

— რა გითხრა, ბიძაჩემო, ყველაფერი შეიძლება, რაც გინდა, რის წარმოდგენაც შეგეძლია და არ შეგვიძლია. წამში შეიძლება გაჭრეს კაცი და შეიძლება შუაგულ ზღვაში ჩააგდო. გულზე ქვადაკიდებული და გადარჩეს...

— მაგრამ ლეონი, ბიჭო, თქვენზე ამტანი და კვიანია. კვიანია, როგორ გითხრა... თქვენზე მეტად იცნობს ცხოვრებას.

— ეს ომი ისეთი რაღაცაა, არ იცის ამტანი და გამტანი. ბესო კანწურაშვილზე ამტანი და გამტანი ქვეყნად არ დაიბადება.

— ესტატეს ბიჭი, კაცი? ესტატე პატრიოსანი, მშრომელი გლეხია... მაგ ბიჭები რომ წამოიზარდნენ, მე აქეთ მაშინ არც ვიყავი... სამის დაღუპვის ქაღალდი მისულა...

— ჩვენს ათეულს ორი ქალი ახლდა.

— ქალი რად გინდოდათ იმ უბედურებაში?

— ჩვენ გინდოდა? ჩვენ რა გინდოდა... ამ ღია ზღვაში რომ გადმოვცვივდით... ბესომ რაღაც ნავების თუ კატერების მისაყენებელი ძელების ზიდური მოგლიჯა ნაპირზე და იმაზე, მგლისაგან დაწოკებული ცხვრებივით, შეგვრეკა... ხელში ფიცრების ნატეხების მეტი არაფერი გვქონდა. ვითომ აქეთა ნაპირზე მოვდივართ. არც სიგრძე ვიცით, ამ თვალუწვდენელი წყლის, არც სიგანე, არც ის, საათ მიგტოპავთ თუ დინება მიგუათრევს. არც ის გავვევება აზოვის ზღვა თუ შავი. ჭარისკაცმა მარტო ის იცის, რასაც თვალთ ხედავს.

— გაწყდა ქვეყნად კაცი?

— რა ვიცი... გამცემლებითაა სავსე, ვერ ენდობი... მასე ერთხელ სოფელში

ორი ბიჭი მოგვიყვალს. მას აქეთ ბესოს თვალზე ცრემლი არ შემშრალა, სანამ ოცმეთაური სემიჩასტნი არ დაიღუპა.

— ეს სემიჩასტნი არ უყვარდა?

— არ უყვარდა კი არა, ისე დაიზაფრა საწყალი ბესო, ცრემლი გაუშრა!

— პატრიოსანი კაცია ესტატე. დიდი ახლობლობა და ნათელ-მირონობა ჰქონდა ჩვენს ოჯახებს... — ლუკას ისეე ჩაეხრინწა ხმა... — დამატე შეშა მაგ ცეცხლს, თუ არის მანდ... სადაა ეს გოგოები... ვითომ დედამისს რაიმეს ეხმარებიან?

«მტყობა, ერიდებიან ავადმყოფს და ჩემთან ამის გამოხელა არ უნდა... გავუცხოვებოვართ ერთმანეთს, ამ მისი სნეულება იმასთან, რასაც მე ვუყვები, უბრალო ეჩვენება... აქ რომ ასე გაუფასურებულაა ჯანსაღი სიცოცხლე, მას შეღავათს აძლევს. თავის ჭირს ავიწყებს».

— ამ ღია ზღვაში ინათებს თუ არა, გადაგვეყრება რომელიმე ჭვრიათი თვითმფრინავი. მე შენ გეტყვი, ცოტაა. დაგდევს დაბმულ ხეებზე უნამუსო მონადირესავით, ვინც ცურვა იცის, გადავცვივდებით წყალში, ვიფანტებით, რომ ყველა ერთად არ ამოგვეყუტოს... ერთი მოსკოველი ქართველი გოგოა, წყალში ფეხის ჩადგმის ეშინია. იწვა ამ ძელებზე თავდაღმა და ნატრობდა ერთ კაკალ ტყვიას.

— ბიჭო, იმ გოგოსთან ხომ არაფერი? — ლუკამ ბალიშიდან თავი წამოსწია.

— რომ არაფერი... ალბათ იმიტომაც... — «ამ კაცს ვერაფერს გამოაპარებ», — კვიანია და გაწამებული გოგოა, ბიძაჩემო, თავიდან, ომამდეც...

— ომამდე რატომ?

— მამამისი ისე, როგორც შენ...

— უჰ! მერე ბიჭო? შეხედულად?..

ბაკურმა მხრები აიჩეჩა.

— თუმცა შენთვის შეხედულება... ვიცი, ურავო არ იქნება...

— კაკალ-კაკალა მოგვძებნეს იმ სკაებებმა წყალში ბატის მუცლებით გაფა-

ნტუნნი და ნახევარჯერ ჩაყვინთულე-ბი. დაგვბოცეს, დაგვპრეს, გაგვანადგურეს. იმ გოგოს ირგვლივ ძელები საცერივით დაცხრილეს. მუხლს ზევით, რბილში გაუარა ერთმა ტყვიამ, ეს რა სახსენებელია... ბესოიას ორივე ფეხი დაამტერიეს... მეორე გოგოს ვალია ჰქვია, ბესომ იმის ხათრით წამოიყვანა ის ქართველი... მთლად გაუკაწრავი გადარჩა, როცა თუ სამხედრო საქმის ცოდნა შეიძლება, სემინასტნიმ იცოდა და ის კი დაიღუბა.

— რატომ, ბიჭო! სამხედრო საქმის ცოდნა როგორ არ შეიძლება, აბა ამდენი ომების გამოცდილება...

— არ დაიჯერებ, ბიძია, ამ ომში ყველაფერი სისულელეა. თუ გაგიმართლა, მაშინ მცოდნეც ხარ...

— რწმენა ბაკური, ბიძია, რწმენა! ასე ყველაფრის წყალში გადაყრა არ შეიძლება.

— რწმენა?! — ბაკურს ჩაეღიმა: „ეს კაცი რომ რწმენას სხვას უქადაგებს, აღამიანის მოდგმა მართლა არ გადაშენდება.“

— რატომ გეცინება, ჩემგან გიკვირს, არა? მართალი ხარ, მაგრამ არც მე ვარ მტყუანი, ხომ ორივე ვხედავთ, მიგდინე, ვარ ამ ქვეყნიდან, მაგრამ რაც მწინდა, მწამს... ფანტიზმი დაარქვი თუ გინდა, ასე კია და... ე, ბიჭო, მგონი, ფარნა მოდის, ძალი მოვარდა აივანთან... გაწამდა საწყალი მაგ ბიჭი, ცალკე თქვენა დარდი, ცალკე მე, დედაჩემი და ბავშვები, სკოლა და სახლ-კარი, დედა-თქვენს პატარა თქვენც ურჩიეთ... კი არაფერს ვემდურბი, მაგრამ ამოუდგეს მხარში ამ ჩემს ძმას. ვატურტია... და თუ ნახო, მაგრიდ შეაქანჯყარე. მე ფული გამომიჯანება, კარაქი და პურის ფქვილიც გამოეთანება ანდრია ჯურხაიძისათვის, დაჭრილი შვილის სანახავად იყო ვატურტის პოსპიტალში... დაჭრილები და მომსახურე პერსონალი არ ემადლიერებიან თურმე... ის ღირვეტორი გაუგდია და თვითონ წამომქდარა მის ადგილზე. ეს ჩვენ არ მოკვდამს...

— ეი! — მოისმა აივანზე ფარნას ხმა.

— ეი, ეი — გასძახა ლუკამ და საბანში ჩაძვრა.

ფარნა შემოვიდა, დოქი კუთხეში მიდგა და ტიხრის კარში რბიანი ბოთლი გადგა. მოტრიალდა მაგრად ტუჩმოკუმული და ოდნავ მოქუტულო ცალი თვალთ ძმას და შეიღს გადახედა.

— ა, ფარნა, დაგვიბრუნდა ბიჭი, აჰ?

— დაგვიბრუნდა... — თავი მძიმე-მძიმედ დაქნია ფარნამ მოგვიანებით; — დაგვიბრუნდა, თუ დაბრუნება ჰქვია ამ დაბრუნებას.

III

ფარნამ ზღურბლთან მიდგმული დოქი, როცა ტაბლა დადგეს, გვერდით მოიდგა, მაგრამ რაკი ლუკას წვეთი არ დაეღევიებოდა და ორი ღვინის ჭიქა მაინც დაცალა (ბაკურის დაბრუნების და ლეონის და მამუკას დღეგრძელობის), მერიქაფემ სასმისები აღარ აავსო.

„ბიძიას ღვინო ენანებოთ“, — კისკინებდა მზია და დაღვრემილი ბიძაშვილის გამზიარულების იმედი ეფუშებოდა. ბაკურისათვის იდაყვს ქვევით და ზევით შეხვეული ხელი წაერთმია, კალთაში ჩაედო და თიკოსავით გულზე ნიკაბდაძენილი ჩასჩერებოდა. კრილობებზე დახვეული მარლის კიდებზე ნაძენძი. შექუქყიანებული ძაფების მოწყვეტას ვერ ბედავდა, თითებზე ინერწყვავდა და ბუსუსებს ფრთხილად გრეხდა.

ნინო, „თავი მისკდებაო“, წუხდა და ღვინოს არ წაეყარა.

„ეს ქალი არ ტყუენ, მიზეზი აქვს, მაგრამ თავი არც ისე მწარედ აწუხებს, შებლზე წითელი ფხალის ფოთლები და თვისაფრები რომ შემოუბურდავს. თითქოს ჯერ კიდევ ნაოქებით დაუფარავ შებლს და თვალების სიღრმეში ჩანთებულ სიციოცხლის ცეცხლს ფარავს. ცდილობს ქმარს თავი მასავით სნეულად და საიმქვევროდ განწირულად მოაჩვენოს...“ — ფიქრობდა ფარნა და რამდენად იცოდა ეს ბარბაროსობა, იმდენად კმაყოფილი იყო, რომ ამ თვეთაგან

ავადმყოფისადმი, რძლის დიდ თანაგრძობას ხედავდა.

„მაგრამ ერთი სული აქვს, გოგოები აქედრობას გაარიდოს, თავისას ყველაფერს სწირავს, რომ როგორმე შეიღებში მაინც იცოცხლოს და იმაზე მეტ სიფრთხილესაც იჩენს, ვინემ ეს საჭიროა“. მართლაც წაეახშმებისთანავე თიკოს შეუცაცხანა:

— წადი, ძროხას დახედე, ზრტუტუნებს, მოსაგებდაა. ხბოს არაფერი მოეწიოს, თორემ ცოცხალი ვერ გადაშირჩებით. ამოდენა კაცს, — მაზღზე თავით ანიშნა, თითქოს შეიღებებს არ სცოდნოდეთ, დედა ვის გულისხმობდა, — ბავშვებით დავარბენინებთ რძეზე და ღვინაზე, ლობიოზე და სიმინდზე...

— დედა!.. — ჩაიღრტირა თიკომ მუდართით და მხრებში ჩაძვრა: მაცალე ბაკურთან ერთხანს ჯდომარო.

— არ მიღის ბაკური არსად ამალამ, ჩვენსას რჩება!

თიკო ბიძაშვილს შეაჩერდა და გადახრილი თავი უნდოდ ვაჟნია: ის დრო წავიდა, ბაკური რომ ჩვენსას ათევედა და ჩვენს გვერდით ეძინაო.

— გაყვეი შენც და ჭრაქი მიუნათო... — შეუღრინა დედამ ახლა უმცროს ქალიშვილს, — არა! — ბუბრის თავზე შემოდებულ ლამპას შეხედა, — სადაა ჭრაქის ნეთი, ქილქუთან კალოშის ნაგლეჯი ავღია, წვრილად ჩამოჭერა... შენ, თიკო, შენ! ცეცხლი მოუციდე და გაინათეთ!

გოგოები წელისწყვეტით რომ გავიდნენ თიკომ თავი შერეც შემოპყრო და ბაკურს შემოსცინა. ფარნამ ჯერ ჩანავლებულ ცეცხლს გადახედა, შერე შეიღის. მკლავზე დადებულ სახვევეებს და შეშის დასაჩეხად გავიდა.

ლუკამ ამოიხორა:

— ღამე მაინც რომ ვასვენებდეთ, გაუძლებდა... წაიქცევა ეს ბიჭიც და დავიღუპებით.

— იქაც ომი, აქაც ომი... — ჩაილაპარაკა ბაკურმა, მზიას თავი უპზროდ და-

უქნია, თითქოს თვითონ კი არა, ამ, ჯერ კიდევ ფშუტე გოგოს ეთქვას.

— მოეშვით ერთ წუთს ამ ომს... — აწუწუნდა ჩურჩულით ნაკვერჩხლების შუქზე ლოყებდაყირმიზებული, ხორცსავსე მზია.

— თქვი, რა გაწუხებს... — ცალი ყური ათხოვა ბაკურმა ბიძაშვილს, მაგრამ მზია ამ ცალყუბა ყურადღებას არ დაჯერდა და უსაყვედურა:

— ნეტავ რისთვის უყვარხარ ვინმეს?..

— ვის ვუყვარვარ? — ბაკურს დაჭრილი მკლავი შეუტოკდა.

— ღმერთო მოშალი გატყინე?

— გოგო, ნუ შეუწუხებ გული ამ ბიჭს! — თავსაფრის ქვევით გამოხედა ნინომ.

— აცალე, შე ქალო, და-მანია, ორი სიტყვა უთხრან ერთმანეთს! — კედლისკენ გადაბრუნდა ლუკა, ზურგი მოშიშვლებული დარჩა და ნინო ხელების წინსაფარზე წმენდით წამოგარდა.

— ვისაც უყვარხარ... ვინმეს ხომ უყვარხარ? — ვაგარძელა მზიამ ბაკურის ყურთან ჩურჩულით, — მოფერება შენ არ იცი, სიცილი და ხუმრობა შენ არ გეხერხება...

— არ იღარდო, მზია, მე არავის არ ვუყვარვარ... — დაამშვიდა ბაკურმა.

— გაჩუმი! მაგრამ მამუკაც ხომ... არა, არა, ის შენ არ გგავს, არც ის ლაპარაკობს ბევრს, მაგრამ ის რაღაცა ლამაზზე ფიქრობს, შენ სულ სხვა სადარდებელი გაქვს... ფოთოლამ რომ გაიგოს დილას აქეთია ჩამოსული ხარ... — თავი წინ გადახარა და ბიძაშვილს თვალებში შეაჩერდა.

— ფოთოლა?! — გაკვირვებით მოხედა მოსაუბრეს, ეს ქარაფშუტა გოგო ფიქრს ხომ არ მიმიხედაო.

— პო, შენ რომ არაფერი გითხრას, ჩვენ დაგვხოცავს... ბესოს ამბავი არ ჩამოუტანე?!

— აქაა? სასწავლებელში არაა?..

— ბიჭები გქვსივე რომ წაიყვანეს, დაუსწრებელზე გადავიდა ისიც და გუგუბაც... გუგუბა თურმე სულ არ აპი-

რებს სწავლის გაგრძელებას. ფოთო-
ლას უთქვამს, მაგას არც სწავლა უნდა
და არც სიცოცხლეო, მაგისმა ცოდვამ
ჰკითხოს, ეინც ეს გოგო უღანაშაულოდ
ჩამოახშოო. ვილაცა პირველი კლასიდან
ჰყვარებია, წარმოვიდგენია? მაგრამ ახ-
ლა ის ბიჭი ომში ყოფილა. შენთან სწავ-
ლობდა, შენ გეცოდინებდა... მაგრამ გუ-
გუტას ამბავს ვინ გაიგებს. მე რომ
მხედვება, შენ თავს ვფიცავარ, მიწაში
უნდა რომ ჩაძვრეს, ისედაც სული არ
უდგას და ჭარისკაცებისათვის საჩუქ-
რად თექვსმეტი წყვილი წინდა მოუქ-
სოვია. ვინც არ უნდა მიყვარდეს, თექ-
ვსმეტ წყვილ წინდას რა მომაქსოვი-
ნებს...

— რას არ აყენებ, გოგო, შენ მავ
ბიჭს! — შეუწყრა კარაან მისული ნი-
ნო მზიას, მისი აქედან მოცილებების მი-
ზეხს რომ ეძებდა და რაკი ბაქურს მო-
შამავა შეატყო, ქალიშვილს მაშინვე
დაუტატანა, — წამოდი ჩემთან, ნუ გა-
უწყრილვ გული კაციშვილს!

ფარნამ მკლავზე დაწყობილი ბეო-
ლის ყვითელი, ნაპობი შეშა შემოიტა-
ნა და ბუხარის წინ დაახვავა.

ბაქურმა მამას და ბიძის შიშით გადა-
ხელა: ღმერთი არ გაუწყრეთ, გუგუტა-
ზე ამათაც არაფერი აღოდნენო. ფარ-
ნამ სკამი უკან დააჩოჩა, დაჯდა და ფე-
ხი ფეხზე გადაიდო. გულოცხნიდან
ძველი, ომამღელი თვარი გაზეთის ნა-
ხევი ამოკაო და ფრთხილად გვერდუ-
ბის ჩამოსწორებებს შეუდგა. მალე-
კერს მიმტერებელი მის მკლავს, უფე-
რულ სასეს და ცეცხლს ჩაცივებულ
თვალეზარევიან შვილს გადახვდა.
„ესენი ახლა ერთმანეთს უფრო აგვანან,
ვიდრე მე“...

— გარეთ არ გახვიდე, ფარნა, ბუხარ-
თან მიიწიე და ისე გააბოლე... — ამო-
იხლიჩინა ლუკამ, — შენ კიდევ არ ეწყე-
ვი, ბიჭო?

ბაქურმა მხრები აიჩინა:

— არ ვიცი...

— რა არ იცი, შე კაცო?! — ეწყინა
ბიძას და ახიხინდა, — ეწყვი თუ არა,
არ იცი? ასე რამ წავახდინა ყაზახი!

„ჩემს სათქმელს ეუბნება, იცის, მე
ამის დაწყება გამიჭირდება“ — ფარ-
ნამ მუტუბალი აიღო და შეხვეულ პა-
პირისას მოუკიდა.

— ასე კია და...

— რაა ბიჭო, ასე? — ლუკა გაღობ-
რუნდა და ლოვინა! ქვევადან საფურ-
თხებელი ქვიდაე გამოათრია. — ომი
ვიცოდით... ბოლოს და ბოლოს, რა
ღმერთი გაგიწყრა!.. — ბალიშზე დაყ-
ვით დაეყრდნო და მიმტრალ, მსხვილ
თვალეზში ცეცხლისა და ლამპის ათი-
ნათები გაუციტდა.

— ეს ომი, ომი არაი, ბიძინეო...

— აბა, ფლავის ქამა თუა, კიდევ
უყეთესი!

— არც მაგი, მაგრამ ფლავის ქამა-
საც ისე ჰგავს, რიგორც ომს.

— ლუკა, ყველაფერს ომს ნუ დავაბ-
რალებთ. ეს ნანამდეც ასეოი ყოო... —
ამოიხვნეშა ფარნამ და თანაქეთს სქელი
კვამლი ბუხარის პირში შეაბოლა.

— მართალია, მაგრამ ჩვენი ბრა-
ლია, — ვერც კეშმარტებას უღალა-
ტა და ვერც მისიშვილი გაიმეტა ავად-
მყოფმა. — არ კირდება აღამიანს ბე-
რის ცოდნა.

— აბა, სულელი ჯობია?

— პო, არც სულელი გუნდა... არა და
რა ჯობია აღამიანს, რომელსაც ვტყვიან
ქვიანი ხარო, და ბედნიერია.

— კაცისთვის ბედნიერებად ისიც
კმარა, რომ ქვიანია... — არ დეთან-
ხმა ძმას ფარნა, თუმცა კარგად ზედავდა
ლუკას საუბარი საით ნაშაუდა, —
მაგრამ ქვეი იმას არ ნიშნავს, ბაბუა
მოკვდა, ბაბუის ბაბუა მოკვდა, მეც მო-
კვდებო და გაყაჩაღდე, გათახსირდე
ან ზელი ჩაიქნო, ქვევანას მიაფურთხო.
ჩვენზე აღრე იცოდნენ ეს და ჩვენს მე-
რეც ეცოდინებათ... სისულელეა ეს და
მეტი არაფერი.

— სისულელე არაა ფარნა ეს, მაგ-
რამ...

— ებებელეს, დაიხურე მაგ საბანი,
თუ კაცი ხარ! — ამოდგა ფარნა და
ავადმყოფს თავზე დაადგა, — მეორე
ბალიში მაინც ამოიღე თავქვეში!

— გამოიწი ფარნა, დამანახე მეგ ბიჭი.

— მე მოვალ, ბიძია, თქვი რა ვინდა.

— რა მინდა და... — გააყურა-გამოაყურა, — პო, ჩემს მეტს არავის არ ესმის, ჩემო ძმისშვილო, მე დღეს ხვალ მოსაკვდავი ვარ...

— გაჩერდი, კაცო, რაღაცას ნუ მიეღმოდები! — გაუჭავრდა ფარნა და საფერხულში მიღებული მეორე ბალიშიც სასთუმალში ამოუღო.

— ვიცი მე, რასაც ვამბობ! — განაგრძო ლუკამ, — ბაკური, ბიძია, ეს შენც იცი, ფარნამაც, ბიცოლაშენმაც და... რა ვა გვირჩევ ახლა, მამაშენი რომ ბალიშს მტენის და მფუთნავს, არ უნდა ჰქნას?

— რა არ უნდა ჰქნას, ბიძია!

— რა და რასაც აკეთებს, თუ ჰკუთხთ ვიშაყლებზე. არ უნდა ჰქნას!

— რატომ, აბა ავადმყოფს...

— კი, ვიცი! — არ აცალა ბიძამ, — თუ ავადმყოფის შორჩენის რაიმე იმედია კი, მაგრამ... მიცალე ფარნა! მაგრამ აქ ზომ სამივე ვხედავთ, საშველი არაა, უნდა გადამაგლიჯოთ ეს საბანი, გადაამსხათ ცივი წყალი და გამოიმიშალოთ სასთუმალი?..

ბაკური დაიბნა და მისზე შემოჩერებულ მამას და ბიძას თვალდაუხამხამებლად მიაჩერდა.

— ჰკუა თუ გინდა, ჩემო ძმისწულე, ჰკუა ესაა!

— ვის რა ჯანდაბად უნდა ასეთი ჰკუა! — ფარნა სკამზე დაჯდა, ტაბლის ყურზე ჩამოდებულ ჩამქრალ პაპიროსს მუგუზლით ისევ მოუკიდა.

— მე ომზე გითხარი... — იმართლა თავი ბაკურმა, თუ შენ ასე გაიგებდი, არ მიფიქრიაო.

— კაცის ცხოვრება ომია, ეს არც შენთვისაა ახალი ამბავი! — არ აცალა ფარნამ შვილს, რომ კარვად ვაეზრებინა და უფრო დასაბუთებული პასუხი მოეძებნა.

— მაგრამ მე გეუბნებით, რომ ეს ომი ომი არაა!

— რანაირი გინდა, ბიძია, შენ ომი რომ იყოს? — ლუკამ თავისი გასაკვირი

გვერდზე გადადო და ქვეყნის უბედურებას მოუბრუნდა.

— რანაირი... აგერ მამაჩემს ვკითხოთ, როგორი უნდა იყოს ომი და მერე გეტყვით, რაც მინახავს...

— დაანებე, ბიძია, მამაშენს თავი, რაც მაგან იცის, დაახლოებით ჩვენც ვიცით, შენ შენი ომისა თქვი რაიმე.

— ჩვენ ჩვენი გაქედნილი ხატის ამბავი უნდა ვიცოდეთ... — ჩაილაპარაკა ფარნამ და ფრჩხილებში მოქცეული მიმწვარი პაპიროსი მოქანა, მაგრამ გადასაგდებლად ვერც მერე შეეღია. — მოვეშვათ ომების უაზრობაზე ლაპარაკს...

— მოვეშვათ. — დაყაბულდა ბაკური.

— ა, ესაა ბიძია, ჰკვიანური, მთელი დამეც რომ ვიქაქანოთ, რატომია, რატომ ხდება, რაა მიზეზი... ფარნა, დამილევინე რაღაცა... ძირტკბილა გამიღესა წყალში დედაჩემმა...

ფარნამ საწოლის თავთან მიდგმულ, პატარა მრგვალ მაგიდაზე მამინვე იზოვა ის ბოთლი, რომელიც ავადმყოფს სჭირდებოდა. ახსოვდა, ახლაც კი გულს ატყენდა, თუ ძმა იფიქრებდა, წამლები ერთმანეთში ერევა, თავი მოვაბზერეო. ბოთლით მოსვიო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ არც ეს იფარგებდა. პატარა ჰქიას წყალი გამოავლო და დაუსხა.

— ჰქიას რას დაეძებდი, ისე დავლევდი...

— არა, რატომ, რატომ... ჰქიასი დასხმა რამ გავვიტრიავა?!

— ა, ხედავ, ბაკური?

— რას, ბიძია?

— რას და, მე ეს ძირტკბილა კი არ მარჩენს, მაგრამ უკეთესად ვხდები და ეს გაზაფხულიც გადავიტანე.

— რა გჭირდა ისეთი, შე კაცო! — გაუწყრა ფარნა.

— კარგი, დავანებოთ თავი, რა მჭირდა და რა არ მჭირდა... რა ხდება, ჩემო ძმისშვილო, ფრონტზე ამაზე უარესი, მე რომ მჭირს?

— თუ რაიმეს თავი მოვაბი, გეტყვით.

— აბა ჰე! — შეაგულანა ბიძამ და ფარნამ გულის ჯიბეში ძველ გაზეთს

ხელის გულის სიფართოვ იხევე ჩაახია.

— ომი, მე მგონია, თუ ერთგვარი ხელოვნება არა, ხელობა მინც იყო. — დაიწყო ჭარისკაცმა.

— კი, კი!

— ხომ არსებობდა რალაცნაირი ვაეცაცობა, თუ გმირობა?

— ასე იყო.

— საზრიანი და უნდილი, გაბედული და ლაჩარი ერთი ჯოხით არ იდენებოდა.

— რავე, ახლა მოხლე და გულადი ერთნაირად ფასობს?

— ერთნაირად.

— ფარნა, გაზეთები ყრია სადღაც მინდ წიგნების თაროზე და აჩვენე.

— რად უნდა... ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ახვედრებდაო...

— კარგი, მაგრამ როგორ გავიგოთ, ბიძიო, შენ საზრიანი, დასაბუთებული მსჯელობა გიყვარდა...

— უბრალოდ... მიდის ეშელონი... დავანებოთ ეშელოს თავი, მიდის ფრონტზე ჭარისკაცი... უფრო მეტიც... სანამ ფრონტზე წავიდოდა, გაიწვიეს ჭარში. ორი კვირა ათხრევიანეს ორმოები, არც თოფი, არც ხმალი... შერე პირდაპირ ფრონტის წინა ხაზი...

— აბა, ორი წელიწადი საწვრთნელი დრო სადაა, ჩემო ძმისშვილო!

— ვიცი, დრო რომ არაა, მაგრამ მტერი ცუდად დაგიმიზნებს, რაკი შენ დრო არ გქონდა ისეთი წვრთნა მიგელო, რაც მან?

— ეს უსამართლობაა! — ამოახველა ლუკამ.

— მე თბილისში რომ ვსწავლობდი... ჩემი თანაკურსელის ძმა, პირველთანრიგოსანი მოკრივე, ერთ საღამოს (მე მათთან ვიყავი სტუმრად), ცხვირპირდალეწილი მოვიდა. რა მოხდა-თქო, მიგე-სიეთ. ქუჩაში გაელახა ვიღაცა ლაწირაკს. ორივე ძმა იცნობდა თურმე შორიდან, გადაირია ჩემი თანაკურსელი, ახლავე წავალ და ცემით გავხეთქავო. მე ვუთხარი, ბიჭო, შენი დევივით ძმა, და ისიც მოკრივე, თუ ვერაფერს ვახდა, შე გაკირებულო, შენ რა უნდა დააკლო-მეთქი? „მაგი ხომ არ დაარტყამდა

და ხელემაჭირის გალახავდა, აბა რას უზამდაო“.

ძმებმა ერთმანეთს უხმოდ გადახედეს.

— მიდის ჭარისკაცი ფრონტზე, ჯერ თოფიც არ გაუსვრიო...

— ამ ორკვირიანი წვრთნისას ხომ...

— არავითარი... წვრთნის დროს სადაა იარაღი. ფრონტზე თუ მიიღე, მადლობელი იყავი... უფრო უარესი... მიდინარ ფეხით ან ეშელონით, დაგადგა თავზე თვითმფრინავი და დაგაყარა ბომბებით! რა ვაეცაცობაზე, რწმენაზე და პატრიოტობაზე შეიძლება ლაპარაკი! დაგვლიჯა და გაგკიდა ხის კენწეროებზე, რას იხამ? რა ჭეშმარიტი რწმენის კაციც არ უნდა იყო, რა რკინის გულიც არ უნდა გქონდეს, ხელის გულის სიფართოვ მაზარის ნაგლეჯებსაც ვერ აბოქავ შენი რწმენით. დაღუპულს რომ თავი დაანებო... უარესს გეტყვიო. მდინარის პირზე სანგრებში ოცეულია განლაგებული. ოცმეთაური და მისი ნოადგილე მათ ზურგშია იქვე, ას მეტრზე, რომ ბრძოლის დროს, რაც მათ გავგეზოთ, შეტაკებას უხელმძღვანელონ. გააშა მტერა. ზემდეგას საშველი დამთ მოაქვს, მთელი დღის სანუთფი. ბნელა, თვალში თინს ვერ ნიბრან და ძმის მშობლიურ ენაზე: „აბა, ბიჭებო, ჩქარა ვახშამი მოვიდო!“ დაყარეს ჭარისკაცებმა თოფები, წამოუხვეს კარდაღებს ხელი და ამოცევედნენ სანგრებიდან... სადაა შენი ზემდეგი და ცხელი კარძა! კბილებამდე შეიარაღებული გერმანელები მოცურებულან ნავეებით ბუჩქებიან ნაპირთან, იქვე უზარმაზარა, დანაბომბი ვერხვის ხეებიც იყო მდინარეში ჩაშვებული. გილმიდან სროლა ატყდა, წამოვიდა ტყვია და ნაღმი, მაგრამ სადღაც ზურგში ეცემა... აო, ოც წუთში ყველაფერი მიწყნარდა, ბაიბური აღარაა. სროლა იქ არავის უკვირს, მიჩვეული ხარ, მაშინვე ჩაგეძინება, გადის ნახევარი საათი და მართლა მოდის ოცეულის ზემდეგი. „ბიჭებო, ჩქარა, ვახშამი! ხვალის საუშვე და სადილიო!“ სადაა ბიჭები! სანგრები ცარიელია. აბა, ოცმეთაური და მისი მთადგილე! ორი-

ვეს თავის მომცრო მიწურში სძინავთ. სიზმრადაც კი არ უნახავთ, რა მოხდა ამ ნახევარი საათის წინ. სროლა იყო, მაგრამ სროლა და დაბომბვა, ტანკი და ქვემეხი ისეთი უნახავთ, წელანდელი მონაგონი არაა. რას აპირებ ახლა! გაქრა ოცეული უგზო-უკვლოდ, ვინ აგოს პასუხი? ორმოცი-ორმოცდაათი კაცი კი არა, შაშხანის ტყვია რომ დაიკარგოს, დასახერხეტი საქმეა... ეს არის ომი? ის ორმოცდაათი ბიჭი, თუ ყველა არა, ნახევარი ხომ იყენენ ვაჟკაცები და პატროტები? გამოგვცადა ომში პირისპირ, თანასწორი იარაღით და თუ რომელიმე იმ მუხანათზე ნაკლები იქნებოდა, ან ლაჩარი, მერე გველაპარაკა ახლა რა გავიგოთ? უარესიც შემძლია...

— არა, არ გინდა, ბიძია!... — შეიხვეწა ლუკა და დაცვარული შუბლის მოსაწმენდად სასათუმალთან თავსაფრის ტოლა თეთრი ცხვირსახოცი გამოაძვრინა. ფარნას ხმა არ გაუღია. მიმწვარი პაპიროსი თითებს ურუჯავდა, მაგრამ ნაფაზს ნაფაზზე ურტყამდა და ცხელი კვამლით ოთახს ავსებდა.

IV

— იმ დასაწვავ, დასაფრფლავ ოთახში ახლა შენ შეძვერი და აღარ იხედები გარეთ?

ბაკურმა დედას არაფერი უპასუხა. ტახტის კიდეზე ჩამოკვდა და ფარდაგის გაძენძილ ძაფებს დაუწყო ორი თითით გრება.

უკან აივანზე შემოფიქრული ოთახი რუსუდანს, დიდი ხანია, შეძლებული ჰქონდა. იქ, ფარნას თავისი ხელით შეჭედოლ თაროებზე გამოვსებულ წიგნებთან და ქალადღებთან მეტი ახლობელი და გამგებები ეგულებოდა, ვინემ ამ სახლში ცოცხალი არსება. ექვს და სიძულვილის ბადებს ყველაფერი, რასაც შეუძლია წაგართუას ქმარი, ან ცოლი. რუსუდანს იქნებ ამანაც ააღებინა ხელი კითხვაზე, რაც აღბათ, არასოდეს არ იყო მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება.

ბაკურს ახალი საფიქრალი და საღარ-

დებელი გაუჩნდა, ვითომ თავისი ისედაც თავზე საყრელად არ ჰქონდა. დედის სიჯიუტე და პროტესტი იმაზე, რაც მამას უყვარს — სისულელეა. ლუკამაც ხომ ის თქვა: დედაშენს ურჩიე, ჩემს ძმას მხარში ამოუდგესო.

— რა ჰქენი, ახლა მინდ დაჯექი? — მოისმა სამზაზდიდან რუსუდანის გაბზარული ხმა.

„ჩემზეც გულმოსულია, გრძობს, რაც დრო გადის, მართალია, მისი ისევე გვესმის, როგორც გვესმოდა, მაგრამ აღარ გვყვარა. იცის, დედა მამაზე მეტად გვიყვარს, მაგრამ მწარე სინამდვილეს, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, მამასთან მივყავართ.

— გამოდი, ბიჭო, კიჭა-საინის აქეთ-იქით თრევის თავი არა მაქვს!

— ა, ახლავე დედა... — ჩაიდუღლუნა, პალატიდან გავიდა და სამზაზდში სამფეხა ჯორკოზე ჩამოკვდა. მიმჭრალ კერიანზე ერთადერთი ნამწვავა მუგუზალი ხრჩოლავდა.

— მთლად მამაშენს თუ არ დამეგვიანეთ, არ შეიძლება?

— მამაჩემს ის აწუხებს, შენ რატომ გგავართ...

— ვაიმე, შეილებო!... — ამოიხენემა დედამ, შეგრილებული რძე ქვაბით ცხელ ლაღარში ჩადგა. გაბზარულ თეფშზე დაგდებული ცივი მჭადის ნატეხი ტაბურეტით ახლოს დაუდგა, — ჩაფხვენი ქვაბში, ქამე და მაგ გაქექილი შარვალი მაინც გამოიცვალე. ვინმე რომ მოვიდეს... ამ დასაქცევ ომში ჩინ-მედლებს უნგარიშოდ არიგებენო და შენ...

— ვინ უნდა მოვიდეს, დედა!

— დედაშენები... იქნებ ვატურტიაც გაიგო, აბა ძმას კარგავ?! — ხმაში ცრემლიანი სლუკუნი გაერია, თავი მიიბრუნა, რითაც შეილებს ყოველთვის გულს უჩივებდა.

— რატომ აცნობე, დედა, ხომ ვითხარია...

— რა მითხარი! რაფერ მითხარი მაგი... —

— არაა ახლა მაგის დრო... — ბაკურმა თავი ჩაკვდა და ენას კბილი დააკვირა.

გაიგებდა ეს ქალი ახლა იმას, რაც მას ხელ-ფეხს უკრავდა?

— თუ ისე მოგვლათ ბოლო, ჩემი აღარაფერი გეხმობს? მამაშენის ხომ გყვართ. შეხედე მას და მის ძმას, როგორ არიან!

— ჩემს ძმას და მის ძმას შორის...

— რაა, ბიჭო, შენს ძმას და მის ძმას შორის... ამისთანა უსაშველო... რა ქვეყანა დაგიტყვიათ ვატუტში!..

— არა დედა, ამას არ ვამბობ, არ დავეძებ... ბიძაჩემი კვდება და...

— რომ კვდება, მე ვკლავ თუ? მიდი და ბარბაქაძეს მოკითხეთ პასუხი! შანსი არ ვუვებ, მაგრამ ჩემმა შვილმა რა დააშავა?... რა ცუცხლი შემოგვლიდა, ბარბაქაძის გვარი პირველად გაიგონე თუ? აგერ ცხოვრობს კინწურაშვილებთან... სად მიდიხარ? ჰამე ორი ლუქმა, ისედაც სული არ გიდგას...

— ბებიასთან გადავალ.

რუსულდამს დაბალი შუბლი დაუნაკლდა.

მართა ძველი, დარკილი, წიფლის ოდის უკანა აივანში, მზის ყურში, იატაკზე იჯდა. ინდურის ჩამოცვენილი ფრთებივით ჩაფენა ირგვლივ სრული, შავი კაბა. მარჯვნივ თუნუქის შავი კოლოფი ედგა საკრებელი ნაჭრებით, ნემსგარკობილი ძაფის კოჭებით, გორგლებით, წინდის ჩხირებით და მაკრატლით ამოვსებული.

— მომეცი თითი, ბებია, ძაფს დავხიფავ, — ეხვეწებოდა ქილუქთან მიყუფულ შვილიშვილს.

— არ მოგცემ! — ჩლიფინებდა ანდრო და პირზე ორივე ხელს იფარებდა.

— ხელს არ გახლებ, შენ შემოგველე, კბილში გასანთლულ ძაფს ჩაგაბამ და მერე შენ მოიძვრე!

— არ მოვიძვრობ!

— მონძრეული კბილი რად გინდა, შვილო, კაკო რავე ერთ წუთში ამოიძრო!.. ე, შეხედე, ვინ მოსულა!

ბიჭი ქილუქს არ მოშორებია, თავი ისე მიიბრუნა და რიკულეებს მომდგარი ბაკური რომ დაინახა, ჩაქდა.

— გადმოდი, ბებია?! გამჩენა ვაგახარა, შვილო! ამოდი, აგერ დაჯექი და მაყურებზე შენთვის. ანდრო, სკამს არ გამოუტან ძამიას?

ბიჭმა დალუწული თავი გააქნია.

— იყოს, ბებია, სკამი რად მინდა! — ბაკური ოთხსაფეხურიანი კიბის თავზე ჩამოქდა.

— არა ბებია, არ ქნა შავი, დაოზრდები... — ანდრო, გამოუტანე სკამი, ნუ ამწყენებ, შე გასახარელო..

— არ მინდა მაგის მოტანილი სკამი..

— ე, ბებია, უფდე ყური, რას ამბობს ბაკური-ძამიე?

— მაგას მისი მოფამფალეული კბილი ვერ ამოუძვრია და საქმის გამკეთებელია?

დაბოღმილმა ბიჭმა შუბლს ქვევით გამოიხედა და ჩუმად ორი თითი პირში შეიყო, მართლა ასე „მოფამფალეულია“ თუ მომიგონესო.

— ბაკური, შენ გვონია ეშინია?! — შეეკვირვა ბებია.

— რა თქმა უნდა, ეშინია..

— ა, აგერ ნახე, მომიწიე თითი.. — ბაკურმა მოკაკული სალოკი თითი გაუწვდინა. მართამ ძაფი მოაოთხდა, შეგრიბა და ცერის სიმსხო ცვილის ბურთულა დაუსვა.

— მოდი ანდრო, ბებია, ამოგაძროთ შავ კბილი და მერე ბაკურის ტყვიანი გადავხვიოთ კაკო კლასიდან რომ მოვა, კი არაფერი ეცოდინება და შენ მოუყევი..

სკოლიდან დაბრუნებულ ძმას გავაკვირებო, ბიჭს სითამამე შეემატა, მაგრამ მონძრეულ კბილში რომ ძაფი ჩააბეს, ბებიას ხელებში ჩაატრინდა და დასაქაჩავად არ დაანება.

— ბებია, მაგას თუ არ უნდა, აგერ მე მიშველე!.. — ბაკურმა გიმნასტურის სამაჯურზე ღილები შეიხსნა, იდაყვის ქვემოთ ჭრილობას სახელო ააცალა და მკლავი ბებიას კალთაში ჩაუდო.

— მამაზეციერო! — აღმოხდა მონუქს, — ასე ხელძალით კაცისშვილმა, კაცისშვილი რავე უნდა დაასახიჩროს! ჭრილობას პირი შეეკრა და ნაიარევ-

ში წითელი, თოთო ხორცი ამოზრდი-
 ლიყო. იდაყვს ზევით, მხართან ამოგლე-
 ქილი ხორციდან, მტრედის კვერცხი
 რომ ჩაეტეოდა, ჩირქის სუნის ამოვარ-
 და. კბილზე ძაფშებმული ბივი ჯარის-
 კაცს შეაჩერდა, როცა მის ნახ ყნოსვას
 სიმყარაღემ ცხვირში ხელი წაუჭირა.
 ბაკურს რომ ვაეღიმა, ანდრომ ვაოცე-
 ბისაგან პირი დააღო, ამ კაცს მართლა
 ეღიმება, თუ მეჩვენებო. ბაკურმა რომ
 მარცხენა ხელი წაუწია და ძაფს ჩამოკ-
 რა, ბიჭმა პირზე ხელუბნი აიფარა, მაგ-
 რამ აღარც ძაფი იყო და აღარც კბილი...
 ტირილი და სიცილი ერთად აიტეხა.

— ეჰ, რა ვქნა, ჩემო შეილო... — უკ-
 ბილო ყბის ცახცახით გასცქეროდა მო-
 ხუცი ყვითელთავა ქაშენია ბალახით
 დაფარულ ეზოს, მხოლოდ ტყემლებ-
 თან და ნიგვზის ძირში რომ ჩრდილს
 დაეჩაგრა, — მაისი ილევა და ეზოში
 ბელტი არ გადაბრუნებულა. მე აწი
 თქვენი ჭირი წამილია, მარა ბაღნები
 დამიწყდება შიმშილით... ჩვენ ბარობა-
 ზე მამაშენის ცალი ხარი იყო და ვინ
 დაათრევს, კაციშვილი ვერ გაოგებს...
 არჭიფოს ყავდა შებმული...

— არჭიფო ხომ ჯარშია!

— ჯარში რომაა, იმან დაველუბა ჩვე-
 ნცა და მისი ცოლშვილიც... ე, ვადაიხე-
 დე მის ეზოში... კოლექტივში თუ რამე
 მოვიდა, სახელშეწიფოს ბარდება... მარა
 მაგი არ იდარდო, ბებია, ცოცხალ
 კაცს უსაშველო არ გაჩენია. ერთ წე-
 ლიწიანს, ბაბუაშენის სიცოცხლეში, ნა-
 მეტანი გვალვები წადგა და ივანობის
 თვეში დავთესეთ ყანა, ნაიდრს აჯობა...
 ანდრო, შეილო! გახედე, ვილაცა იძახის,
 თუ მომესმა?

— ი-იდახის! — წამოცდა ბიჭს, მომ-
 ძვრალ კბილს რომ ჯერ ვერ შეჩვეოდა,
 შერცხვა და კიბეზე ჩაბტა.

— ჰო, ბებია, ვახედე, ეფროსინეს
 ქალიშვილი იქნება!

— ეფროსინე... ესტატეს რძალი? —
 ვაუკვთოდა ბაკურს, ომამდე ამოდენა
 მანძილზე სამეზობლოდ არ დადიოდნენ,
 — რა უნდა?!

— საციქველზე არ იქნება... ან მე რა
 გამაჩნია, ვის რა ჩავასესხო... ეფროსი-
 ნე შემელმერთა, ვოგოს გამოულოცეო.

— რამ შეაშინა?

— იმ უბედურს, ობლობაში გაზრდი-
 ლია, კი იცი შენ, შვილო, ერთი ძმის და
 დედის შეტვი არაფერი გააჩნდა.

— ვიცი...

— და იმის დაღუპვის ამბავი რომ
 მოვიდა, კაი დაემართებოდა?

— მერე, ლოცვა უშველის?

— უშველის, თუ დაიჯერებს, უშვე-
 ლის...

ბაკური ადგა და შარვალი დაიფერ-
 თხა.

— წავალ, ბებია...

— იყავი, შეილო, დაელაპარაკე, იმე-
 დი უთხარია...

ბაკური შემოფიცრულ სასიმიანდეს
 მოეფარა. იქიდან გამოხედა ქიშკარში
 შემოსულ, ძაძით შემოსილ, გამხდარ,
 უფერულ ქალიშვილს, ეზოში მოკუნ-
 ტრულზე ბავშვს ლასლასით რომ მოყვე-
 ბოდა.

„თუ დაიჯერებს, უშველისო...“ — სა-
 სიმიანდის ლაფაროში ატუხულმა ჯა-
 რისკაცმა თავი ჩაქინდრა და ეზოს ბო-
 ლოსაკენ მოფარებული წავიდა.

ეფროსინეს ქალიშვილი, ნატა —
 კომკავშირელი, სტახანოველი ჩაის
 მკრეფავი და მეაბრეშუმე გოგო, ბაკურ-
 ზე სამი-ოთხი წლით უფროსი თუ იყო
 და ახლა შუახნის ქალს დამსგავსებოდა.
 მოსკოვში, გამოფენაზე რომ მიდიოდა,
 ესტატესთან და ეპრასისთან შემოირ-
 ბინა დასამშვიდობებლად (გუგუტა და
 ბაკური ფოთოლასთან იყვნენ). ეპრასიმ
 წალმა რომ დააბრუნა, ნატას სიცილით
 და ტყარცალით კინაღამ სული შე-
 უეგუბდა. ბედნიერს ღმერთი არ სჭირდე-
 ბა. ახლა, უბედურებით დაზაფრული,
 ბებიასთან დადის და შეშინებულის
 ლოცვით აბირებს გული საგულეს ჩაიბ-
 რუნოს...

„გულო, მოდი საგულესა, ჩაჩექი
 შესა ბუდესა...“

„გუგუტა...“

„ნატასთან შედარებით გუგუტა...“

„ნატა შრომის, ხალისის და სიხარულის ზღვა იყო... თუ ეს ანე დაილა დადნა და დაბეჩავდა...“

„გუგუტა ისედაც დარდის და ფაქრის უძირო ცისფერი ტბა იყო...“

„გულო, მოდი საგულესა, ჩაჯექი შენსა ბუღესა... გულთან კარი, სიღ აქუნა...“ — ზის ზენია აივანზე მზისსურში, ხელში დანით, ნახშირით, სარკით და ულოცავს ნატას.

„გულო, დედამ შევაშინა... გულო, მამა შევაშინა... დაყვირებამ შევაშინა, დამახებამ შევაშინა, ძმამ შევაშინა, დამ შევაშინა... კაცმა შევაშინა, ქალმა შევაშინა... მწითურმა შევაშინა, შავგვრემანმა შევაშინა, თეთრგვრემანმა შევაშინა, მტერმა შევაშინა, მოლაპარემ შევაშინა... შენ არ შეგეშინდა, მიწას შეგეშინდა... შენ არ შეგეშინდა, მიწას შეგეშინდა... შენ არ შეგეშინდა, მიწას შეგეშინდა...“

V

— დედას გეფიცები, პირდაპირ არ ვიცი... აუტანელია, შეუძლებელია ასეთ ბავშვებთან მუშაობა...“

მაგიდაზე დახრილი ფარნა არ განძრეულა, ისე გამოხედა მიხურელ კარზე მიყრდნობილ ცირეკიდის ქალს, რომელიც, სანამ დირექტორი თვალს გაუსწორებდა, სახეში მისჩერებოდა. ქალმა რომ მზერა კარადის თავზე გვერდშეწყულეტილ გლობუსზე გადაიტანა, ფარნას ის, იოლად დასათრგუნნი, ღიმილი გაუჩნდა, ამ მასწავლებლის საზღვარგადასული სასოწარკვეთა, ან პირქით, თავისი თავისადმი უსაფუძვლო რწმენა რომ იწვევდა, თუ საერთოდ იწვევდა ეს ქალი თავისი პირდაპირი ზასიათით და უზასიათობით.

— მე რომ მაგათი ხნისა ვიყავი და „მუმუ“ წაეციოთხე, მთელი დამე ტირილით გაეთენე! — ქალს მალლა მიპყრობილი, ელვარე თვალეები ახლაც დაენისლა.

— მედიკო...“

— მედული მქვია მე!

— რა ვაეწყობა, მედული, შენ ახლაც

რომ პირველად წაგეციოთხა, იტირებდი...“

— უიმი, ამა რას ვიზამდი. არ ვიცი პირდაპირ, დედას...“

— ნუ დადიციებთ, გიჯერებთ...“

ქალმა მოსაუბრეს თვალა წამით გაუსწორა და მერე გლობუსიც დაიფიწყა, ფანჯრიდან კომიტის კენწეაოებს გახედდა.

— მით უმეტეს ბავშვებთან ნუ ჩაიდიენტ ამას. მოწაფეს უნდა სჯეროდეს, რომ მასწავლებლის პირით კემმარტეზა დალაღებს. ფიცით ან ზედმეტი დარწმუნებით საქმე უარესდება... ბავშვებმა არ იციან, რომ ფიცი სცკრუის ვასამართლებლადაა მოგონილი. არ ეამბობ, რომ თქვენ ტყუიხართ, მაგრამ უნებური ჩვეულება პატარებს ისე არ ესმით, როგორც ჩვენ. ისინი ჯერჯერობით სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ.

— კარგი, ვასაგებია, მაგრამ...“

— ნუ ზრახობთ, ქალბატონო მედული...“

— დე... არც ვზრახობ და არც არაფერი!..“

— ნურც იმას ცდილობ, შენმა მოწაფეებმა სხვზე მეტი გააგონ და ერთბაშად იცოდნენ ყველაფერი ის, რაც შენ იცი.

— ესე იგი, რაც ვიცი, არ გადაეცე? ეს პირდაპირ...“

— „ეს პირდაპირ“... შეუძლებელია ბავშვებმა იცოდნენ ტურგენევის ადგილი რუსულ ლიტერატურაში, მისი მსოფლიო მნიშვნელობა და უსიამოვნება ტოლსტოისთან. ახლა მათ უნდა ისწავლონ „მუმუ“, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვენ ვცემის, ან იმ ქალბატონს და მუნჯ მსახურს ისე კი ვერ გაიგებენ, როგორც სხვადასხვა ფენის და კლასის წარმომადგენლებს. ჯერჯერობით უნდა გაიგონ როგორც ავი, თუ მაინცდამაინც ბოროტი და კეთილი, როგორც ეს ზღაპარშია, და ამისათვის კი არ უნდა იტირონ, ენდა მიეჩიონ, რომ ტირილი საქმეს არ შეეღის, უნდა ვაბრაზდნენ სიყვეზე... ანდა ჯერჯერობით არც ესაა საჭირო. უბრალოდ შეი-

ძღონ სიავე და თანაუგრძნონ დანაგრულს... ესეც თავისთავად... თუ ე და შენ დანადგლებთ, იქნებ ესეც საეჭვო გაეხადოთ.

— არ ვიცი პირდაპირ, როგორ შეიძლება მოუსმინო ბავშვს, რომელიც უპირალოდ... ვიტყვი, რომ გულგრალოდ პყვება ასეთი მშვენიერი ფინიასი დახრობის ამბავს. ჩვენ ხომ ბავშვში უნდა აღვზარდოთ მგზნებარე სული...

— ჩვენ უნდა აღვზარდოთ კეთილი და არა მგზნებარე ამბოხებულო, კაცის სიკეთისათვის რომ კაცს ჰკლავს...

— ეს კიდევ არაფერი... მოწაფე, რომელიც არ წაიკითხავს... ვიცი გაცვეთილი შეიძლება არ იცოდეს, მაგრამ ბავშვმა „მუმუ“ არ წაიკითხოს?! —

— ესეც შეიძლება.

— მაშინ მე, დედას გეფიცები... არა, არა, არ ვიცი...

ქალი მიტრიალდა და კარის სახეღურს ეცა.

— ტურგენევის არ წაუკითხავს „მუმუ“... — აუჩქარებლად, ხმადაბლა ჩაილაპარაკა ფარნამ.

— ტურგენევის არ წაუკითხავს?! — კარისკენ მიბრუნებულმა ნედლდომ თავი მოაბრუნა და დირექტორს გაცვეთილის უცოდინარ მოწაფესავით დამტუქსველად მიაჩერდა.

— არ წაუკითხავს და დაწერა — თავლის დაუხმამებლად ჩაილაპარაკა ფარნამ და კარის სახეღურზე ორივე ხელით ჩაფრენილმა, კისერმოლორებულმა მასწავლებელმა ისევე ის, ულვაშების ქვეშ შეფარული ღმილი მოგვარა, — ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენ უკეთესი ბავშვები ვიყავით, ან თვითონ ტურგენევი იყო ციდან ჩამოფრენილი...

— მაგრამ ჩვენ რომ წავიკითხეთ...

— ჩვენ სხვა დროს წავიკითხეთ „მუმუ“, სხვა დროს... — ფარნამ თავიც კი დააქნია, — სხვა... მშვიდობიანობის დროს.

— ახლა რა, ომი რომა... არ ვიცი პირდაპირ, „მუმუსთან“ რა კავშირია?

— დიხ, როცა მამას, ბიძიას, ძმას და

ახლობელს უკლავენ, ბავშვის ფსიქიკა გაუხეშდა. ამდენმა ძაძამ და ცრემლმა სიკვდილს ფასი დაუკარგა... კინოებში გერმანიელის გარდა მათი საყვარელი გმირიც იღუპება. ამას გარდა, ჩვენი სოფლის პატარებმა კი არა, უფროსებმაც არ იციან რუსული ენა და უჭირთ იმის აღქმა, რაც ასო-ასოთი ძლიერ-ძლივობით ამოიკითხეს... მაინც, ვინდათ წამოგყვეთ და მოსწავლეები დავტუქსო, ან დავსაჯო იმისათვის, რომ მთელმა კლასმა ერთხმად არ იცოდა გაცვეთილი?

— თუ თქვენთვის ეს ძნელია...

— არა, ძნელი არაა, მაგრამ ცუდია.

— მე მაშინ არ ვიცი...

— არ ივარგებს. თქვენ ბავშვები დასმენისათვის შეგიძლებენ. დამსმენი და გამცემი თუ ვინმეს სძულს, ბავშვებს სძულთ, შენ კი პირიქით, მათი საყვარელი უნდა მოახერხო. ჩვენ გვყავს ქართულის მასწავლებელი...

— თქვენ და იმას გაქვთ განსაკუთრებული...

— მე იმ ქალზე გელაპარაკებით... და მის განსაკუთრებული არაფერი გაანია... — ფარნამ ხმას დააწვია, — შეუხედავიც კია...

— მასწავლებლის სილამაზეს მოწაფისათვის...

— სილამაზესაც აქვს მნიშვნელობა... ლამაზი, ბავშვს კი არა, ნადირს აჯადოებს... წადით და ჰკითხეთ ქეთევან ჭავჭავაძის ქალს, როგორ მოიქცეოდა თქვენს ადგილზე...

— მაგრამ მე ბავშვებს დავემუქრე, რომ დირექტორს ვეტყვი-მეთქი და ხომ იფიქრებენ...

— მართალია, შენ შენი უმწიობა დაანახვე, მაგრამ ახლა ეცადე, რომ ამაში არ დარწმუნდნენ.

— მაშინ მე... — ქალს ცრემლები მოერია.

— ბავშვებთან არ ვაბედოთ... აქაო და ცრემლი მიხდებო, ყველგან და ყოველთვის კი არ უნდა აღვარღვარო...

— ნუ დამცინით, ბატონო ფარნა, მე ჩემი გავიძვება შეყოფა... — ვითომ

მწარე გაცინება მოინდომა, მაგრამ ცრემლიან ღმირს ვერ ვასცდა. საზელოდან ჩითის გაცრეცილი ცხვირსახოცი გამოაძრო, სალოც თითზე გადაიყეცა და ქუთუთოებზე მიიღო. კარი გამოიღო და სამართლიანად დასჯილი საზრიალი ბავშვივით გაბუტულმა, მორცხვად თქვა, — მაღლობელი ვარ...

ფარნა კარს ერთხანს მერეც უყურებდა, მასწავლებელმა რომ გაიბურა.

VI

ეზოს წინ შავი „ემედინი“ იდგა.

მანქანა კუთხე-მეზობლის გასაოცებლად და ფარნას განსაიხარებლად იყო ნაათხოვრები რაიკომის თუ ქალაქოვის მდივნისაგან. ვატუტი მამასთან კეთილგანწყობილების მისაღწევად დათმობას, ან მოჩვენებით დათმობას არ აპირებდა. პირიქით, არდაძებნის სრული, მაღალკერიანი ოთახებით, ჰოსპიტლის დირექტორობით და შავი მანქანით ფარნას აიძულებდა დაენახა „სინამდვილე“. ვარგუნულად ეს ახლა ბაკურის ჩამოსვლას ბრალდებოდა, მაგრამ ბაკური იმ მაინც მეორეხარისხოვანი იყო. გავლენიან ცოლოურებთან და საერთოდ ნათესაობასთან, მამის „განდგომა“ ვატუტისათვის მაინც ჩრდილი იყო. ამ ჩრდილს პრაქტიკულად ზიანის მოტანა არ შეეძლო, მაგრამ ყველა „ციხე-სიმაგრის“ ამღებ კაცს, საჯუთარ ძალეში იჭკვებდა და ზურგში მტრის დატოვებას ჰგავდა. „მტერმა“ ან თვითონ უნდა შეეგნოს თავისი უსუსურობა და „დაზადეს“, ან იარაღით უნდა აიძულა. ამ გაბურებულნი ომის დროს დაზავრული, მშვიერი ხალხი რომ ლუკმაპურზე ოცნებას ვერ ბედავს, შავი, ელვარე მანქანა ძლიერ საარტილერიო ზალსს მაინც უღრიდა...

ფარნა ეზოში, გვერდის კუტიკარში შევიდა და თოხი სამზადის ლაფაროში, ქილუქთან მიიყუდა. სამზადში რუსუდანს ფართო, ცაცხვის გობი დაედგა ტაბურეტზე და თოვლივით ქაოქათა

პურის ფქვილს ცრიდა, ცეცხლზე მჭამდა. თოქის კეცი გადაედგა.

— მაღლობა ღმერთს, ჩვენი მაინც არაფერი ღირდებათ... — ჩაილაპარაკა ქალმა, ფარნა რომ დოქი წყლისათვის შემოსული დაინახა და დაცვარული შეუბლი სახელთი მოიწმინდა.

„როგორმე თავი უნდა შევიკავო, როგორმე... ეს ქალი „მართალია“. დაჭრილი, სიკვდილს სასწაულით გადაარჩენილი ძმის სანახავად ჩამოვიდა ძმა. ძმას ჩამოყვანს სიდედრი და სიმამრი. ვარდა იმისა, რომ მოყვრები არიან, ეძებენ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ერთადერთი ვაჟის კვალს. უთუოდ ამ ქალის წყალობით ისიც იციან, რომ მამუკა, რომელიც მათი შვილის გვერდით იყო, ბაკურმა გამოიყვანა ცეცხლის ხაზიდან. ახლა შენ ნასიამოვნები ხარ შენი შვილის მათთან დამოყვრებით, თუ ნაწყენი, ამისთვის არავის ცხელა. წაყიდებულნი ძაღლები, მგლის წინააღმდეგ, მეგობრებია. თანაც, „მაღლობა ღმერთს, ჩვენი არაფერი სჭირდებათ“... „თავისი“ იმდენი აქვთ, ჩვენთანაა ულუკმაპუროებს ბარე ორს დააპურებენ... რას ერჩი, რა ხმა გაქვს ამოსაღებში... მიდი, სტაკე იმ ვეგება გობს ხელი, მშვიდობიანობის დროსაც წელიწადში ორჯერ რომ ვერ ხმარობდი, გადაუყარე ის ქათქათა ფქვილი შავ ძაღლს და აავსე სუფრა ნაირნაირით... სტუმარი ღვთისაა. სტუმარი მოსისხლე მტერიც რომ იყოს, სტუმარია“.

ფარნამ დოქი სამზადის სობანიან აივანში დატოვა და ბალატში შევიდა, პირსახოცი ჩამოიღო და ფანჯრიდან წინა ეზოში გაიხედა.

ჩასკენილი, ჩაყურებულნი, საშუალოზე დაბალი მეჭი არდაძე შოსან, მაღალ, თავაწეულ, ტანად მეუღლეს კონინდრის და ხეხილიან ეზო-ბაღში ნება-ნებნ დატარებდა და მასპინძლის მოლოდინში იქაურობას მცოდნე კაცის თვალთ ნამდვილ ფასს ადებდა.

ფარნა რომ სტუმრებს მიეზლა, ცოლქმარი, ეზოს კუნძულში, ქლიავის ძირში იდგა და ყოფილი სახალხო კო-

მისარი მომდერალ ქალს არწმუნებდა, ხუთასამდე ვენახის ჯიშია დღეს საქართველოში და უჯიშო ქლიავით, ტანქუროთ და ალი-ბუხარით იმ ერთი მტკაველა მიწის ვაცდენა, რაც გლეხს და სოფლის სპეციალისტს დაუტოვეს, მკრეხელობააო.

მახლოვებული ფარნა მარგალიტამ შენიშნა და ქმარი, ცოლის ნიკაპის კიდევ ოდნავ აწვეით და თვალეპში გაჩენილი ხელოვნური ღიმილით მიხვდა, ვინც უახლოვდებოდათ და სანამ მოზრუნდებოდა, ძველი ჩვეულებისამებრ, ხელი გახსნილი პიჯაკის შიგნით, შარვლის სათავეზე ვაისუა.

„ეს კაცი ალბათ ერთ დროს კარგი მშრომელი გლეხი იქნებოდა“...

— ოო, ამხანავ, ჩვენს მზახალს... — მექიმე მკლავი ისე ასწია, თათქოს სავსე კალათს ბეღლის კარებში აწოდებდნო და მასპინძელს მიეგება.

ფარნამ ორივეს ხელი ჩამოართვა, მაგრამ მაშინვე გაჩნდა ის უხერხულობა და გაუგებრობა, რაც მასპინძლის ცალ დახრილ წარბს მოჰყვა. საქმეს ვერც ამჟამი ქალის სიჯიუტემ უშველა, — რაკი ღიმილი ვისესხე, გავითავისოო, და ვერც ნაკომისრალის უბრალოებამ: — როტა მიწასთან ახლოს ვარ, მეც მიწის შვილი და ჩვეულებრივი მოკვდავი ვარო.

სტუმარი ქალი ვატუტის მამისაგან ამოდენა შეუვალობას არ ელოდა და შეურაცხყოფილმა, რომ სახეზე ყოვლისშემძლე ღიმილი ჩამომრეცხეს, თავი უფრო მაღლა ასწია და მხერა, ფარნას თავზე ვადმოხრილ, იპონური ხურმის მწვენი ნაჭოფს დაუმოხნა. მექიმე უფრო დაამორცხვა: „სიციხეები დამდგარა, არ დაგვალოს, მოსავალს ვაოხრებდნო“, — ჩაიდუღუნა და მასპინძელი მერე მოიკითხა.

— როგორ იმგზავრეთ? ქალბატონი დაილა... — თავის მხრივ ფარნამაც ვალი მოიხადა, და შავი მანქანის მძღოლი დარიგებული იყო თუ იცოდა, ასეთ დროს როგორ უნდა მოქცეულიყო, რაკი ოჯახის უფროსი გამოჩნდა და მისმა

პრიალა „ემადინმა“ თავისი მტკაველა კეთა, ჰიშკარში მოკრძალებით შემოიხედა და წასვლის ნებართვა ითხოვა.

— ხეალ დილით! — გასძახა არდაძემ უქმეხად და უმადურად: ამ კაცთან მეტი ტაქტიკა საჭირო, მე და შენ რომ ვიცით, ის არა კმარაო.

ვატუტი სადილობის დროს დაბრუნდა. ბებიასთან და ბიძასთან თავისი ხელით წაელო საჩუქრები და მამას ისე მოესალმა, ფარნას ჩამორთმევისას ხელი რომ არ დაეჭირა, ვადანებეოდა და ხანგრძლივი კოცნით „ამებდა“, მაგრამ არც ამისთვის შემეძარა, ვანზრახული რომ ვერ აისრულა. მაგიდასთან სიმამრის გვერდით ჩამოჭდა, მსარზე ხელი ჩამოაღო. მამაჩემო, შენ თუ არ გინდა, აგერ მყავს მამა, ვინც ალერსის და ცხოვრების ფასი იცისო.

— დედა, მამიკო! რა ქალია ბებიაჩემი, რომ იცოდეთ... აჰ, ფარნა სამსონინი?... — სიმამრზე ხელგადახვეულმა თავი მხარს იქით გადაკიდა. — აგერ, მამაჩემმა უკეთესად იცის, ორმოცდაათი წელია იცნობს!

— ლუკა, ბიძაშენი ლუკა როგორ ბრძანდება? — იკითხა მექიმე და ღია ფანჯარასთან სკამზე ჩამოჭდარ მარგალიტას შეაჩერდა: მასპინძელმა მე კიდევ პო, მაგრამ შენ ასე როგორ შეგბოჭა, ცის თავანის მაგიერ ხის ძირებს ჩაჩერებხარო.

— ლუკაც, აჰ, მამაჩემო?... — ისევ გადაკიდა თავი ბეჭზე ვატუტის, ვითომ მამის უკითხავად ერთი ნაბიჯი არ გადაედგას.

მარგალიტამ მოიხედა და მასპინძელს თვალი გაუსწორა.

— არაა კარგად, ქალბატონო მარგალიტა... — ფარნამ უღუგაშის ბოლო ვაწიწკნა და შუბლის ნაოჭები ჩაუღრმავდა.

— არავინ არაა კარგად... — ალბაზიშვილის ქალს უცებ შემოადნა ხელში, რაც მას დედობის გარდა ებადა და მაშინვე თავი შინაურად იგრძნო. ახლა

მას შეეძლო ფარნას თვალბში შეეხედა და მასთან ახლობნელვით ესაუბრა.

— ბატონო ფარნა, ბაყური საიმედოს არაფერს ამბობს?

— ბაყური, კაცო სადაა ეს ბიჭი ა? მგონი ეღირსა! — წამოხტა ვატუტი და კარში გავარდა. — ჩემი საყურა, ჩემი გმირი ძამიკო! — აყვირდა წყანა ზიანზე ვატუტი და ჯარსკაცებ ჯაქვბილ გალიფე-გემნასტრანში და ნაკვებში ძაფებად ქვეულ ტირბლ ჩემემეში, მობუზული, დაჭრილი „გმირა“, წელში გვერდიდან ხელებმოხვეულა თთახში შემოიყვანა. მექილ რომ ნაუცბათევად წამოდგა, გაშინაურებდა მომენტი ხელიდან არ გავუშვათ, მარგალიტამ ფარნას შეანათა ღრმა, დაბინდული ქლიავისფერი თვალეზი და თანაგრძნობით ჩაილაპარაკა:

— თქვენ მართალი ხართ, ბატონო ფარნა...

მასპინძელმა მხრები აიჩეჩა. მაგიდაზე იდაყვით დაყრდნობილ ხელს ნიკაპით დაყურდნო და სანამ მექის ჯარისკაცის ბეჭები ორივე ხელით ეჭირა და უკან თავგადაწეული ამოწმებდა, ფარნამ თანაგრძნობით ჩაილაპარაკა:

— ისე, როგორც თავის მხრივ ყველა მართალია...

VII

სკამის საზურგესთან მოტუხულმა მზიამ ბაყურის ყური ცხელ ხელისგულეში მოიქცია, შემფთოებით და ნიშნისმოგებით აჩურჩულდა:

— ხომ გუეზნებოდი, ბაყური, ხომ გუეზნებოდი?

ბაყური არ განძრეულა, ბარემ თქვი, რა უბედურებაც მოხდაო.

ქიშკართან ფოთოლაა და ტანზე ჭინჭებს ივლეჯს!

ბაყური სუფრიდან სარდაკრულივით წამოდგა. მზიას ღვინით შევიკვიცებულმა ვატუტემ მოხვია ხელი და გათავისუფლებულ, ძმის სკამზე ძალისძალათი დასვა, ხუმრობანარვე საყვედურით:

— მითხარი გოგო, რატომ არ გიყვარვარ მე შენ?

მზიამ სტუმრებთანაც კი არ დახედა. — ცხვა, ისე შეიცხადა, ეს რამ გათჩრებიანო, რაზეც ვატუტემ ედახითხითა?

— კარგია ეს დალოცვილი საყვარულა და კარგი ცხოვრება...

ძამით შემოსილი ფოთოლა ჭიჭრის ბოძთან ატუხულოყო. ძაღლმა ღრნა შეწყვიტა, როცა ბაყური მოუახლოვდა და იქაურობას გაეცალა.

ღამის ბინდბუნდშიც ფოთოლას დაეღაფა სახე ჩანაღლებულ ნაკვერჩხალივით ჩანდა, რომელიც ვერც დარდს და ვლოვას, ვერც შავს და ცრემლს ვერ ჩაექრო. ბაყურს კანერზე ჩამოეყიდა და ცხელი, მდულარე ცრემლებით დაუღუღუმა გულისპირი.

— ცოცხალი... ცოცხალი ხარ? ვიდვათ სული? ჩემო ჯველელებო, ჩემო გამწწარებლებო? ვანწკებლებო! — თითქოს მდულარეს აჭეფვდა, ისე პირდათუთქული იმეორებდა, ლოყით ლოყაზე ეკვროდა, ხელებს მხრებზე უჭერდა და თვალთავან ისევ ცხელ ცრემლებს აფრჭევვდა.

— კარგადაა... კარგად, კარგად... — ბლუჯუნებდა ბაყური, დარწმუნებული, რომ ფოთოლას ცხელ კლანჭებს თავს ვეღარ დააღწევდა.

— თუ კარგადაა, ჩემო დამლუპველო და დამაქცევარო, მოსპიტალში რა უნდა? კარგად მყოფს საავადმყოფოში რა უნდა!

— დაჭრილია, ფეხებშია დაჭრილი...

— ფეხები არა აქვს?! ვაიმე ძმაო!

— აქვს, როგორ არა აქვს!..

— ვაიმე ძმაო! ვაიმე, ჩემო უბედურო ძმებო...

— ესტატე ბიძია და ეპრასი...

— ვის კითხულობ, ბიჭო? მაგათი ამბავი საკითხავია? ამოვწყდით ბაყური, ეჭვსი ძმა მყავდა, ეჭვსი დედამამიშვილი... ჩემზე ბედნიერი ქალი ქვეყანაზე არ მეგულეობდა და ახლა ჩემზე უბედური და ბედდამწეარი არავინაა... შენ რას შვრები, ბიჭო? მაჩვენე ეს ხელი, შენია თუ სხვისი მოგაკერეს... მაგრამ ხელს ვინ დაეძებს, შენ ჩემო აღრე და მალე დამმიწებულო, რაკი

ცოცხალს გხედავ... წამოდი, წამყვივი, თქვენთან სტუმრებია მგონი, მაგრამ ახლა მე რა წყისი და ადამი მომეკითხება... ჩვენ ამბავს რატომ არ კითხულობ, ბიჭო? რა ამბავია ჩვენს თავს, რატომ არ ვინდა გაიგო?

— როგორაა...

— როგორ იქნება, შენ ჩემო მომსაზრო და მომრეცხაო, დამწვარს მღუღარეო, მე კიდევ გუგუტა მინდა? ჩემი ცეცხლი და არმული არ მეყოფა? ა, ბიჭო, რა არის ეს?! — ფოთოლამ დაურიდებლად გულისპირიდან მოღეული შუშა ამთაძვრინა და ბაკურის მარცხენა ხელში ჩაუღო.

— რა არის, რა ვიცი...

— ქერძაფია ბაკური! თქვენ რატომ გაჩნდით ჩემს მოსასაზობად და მოსანელებლად. ლეიბის ყურში ვუპოვე, რისთვის უნდა, ბიჭო, ეს საწამლაგი? რას აპირებ? რა მოხდა თქვენს შორის? იქცევა ქვეყანა და ახლა მაინც თქვი!

ბაკური მიყვებოდა, მაგრამ ფოთოლას კი არა, იმ პაწაწინა, თბილ შუშას, მუქში რომ ეჭირა და კარგად დამინებული ტყვიასავით შეეძლო გაეჭრო ადამიანის სიცოცხლე.

VIII

ყოველ სიტყვას აქვს მრავალგვარი გაგება, მაგრამ ადამიანის უსაზღვრო ნაზრევთან, შინაგან წინააღმდეგობებთან, მრავალმხრივობასთან, განწყობილების ნაირფერობასთან, შეუცნობელში შეცნობის უგზამკვლეო ბორილთან, მარჯვე სიტყვაც უნათოა. ეს ბაკურმა კიდევ ერთხელ დაინახა, როცა გაიგო ევპრასი და ესტატე შინ არ იყვნენ. რაღა საკითხავი იყო, დღეზე დიდი ჭირის მეტი მგლოვიარე მოხუცებს სახლიდან რა გადახვეწდა, როცა ისინი დაღმინების დროსაც არ დასდევდნენ ქვების გაწყარუნებას და დოლის ხმაურს.

მაგრამ ბაკურს ვერ გავგო, ეწყინა ეს თუ გაუხარდა; გაუხარდა, რომ ის პირისპირ შეხედებოდა გუგუტას, თუ პირიქით. სჯობდა, იქ ვინმე ყოფილიყო მოსარიდლი და ანგარიშგასაწევი? თუ,

საერთოდ, არ უნდოდა ეს შეხედრა? თუ ეს იყო მისი ერთადერთი მიზანი? არ მიდიოდა მისი გზები გუგუტასკენ, თუ ყველა გზა და ბილიყი მხოლოდ მასთან იყრიდნენ თავს? სასიხარულო იყო, რომ ქალი მისთვის თავგანწირული იყო, თუ სჯობდა, სულ დაევიწყა ბაკური, რომ ბოლოსდაბოლოს ერწმუნა — ამ ქვეყნად ყველაფერი ანგარების მონაა, და რაკი, მათი სიახლოვე არ ხერხდება, არ არსებობს გრძნობა, რომელიც ყველაფერზე მაღლა დადგება. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“, რომ ამბობს ხალხი, ეს მხოლოდ მთქმელის სურვილი ხომ არაა, რომ ერთმანეთის ქიშპობით დაბრმავებული თვალი აუხილოს? თუ გუგუტა არ იყითხავდა ბაკურის ამბავს, იყო თუ არა ეს უკეთესი, ვინემ უსასოოს საწამლაგი შეესვა?

არც ერთი არ ჯობდა, არც ერთი არ ვარგოდა.

და აქ ჩნდება რატომღაც კითხვა, მაშინ რა? პო, რა გერჩია, რას ინდომებდი, შენ რომ ბაკური ხარ?

არცერთ ამ სისულელეს!

მაშინ რას, რა ვინდა ახლა შენ? რა ჰქვია იმას, როგორ გავიგოთ?..

და ვერაფერს გავიგებს, სანამ არ იტყვი, მაგრამ იტყვი? როგორ იტყვი, როცა იმის სახელი კი არა, მინიშნებითაც არ იცი რა ვინდა, რა ჯანდაბა ვინდა.

ისიც არ ვიშველის, რომ შენ, ვილაც „მოსვირეს“ კარნახით როლს ასრულებ და მეტი არაფერი ხარ. ეს ცოტაა, უსუსური თავის მართლებაა. თოჯინა თუ ხარ, მაშინ შენ შენი სურვილები არ უნდა გქონდეს და ყველაფერი სულერთი უნდა იყოს, ან ის უნდა ვინდოდეს, რაც შენს „მოკარნახეს“ უნდა. თუ „მოსვირე“ გაცეთებინებს რაიმეს შენი სურვილის წინააღმდეგ, მაშინ შენ საკუთარი სურვილებიც გქონა. ის რომ მაინც გაცეთებინებს, ეგ სხვა ამბავია, უბრალოდ ძალმომრეობის ამბავია, მაგრამ საკუთარი სურვილების ქონა, ხომ ნიშნავს იმას, რომ შენ თოჯინა არა ხარ? თუ ვნებავს, თითებზე წამოგიცვან და თა-



ვის ხელტუტზე გატარონ და გათამაშონ...

ბაკურს კინაღამ თავი გაუსყდა, სანამ კინწურაშვილებთან ჩააღწევდა და არაფერი გაუგონია ფოთოლა ერთსა და იგივეს რას ქაქანებდა, ვიშვიშებდა და მოთქვამდა.

ინანა: არც ერთი წვეთი არ უნდა დამელიათ. მაშა არც დაგიშლის და არც დაგაძალეებს, მაგრამ ვატუტი მოგისმენს და მოგეშველება? აბა, მე რომ ვსვამო! — წამოკარხლდება. ახლა ხომ არ ატეხავ წილადობილს: შენც ნუ დაღვე, თუ არ გინდაო. აქეთ სტუმარი, იქით დედა...

დაღვე და... რაღაც ეშმაკი გაგინდებდა... ეშმაკი? ისევ არაა ის, რაც გონდა თქვა. გაჩნდება თუ შეგინდება ის, რაც, ალბათ, შენში მანამდე ფარულადაა, იცი ეს, ან არ იცი... ჩნდება შენში ის, რომ რაღაცას ეურჩები, ვილაყის ნება-სურვილზე გულამღვრული დაღიხარ და გიჟირს იმის გაგება, რომ სიყვარული და სიძულვილი, დაღატი და ერთგულება თანაბარია, რომ ერთიც და მეორეც — ადამიანურია. მაშინ ხომ სიყვარული აღარ იქნება, თუ სიძულვილი არ იქნა. რატომ ვინდა სიყვარული და არა სიძულვილი? ორივეს საწყისი ხომ შენა ხარ. რატომ ვინდა შენგან ერთი და არა მეორე? ცალ ფეხზე ხომ ვერ ივლი...

„მამაჩემის ბრალია ყველაფერი... მან მიგვაჩვია... (არც ეს სიტყვაა მარჯვე). კი არ მიგვაჩვია... ალბათ, სხვანაირად არ შეეძლო. გეაცხოვრა იმ სახლში, რომელიც მან აავა, რის პატრონიც იყო.

— ბაკურ! ბაკურ, მთლად დაყრუვდი იმ დასაქცევში, თუ ამისთანა უსაშველო მთერალი ხარ!

— აჰ, ჰო, ფოთოლა...
— სად ჯანდაბაში მიღიხარ, აქეთაა ალაგე, თუ შენ როდინდელი გახსოვს?!
— ჰო...
— რა „ჰო!“ თქვე, ჩემო დამმინებლებო, გამომყვევი, ტყემლის ძირია მაქეთ...

— ვიცი...
— შენ რომ იცი... ახლა მოჭრილი აგ-

ღია და არ წამოეგო... ხელი, ზეცა... მისი... მეცი! უჰ, ღმერთო, სული ამომხადე, ხომ არ გატყინე! რა ვიცი, მე შევდღეზე გაჩენილმა... რავარც მახსოვდი...

— არაფერია, ფოთოლა.
— ასეა ისიც... ორივე ასე რამ მოგწამლათ და მოგშხამათ. ხორცის ტყვილი რომ ადამიანმა არ იცის, რა უნდა ელაპარაკო!.. გაუსხეულდი, თუ რა ღმერთი გაგიწყრა?! შემოდი, სახლში შემოდი. ცარიელია ჩვენი ძირისკიდემდე კაცისშვილებით სავსე ქოხი. ბაკური, თურმე ღმერთს ვცოდავდით, რა მდიდარი ვყოფილვართ!

— ესტატე ბიძია...
— ხომ ვითხარი... თქვენ რატომ გაჩნდით, ჩემს აღრე და მალე მოსასპობად! აგურ დაჯექი! ეს ცეცხლი ჩამქრალა და სადაა აწი ის გოგო?! იდევი მაქ, რა ლევის წყრომა გვირს. წაუბერე ნაკვერცხლებს სული, ან შემა დაამატე და დამავრდი ადგილზე!

— ჰო, აგურ ვარ.
— მომისმინე ბაკურ! მისმენ? ან ნავთი სადა მაქვს, მაგრამ არ მინდა ავანთო... ხომ იცი იმის ამბავი, რა ქვეყანა დააქცია და დაამხო, შენ კი არა, მეც ვერ მიმართავს თვალს. იქევი მანდ. წავალ გამოვუშვებ... მე სულ არ დაგენახვებით და უთხარი რაიმე. უთხარი, ბიჭო რაღაცა! ადამიანის ცოდვას ნუ დაიდებ... თუ აღარ გონდა მისი დანახვა... რა ვიცი, აჰ... იმ დასაქცევ დღეს ჩვენ და ჩემი უმღლრი ძმები ჯარში რომ მიდიოდით, რამ გადაგვრია... მას მერე რა გაიგო, მამამისისთვის ხმა არ გაუცია, არც დედამისს — დედაჩემს უმართავს წარბს. ეს ჩემს მეტმა არავინ იცის, მაგრამ მე ხომ ვიცი... კარგი, თუ თვალით დასანახავად აღარ გინდა, ნუ დანახავ, მარა ორი სიტყვა უთხარი, რაღაც იმედი მიეცე. დაქცეული გაქვთ ქვეყანა თავზე და მეტი რაღა დაგიშავდება? მიწა ჩემს ენას, ხვალ-ზეგ წასასვლელი ხარ იმ სასაქლაოზე, დაბრუნდები უკან თუ არა, ვინ იცის და, რად გინდა მავის და ჩემი ცოდვა დაიდო. არ იქნება, ბაკურ, ძამია ეს ტყუილი, არ იქნება ეს

ქვეყნის დაქვევება... თუ იქნება, იმზობა მაინც და დაიმზოს!.. რაღაც უთხარი... შენი ხმის გაგონება ეყოფა... არ უნდა მეტი. ვიცი და დამიჯერე... შენც იცი ეს და ნუ მალაპარაკებ... გესმის რას გუბნები?

ბაკურმა თავი გააქნია.

— პო... კი... ჩემო ფოთოლა, კი...

— ღმერთო, რა შეგცოდნე? რატომ გააჩინე ესენი ჩემს სატანჯველად! თავს აქნევ და „პოს“ და „კის“ იძახი?! რომელი დაგიჯერო, რა ვქნა ახლა, რა ადიდებულ მდინარეს მივცე თავი! ბაკურ! — ფოთოლა გვერდით ჩაუცუცქდა და ხელი კისერზე მოხვია, — ჩემი ძამიე! თუ შენი გაშამებული ფოთოლასი რაიმე გწამს. ჩემი ამბავი ხომ იცი? თუ იმ ხუთ ძმამი გამოიმერჩეოდე, არცერთი ცოცხალი არ შენახოს! იწამე ღმერთი, გამიგონე. ხომ იცი, მაგი რატომ არ გაუწყალდა დედამისს, ნამეტანი სხვანაირია. მეც არა მჯერა, მაგრამ ვხედავ. სამი ძმა დავკარგე. კარგი, ვთქვათ, ვიმედობთ რაღაცას, მაგრამ ხუთივე რომ არ დამიბრუნდეს, თავს ვერ მოვიკლავ. ვიტყვებ, ვითაცემ, შავს არ გავიხდი, არ გაუთხოვდები და რა ვიცი... ნაყარს დაეყარი, მაგრამ თავს ვერ მოვიკლავ. ხისკენ პირი მიქნია, შენ რომ რაიმე მოგეწიოს, ამ წუთას, ცხრა ხატზე დავიფიცებ, შენს იქით, ერთ დღეს არ იცოცხლებს. მაგი კი არა, ბიჭო, თუ გადაწყვიტა... გადაწყვიტა ვთქვი? არ ვამართლა თავისი არსებობა, არ იცოცხლებს... არ ვახსოვს, ფანჯრიდან რომ ვადახტა? შენ გვონია მეორე ან მესამე სართულზე რომ ყოფილიყო ჩვენი კლასი, არ ვადახტებოდა? ხომ გესმის, ორთვენახვერითაა ჩემზე უმცროსი. ერთად დავიბადეთ და ერთად გავიზარდეთ, ვიცნობ მგონია და მაგისი მაინც არაფერი არ მესმის. შენი იმედი აქვს. „ბაკურმა იცისო“, „ბაკური ხედავსო“, მეც მითხარი, მეც გამაგებინე-შეთქი. თვალგბში მიცქერის, იმას კი არ მეუბნება, ვერ გამიგებო, თავს იქნევს, რა ვთქვაო. თქვენ რატომ გაჩნდით, რა გაჩნდით ასეთი... არაფერი კაცი მაგას ამ ქვეყა-

ნაზე არაფრად არ მიაჩნია, შენთვისაა თუა... კი არ გაშინებ, ბიჭო... თავზე კი არ გახვევ. არ იცი? მე უბედური, როდის ვიყავი ასეთი... მარა, გუბნები იმიტომ, მერე რომ თავში ხელი არ ვირტყა... არც ეს წამოგცდეს, რომ რაიმე გითხარი და არც ის, ძალით რომ წამოგიყვანე! დამიფიცე, მე დამიფიცე! მამუკა და ლეონი დაიფიცე!.. ჯორჯოზე ვერ დაეკეტი? დამბუყებია, ბიჭო, ფეხები!..

IX

საღლაციდან დაუბერა და ნაკვერცხლებს ნავლი წააცალა. ფოთოლა დაბრუნდა თუ, რაკი ფეხის ხმა არ ისმის, გუგუტა შემოვიდა? იგი ქუჩაშიც თითის წვერებს ადვამს...

უთუოდ აქაა, რაკი ბაკურს გული ქვევით იწვევს და ძგერას კი არ უმატებს, ველარ ძგერს და ხელის და ფეხის თითები უცივდება. თამარის სიახლოვეც არაა, უბრალოდ ქალის სიახლოვე, მაგრამ მასთან გული ზევით იწვევს და სუნთქვა ხშირდება, ძარღვებში სისხლი კი არ გეყინება, თბები. თამარი მაინც გაღლელებს, გუგუტა კი ვნებას კლავს და გადამლაგებს, მტკიენეულია. თამარი პირდაპირია, ნათელი, ხედავს და ამბობს, ვრძნობს და გაგრძნობინებს. შეუძლია განსჯა, შეფასება და დასკვნის გაკეთება. შემოსვლისთანავე გაგაგებინებდა, რომ აქაა, დაქდებოდა შენს გვერდით და გკითხავდა ამბავს, ან თვითონ იტყოდა შენს სათქმელს. ეს კი დგას აქვე, კარის წირთხლს აკრული და შეუძლია იდგეს დილაშდღე, ისე, რომ მისი სუნთქვაეც ვერ იგრძნო. როგორც უსულო არსება, როგორც ფიქრი.

ფოთოლა, ალბათ, მართალია. ამდენ სინჯუმეს, თრგუნევას და სულის დაგუბებას ადვილად შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს. ფოთოლას იმ შიშს რა დაავიწყებს, მაგრამ წელან რაც ენაზე მოადგას ის თქვა: დომენტი კირთაძის ბიჭი რომ დაიღრჩო, იმ შორევი გუგუტა რომ გადაეშვა, ათი წელი კი არა, ასიც

რომ გავიდეს, ეს ამბავი ძველი არ იქნება.

ასე უხმოდ და უსულოდ იჭდა მაშინაც ნაპირზე. ტიტლიყანა ვოგოები მდინარეში რომ დგაფუნობდნენ, ერთმანეთს ასკვებოდნენ და იქაურობას იკვებდნენ, ბიჭები — შავი მორევის გადღმა, მოხეუელს ქვევით დაკენტიობანას თამაშობდნენ გაშლილ, ღრმა წყალში და შეუტყობელი ინსტინქტით აყურადებდნენ ქალების ტანსაბანიდან გოგოების წიოკობას. ბესო უფროსი იყო, საბანაოდ და საჭეუმიპალოდ გინ მოაცვლევიანებდა, მაგრამ მისი უმცროსი ძმები უშანგი და სოსოც ნაპირებს დაყვებოდნენ და ტირიფის გაძენილ ფესვების ქვეშ ჭილეებში კბობებს იჭერდნენ. ღარიბ ოჯახში კბობ — შეკამანდია. ამ წვავდნენ, ამ კერიის ნაკვერცხლებზე.

ფოთოლას კვილი ბაკურმა გაიგონა ყველაზე უწინ, თუ სხვებს ისევ ვოგოების წიოკობა ეგონათ, დედამოხილა ბიჭი ნაპირზე ავარდა და უკანმოუხედავად მოკურცხლა. (წინა წელიწადს ისე დაიღრჩო შოთა კირთაძე, თავის დროზე მშველელი არაგინ გამოჩნდა). ფოთოლა წიოდა და კოდა, მაგრამ გარკვევით არაფერს ამბობდა, ბაკურმა რატომღაც მაინცდამაინც იმ კბოდეს თავზე აირბინა, რომლის ძირშიც შოთა ჩაიძირა. წყალში მსხვილ ლურჯკობლებიანი თეთრი კაბა დაფორიალებდა. მეორე ნაპირზე, ქალების ტანსაბანიდან, ვოგოები მიცვივდნენ და ფოთოლა პირდაპირ მორევიში გადაეშვა. ბაკური არასოდეს ვადამხტარა ამოდენა კბოდვადან. ან რა მსტომელი და მყვინთავი ის იყო, ნაპირიდან ნაპირამდე თუ გადაცურავდა: მით უმეტეს, იმ მორევეს, როგორც ნაძრახ ადგოლს. ყოყლოჩინა ბიჭებიც არ ეკარებოდნენ. მაშინ ბაკურიც წყალში აღმოჩნდა, მალე უშანგიც და ლაცაბიძის საჩინოც. წყალი დაკლებული იყო. შოთა კირთაძისთვის გაწყრა ღმერთი, თორემ, არც მორევი იქ ისეთი, თავი ვერ დააღწიო. ათ ნაბიჯზეა თავთხელი. ფოთოლა შეშინდა, თორემ მარტოსაც არ გაუქირდებოდა სიფრთხანა ვოგოს

გადარჩენა. მით უმეტეს, ცურვაში არც არც ერთ ბიჭს არ ჩამოუფარდებოდა.

რა მოხდა?

ასე უტყვავდ და მარტოსულად ნაპირზე წყალს ჩაჩერებული რომ იჭდა, თანატოლებმა დასცინეს. ვისთანაც ცხოვრობ, თუ იმ საზოგადოებას არ ჰგავხარ, სასაცილო ხარ. უკეთესი და უარესი კი არა, მსგავსი არა ხარ. ცურვა რომ არ იცოდე, ეს არაფერია, მაგრამ არ აპირებდა ესწავლა, არ ცდილობდა დამგვანებოდა მათ. ზღვაში ხატი რომ გადაგდო, გამოიჩყავს; სიძულელით კი არ ემართება ეს, ან შურით და მტრობით, ზღვის კენკებს არ ჰგავს და ვერ იგუეებს. დასცინოდნენ მარტო იმ დღეს კი არა, წინა დღეებში და წინა წელიწადსაც. გუგუტა სდუმიდა. დაცინოდა ფოთოლაც, (ფოთოლა მას მერე შეიცვალა, თავზე ვეღოლა), დაცინოდა, იქნებ, კარგი განზრახვით, როგორმე გავიდობიანო და წყალში ჩამოვიტყუოთ. ბოლოს და ბოლოს არ ეგონათ, თუ გუგუტას შეეძლო წყენოდა, თუ თავს არ უყადრებდა. თავის გაუყადრებლობა აღიზიანებს საზოგადოებას და დაგესვლას იწყებს. არც თავმჯდომარის და „უფროსების“ შვილები ეხატებათ გულზე. ბავშვებში შეუტყობლადაა ის ღვარძლი, რომელიც მერე უნდა შეიცნონ და საქმედ აქციონ.

რა მოხდა იმ დღეს, ვერაგინ ასხნა. ვითომ „ისეთი არაფერი გვეთქვამს, რაც სხვა დროს არ გვეხუმროსო“ — თავს იკლავდა ფოთოლა. ალბათ, აივსო მოთმინების ფილა და სავსეს ერთი წვეთიც მყოფნის, რომ გადმოიღვაროს. ამდგარა გუგუტა ასე უხმოდ, როგორც ახლა კარის საკოჭავთან დგას და წამოსულა ნაპირ-ნაპირ, მიღვომია იმ „კაციმკვლელ“ მორევეს და ვადმომდგარა კბოდუზე. იქით გოგოები ასხრიალებულან: ახლა იქიდან ვადმოხტება და შავ მორევეს გადაცურავსო. ლეთისწინაშე, ფოთოლას კი ჩაეარდნია ენა, მაგრამ მაინც ვერ წარმოუდგენია, ეს გაცრეცილი გოგო მორევიში თუ მართლა გადაეშვებოდა, როცა მდინარეში მუხლამდე წყალს იქით ფენი არ გაუდგამს.

მისი ქცევა დუელს ჰგავდა. დამბაჩას რომ ხელში პირველად აიღებ და ჰაერში ისერი, მოწინააღმდეგე კი იცო, შუბლს გაგიხვრეტავს. იღუპები, რომ გადარჩე და შენი არსებობა გაამართლო. შენ გეშინია, უძალური ხარ მორევთან, მაგრამ ვინც წყალში ყელამდე დგას, როდი გაპატოებს გულგრილი მაყურებლის როლს.

აი, ის ახლა აქ დგას უჩამიჩუმოდ და თრთის, კანკალებს. თუმცა მას თრთოლვის დათრგუნვაც შეუძლია, მაგრამ სანამ არ გაღურჯდება და არ აძაგბაღდება...

იქვე, სასლთან ახლოს, ზღის ხეზე მამალი აფათქუნდა და იყივლა, მკახედ, საშიშრად.

ბაკურმა კისერთან ცივი, სიფრიფანა თითები იგრძნო, ცოცხალი ლიფსიტებით მოცახცავ. ცივ ნორევში ჩაყვინთულივით შეუგუბდა სული და ორგან დაქრილი ხელიც კი შეისროლა, რომ მალლა ამოსულიყო და ჰაერი ჩაესუნთქა. ლიფსიტები თმაში შეეურდნენ, როგორც ნამღვევა გველთევზები მწვანე ჭილოფისა და ლაქაშის ძირებში საჩრდილობლად და თვალს მოსაფარებლად.

— გუ-გუ-ტა?!

— შე ვარ... ხმა... ხმა არ ამოიღო... არაფერი თქვა... არაფერი... სულ არაფერი... — ისმოდა ყურთან გრძლად, გაქიანურებულად, დაწყვეტილად... ეს ხმა არც ნაცნობი იყო და არც უცნობი, არც მახლობელი და არც შორეული, არც ალერსიანი და არც გრილი; მაგრამ ვაჟს როგორღაც მოთბო, ლბილ მოვის საბურველში ახვეეს. კი არ აცმევს, ჰმოსავს, თოვლის ფიფქივით ხასი რამ სხეულზე რომ დაგეფინოს, ერთმანეთში მოიქსოვოს, შენივთდეს და გამთლიანდეს თხელი ბუმბულის თაფთა სუღარასავით. თუ ეს სუნთქვა იყო და არა სიტყვა, რომელიც ბაკურს ასე ახლოს არ მოუქმენია. ახლოს კი არა, საერთოდ არ მოუქმენია, არ აქნოვდა ვუფუტა თუ სუნთქავდა, მისი მკერდი არ აღი-ზადი-ხდა. არც მისი უფენზო თვალები, ცის-

ფერი რომ ეგონა, ცისფერად და მტკნალი ტუჩებიც უსისხლო, სახის კანის დანამგვანი, მოიხდრო და მტრალი ასკილის ყვავილის ფერი. არც მის ტანს ჰქონდა სასხვისო სითბო და სუნი, არც მის მკერდს სამოთხის ვაშლის მაცდუნებელი იერი. ნაჩრდილავ, ხშირფოთლებში ნაზარდი ნაყოფივით, ხილი რომ მოიღვევა და ხე განიძარცვება, მერე თუ შეამჩნევ. არც სამითად ჩაწული ლამე ჩალისფერი თმის სურნელი იცოდა აქამდე, ლუტე ჭყინტი სიმინდის უღვამის სისათუთე და სუნი რომ დაჰკრავს, თუ ლაშის ნედლი ჭილოფის...

და არაფერი ვენბის აღმძვრელი, არაფერი გამომწვევი და სისხლის ანმულრევი. პირიქით, წყნარი, გამჭვირვალე, ნაჩრდილავი და მიჩქმალული, უტყვი და უსასკო. თითქოს მტკნარი ცისღერა ტბა — უღრანში ჩაქარგული, უშენაქადო და გაუმდინარი, ცის ნამის მოიმიდე.

მაგრამ ახლა იგი: ერთგული და მომთმენი, უტალღებო. აბობოქრება სიზმრადაც რომ არ ენახა, თრთოდა, ცახცახებდა, წუხდა; თავის შეუმჩნეველობას, ხელდაუქარებლობას, თავის სიწმინდეს, თავის ცისფერს და ნაპირებზე გადმოდიოდა... მაგრამ გადმოდიოდა უქარიზხლოდ, უნიავ-ქაროდ, თითქოს აუმღვრეველადაც კი, მაგრამ გადმოდიოდა. გადმოდიოდა აუზავთებლად, გაუმძინეარებლად, აუტალახებლად, მაგრამ ყრუ დაუტევრობის ვინით და სევდიანი, ფარული თავგანწირვით, რომელსაც ისეთივე წამლევკი ძალა აქვს, როგორც ბობოქარ წყალდიდობას.

შეიძლება ქარიშხალს განერიდო, აბორგებულ, მწუთხე ზღვაში არ შეხვიდე, თუ თავის იმედი არა გაქვს, ცოფმორეულ მდინარეს არ შეება, მაგრამ მტკნარი, მთრთოლვარე სალბუნი ტბა, რომლის ცისფერ სიანკარეში საკუთარ თავს ხედავ, ადამიანში იხველა თავკერძა ვინმე ზის, ვერა ძალა უკან ვერ დაახვეინებს, სულ რომ არა, თავის თავისაკენ წავა და უმკველოდ ამღვრევს, ააბორგებს, აალღვებს და მწუმვად აქცევს.

X

გვიან, ღამით, სტუმარ-მასპინძლიანად რომ ყველამ მიიძინა, ბაკური გამთენიისას შემოტვრასახლში და ფიცრულ ოთახში, წიგნის თაროებს ქვეშ, ტახტზე გულაღმა დაეგდო. ბნელ ქერს უპროდ თვალგახელილი შეაჩერდა. აიგნის კიბეზე ამოსვლისას წვივის ნაკუთალის ცახცახი ამოჰყვა და თავისი სხეულიდან ცოცხალი მხოლოდ ის ადგილი ეგულეობდა, მაგრამ გამოქანცულ, ბლანტ ტვინში, ნახვისარი ფიქრი შინც ფუთფუთებდა. ახლა აქ ყოფნას ისევ ფრონტი და ომი ერჩია. როდის ავივლდებოდა სოფელში დაღუპული ჯარისკაცის დედ-მამა, ცოლი და შვილი, და და სატრფო, ან ლუკა რა წუთში დაღუედა სულს, ხვალ დილით რა იმედი ეთქვა მარგალიტა ალხაზიშვილისათვის, როცა იმ პოლიდან, საიდანაც მამუკა გამოიყვანეს, ცოცხალი არავინ გადარჩენილა. ან რა იცის მარგალიტამ, მისი უზარმაზარი საიდუმლო აგერ ბაკურის ჩანთაში დევს, სადაურს სად წაიყვანს ბედი! ან მეტი არააძე სასწაულითაც ვერ ისინებრებს, თუ კედელს აქეთ დევს მისი ცოლის აღსარება, შვილთან საუკუნო განშორების წინათგრძობით რომ დაწერა... ნოშრევანი მექის კი არა, მარგალიტას ერთადერთი სიყვარულის — მუსიკოსის შვილია, რომელიც ხუთი წლის წინ უგზო-უკელოდ გააქრეს.

გუგუტას საწამლავეთ საესე შუშა ამდენხანს ლეიბში ჰქონდა დამალული და ამაღამდელი ღამე ალბათ უბედურებას დაჩქარებს თუ, რა თქმა უნდა, რაც ბაკურს ჰგონია, მოხდა, მართლა მოხდა. ალბათ კერიის პირზე რომ ფოთოლამ დატოვა, ჩაქონა და დანარჩენი კომპარული, ენებიანი სინზრის ნათამამარია. გუგუტას სიშიშვლე და აღერსი?! თავგანწირულის უკანასკნელ ნახტომს რომ ჰგავდა! ლუკა ბიძიას ალბათ დაქიაქებელი ფილტვებიდან სისხლის დენა აუტყდა, როცა მისი ძმისშვილი ამ მართალი კაცის გამცემის და ცილისმწამებლის ქალიშვილს გულში იქრავდა.

უსაზღვროდ უყვარდა და აქამდე უბედური იყო თუ უბედური, არ გახსენებია. ჯვარცმული ბიძა, იუდას სისხლსა და ხორცზე ლოცულობდა და იუდას ცისფერ ბანგს სვამდა... მამა ამალამ ნალიაში, თვავზე წვეს, რომ ცოლის ამონასუნთქი ჰაერი არ იყნოსოს. დედამ დღეს, კიდევ ერთხელ, გააეთა ის, რითაც მამასთან თუ საერთო რამ ჰქონდა, ისიც დაღუბა. ერთგული ძმისშვილისაგან ნალალატევი ლუკა მალე აღარ იქნება, ბეზიაც ცას ვერ გამოეყვრება და ჩვენ — შვილებიც რომ დავიღუბებით, მამას აქ აღარაფერი დარჩება გულსაწყვეტი... მამა ბედის მორჩილი კაცი არაა და დედა ამქვეყნად მარტოდმარტო დარჩება.

„ომში ყველაფერ ამისაგან შორსა ხარ, შენი თვლით ვერ ხედავ და რაღაცის იმედი გაქვს — თუ მტერი ამდენი ფიქრის და დარდის დროს არ გაძლევს! ეს მყუდროება და სიმშვიდე მძიმე და უძიროა. იქ, ზარბაზნის ქუხილიდან ქუხილამდე, იცი, თვალის მოტყუება უნდა მოასწრო და მკვდარსავეთ გჭინავს... იქ ლუკმას რომ იშოვი, მაშინვე უნდა ვადაყლაპო, რომ მტერმა, ან მოყვარემ ხელიდან არ გამოგაცალოს. იქ იმაზე ფიქრობ, სად გამოთხარო ორმო და სორო, რომ ტყვისა ვადაურჩე, ვისა აქვს იმის დრო, ითავცემოს, უჭირს თუ ულხინს, ვის სცალია ცოდვა-მადლის გასაკითხავად...“

სემიჩასტნის აზოვის ზღვის სრუტის ნაპირას ასაფლავებდნენ და მტრის თვითმფრინავებმა მესაფლავე ჯარისკაცებს მიწის მიყრა არ აცალეს. ბესო არ მოშორდა მანამ, სანამ მეგობრის ზღვისპირა ნავსაყუდელი სილით არ აავსო და ორივე ფეხი დააღწევს... ვალიას რომ არ გაეწირა თავი, სანამ თვითმფრინავები იქაურობას დატრიალებდნენ, ბუჩქნარიდან ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდა... ეს არც არავის უყვირდა და არც სილანჩედ მიიჩნდა... ვინც მოკვდა, მოკვდა. დაუმარხავად ჰყრია დახოცილები, ზედ ალაკებ, წვები მის გათხრილ სანჯარში... მის ჩანთაში ჩარჩენილ

პურის ნატეხს ლოდნი, დაღუპულის კბილები რომ აჩნია და ცხოვრობ... აქ, ესტატე კინწურაშვილს სამი ვაჟი დაეღუპაო და ქვეყანა თვალბზე ხელს იფარებს, იქ შთელი პოლკი გაწყდება და არავის უკვირს... აქ, ლუკა დააბეზღესო

და დამსმენმა შთამომავლობით უნდა ზღოს და ზიდოს კაცის მოღალატის და მკვლელის უმჭიმესი სასჯელი. იქ ასობით, ათასობით კაცი გაიცემა, გაწყდება ან მტერს ხელში უვარდება და გამკითხავი არავინაა..."

თავი მეოთხე

I

მტერი ვაგვასიონს მოადგა და, ცატეხია მიწვერეალებს შეუვალობის იმედით, თითქმის ღვთის ანბარად მიტოვებულ უღელტეხილებს, ქეჩოში მოექცა. ღრუბლებს ზემოთ ატანილმა ზარბაზნის ქუხილმა ქვეყანა გააყრუა. აქამდე თითქოს კიდევ იყო უკან დასახევი და ფეხის მოსანაცვლებელი. მომხდურებს ეს ცას მიბჯენილი, ბუნებრივი ციხესიმაგრე რომ გადმოეღაბა, მერე ბარში და შარავზაზე რალა დაამაგრებდა.

ამ ამბავს დიდი სტრატეგიული შორსმჭვრეტელობაც არ სჭირდებოდა, ისედაც დღესავით ნათელი იყო და უმაღლესმა შთაფარსარდლობამ მოაფხანინა თავი, ვინც უთუოდ ჩაუგდო ხელში მტერს თავდაცვისათვის ასე მომგებიანი შთაგრებილი.

შეიცვალა ფრონტის სარდლობა და ისევ ქულზე კაცი იხმეს, მაგრამ საქმე უკვე ერთიანად გაძნელდა. პირღია უფსკრულების თავზე გადმოყუდებულ კლდოვან თხემებზე მოქცეული, საგანგებოდ გაწვრთნილი, ჩასანგრებელი თვითიული გერმანელის ბუდის ასაშლელად ათი ჯარისკაცი მინც უნდა გაგეწირა და მეთერთმეტე თუ იქამდე ტყვიის წვიმამის როგორმე აფორთხდებოდა, ვინაშო მტრის სამალავი ცარიელი დახვედროდა.

სახლიდან გამოპარული ბაკური შვებულებს, თუ მკურნალობის დარჩენილ დღეებს შავი ზღვის ნაპირას ატარებდა, გულზოდელ კოჭლ, მაგრამ ოქრო გუ-

ლის პატრონ კბილის ექიმთან თავშეფარებულ.

კბილის ექიმ პარმენ ეორეოლიანს მატარებელში გადაეყარა, უფრო სწორად, თვითონ პარმენმა იცნო, თავისი უმცროსი ძმების სიყრმის მეგობარი და ფარნა მასწავლებლის ვაჟი. მართალია, პარმენმა სოხუმამდე ვერაფერი გაიგო, ბაკური ნაწილში ბრუნდებოდა, ჰოსპიტალში, თუ საომრად, მაგრამ ეორეოლიანი არ იყო აღმანიანის სულში ხელის ფათურს მოყვარული. თავის გულის კარებს ნაცნობ-მეგობრებს ისედაც ადვილად უღებდა და თუ რაიმე ებადა, არ ეშურებოდა. ცხოვრების რთული, მწარე გზა ჰქონდა გავლილი და არაფერი უკვირდა. მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო. უმაღლესში რომ სწავლობდა, მისი ფეხის პატრონი, ფოსტალიონად და კურიერადაც კი მუშაობდა. ერთი შორეული ნათესავის კარზე რომ აღამებდა, ნაცნობის, ან თანაქურსელის კარზე ათენებდა. შიშხილის ფასი უკეთ იცოდა, ვინემ სიმაძღრისა და ეს სიყრმის გაკვეთილი მოწიფულობისასაც არ დავიწყნია. ახლა მით უმეტეს, ამ ქვეყნის დაქცევისას, ბაკურს სახლის კარს მიუხურავდა? ქალაქის შუაგულში, ფოსტის თავზე, ნახევრად სხვენში, ორ მორჩილა ოთახში იყო შეუყუებული საოცრად თეთრ, ფუნთულა ცოლთან და ერთადერთ ქალიშვილთან. ვინც ფოსტის მეორე სართულს ზევით, ძალზე ვიწრო კიბით მის ბინამდე აძვრებოდა, იქ კარი ყურთამდე მოღებული დახვდებოდა. სახურავში გამოკვეთებულ ექიმის საწყა-



ფელს მერცხლის ბუდის ტოლა აივანიც ჰქონდა, საიდანაც ზღვაც ჩანდა და მთაც.

ბესო კინწურაშვილს ისე მოეკეთებოდა, ყავარჯნებზე ძლიერი მკლავებით დაყრდნობილი, კბილების ლაწუნით, ფეხებს ჰოსპიტლის ეზოშიც კი დაათრევდა და ოლეანდრის ბუჩქებს მოფარებულ ძელსკამზე ტანსრული ვალია დაღეწილ მუხლებზე უჯდა. რას იზამ, ვისი თაფლობის თვეც ტანკში დაიწყო, მისთვის ბალი და ძელსკამი ბუმბულია, თუმცა ასეთ ზღვისპირა ქალაქების ბალებში, ქალები მამაკაცების მუხლებზე ჯდომას მშვიდობიანობის დროსაც ახერხებდნენ.

თამარი, მოსკოვიდან ევაკუირებულ მამამისის უახლოეს მეგობარს, ყურნალისტ გენადი შუმსკის, გარეუბნის ბარაკებში ოჯახით შეხიზნულს, თავისთან ჰყავდა. ცალთვალა შუმსკი აქ თურმე რუსულ ვაზეთში თანამშრომლობდა და თამარმა, ყირიმიდან რომ დაქრილებით დატენილ გემს ჩამოჰყენენ, საზღვაო პორტში დამხედურებს შორის იმ წამსვე იცნო. კაცს ერთი ნახვითაც არ დაავიწყდებოდა: კოკივით მაღალი, შავი ატლასის ნაჭრით ცალ თვალახვეულო, ცეცხლისფერულფეხიანი, ჭორფლით სახედატალული შუახნის კაცი. მოსკოვში მირიანაშვილებს და შუმსკებს ერთ სადარბაზოში, ერთ სართულზე ჰქონდათ ბინა. ამას გარდა ამ ოჯახებს რა აკავშირებდათ, ბაკურმა არ იცოდა, მაგრამ თამარს რომ ღვიძლი ბიძის დანახვა ისე არ გაახარებდა, როგორც ამ ძველი კარის მეზობლის ხილვა, მაშინაც აშკარად ჩანდა. შუმსკის თამარი მაშინვე ჰოსპიტალში მოუწყვია ექიმის თანამდებობაზე და ბაკურის შევებულეობაც, ალბათ თამარის თხოვნით, მანვე მოახელკეთილა. ვალია აფხაზ მედიცინის დანათან — ეთერ ანბასთან ათევედა ღამის, როცა ბესო მის სასთუმალთან მჯდომ ვალაზე დაქრილი ჭარისკაცების მშვიდი თვალების ქვერტას ვეღარ აიტანდა.

ბაკური, თამარმა რა თავგზაბნეულიც

გაისტუმრა, კიდევ უფრო ბედგამწყობი დაუბრუნდა. ამ ბიჭს რომ თვალთმაქცობა არ შეეძლო, ალბათ ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ ქალს გული მისკენ მიუწევდა, მაგრამ მის სოფელქვეყანაში ამისთანა რა კუპრი იხარშებოდა, რომ დაქრილს თვენახევარიც იქ არ გაეძლებოდა.

ვაჟის ისე ადრე გამოჩენამ ქალიშვილს ფრთები შეასხა, — მე აქ ვეგულეობდი და შინ გული არ დაუდგაო. იმედი მოეცა, იმ გოგოსთან უთუოდ ყველაფერი დამთავრდაო. ვითომ სხვის უბედურებაზე ხელის მოთმობას არ აპირებდა, პირიქით, შევებულეობა გაუხერხა, „მისთან“ გაგზავნა, — შუაში არ ჩავჩრილვარ, ცოდვაში ფეხი არ ჩამიდგამსო.

ბაკურმა, თამართან შეხვედრის თავის არიდებასა და თვალდახუტობანას თამარის შემდეგ, მეორე დილითვე, ბესო ინახულა, და მერე ბალებში ჩაფლულ სანატორიუმის შენობაში მოთავსებულ ჰოსპიტლის, რკინის გისოსებიან, კიშკართან ცისფერ ძელსკამზე ჩამოჯდა. დაჯდა და დაჯდა, მე შენ გეტყვი, სადმე ეჩქარებოდა, ან გული სადმე მიუწევდა. ბალებში შავ, გაფხვილ ხალათმოგდებელი, შეყვითლებულ საცვლების ამარა დაქრილები დახეტილობდნენ, როგორმე ისეთი ვინმე უნდა ეპოვათ, ორას გრამ „ჩაჩაში“ ის საცვლებიც გაეცვალათ და თუნდაც დედიშობილა ევლოთ.

სულის შემსუთველა სიცხე იდგა. ვერც ჩრდილები შეელოდა საქმეს და ვერც ნახევარ კილომეტრზე უსიციოცხლოდ მოშრიალე ზღვა.

— ბაკური?! — იკითხა თითქმის უკვე ჩაველით თამარმა და სიხარულისაგან კისერმოღრეცილი დარჩა. მთელი ტანით რომ შემობრუნებულიყო, ერთხანს ვერც ეს მოიფიქრა.

ვაჟი ძელსკამიდან დადლილი მოხუცივით წამოიღვა და დაუდასტურა:

— ბაკური.

თამარი, როგორც იქნა მობრუნდა, მაგრამ დაელოდა, — ბარემ გზა ქალა-

ქისკენ გვაქვსო და ისევ გაუჩნდა ის შარშანდელი დიმილი — „ასეთ დროს მხოლოდ მე ვიღივებო“, მაგრამ ახლა ეს დიმილი სიხარულს გამოხატავდა, თუ ამ სიხარულის უადგილობას და ულოგოებას კენწლავდა.

— რა თქმა უნდა, მე არ მოვნატრებივარ... პო, მართლა, თქვენები ყველა კარგადაა?

ბაკურმა ახედა საყვედურით, თუ მადლობითაც კი და ქალს სანამ რაიმეს ეტყოდა, ისევ ფიქრი დასჭირდა.

— ხომ არ სჯობდა, სადმე ჩამოვმდარიყავით?... იქნებ აქ არა, მაგრამ სადმე ზღვის პირას... — მაშინვე იაზრა, ვაჟი დაყინებით არადერს უპასუხებდა და თვითონვე გატყდა, — ახლა, რა თქმა უნდა, სახლში შეჩქარება, ბავშვები მიტორის-მეთქი, ვერ ვიტყვი.

— ყველაფერი, ყველაფერი, დედა და მამა კი ბატონო, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩვენ შვილები არ აგვიტირდება.

ტაატით მიმალა ქალმა ნაბიჯი კიდევ უფრო შეანელა:

„ეს იმას ნიშნავდა, რომ ბაკურმა იმ გოგონებზე ხელი ჩაიქნია, მაგრამ საერთოდ ქალზეც და ქვეყანაზეც გული აიყარა? თუ ეს ახალი, ცხელი შთაბეჭდილებებით დაბრუნებულს ჩამოჰყავა?“ — ამ წუთას სხვას ფიქრობდა და ხმამალა მაინც სხვა თქვა:

— გენადი ევტიხის-ქემ მითხრა, აქ მალე ქართული დივიზიის ფორმირება დაიწყებაო.

— გენადი?

— პო, ჩემმა მასპინძელმა და მამობილმა.

— ალბათ...

— ბესოს მაინც ქართულ ნაწილებში ურჩევნია. რაც სემინასტნი აღარა ჰყავს...

სანაპიროზეც აღზი იდგა. ზღვა უკიდევანო შედღნასავით წყნარი და დონდლო იყო. თუთქი, ნესტიანი ჰაერი ხუთავდათ. თამარი ბეტონის უშველებელ, ოთხკუთხა ლოდზე ჩამოჯდა, წყალში ჩაუირავებულ გვერდზე ღამ ტალღა

ზანტად უტყალაშენებდა. ზღვის დაბრეც ნაპირზე ჩაიკეცა.

სადღაც, ნავსადგურის მახლობლად, საყვირმა დაიზრუტუნა.

— ეპ ბაკური, ბაკური...

ბაკურმა ლოდზე ჩამოვმდარ ქალიშვილის მუხლისთავებს ახედა, მაგრამ თამარს კაბის წაფარების სურვილი არ გასჩენია.

ვაჟი მიხედა, თამარს ბარძაყში გავლილი ტყვიის ნაჭრილობები აღარ აწუხებდა და კითხვაც ეუხებრხულა.

— ეპ, ნეტავ სად არიან ახლა ჩემები... — ჩაილაპარაკა ზღვის სივრცეში მზერამიკარგულმა ქალმა.

იქნებ ეს მის უთვისტომობას და ქვეყნად ამ დამუნჯებული ბიჭის აშარად ყოფნას ნიშნავდა; მასთან ერთ ლოგინში რომ ლამე გაეთია, ხელს სხვის დასანახავად თუ გადახვევდა. დრო კი მიდიოდა. ქვეყანა დაღუპვის კარზე იდგა და არც მომავლის იმედი რჩებოდა.

ბაკურმა, ვითომ მე თუ ვიცი, ეს რა ბედენააო, ჩაილაპარაკა:

— მე კი ვიცი, ჩემები სად არიან და როგორც არიან...

— მამუჯასი თუ რაიმე გაიგეთ?

— ცოცხალია.

— რას მეუბნები — გულწრფელად გაუხარდა ქალს, — სადაა?

— კასპიის ზღვასთანაა... გოგო წასულა...

— ვინ? სად?

— თეკლა... მახაჰყალაში თუ სადღაც...

— ბაკურ, მე ისევ ეჭვი მეპარება...

— რომ მამუჯა ჩემი ღვიძლი ძმია?

— ლეონი?

— არაფერი ისმის.

— კრილობა როგორა გაქვს?

— წუხელ ჩემმა მასპინძელმა...

— აქ?

— აქ, რალაც სპირტში არეული ალუბლის წვენი მასვა და იდაყვს ზევით გამიმისხებდა.

— ბესოს განკურნებამდე მოვირჩება. — ქალმა ერთხანს იყუნა, —

თქვენ რომ წახვალთ, მე აქ, ჰოსპიტალში დავრჩე?

ბაკურმა ისევ ახედა. ქალს ფეხი ფეხზე გადაედო.

— თქვი, თქვი, მეტი რა დამემართება... — თამარი ბეტონიდან მძიმედ ჩამოხტა.

— დარჩი... შენთვის აქ ჯობია...

გაგონარებული მზე ზღვაში ჩასაძირად დაიწვია. თამარი გზას დათვლილი ნაბიჯით დაადგა, თითქოს ტანის ამჩატებას ცდილობდა, რომ ხრეშის ხრამუნს მყუდროება როგორმე უხეშად არ დაერღვია.

— ბაკურ, ვგრძობ... არ ვიცი რა დაერქმევა ამას, მაგრამ მე მაინც სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მეყვარები...

— მეც... — დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა ვაჟმა და ყელში მთელი დღის მანძილზე გაჩრილი სიმშრალე გადაყლაბა.

II

სირენებისა და საყვირების ბლავილში, თვითმფრინავების ზუზუნსა და ხალხის ჩოჩოლში, პარშენ ყორყოლიანი თავისი ფუნთულა მეუღლით და მეუღლის ლეიბით და საბნით რომ ვიწრო კიბეებზე ქვევით ჩამორბოდნენ, აივანზე მათი ახლად აღერებული ქალიშვილი, პერანგისამარა გამოიჭრა და ბაკურს კინაღამ ლოგინში შეუწვია. უკვე მეორე სართულზე ჩასული დედის ძახილს ყურად არ იღებდა, ბაკურს, კიდევ კარგი, შარვლის ჩაცმა მოესწრო. სადღაც ღრუბლებს ზევით მოზუზუნე თვითმფრინავების გამო აღგომას სულ არ აპირებდა, მაგრამ მასპინძლებს ამით უფრო შევაწუხებო, ახლა რომ ეს თავგზაბანული, აცხცახებული გოგონა ეკვროდა და ეკითხებოდა: რა მოხდება მოწყენილო ჭარისკაცი, დაგზოცავენ? თუ დაგზოცავენ მე თქვენთან ერთად მინდა სიკვდილი და რა უქნაო...

ბაკურის, სახურავს რომ ბოში დასცემოდა, ისე არ მოსჭრიდა ყურებს,

როგორც ამ გოგონაში სიკვდილის შიშით უეცრად გაღვიძებულმა ქალმა შეაქრო.

— არაფერი არ მოხდება, თავშესაფარში წადი!

— თავშესაფარში ჰაერი არ მეყოფა... მე გულის მანკი მაქვს!

გოგონა მხარზე ეხვეოდა და მაქალო, მკვახე ვაშლებივით ძუძუებით ფერდის ნეკნებს ეკვროდა.

— მაინც წადი, თავშესაფარში წადი! მეც მოვდივარ! — ბაკური წამოდგა, რომ ასე გვერდზე მიწებებული როგორმე მოეშორებია.

კიბეებზე პარშენი ამორბოდა ყვირილით.

— ნანული! გოგო, ნანული! ბაკურს ციფა ოფლმა დაასხა.

ნსული გონს ახლა მოეგო, აიენის მოაჩირს გადაეყუდა და ღრუბლებში მორიალე პროექტორების შუქს გაოცებული შეაჩერდა.

— გოგო, სადა ხარ! — ამოიხრა პარშენმა, — არ გეყურება?

— აქა ვარ, მამი! — თითქოს სიხარულიც გამოკრთოდა გოგონას ხმაში.

— ასე უბედური კაცი ვარ... მოსწონს ეს ცის ჩამოქცევა... სანთელი სად წავიდა, სანთელი რომ იყო აქ?

ბაკურმა ხალათი გადაიცვა და ავანგამებულ, ბნელ ქალაქს სხვენიდან დახედა. ღრუბლებში სადღაც ორიოდ ბომბდამშენი დაზუზუნობდა და ცის თავანზე მორიალე პროექტორების, თითქოს მართლაც მშვენიერი შუქი და მოგანგაშე საყვირ-სირენები მეტ ალიაქოსს ტეხდნენ და გულს უხეთქედნენ მცხოვრებლებს, ვინემ მტრის თვითმფრინავებს შეეძლოთ.

— მამი, ჩვენი მოწყენილი ჭარისკაცი ამბობს, არაფერიც არ მოხდებაო!

„თამარი იმ მხარეს არ ცხოვრობს, სადღაც თვითმფრინავები ტრიალებენ, — გაიფიქრა ბაკურმა, — რატომ გამახსენდა ეს გოგო? ალბათ მთელი ცხოვრება ვიფიქრებ მასზე, როგორც გუგუტაზე. თამარის სიცოცხლე ალბათ უფ-

რო დაზღვეულია, გუგუტას ბომბი სასთუმალში უდევს..."

— ბაქური! — მოისმა ოთახში ფეხაყრეფით მოკოჩილე პარშენის გაცრეცილი ხმა.

— აგერ ვარ, პარშენ! — აივნიდან გაეპასუხა დამორცხვებული ბაქური:

„რა მიქნა ამ გოგონამ, ეს რა დღეში ჩამაგდო!“

— ჩემს ამბავს არ იციტხავ? რა მომივიდა ბიჭო ეს? — აივნის კარში თავი გამოპყრო თეთრ, უსაყელო პერანგზე პიჯაკმოგდებულმა პარშენმა, — შენ ჩვენი ოჯახის წევრი არა ხარ...

— პო, არა...

— და განგაში რომ ატყდა, არ მომაგონდი... სასაცილო ვარ ახლა მე? გოგო, რას უყურებ! პერანგის ამარა ხარ, გამოდი აქეთ! რა გქნათ, რა ვიღონოთ ახლა ბაქურ?

— არაფერია, პარშენ, ჭერჭერობით სავანგაშო.

— გესმის, მამი? ჭარისკაცებმა ყველაფერი იციან!

— გამოდი აქეთ, კაბა გადაიცვი! არც ისე პატარა ხარ, სირცხვილი რომ არ იყოფი! გული ხომ არ გაწუხებებს შეილო?

— ძალიან მამი... ძალიან! — შეილაპარაკა ოთახში და ქალაქთან ბომბების აფეთქებების ხმაც მოისმა.

— ვაიმე შეილო! დავიღუპე ბაქური! ნანული, ნანული...

პასუხი არავის მიუცია. გარედან განგაშის და ქალაქის ხმაური კედლებიდანაც ჟონავდა და პროექტორების შუქის ანარეკლთან ერთად ოთახში გუზდებოდა. პარშენი ლოგინზე თავდაღმა დამხოზილ შეილს ეცა, იტაცია, მაგრამ კიბის ძირში ახლა ქალის კვილი გაისმა.

— ვაიმე, შეილო!

— არ ამოხვიდე, დედაკაცო, მოვლივარ! — იყვირა საწყალმა ფეხმტკივანმა კიბმა, მაგრამ ჭერ ცალ კარში და მერე დამრეცი კიბის ვიწრო ღერეფანში გაეხიზა მძიმე ტვირთით.

— ჩადი ქალო დაბლა, გამივიარდება ბავშვი ხელიდან!

— გაუსკდა გული ზოომ? — მოისმა კენესა და ბრაგვანი ერთად.

— არიჭა ბაქურ, მიშველე!

ბაქურმა ოთხი საფეხური ჩაირბინა და პარშენს გულწასულა შეილი ჩამოართვა, მაგრამ შკლავებზე გადაწვენა არ მოხერხდა და გულზე პირდაპირ ჩვილივით აიხუტა.

პარშენი კიბეზე ჩაგორებულ ცოლს დაედევნა და მეორე სართულის მოსაბრუნთან წამოაყენა.

— ნუ გეშინია ნათელა, ნუ გეშინია, შე ქალო!

— სადაა?... რა დაემართა!

— აგერ, აგერ, ბაქურს მოყავს, არაფერი უჭირს. წამოდი ქვევით, წამოდი, გზაში არ გაეხიდა!

გულწასული მოცოცხლდა. ბაქური კირის ოფლში გაიწურა, როცა ფაფუკი, თბილი შკლავები კისერზე შეეცოცდნენ და შემოეჭდნენ. გზადაგზა გოგონა, ფუნჯულა, მოქსუტუნე ცხვირით ჭერ ყურის ძირში, ბიბილოს ქვეშ შეუძვრა. მერე ყელის დაბერილ ძარღვზე ცხელი ტუჩებით და წვრილი კბილებით ჩააფრინდა.

ბაქურს მოუნდა ხელიდან გაეგდო ტვირთი, მაგრამ თითქოს მისი მოცილება არც ისე იოლი იყო, თანაც რალაც სასჭელივით სავალდებულოც კი იყო მისი ტარება. მართლა ხელიდან არ გამოცდესო, შკლავები კიდევ უფრო მოუჭირა. ამან გოგონა წაახალისა და წვრილი კბილებით ყელის გამოწიწკნა მოუნდომდა.

ბაქური წაფორჩილდა.

— ფრთხილად, შენი კირიმე, არ დამლუპო, აქეთ!.. ქალო, იარე შენს გზაზე შენი... აქეთ ბაქურ, მეორე ეზოშია ეს დისაწევი თავშესაფარი...

ვილიცამ გაიშლიგინა და გულზე ტვირთაყრულ ბაქურს გზა გადაუჭრა.

— სად მირბიხარ, რომელი ხარ?! — მოძახა პარშენმა და ქუჩაში გავიდა. მოპირდაპირე სახლის საღარბაზოდან

ვილაცას აჩხალებული ძუძუთა ბავშვი ჩამოჰყავდა, ვილაცა ჩემოდნებს მოახრიგინებდა. პარმენი გაძლიანებულმა ცოლმა შეაჩერა და როცა ბაკური ზედ მიაწყდა, ნათელა აყენესდა:

— ნანული, დედა... ნანული, შვილო!

ნანულიმ ბაკურს ზურგზე მკლავები მომჩეარულივით ჩააკიდა. დედა მაჯაში ეცა და დაუკოცნა, გული საგულეს ჩაიბრუნა, დაწინაურდა, ქუჩა ვადასჭრა. გოგონამ, მამაც რომ მეზობელი ეზოს შიშვრისაკენ წასული დაიგულა, მკლავები „მოწყენილი ჯარისკაცის“ კისერს ხელახლა მაგრად შემოაკდო და წვრილი კბილებით ისევ ყელის გამოწიწკნა მოუნდომა.

„ეს საცოდავ იმართლა გულმანკიანია და სიყვდილის შიშმა გარყვნა ასე, თუ... აბა, ამას ჯერ როგორ უნდა მოესწრო ასე გათახსირება... ახლა, მოსერიეს გარდა, თამარიც რომ მიყურებდეს...“

— ბაკურ, არ წამოედო, ლაფაროში აგერ სილით სავსე ყუთია! — მოისმა პარმენის ხმა და ბაკური დედაბრის მზრებში შემდგარ ქალსა და კაცს წამოეწია.

თავშენაფართან ვილაც თითქოს წესრიგს მოითხოვდა, მაგრამ თავისი ნათქვამი თვითონაც არ ესმოდა, ისე მონოტონურად იმეორებდა: „პორიადოკ, სლუში, პორიადოკ!“

პარმენი მიწაში ჩასასვლელთან დახვდა ბაკურს, ხელი მიაშველა, კისერზე მიკრული ქალიშვილის ჩამორთმევა მოინდომა, მაგრამ ნურას უკაცრავად.

— ეშინია, არ დაემატვრიო! — ვილაცას უხსნა პარმენმა. ძუძუთა ბავშვიანი ქალი ქვევით ჩავარდა. უკან საბანბალიმით გულზე აკრულმა ფაშვამა დედაკაცმა ჩასდია. უძღური დედაბერიც მოიტანეს და ბაკური გვერდზე გასწიეს.

სრული ორმო ამოვსებულყო. ნათელას ლეიბის ვასამლედი იდგილი რომ ველარ გაეხერხებინა, ორად გაკეცილის ყურში ჩამომჯდარიყო. ნანულიმ რომ იგრძნო, ჯარისკაცის გულიდან მომგლე-

ვენო, ყელიდან ორი ღლის ჯუნჯარზე ლოყაზე გადაინაცვლა. ბაკურმა თავი გაიქნია. ყურთან გოგონას ჩაქირჭილუბასავით ქსუტუნი მოესმა და ყვრიმალთან კიდევ ერთი ცხელი კოცნით დაიხიჯა.

მიწის ქვეშ შშორის და ნესტის მწკლარტე სუნი იდგა. ყველაფერი ორმოში ჩაყრილ უდედო წიწილების წიაქს და სხრიალს გავდა, თავზე რომ ქორი დატრიალებს.

ბაკურმა, როგორც იქნა, ეს სიზმრის წურბელასავით ყელში ჩაფრენილი გოგო მოიშორა და უკან ამობრუნდა. ორმოს თავზე თითქოს გამოღვიძება მოინდომა, მაგრამ ვინ აცალა: ჯერ წესგამრიგემ არ ამოათქმევია სული და მერე პარმენმა არ მისცა საშველი :

— Порядок!

— ახლა, გულადობა, ვაკაცობა და ბომბი...

— გულადი არა ვარ მე, პარმენი! — რალაც ხეწნასავით აღმოხდა ბაკურს.

— ბიჭო, შენ მართლა ასე კი ბიჭი ხარ? — ჩასასვლელის საფეხურზე ამოინაცვლა და ჩაჯდა პარმენი. წესგამრიგეც თავშესაფარის კართან მიიყუტა და ახლა იქიდან გამოსძახა?

— Порядок, товарищи!..

— ჯარისკაცია ეს და იცის პარიადოკა! — მიძახა და ბაკური რომ ამ საგანგამო აღურზაურს აინუნში არ აგდებდა, პარმენმაც ნერვები დაიწყნარა, — მარა ბაკური, მაქანე ნუ დადგები!

— მაცალე ბატონო პარმენ, ამომათქმევით სული.

— მოიცა, მოიცა, ჩამოდი ქვევით და აქ ვილაპარაკოთ. დედაკაცი გადამერევა, ჩემი გაჭირვებაც ხომ უნდა გაიგო? გული არ უვარგა ბოვშს, კიდევ ეს მინდა მე?

„ამ კაცს თვალეზში როგორ შევხედო“ — გული მოეწურა ბაკურს, მაგრამ „ავადყოფნე“ არ ბრახობდა, თითქოს ეს განებერებელი ბავშვის სიყვარულობანას თამაშად მიაჩნდა, ყველა ამ თამაშის და ტანჯვის წამომწყები კი თითქოს ისევ სადღაც ეფულებოდა.

ნელნელა პარმენიც მალა ამოძვრა.

— თმიდან რომ ნაცნობი კაცი ბრუნდება, ნაცნობი კიარა, თუ ვინდა უცნობიც იყოს, და შემხვდება, მიწაში მინდა ჩაძვრეთ... რა ვუყო ამ ფეხს და გულმანკიან შევილს, თუ არა, ფრონტზე მინდა გავიქცე...

— რატომ, აქაც ხომ უნდა იყოს ვინმე. შენი ოთხი ძმა იქ არაა? — ვითომ არაფერ შუაში იყო და მაინც ნამეტანი დამნაშავედ გრძნობდა თავს ამ კაცთან. ყოველნაირად ცდილობდა მის გამართლებას.

— ასე მგონია მეც, მაგრამ ვატყობ ის კაცი არ ფიქრობს ამნაირად. ახლაც კი არ ფიქრობს, მტერი რომ კარზეა მომდგარი და სასწაული რომ მოხდეს და ჩვენ გავიმარჯვოთ, მერე ამ ქვეყანაზე ვინ გამაჩერებს?

— აბა, გამარჯვებული შენ დაგოწყებს ომს?

— ამ არემარეზე თუ არ დაგაყენა... მე კომისარიატოს საექიმო კომისიის წევრი ვარ... იქ რომ გასაწვევები და დანაპრილები მოჰყავთ, შესაქმელად არ ვეზოგებით.

— ყველგან ომია და იმიტომ... მართო ფრონტებზე რომ იყოს ხოცვა-ქლეტვა და სისხლის სმა, რა სათვალსიერო იქნებოდა? — ბაკურმა კისერზე ხელი მოისვა, წედანდელი წვრილი კბილებით დაწიწკნილი და ნაკონი, ახლა აეწვა.

— ნათელა! — ჩასძახა პარმენმა ბნელ ორმოს, — აგერ ვართ, არ შეგეშინდეს, არაფერი არ ყოფილა იმისთანა, ჩვენ რომ გვეგონა!

ორმო მიყუჩდა, თითქოს ქორს სხვა საკბილო ეშოვოს და აწიაქებული წიწილები მიეტოვებინოს.

— ჩამოდი, პარმენ, გამისკდა გული აღამიანო! — ამოიკენესა ორმომ.

— რაფაა გოგო?

— კარგადაა, კარგად! — ამოსძახა ვიციკას ხლიჩინა ხმამ, უფრო იმიტომ, თუ შენც არ მოგვემატები, ისედაც სუთნოქვა ჭირს, აჯობებსო.

— ჩამოდი, პარმენ, ჩამოდი, არ გესმის კაცისშვილის?!

— ცოცხლად ჩავეწე სამარეში, დედავაცო? — ორმოში ვილაყეებს გაეცინათ, — ასეა ცოცხალი აღამიანი, გესმის? გაეცინათ...

— აქ კი არა... ვიცი.

— ალბათ იქაც... ასეთია საწყალი კაცის ბედი.

„არა ხვალ ამ კაცს რა პირით შევხედო, — უურისძირი ეწვოდა ბაკურს, — ან ის ჭინკა თვალს როგორ გამისწორებს!“

— ქართული დივიზიის ფორმირებას ამირებენო და არაფერი გაგივია, ბატონო პარმენ?

— მაქვს კი, ურამოკრული.

— მე და ბესოია კინწურაშვილს რაღაცა უნდა გავგიხერხოთ.

— ესტატეს ბიჭზე ამბობ, ხომ?

— დიხ.

პარმენმა ხმას დაუწია:

— დამპირავენ ბიჭო, ჩემი გაჭირვებაც გაიგე, ციმბირს აქეთ დამატოვებინებენ.

— აბა, ჩვენს ნაწილში გაგვზავნიან? სადღაა ჩვენი ნაწილი...

— შეგბულება... რაღაცა ერთი თვით შემოძლია გაგიგრძელო, კრილობაც ხომ გაწუხებს და მერე უნდა წახვიდე როგორმე.

— გაგრძელება რა ჯანდაბად მინდა!

— აბა, ახლავე წახელო?!

— ჰო, ამას გეტბნებო.

— დივიზიაში გამიშვიო, ამას?!

— ჰო.

— ვა, შე კაცო, მაგას უჩემოდაც მოგიხერხებენ.

— მე არა მიშავს, ბესოზე დამპირდება შენი დახმარება, ცალი ფეხით ნამეტანი კოჭლობს. არა და, ქართულ დივიზიას რომ ჩამორჩეს და მეც დამცილდეს...

— არ ივარგებს, არა?

— არა...

— მაშინ მე გასწავლით თქვენ. თუ პოსპიტლის კომისიამ უარი უთხრას, დააწერინე განცხადება ქალაქის კომი-

სარიტის სახელზე და ჩვენთან კომისი-
აზე რომ მოვა, ყავარჯენს ნუ გადააგ-
დებს, აიღოს და დაგვიშინოს თავში: სა-
მშობლო განსაცდელშია-თქო.

— ასეთი ლაპარაკი რა იცის ბესოიამ,
პარმენ!

— რომ იცოდეს, მე კი არ გასწავლი-
დით. კომისიარს ეცეს, შენ აქ რომ წამ-
ომჯდარხარ და მაგ ქაღალდებს ზუთხ-
აგ, ან ფრონტზე წადი, ან მე გამიშვი-
თქო... აგინოს, ლანძლოს და რალაცას
მოგუხერხებთ.

ცაზე პროექტორების შუქი ისევ და-
რიალობდა, მაგრამ თვითმფრინავის ხმა
კარგახანია აღარ ისმოდა.

— ვითომ გადაგრჩით?

— ის ათოდე ბოშბი სადღაც გარე-
უბანში ჩამოყარეს, ახლო-მახლო მინებს
თუ ჩაამტვრევდა, სხვა ზიანის მოტანა
არ შეეძლო, ცეცხლი არაფერს წაქიდე-
ბია...

— წასულა ზალხო, ის „პატიოსანი“
და მე შემალეებით მაგ სოროში?! — ჩა-
სძახა ხუმრობის გუნებაზე დამღვარმა
პარმენმა პირღია ბნელ ზერელს და ბა-
კურთან მოიბოდიშა, — ჯერ არ დაეხო-
ცილვართ და რალაცა უნდა ვთქვათ, აბა
რაფა გინდა?

ჯამალ ინჯია

ნარნა სურბაველის წიგნე

როგორც კაცს ვეღარ აღმოვაჩენთ
ვეელაზე პირველს,
ისე ვერასდროს აღმოვაჩენთ
პირველ მოთხრობას.
დრომ განვლო — ცოცვა უსწავლია
გუმინდელ ფრინველს,
სამეფო კვერთხში გაუცვლია
კეტი მათხოვარს.
არა, არ არის ეს „წამება“
ჩვენი პირველი,
ქვეყნად წამებას ვინ გამოლევს
და ვინ დანთმრავს.

არ მოკლებია ხალიბურ ხმალს
გამომპირველი
და სკიურში ახლაც შეაერთლებს
ხოლმე ნაომარს.
ქართებილემში, ცრემლი, სისხლიც
ბევრი გვდენია,
მაინც ვყოფილვართ საკუთარი
გზის გამმართველნი,
ჩვენს მწერლობაში „შუშანიკი“
მეიმდენვა,
თვით ცურტაველი მერამდენც
არის ქართველი.

სივოსხის ხარება

შენს მწვერვალ ტუჩებს ვეღარ მოვეშვი
და, როცა უკან დარჩა მთელი დღე,
რად გამახსენა თრობის აზარტმა
ომის დროს ჭენჭის ბურთი, რომელშიც
ბოშა ქალები ნახერხს ტენიდნენ
და ათ შაურად ვიდდნენ ბაზართან.

ორცხობილასთვის გადამალული
ფულით ჩვენსავე სიყრმეს ვიძენდით,
ის ბურთი ხძლებდა ნახევარ ტაიშს...

დახეტყვილ ვენახს ჭგავდა მამული
და შორს წასული მამა-ბიძები
გვიახლოვებდნენ ხანატრელ მაისს.

მე ისე მიინდა იყოს ძლიერი
ჩვენი ერთობა — კაცის და ქალის,
რომ სიყვარულმა ომზე იმძლავროს
და კვლად ვიწყებ შენზე იერიშს,
რადგან სიცოცხლის ხარება არის.
მონატრებულო ჩემო სიზმარო!

წავალთ ამ ქვეყნით
უპოვარიც, მილიარდერიც,
მამულის ხოტბად
შეაცვდება ყანწები ყანწებს,
ხოლო ზეცაზე
მოციგლიც ბრილიანტები,
სადაც ეს ლოცვა
მიწიერი არასდროს აღწევს —

ზემოდან იხე
მედიდურად გადმოგვეყურებენ,
გაქეზებენ და
გააცდუნებენ — აბა, შემოგვეწვდიო,
თითქოს ისინი
არ გვებნისოს სატრფოს ყურებზე,
ან დასანიშნი
ბექტდის თვლებში არ ჩაგვემწყვდიოს.

მ ა რ ა ტ ი

მალაზიაში შარლოტა კორდემ
ორად-ორ

ლიერად იყიდა დანა...

ორატორს

ძლიერ უყვარდა კორდი

ო, რატომ

აღარ შრიალებს ყანა...

ისვენებ, მაგრამ თან ნერვიულობ,

ესე იყო და იქნება მარად, —

რა იაფია რკინეულობის

მალაზიაში სიკვდილი, მარატ!

რა იაფი ხარ, სიცოცხლე, სხვისთვის,
მსურს სახოვანი გქონდეს იერი,
კონვენტის კართან ამაოდ გიცდის
მოუსყიდველი რთებსპიერი.

მალაზიაში შარლოტა კორდემ
ორად-ორ

ლიერად იყიდა დანა...

ორატორს

ძლიერ უყვარდა კორდი...

ო, რატომ

აღარ შრიალებს ყანა...

ს ა შ ი რ ა ო

მოჭიდავე აშენებდა ამ გორაზე
სრა-სახაზლეს და საძირკველს როცა თხრიდა,
ამოიღო ძელები, როგორც ავგაროზი,
ამ ადგილის ძველისძველი მოსახლიდან.
გადაიხსნა ის საფლაფი, გადასწორდა
და შენობა აღიშართა მშვენიერი,
ჩვენი ძელები ვერ გასძლებენ ათასწლობით
ისე, როგორც დროს უძლებდა ჩვენი ერი.
ვარსკვლავები მალე ზეცას მოჩითავენ,
დაეცემათ ბინდი ბურქთა აფოფრილთა,
აივანზე შუქს აანთებს მოჭიდავე
და გაზეთებს გადააელებს კმაყოფილ თვალს.
ვის საფლავეზეც ვზარობთ, როგორც ფარვანანი,
იქნებ თავი გულუბრყვილოდ ჰგონია შინ,
ის ვაგაკაცი იქნებ იყო ფალავანი
რომელიმე წონით კატეგორიაში.

გრიგოლ რუხაია

ვახუშტის სირი

აჰა, ესე რა: ვახუშტის ხიდი!
მტკვარი ჩაივლის აქუაყენ აწი
სულ სსგანაირი კრძალვით და რიღით,
როგორც უბრალო ქართველი კაცი.
მოვა ფოთლების მარაოს ქნევით
და მორიდებით შედგება ქარი,
როგორც წამწამთა დაშვება ქვევით,
როგორც უბრალო ქართველი ქალი.
აჰა, გახედვ: ვახუშტის ხიდი!
მსუბუქი, სუფთა, ამხანაგური,
ლამაზი, წყნარი, ნათელი, დიდი,
როგორც უბრალო ქართული გული...

• • •

მიყვარდე, ვიტანჯებოდე
შენით, ჩუმად და ნელა,
სახელად მერქვეს ვიფარგი,
შენ — ლალი ანდა ლელა!
გბრწყინავდე ცისკარივითა
ფველაზე კარგი ქვეყნის,
ყანაში მიმაგალები
სალამს ვიტკოდეთ გლებნი,
შვილების სწავლას მკითხავდნენ
ქტევეს ამის თუ იმის,
მე კიდევ თავს ვიწონებდე
გმაყოფილების ღიმით,
მიგუგებდე და ვკითხავდე
ამბებს მთისა და ბარის,

რომ ვიღაც გვევ ლაგილა
ცული მჭედელი არის,
რომ გვანცამ ჩაის კრეფაში
ჯილდო მიიღო მეცხრე,
რომ ლაფშა კოლექტივისა
წერა გამხდარა მეწყრის..
მერე ყანები ვრცელები
„ოდოია“ და „ჭერი“,
მერე შუადღე, სადილი
ცოლებს მოხელის ჯერი.
სახელად გერქვეს სამშობლო,
ანდა ქართული ვნა,
მიყვარდე, ვიტანჯებოდე
შენით, ჩუმად და ნელა

მოხაზვნი ნაღი

მამლის ჰირველი ყვირლის ეამი
დგება და ისევ ვურცლებს უხიზარ
რა სიჩუმეა!

ნაგვიანვე

გაიშრიალებს ავტობუსილა.
შენთვის ლექსია აწ ვველაფერი:
ფარი და ხმალი, ღვინო, გუთანო.
კიდევ ქვეყანა, ვისაც თან სდევნ
რტონი კარგნი და რტონი ცუდანო..

დიდა ლექსის თავანი, მაგრამ
ჰკვირობ სიცოცხლის სხვა ამალღებით,
მრავალს რომ ავსებს და შენ რომ არა—
ესო, სახლკარი, ცოლი, ბაღღები.
ხან აღტაცების ჩქერი გადუღვის
სახეს, ხან სვედის ნელი შუქი წვაფს,
ახვრითი ჰყვიან თითქოს მამღლებიც...
წაფიდა ეამი სიჭაბუქისა.

წილის წინ

ფაფაფაფა მღელო
• ჰავაჰაჰაჰ

მწვანეკაბიან მთიდან
ნისლის მოცურავს გედი,
მოიბუზება ტიტა —
წითღებღრეტა ლედი!
უცერო მინღორზე, სადაც,
უკრავს ნიაფი ბარბითს,
შორს, საცალღვხო გზა და
მაფი გოშია გარბის...
აკაციღების მტეენებს
ჩქერი კინაღამ სწვღება,

ღაენარცხება ტინებს
და იისფერად კვღება...
ქროღა ერთურთში არეღს
ხეთა მშენიერ ვარჯებს,
და ჩემს სამშობღო მხარეს
არა, სხვა მხარე არ სჯობს!
ბინდი წაიღებს აღვეღს,
ქარი მამზნარებს ძენძაღს,
მაღე, ძვირღასო, მაღე
ეამი წაგვიტანს ჩვენცა...

■ ■ ■

ღრუბღებღია ცად თუ აფთა
ფიქრთა ჩემთა ლანღები?
ძვეღებღურად, ვურშაფ, ჩემო,
რად არ გამოქანღები?
გახსოღს, ჩენი ქროღვის ქარი
ბაღახებს რომ ვარცხნიღანი?
ხელს გვიქნეღდენ წვაფიღები
მარჯენიღანი და მარცხნიღანი!
ფოთღებს, როგორც ფოიერვერკს,
აუშვებღდენ ხვეღი,
უზრუნვეღად შრიღებღდენ
სხიფთა ყელსახვეღები;

როგორც ნიშა, თავის გზაზე
 მიდიოდა რიონი,
 მოკყვებოდა გარდობისთვე
 ოცნებაქარიანი...
 ჩვენ კი, ჩვენ კი, ჩემო ყურმა,
 არაფერზე ვფიქრობდით,
 და კოლხეთის ტრამალეებზე
 მივქროდიო და მივქროდიო...
 და ჩემს ნეტარ ბავშვობასთან
 ერთად გააქტი შორეთში!
 გულს სიმი წვავს სინანულის,
 ხახეა-სეფდის ფორეჯი...
 და ახლა, რომ გზაზე მივალ
 ფერმკრთალი გაღიმებით,
 შენ გაიგებ: ჩემთა ცრემლთა
 ციდან ცრიან წვიმები,
 შენ გაიგებ: მოვა ჟამი,
 როგორც ცაზე ლანდები,
 და შორეთში წასაცვანად
 ისევე გამოქანდები...
 ბავშვობისკენ, ბავშვობისკენ
 ილტვის სული ყოველი,
 ისე, როგორც ჭკნობისაკენ,
 შემოდგომის ყვავილი.



პანტანო ხარჩილავა

. . .

1.

შინა და მთვარის გასაყართან
მარტოკა ვცხოვრობ,
აქეთ ღამეა, იქით დღეა, შუაში მე ვარ
და ორ ნაწილად მერღვევა ტანი.
იქ, ღამის უღრან, ბნელ ტალანებში
ჩემი ფიქრები სტალაქტიტების მსგავსად ჰკიდია,
ხოლო დღის გზაზე
ვიღაც კაცი მიუხეტება,
რომელიც მე ვარ და არცა ვარ,
რომელსაც შოლოდ
ხანახევროდ თუ ვემსგავსებდა.
დაჯვირვებიბართ
შინან დღეშიც უკან რომ მოგსდევთ
წრდილი და წუთით არ გშორდებათ,
აღარ გეშვებათ.
წრდილი კი არა ვე, იცოდეთ, ღამის ლანდია,
ღამის ხულია თქვენს ნაკვალევს
დადევნებული
და არა თქვენი ამ შხინქვეშე ყოფნის
დასტურია.

2.

მომწყინდა ასე.
გადავაბი ეს დღე და ღამე
ერთმანეთს დილის და საღამოს
ორმაგი ნახევით.
ექანონ აბლა აქეთ ყოფნა,
იქით არყოფნა,
აქეთ სიცოცხლე,
იქით გლოფა და დასასრული
ღკას მარადისი და უკვდავი დრო ერთიანი.

მაგრამ უეცრად მოდის ვიღაც,
 მოდის ურუმრად
 და ერთ ნასკვს მზით ხსნის,
 მეორეს კი მთვარის შეხებით.
 ვილა წაართმევს მას ჯადოქრულ ამ ორ მონეტას,
 ვინ არის იგი, დაეანგული ორი მონეტით
 დროს რომ ყიდულობს და ორად ჰყოფს ასეც და იწვევს

3.

ვადღეგვარ ბილიკს,
 დღის და ღამის შუა მიზაგალს
 და ძლივს ვიკავებ დაქანცული,
 დაღლილ მკლავებით
 ჩამოსაქცევად გამზადებულ შავ და თეთრ კედელს,
 ორივე მხრიდან რომ მაწევიან
 და შეერთებას, ერთმანეთში შეხვალას ლამობენ.
 მე, ადამიანს, მერგო ხვედრად ვიდგე მათ შორის,
 ვიართ მუდამ მათ შორის და ვიცოცხლო მუდამ,
 რომ არ გათბრდეს ეს ბილიკი,
 არ გაფერანდეს
 და ანათებდეს ამ მილიარდ, ურიცხვ ვარსკვლავში
 ჩემი სამყაროც,
 შეფერული ორფერი დროით...



ჭალაქელ მამაკაცებს ენატრებათ ხშირად ტყვები,
 უღრანი, როგორც უმთვარო ღამე.
 განსაკუთრებით გასაფხულზე,
 როცა გუგული გადახნულ მინდვრებს
 თავს დასტრიალებს,
 თავისუფალი და კამკამა მდინარეები
 ცისფერ ჭალებში მიმდინარებენ,
 მათ განაზებულ და მოშვებულ ძარღვებში ისე
 იფეთქებს გლეხის დაუმცხრალი, მყვივარი სისხლი.
 ჩვენ ტყვეებიდან, მინდვრებიდან ვართ წარმოშობით,
 ჭალაქი მერე გაგაშენეთ ნაყანურვეზე
 და მდელის ნაცვლად
 ქვეშ გაგიგეთ ქვაფენი...
 ...ჭაბუკობისას შეყვარებულ ქალის სინაზით
 ჭალაქელ მამაკაცებს ესაზმრებათ ხოლმე სოფელი,
 ცახცახებს სისხლში მევენახის
 და მხედრის გენი
 და მეთაველ აფსვირებენ
 ერთ ნტყველ მიწას საკუთარი ჭადრის გარშემო.

• • •

დაქანცულს და დამე მორგულს
ბინაში არაფერს მოგელის.
ჯულიეტა დაეძებს რომეოს —
რომელია რომეო, რომელი?
კვლავ გამოშრიალდა ბინდიდან
ცა, ლურჯი სიზმრების მთოველი.
რომელია სიცრუე და სიფლიდე,
რომელია ერთგულება, რომელი.
ოი, რად დამეკარგე, ოი, რად,
კენების როიალი — მშვიდობით!
ხითხითებს, ჭირჭილებს მოირაა
— მეორეს ვერასდროს იპოვნი.
შენ უფროსი დამეებს მომავლის,
ტრიალებს წუთისოფლის მორევი.
— რომეო,
გეძახი,
რომეო,
რომელი ხარ რომეო, რომელი?

• • •

საით ვიაროთ, როგორ ვიაროთ,
სად ხართბნ შენი ლურჯი ყვავილი.
ვიცი, უთოვლოდ და უიანვროდ,
უტკივილებოდ და უიაროდ
ეს წელიწადიც რომ არ ჩაივლის.

მივდივართ. ამ გზებს ბრზად მიწდობილებს
გვიძღვის იმედი — მზესუთაფი კვარი.
მიცვალებული მთვარის პროფილი,
ჟამი დამედ და დღედ გაყოფილი
და ჩვენ სხედასხვა ნაპირზე მდგარნი.

ერთმანეთიწვენ გამოვეშურათ,
სანამ ღიაა სიფრცხის კარები-
ჯვარზე გაკრული, ჟით იფშუა,
ქვილია ზამთრის ნეშტა ჩვენს შუა
და გვიმზერა მგზავრებს ცივი თვალებით.

საით ვიაროთ, როგორ ვიაროთ,
სად ხართბნ შენი ლურჯი ყვავილი.
ვიცა, უთოვლოდ და უიანვროდ,
უტკივილებოდ და უიაროდ,
ეს წელიწადიც რომ არ ჩაივლის.

საპიროს ნახაძე

მ ზ ე რ

მე წაფალ, მზუო!
შენ დაგრჩება ქვეყანა მთელი,
ჩემი საშობლო თავისი ზღვით, ცით და ხმელეთით.
მეც შენებრ მსურდა ხალხისათვის დიდი სიკეთე,
ვიდრე ღმერთებმა მოკვდავთათვის გამოიმეტეს!..

• • •

მოკყეფთა თურგი თრუსოს ხეობას,
მიმოერხია კლდეების ფარდა,
და დედამიწის ამ დიდ ღრუობას —
არვინ ისმინდა ვარსკვლავებს გარდა...

მიმიძღვებოდი, ნისლების ტბაში
ვით ჯიხვთა მწყემსი, საკუთარ ფარას,

კაგკასიონის ამ ტყვეობაში
შენი ნათელი გადამეფარა!

ტრფობის ქალღმერთმა ხელი დამრია,
მისი მომრევი ცის ქვეშ ვინ არი...
მე დამზობილი ვთხოვდი დარიალს
ესწავლებინა გზა ამირანის!..

პირველი თოვლი

როგორც მანტია, ლურჯი მანდილი,
თეთრი რაშების რემა უბელო,
პირველი თოვლი მოაწყდა თბილისს,
გადაეფარა გულს საქართველოს.

შორს მყინვარები, ცადამოწვდილი
თითქოს ლაშქრობას იწყებენ ერთად,
რომ დააგზავნონ ყველგან სიკვდილი,
ეგონათ მთები შემოაბერდათ.

მაგრამ კოშკები ცადამოწვდილი
ახლა ლილეოს მღვრიან ერთად,
ჩუმად გაისმის ენა ქართული
და ვარსკვლავები დაიბუნ ღმერთთან;

როგორც მაისის ნათელი დილის
შრთშანთა მშვიდი ყვავილთა მდელო,
პირველი თოვლი დაედო თბილისს —
წომ სიჭაბუკე კვლავ გაგვახსენოს.

ჩემს ძველს

მე უკვდავებს უჭკნობელი ვერ მომცემს ლექსი,
 ძეგლს ვერ ამიგებს დაურღვეველს ვერც სხვა დიდება;
 მკვდრეთით აღმდგენს, გამაცოცხლებს იმ შზის ალერსი,
 შენს სადიდებლად ყოველდღე რომ ამობრწყინდება!...

• • •

ჩემო ძვირფასო, ცის გუმბათი გვადგას გვირგვინად,
 ერთად მივდრავართ, განუყრელად უნდა ვიაროთ...
 შორს, ცის გადაღმა, ვარსკვლავებმა გადაგვიბირა,
 დაუსაბამო მყუდროებას რომ გვაზიაროს.

— ვიჩქართ, იქნებ არ ჩამოვრჩეთ

შზის ჟამთაგანრიგს,

უკვდავებასთან მისვლა რომ არ დაგვგვიანოთ!

• • •

დავსხდეთ, ვიამბოთ სიყვარულის ძველი ზღაპარა,
 რომ ჩვენ ამ ქვეყნად არ ვყოფილვართ მწირი — ხედავარა,
 რომ ჩვენ გვიყვარდა ურთიერთი პირველ წყაროთი,
 ყოველ ცისმარე შზის ნაჩქარ დღეს შევბაროდით.

და ჩვენ ბრძოლები გადავიზადეთ გულშეშხარავი,
 რომ შეგვჩვენოდა ერთადერთი მიწის კარავი!

• • •

მიმღერე ისე, თაღოვანი გაირღვენ ცანი
 და ოცნებათა გაღმოსკდეს ღვარი,
 ყრმობის დღეები დაუმჭკნარი, დაუვიწყარი
 რომ განმიახლდეს...

რომ მოწყდეს იმ კლდეს

შორეული ბრძოლების ქარი.

და შორს, უფრო შორს...

იმ ედემის გაიღოს კარი,

დღითა და ღამით რომ ვეძებდი,

მუხლჩაუმიდგარი...

მიმღერე ისე, რომ ოცნების მომსკდარი ღვარით
 წაშალო ქვეყნად სიცოცხლის და სიკვდილის ზღვარი!



არა ვარ მარტო, უკვდავება ზეიმობს ირგვლივ,
ხიცოცხლე იდგამს საზეიმო უტკნობელ გვირგვინს...

მანამ იდინებს არაგვი, თურგი,
ქართული ღვინო -- ტკბილი და ძელგი,
მარად ძველ ფესვზე ამოვა ნერგი,
და გამრავლდება კვლად და კვლად.
გადაუხდელი მამულის ღალა
დარჩება ვალად.



გულადი ფეხალავა

ჩემს ზეშოვალს

მოიხვია ცამ ბნელეთის ჯვალთ,
ჩქარა მოდი, ჩემო დედოფალო!

აგერ ჩვენი მოწყვნილი შერხი,
აგერ ჩვენი მოცახცახე ვერხვი-

აფრენილხარ გულთ, ნამეწყრალო,
ჩქარა მოდი, ჩემო დედოფალო!

თორემ ტყე-ტყე მიშრიალებს ნეშო,
თორემ მიდის ღამე სათარეშო,

თორემ ქრება ხომლი აკინძული,
თორემ დნება შენი უფლისწული-

მოიხვია ცამ ბნელეთის ჯვალთ,
ჩქარა მოდი, ჩემო დედოფალო!

• • •

დედულეთის ღამაზმანებს
ჩავეუღლიდით სხვა ნიავეთ...
ლალი, რისთვის დამეზმანე
დალალების ალიონით?

დალალების ალიონი
ხელებში სხვას შეუღვია,

ფოთოლცვენა ხეაფრეილი...
სარზე ძველი თხმელებია,

მოდის არეე თხელი შტვერით,
ვაცი რგავს ნაცნობ ზარებს,
ველარც ფტირი, ველარც ვმღერი,
ღრუმელებიდან წვეთავს მთვარე-

შ ი ნ

ეშო გავერანებულა
ყველგან ანწლი... სხვა სურნიელი...
არსად შტოთა შუაცეცხლი
არსად კვამლი ხასურველი.

გვალ-ბარდში გახვეულა,
ჩაქცეულა ალაგეთი,

ხეზე გოგრა ყელიანი...
ბილიკები ალაღბედი...

არსად კვამლი დაგრეხილი,
მოლზე ნოსად დაფენილი,
ქარი კარებს აწკმუტუნებს
სახელურზე ჩაფრენილი.

მე მტურა თოკზე რთა
 ეგ საბანი მოჩითული...
 მეტეგება დედაჩემი
 ხელით თვალემოჩრდილული.

შაშვმა ფრთები შეაბინდა,
 და ქარებში ჩაიხლართა

თვალეებს ცრემლი შეაფრინდა,
 მაჯებს — სისხლი წინაპართა,

მოწყენილა ჩემი ეზო,
 სხვაა სურო, სხვაა თხმელა...
 დაცვენილან ყვავილები,
 თითქოს დევმა ჩაახველა...

ჰარში ვაშ' დებთ ნაშობარა ძმას

აღაღებს სარეცხს ქარი და თოკი,
 ხუკუკუა ქაფში ჩუხჩუხებს დოქი.

ბაჯალლო ხეებს ნიაფი წნავს,
 სპილენძის ვარცლში ბანაობს ძმა.

ხვალიდან ჯარში შამათა გზნებით...
 ვხეხავთ და ვხეხავთ უფროსი ძმები.

დროებით ცირავ, გუთანო, ძნავ...
 სპილენძის ვარცლში ბანაობს ძმა.

მზეში და ქარში ნაცადი ნები...
 ბუხართან დედას ეკვრიან დები.

სამშობლოს მთლად! სამშობლოს მტლად!
 სპილენძის ვარცლში ბანაობს ძმა.

ხასხასებს, ღელავს ბუხარზე ლამფა,
 საწოლზე ელავს სასაბნე ბამბა.

ბაჯალლო ხეებს ნიაფი წნავს,
 სპილენძის ვარცლში ბანაობს ძმა.



გამოცდის წინ

მოთხრობა

ცხელა ახლა აქ. რკინა-ბეტონის სქელ კედლებშიც ატანს ალაო. სარკმელს რომ ვაღებ, გრილი ნიავის ნაცვლად გათანგული ჰაერი შემოიზღაზნება შიგ. შემოიზღაზნება და მერე დაბორიალობს კუთხიდან კუთხემდე. ყველაფერს სქლად და მდორედ ედება და ხვითქში ახვევს. მე მაგიდასთან ვზივარ და თვალების სრესით ჩავცივებთვარ ვაშლილ წიგნს. მთლად რომ არ დავემხო წიგნზე და სიზმარში ბეგია თეონა არ ვიხილო, კითხვისას მედიკოზე ვფიქრობ. კაცმა რომ თქვას, სულ მედიკოს მიზეზით ვარ ამ დღეში. ცოდნის წყურვილით რომ არ რჩებოდა თითო კლასში ორ-ორ წელს, ეს ბეგია თეონამაც იცის. მე კი ორჯერ მქონია ასეთი ბედნიერება, ისიც მერვე კლასამდე, სანამ მედიკო დამეწყობდა.

ათასჯერ აწონილია ჩემი გადაწყვეტილება, — თუ მოხდა სასწაული და მიმიღეს, კეთილი და პატიოსანი, დიპლომის სიმძიმეს ვინ მოუტლავს, მე რომ გამწყვდითოს წელში. თუ ვერა... მედიკო რომ ჩაირიცხოს? მედიკო, რა თქმა უნდა, ჩაირიცხება, — ჩვენი სკოლის სიამაყე იყო მედიკო.

— ჩემი სიხარული ხარ, ვოგო! —

თითქოს ახლაც მესმის ვალია მასწავლებლის სიტყვები.

მედიკო გარინდული იდგა, როცა აქებდნენ შავგერემან სიხეზე ყაყაჩოები შეაფრინდებოდნენ და თავს დახრიდა.

მეც ვავიბადრებოდა მაშინ, ფეხებს მერხის ლანდურზე მივაბეჭენდი; საზურგეს გაღვევრებოდი და ვიღიმებოდი.

— ამა რა აცინებს, ნეტა? — წარბშეკრული გადმოიმხედავდა ვალია მასწავლებელი და სიმწრით იკავებდა დიშალს.

რას უღიშოდა ვალია მასწავლებელი, რა უცვირდა? მე რომ შეკითხებოდა რად იცინო, კითხვა უნდოდა ამა? — მედიკოს რომ ეუბნებოდა, ჩემი სიხარული ხარო, არ გამცინებოდა აბა? — მედიკოს მისთვის კი არა, შშობლებისთვის ვერ ეკმეტებდი მოსაფერებლად.

ჰოდა, მედიკომ გამაბედეინა ინსტიტუტისკენ გამოხედვა, თორემ, პირს ვიზამდი აქეთ? უიმედო ავადმყოფის ნახვისას რომ ჩაიქნევენ ექიმები ხელს, ასე იქცეოდნენ ჩემი მასწავლებლებიც ჩემი დანახვისას — წასულია მაგის საკმეო.

შეთუე კლასში ზოგ მასწავლებელს

ცოტა კი შეეცვალა შეხედულება. „ამ ბიჭს ასე რომ ესწავლა, ოქროს მედლის თუ არა, ვერცხლის კანდიდატი იქნებოდოდა“. მაგრამ „ისტორიას“ და „გეოგრაფიას“ არამც და არამც არ სურდათ ამის დაჭერება. მასწავლებელთა უმეტესობისათვის „ერთი ლერლეტი ბიჭი“ ვიყავი. სასწავლო ნაწილს გამგე, პატივცემული ნიკო, მთელი ხმით გაიძახოდა: — „ეს, (ე. ი. მე) არის ორთქლ-მაგალი, რომელიც ჩვენ სკოლას უკან ეწევა“.

ასე იყო თუ ისე, აქა ვარ ახლა და აგერ ამხელა წიგნებს ვეძიებგილაკები, სიცხისგან გათანგულს თვლებივც მებლანდება, მაგრამ, ნურას უყავრავად...

ქარში გასაღებმა გაიზბაკუნა, გაიღო და ზღურბლზე ბიძია ევლაპი გამოჩნდა. იგი ფეხბურთით შემოვიდა, სანთვაფიანი აბჯა სამხარეულოში შეიტანა, ქუდი და პორტფელი სავარძელზე მოსროლა და მომიბლოვდა.

— ფანჯარას ვერ გამოაღებ, — ბიძია? — მითხრა და წიფის შეავლო თვალი. — ეპ, რას იზამ, ამ დილას გავიგე, გამოცდას მანქანა ჩაიბარებს. — მომისამბრა უცებ.

აქამდეც ვიცოდით მანქანა რომ იბარებდა გამოცდას, ევლაპი ბიძია მაინც წავიდა დაზვერვაზე. აგერ, იგივე ამბავი მოიტანა. პოდა, ისე იყო დაბნეული, მისი გამხნევებაც კი ვცადე.

— არაფერია, ბიძია ევლაპი, სამართალი პურს ჭამს.

— სამართლის დაპატივებამდე, მოდი ცოტა ჩვენც წავიხეშოთ.

ეს რომ თქვა, ხელი ჩაიჭნია და სამხარეულოში შევიდა.

ღიმილის თვალი გაჟადევენე, — სხვა თუ არაფერი, იმით ხომ მაინც ვარ ბედნიერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რომ მიმზადებს სადილ-ვახშამს.

ცოტა ხნის შემდეგ მეც გავედი სამხარეულოში.

— ახლა, — ქაღალდის პარკში ჩაილაპარაკა ბიძიამ, — ყველაფერო შენზეა დამოკიდებული, თუ დედაჩემს

პირში არ ჩამავდება... — უფროსი მკითხველი წასწრებელი ბავშვივით ლაპარაკობდა, მოსალოდნელი დატუქსვის რომ ეშინია.

— ბეზიას მოვევლება, ერთს აფხუკუნდება და გაიუმდება. — დავამშვიდე მე.

— დედაჩემი როდია მთავარი. ამას კი მოვევლება, მაგრამ ჩვენ უფრო ფართოდ უნდა გავაბილოთ თვალები.

ევლაპი ბიძიას სიტყვაძუნწუ კაცად ვიცნობდი აქამდე. ახლა ოქრობირად გადაიქცა. მაკვირვებდა ეს გარდაქმნა.

სანამ „თვლების ფართოდ გახელაზე“ მესაუბრებოდა, მე ერთი დიდი მსხალი შევარჩიე და ჩაეკბინე.

— ახლა, — განაგრძობდა ევლაპი ბიძია, — შენ არაერთი შედავათის იმედი არ უნდა გქონდეს, მაგრამ გწამდეს, რომ უკიდურესი საქიროების დროს, ყველაში შენს გვერდით ვართ და დაბმარების ხელსაც გამოაგვივლით. ეს შენთვის ინტერესით კეთდება, აქედანვე უნდა შეეჩვიო გზის მონახვას, სიძნელესთან ბრძოლას. შენი პირველი ნაბიჯები მაღალ და ძნელად სავალ კიბეზე გაბმული უნდა იყოს, გამიზნული...

„ესეც სიტყვაძუნწუი“, — ვფიქრობდი ჩემთვის და ფანჯრის კუთხეში გაბლანულუ აბლაბუღას შევცქეროდი.

— კაცმა რომ თქვას, ვინ ხარ შენ?

— განაგრძობდა ევლაპი ბიძია, — პასუხი ერთია: შენ ხარ ჩვენი მომავალი, შენმა ბეჭებმა საქვეყნო სიძიმეს უნდა გაუძღოს. ამიტომ წინა თაობის პირდაპირი მოვალეობაა, რაც შეიძლება მკაცრად გამოგცადოს. თქმა არ უნდა, ეს უნდა გაკეთდეს ფრთხილად, უმტკივნეულოდ, მაგრამ უნდა იგრძნოს კი, რომ რალაც დიდის, მნიშვნელოვანის წინაშე დგახარ. ეს კეთდება არა შენი, ან ჩემი პირადი მოსაზრებით, ამას საზოგადოებრივი აზრი გვიკარნახებს, პირდაპირი საკაცობრიო მნიშვნელობით.

ბიძია ევლაპი შეჩერდა, დანა მომარჯვა და პამიდოტი გაჭრა.

— მერე მე უნდა დამეყრდნოს მთე-

ლი ქვეყანა? — ცოტა ხნის დემილის შემდეგ გვითხე.

— დაბ, შენ! — დამარტვლით თქვა ბიძა ევლაბი და ნათესავალათ შე მომხედა, ვიფიქრე, ახლა თქვალდ შე დიანი არ ვთქვი, ქვეყნის თუ არა, ევლაბი ბიძას თვალში მინც გავფეკვდება ჩემი საქმე-მეთქი.

— ბო შენ, — გადამტრით თქვა მან.

ვეროს სულ გაგიყდა მზე, ღია ფანჯრიდან სმენაზე მდგომი ქარაკაცებზე მოჩანდნენ ტანწერკეტა ალგები, კენწეროშიც კი ერთი ფოთოლიც არ უკრთოდათ. ხვალ, ორშაბათს ჩემი გაცეკოების დღეა და მე ისევე წიგნს ვფიზივარ. ნაძალადევი ახლა ჩემი მეცადინეობა, მაგრამ...

რადიოს და ტელევიზორს არ ვერთავთ. ხელი შეგეშლებაო, — ამბობს ბიძაჩემი, სამაგიეროდ მეზობლის ბიჭი აყვირებს „სპილოლას“. ევლაბი ბიძა უკმაყოფილოა, რომ მეზობლის ბიჭი ასე თავგატეხილივით აბლაღებებს ტრანზისტორს.

— ავალ სახელოსნოში! — მოქნარებით ამბობს ის და დგება.

ორიოდე საათის შემდეგ დაბრუნდა, თვალები უბრწყინავდა:

— შენ წარმოიდგინე, ვიმუშავე ამ სიციხეში. — მითხრა.

მე ამოცანებს ვხსნი და პასუხის მიღების გარდა არაფერი მახსოვს. ევლაბი ბიძამ რომელიღაც სქელი წიგნი ამოარჩია და ფეხბურთით გავიდა მეორე ოთახში. მეზობლის ბინაში ტელევიზორი ჩართეს, ყურით და გონებაც იქეთ გვაქვს ორთავეს. ერთხანს ვითომ არ ვიმჩნევთ. მაგრამ დიქტორი ისეთი სევდიანი ხმით გადმოსცემს ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს, საფლავში მწოლიც უთანაგრძნობს. მოგვეხმარა ღმერთი, მარტო მეორე ტაიმს გადმოსცემდნენ და საბოლოოდ დამარტება რომ გამოაცხადა დიქტორმა, ქანცგამოლეულები მივეყარეთ აქეთ-იქით.

— ფინახვს, მამუკა ასეთი უღმერთობა? — ხელები გაასავსავა ბიძა ევლაბიმ.

ნახეცარ საათს ითრავთ ჩვენი ფეხბურთელები. ევლაბი ბიძამ ფუნდამენტრად ჩამოაყალიბა ჩინთი ავ-კარგი, მუდართა შედგომებზე, მაგრამ დამშვიდებით ვერ დამშვიდება და გასუარნება შემოიარება.

— ზღაზე ავიდეთ, ცოტა გავგრილდეთ და მერე უკეთ დაგეძინება. დილით ერთსულ კაღვე გადახედავ მთავარ საცაბურებს, მერე კი ჰაიდა, ღმერთი იყოს შენა მთარველი.

ზღაზე წასვლას არ დაეთანხმდი, სამეცადინო მაქვს-მეთქი. ამ ალაბოს რომ წედიკო არ ვნახო, იგივეა, ხვალ გამოცდაზე არ გავიდე სურთოდ.

ხას კაბეებით ავედი ძველებური სახლის მეორე სართულზე. გრძელ დერეფანში დაყუნტულნი დასაცხულმა ძაღლმა ექვეუტულად შენათვალეწრა, კბილიც გამოაჩინა.

მედიკომ ზარის დარეკვამდე გამიღო კარი. ალბათ ფანჯრიდან დამინახა, კართან მელოდებოდა.

— შეგნიშნა ღინემ?

— კი, ეგერ კბეზე ააღლი რომ წევს, იმან. ჰამილაშენი წყნეთშია?

— ჰო, მაგრამ აქ სიარულს უნდა უკლო, მამუკა.

მედიკო წიგნებით გამოტენილი კარადებით საესე ოთახში შემიძღვა. მაგიდაზე კონსპექტები, საწერკალმები და წიგნები ელაგა.

— მეცადინეობდი?

— არა, მეძინა. საშინელი სიციხე იყო, ველარ გავუძელი, აწი უნდა ვიმეცადინო.

— აბა, წავალ ახლა მე.

— დაქეცი, ბიჭო, ცოტა ხანს. მითხარი როგორაა შენი საქმე. — ხელი მომიკიდა და სელის ძველებურ სკამზე დამსვა, თვითონ სავარძელში ჩაჯდა ფანჯარასთან.

ევლაბი ბიძამ ნათქვამი პირწმინდად ვეაბე.

მედიკო იცინოდა, კისკისებდა და ხელებს თვალებზე იფარებდა. თავდავიწყებით სიცილი იცოდა, როცა უხაროდა რამე. ახლა კი იმით იყო აღტაცებული,

ქვეყნის ომედ-საყრდენი რომ ვყოფილ-
ვარ.

— იცი რა მინდა, მამუტა? — მკითხა
უცებ.

ნაყინი ან ცივი გაზიანი წყალი-მეთ-
ქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ მედიკოს
თვალებს რომ წავაწყდი, დავიბენი ერთ-
ბაშად.

უცხად მედიკოს საეარქელთან გავ-
ჩნდი, რატომღაც დავიჩოქე, აკანკალე-
ბული ხელებით მისი ხელები მოვებნე,
ლოყებზე მივიკარი და გავიჩინდე.

მედიკო გაუნძრევლად იჭდა, სულსაც
არ ითქვამდა, მგონი. ზემოთ არ ვიხედე-
ბოდი, მაგრამ ვხედავდი, რომ იგი ვანც-
ვიფრებით დამყურებდა დიდრონი,
წყლიანი თვალებით...

დერეფანში ისევ ისე იწვა წაბლის-
ფერი ნაგაზი. ახლა ნაკლები ინტერეს-
ით გამოძაყოლა თვალი.

— აბა შენ იცი, მამუტა! — ქუჩაში
გასულს ჩუმად მომამაბა მედიკომ.

მალლა ავიხედე და მედიკოს მომდი-
მარი სახე დავინახე. მთელი დღის სიც-
ხე და სითბო მის ორ პატარა თაფლის-
ფერ თვალში ჩამდგარიყო და ის თვა-
ლები იმედად მიმყვებოდა ხალხით სავ-
სე ქუჩაში.

• • •

ჭირის ოფლს ვიწმენდ, ცხვირსაბოცს
ჯიბეში ვიდებ, ჩემს წინ მოთავსებულ
მანქანას ხაზაში ვჩრი საათნახეფარი, თუ
ცოტა მეტი ხნის ნაწვევ-ნადავ ამოცა-
ნებს.

მანქანა ტაკუნებს, მგონი ზუზუნებს
კიდევ თავისებურად და ხანდახან რომ
ჩაახველებს, დამციონის ამით. ვდგეჯარ
და ვტყდი. ვილაკამ დამიძახა. თავი მი-
ვებრუნე, ფანჯარასთან სათვალისანი,
თმადათოვლილი მოხუცი იდგა და მა-
ნიშნებდა რალაკას. მივუახლოვდი.

— ოთხიანი დაგიწერათ „ცეზარმა“.
ეს არც ისე ურიგო რამ გახლავთ, —
თქვა მოხუცმა.

— ოთხიანი? — ხმის კანკალით ვკი-
თხე და მანქანასა და მოხუცს ერთბა-
შად შევხედე.

— დიახ, ოთხიანი. — ^{იმ ერთ წუთს}
ნამდვილად ვერ გავარკვეე, მანქანამ
მიძასხუბა თუ ადამიანმა.

— „ცეზარის“ ოთხიანი უტყუარია.
ეს სიტყვები ნამდვილად ადამიანისა
იყო.

— კი მაგრამ, მე რომ უსტაეო ვარ,
მაგიც იცის „ცეზარმა“? — გავბედე და
ვთქვი. ადამიანთან მართლა უფრო ად-
ვილია ლაპარაკი.

— „ცეზარი“ ყველაფრის მცოდნეა,
ყმაწვილო. — მითხრა და საოცრად
მსუბუქი ხელი მზარზე დამადო. — ისიც
იცის, რომ თქვენ მძსწრაფება და რწმე-
ნა გაგაჩნიათ. შემდეგ გამოცდაზეც თუ
იყოჩადეთ...

— კი, მაგრამ...

— როგორც შევთანხმდით, ისე იქნე-
ბა. — ნაუცბათევედ დამამშვიდა მან,
მკლავში ხელი გამომდო და კარებამდე
მიმაცილა.

ეზოს კუთხეში ევლაპი ბიძია მიცდი-
და. ხელი ავწიე და ოთხი გაშლილი თი-
თი დავანახე.

— ყოჩად, მამუტელა! ოთხიანი მარ-
ტო შენ გამოიტანე დღეს. შენში, ბიჭო,
დიდი...

მივხვდი, ბიძია ევლაპი თავის „თეო-
რიას“ ჩამოაყალიბებდა, ამიტომ მოყ-
ლედ მოვკერი, ახლა ნამდვილად მეჩქა-
რება-მეთქი და დამრულ ავტობუსს შე-
ვახტი.

მედიკო შინ დამხედა.

• • •

ერთბაშად ჩამოინგრა ცის თალი —
ოცი შესაძლებლიდან თოთხმეტი ქულა
დავავროვე. მედიკოს რომ ვეარგავდი,
ამ ამბავს თითქმის შევეგუე, მაგრამ ჩემ-
ში რალაც ახალმა გრძნობამ იჩინა თავი.

— შინ დამბრუნებელი არ ვარ! —
განუტყბადე ბიძია ევლაპის.

ევლაპი ბიძიამ იყუჩა.

— ვერ წავალ შინ! — გავუმეორე.

— ამ პატარა მარცხს, ტრაგედიად
გადააქციე, იცი...

— ვიცი, ყველაფერი ვიცი, ვიცი,
რომ მე ვარ საყრდენი დედამიწისა და

ბურჯი კაცობრიობისა. მაგრამ... — მგონი ქვეთინი შემეპარა ხმაში.

ბიძია ევლაპიმ მკლავში წამავლო ხელი და ბინიდან გამოვედით.

მე თოკზე გამობმული თოხლივით მივევებოდი. სულ ერთი იყო საით წამიყვანდა, ახლა მნიშვნელობა არ ჰქონდა ამას.

ეზოში რომ ჩავედით, ბიძია ევლაპიმ ჩრდილში მსხდომ მეზობლებში, ერთი ხანშიშესული კაცი გამოიხმო და სთხოვა ორიოდე წუთი დაეთმო ჩვენთვის. მე წარმადგინა.

— გამარჯობა, ბიძია. — ხელი ჩამომართვა იმ კაცმა.

— ბატონი ლევანი, კაცური კაცობის მასწავლებელი. — ღიმილით თქვა ბიძია ევლაპიმ.

— კი, კი, შე კაცო, მაგას რა დიდი ამბავი უნდა. — მკვირცხლად დაეთანხმა ბატონი ლევანი. თითქოს ჯიბეში თილისმა ედო და იმ თილისმას მომისვამდა თუ არა, კაცურ-კაცად ვიქცევოდი.

ზუთი-იქვისი მოკლე წინადადებით მოათავეს ბჭობა.

— აბა როდის შევეუდგეთ საქმეს? — მოუთმენლად იკითხა ბიძია ევლაპიმ შემდეგ.

— ერთ კვირაში ახალ ობიექტზე გადავალთ, მაშინ მოვიდეს.

— მე ახლავე უნდა დავიწყო მუშაობა, თვითონვე გამაყვირვა ჩემმა გაბედულობამ.

— ჰო, ახლა თუ იქნება! — წამომეშველა ბიძია ევლაპი.

— მომწონს! — სახე გაბადრა კაცური კაცობის მასწავლებელს. — ახალგაზრდული ცეცხლი. — როგორღაც გამკოლავი მზერა მომაპურო. — ისე რომ იკოდეთ, ჩემო ბატონო, სამუშაო ქუქყანია — აგური, ცემენტი, რკინა-ბეტონი, მოგეტსენებათ.

— აბა, მოკოლადებით არ აშენდება სახლი — პირზე რაც მომადგა, ის ვთქვა.

— ოქრო ბიჭი ყოფილხარ, ბიძიკო.

მერე სხვა თემაზე გადაეს ბანსი. ჩემი საკითხი გადაჭრილი იყო და მეც აღარ დავრჩი მათთან.

სად წავსულიყავი არ ვიცოდი, მაგრამ გაჩერება არ მინდოდა. აფოფინებული გული არ მასვენებდა. ერთი პირობა მედიკოსთან წასვლა გავიფიქრე, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ მასთან არავითარ შემთხვევაში არ მივიდოდი ასე შერცხვენილი.

ვიბორიალე ეზოში, მერე ფეხბურთის მოთამაშე ბიჭებში გავერიე, დიდხანს ვერც აქ მოვისვენე. ისევ ნარდის მოთამაშე მამაკაცებისაკენ გავსწიე და...

თვალეებს არ დავუჯერე. ჩვენი სახლიმ წინ მედიკოს იდგა, სადარბაზო შესასვლელებს ათვალეირებდა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით ლოყას ძარესდა. ასე იცოდა გაკვეთილის მოყოლისას.

თბილმა ტალღამ დამიარა სხეულში. თითქოს ფრთები შემესხა, ზე ამიტაკა იმ ტალღამ, ნელა, ძალიან ნელა დავეშვი მიწაზე და ფეხაკრეფით მივუახლოვდი.

— ორიანი მიიღე? — არ შემოუხედავს, ისე მკითხა.

— არა, თოთხმეტი ქულა მოვაგროვე.

მედიკოს არაფერი უთქვამს. აუტანელი შეჩვენა მისი დუმირი და ვუთხარი, მუშაობა დავიწყე, იმხელა სახლს ვაშენებთ, რომ ნახო ვავიკირდება-მეთქი. წამიყვანე და მანახვეო, მითხრა.

— კი, როცა გაგზარდება.

— ახლა წავიდეთ.

— ამ თაკარა სიცხეში? შორს არის აქედან.

— სიცხე რას მიქვია, ბებია თეონამ ხომ უნდა მოვეუყვე, რას აკეთებ აქ.

— ასე ძან თუ გინდა... — ვთქვი.

ეზოდან გამოვედით. კარგად არც კი ვიცოდი საით წავსულიყავით. ბედზე ტაქსი გამოჩნდა და გვაჩერე.

— პირდაპირ იარე! — ვუთხარი მძღოლს.

მანქანა დაიძრა. უხერხულობამ თანდათან გამიარა. ქუჩის ბოლოს, მძღოლ-

მა რომ მკითხა — საით წავიდეთ, უკვე მოფიქრებული მქონდა სათქმელი.

მანქანამ მარჯვნივ შეუხვია, ორი პატარა ქუჩა გადაკვეთა და მაგისტრალზე გავიდა. მალე ვრცელი მინდორი გამოჩნდა. მინდორზე წეროები იდგნენ ამწეები. ამწეებს შორის სართულუბად აღმართულიყო უჯარ-ფანჯრო სახლები.

მძლოლმა მანქანა დაამუხრუჭა.

— იქიდან უნდა შემოვუაროთ, ამ მხრიდან ჩახერგილია გზა! — თქვა და მანქანა შემოაბრუნა.

— ეპ, სულ დამავიწყდა, — ვთქვი, — ფეხით გავივლით.

ტაქსი გავისტუმრეთ. მედიკომ სართულ-სართულ ააყოლა თვალი სახლს.

— რომ დამთავრდება, ლამაზი იქნება. — აღმოვაჩინე მე.

მედიკოს გავლიმა.

— სულ მალა ავიდეთ, მამუკა.

„აი თუ გინდა საქმე. — გავიფიქრე.

— კარები სადა აფხვს ამ უპატრონოს, ან კიბეები“.

— აქ მოდების ატელიე იქნება! — ვანვაცხადე და ფანერააკრულ პირველ სართულზე მივუთითე.

მედიკოს მივხედე, ფეხი ცემენტის გროვამი ჩაფლობოდა, მის ირგვლივ ბული იდგა.

— მოვეშვით ახლა მალა ასვლას.

— წავებოტინე გამოსავალს.

— არა, არა, ავიდეთ! — მედიკომ ფეხსაცმელი დაიბერტყა და ჩემსკენ გამოიქცა.

უშოაჯირო კიბით მექვევს სართულზე ავიდეთ, მერე კიბე შეწყდა. ორი სართული ხის ლანდურებზე ვიარეთ. ბოლოს, სულ მალა რომ ავიდეთ, უკვე ვიცოდი, რას ეტყოდა ხვალ მედიკოს თონა ბებიას.

— მაინა, მაინა! — ყვირის ამირანი და ორმოცდაათ მეტრზე აშვერილი ამწის ჯიხურისკენ იქნევს ხელებს.

ჯიხურის სარკმლიდან ხუჭუქთმიანი თავი გამოჩნდა, თავს საჩვენებელი თი-

თი მიუახლოვდა და ყურს ცოტა მალა დატრიალდა.

— გაიგე! — დაიყვირეს ჯიხურიდან და ახლა მე მომძებნა თითხა.

— მაგას რას უყურებ, კაცო, ხომ ხედავ რძე არ შეშრობია პირზე. — ამირანი მომიბრუნდა დამჭილული ხელებით.

— მუშაობა არ გინდა, ბიჭო, შენ? რას დაგილია პირი!

მე ამირანს შევეყურებ.

— ვადამრევეს ეს უპატრონო! — ხმის ჩახლეჩამდე ყვირის ამირანი და მშენებლობაზე ჩემს მომყვანს ლამაზ-ლამაზ მოსაკითხავს უგზავნის.

ვიგრძენი, რომ დამცხა ერთბაშად. სიცხემ საფეთქლებიდან დამიარა და კოკებში გამატანა.

— გადავირევი იცოდე! — ყვირის ამირანი და შემდეგი სიტყვების საძებნელად ცხრა მთას იქით არ მიდის.

— აა! — გაბმით ვულრენ მე და ვგრძნობ, რომ საფეთქლის შეხურებასთან ერთად თვლებიც მემღვრევა.

— ა და ზაბრუმანი, ნუ იტყანები, ბიძია, მუშაობის დროს მუშაობა უნდა. — დამაროვა ამირანმა.

— მერე და ადამიანურად თქვი, შე კაი კაცო, გრნება რა შეაშია. სხვას არ შეუძლია, თუ?

— კულის სწავლებას მორჩი და რაც გითხრის, ის გააკეთე! — ხმას უწევს ამირანი.

„ერთხელ იქნება, წამოვდებ ქამარში ამწის ქანჯს და ეპორწილებ ზევით-ქვევით“, — ეფიქრობ ჩემთვის.

წამით ქანჯზე ჩამოკიდებულ ამირანს წარმოვიდგენ და ვიციანი.

— ბიჭო, ნორმალური თუ ხარ შენ?! — სერიოზულად მეკითხება ამირანი.

— მაგას მერე გეტყვი! — ავძახე.

„შესვენებაზე ჭუმბერს გავუმხელ ჩემს „იდეას“, — გავიფიქრე და ამწის ისრისკენ წავედი.

— ცოტა კიდევ დაუშვი! — ავძახე ჭუმბერს და ხელით ვანიშნე მარჯვნივ გაეწია ისარი.

— ბიჭო, რამდენჯერ უნდა ვითხრა, ასწიე ვირაა, დასწიე — მაინა, გესმის? — ერთხელ კიდევ ამიხსნა ამირანმა.

ამწის ქანგები დავიკირე, რკინა-ბეტონის ფილის ლითონის საკიდში ამოვტარე და ხელი ავწიე.

— ასწიე! — დავიძახე.

— ვირა, ვირა შე ვირო-მეტქი! — მისწორებს ამირანი და თავს იქნევს, აქაო და წყალწალებულს ველაპარაკებო.

ამწემ მსუბუქად აიტაცა ვეებერთელა ფილა, სპეციალურ სადგურზე მდგომმა ამირანმა თვალი გააყოლა ისრის მიმართულებას, მერე ხელი შეაშველა მზერას და ფილა რომ საჭირო ადგილს დაუბიძგა, მთავარსარდალივით დაიქნია ხელი.

— მარცხნივ მაინა! — გასცა ბრძანება.

ჯუმბერმა მარცხნივ შეაბრუნა ისარი. ისრის წვერზე გორგოლაქმა დაიწრობინა და ფილა ისე ჩაჭდა ნაშენში, თითქოს იქ იყო საუკუნეთა მანძილზე.

სანამ ამირანი ფილას ამავრებდა, ისარმა კვლავ შემოხაზა სივრცე, აღრქვილა ბატარა გორგოლაქი და ქანგები ჩემს წინ დაეშვა. ქანგებს ხელი წაეფულე და ფილების ახალ წყებასთან გადავინაცვლე.

— ჩვიდმეტე ნომერი ჩაუბი, ჩვიდმეტე! — შეფოთებით ჩამომძახა ამირანმა.

— ჰო, მეჩვიდმეტე ჩაუბი! — დავაშვადე და ჯუმბერს „მაინა“ ავძახე.

— ოჰო, შენ არც მთლად ბრტყელი გოგრა გქონია. — უცხად გახალისდა ამირანი. მგონი საკუთარი ნათქვამი მოეწონა. — მალე აითფოსე.

— ასე იციან ოცო-ბოცო გენიოსების შეგორდებმა. — იცინის ჯუმბერი.

— აბა, შენა ხარ რაღა! — ჯუმბერს უწყურება ამირანი და ახალ განკარგულებას გვაძლევს.

• • •

— ასლა რომ პატივი არ გცე, ვინ იცის, იქნებ ჩემი უფროსი ვახდე, —

მეუბნება ამირანი და ელიძემა. მერე ჯუმბერს უხსნის, რატომ მიშვეებს სამუშაოდან ადრე:

— სტუდენტი კაცია, პროფესორებთან აქვს საქმე, ხუმრობა ზომ არ არის, სუფთად და კობტად უნდა მივიდეს, ამისთვის დროა საჭირო.

— შენი უფროსობა თუ ელირსა, მე ვიცი რა დღესაც დაგაყრის. — იცინის ჯუმბერი.

ამირანი სერიოზულად მიცქერის.

— უფროსი მომთხოვნი უნდა იყოს, — ამბობს. — მომთხოვნი თუ იქნება, საქმეს წაიგდებს წინ.

— გონებაც შევლის საქმეს? — არ ცხრება ჯუმბერი.

— შენ სოფელში ყოფილხარ? — ეკითხება ამირანი.

— მერე რა? ვყოფილვარ.

— რა და, გუთნისდედა ვინახავს?

— არა, არ ვინახავს. ტრაქტორით ხნავენ ჩვენში. — სერიოზულად პასუხობს ჯუმბერი.

— არა კი არა, ვინახავს და ალბათ შეგინიშნავს კიდევ, რომ ყველა გუთნისდედას კაი მოგარძო სახრე უჭირავს ხელში?

— მერე?

— მერე და გუთნისდედა ნაცლებად სცემს თავის ხარებს?

— ჩვენ შენი ხარები ვართ, ვითომ? — ბრაზდება ჯუმბერი.

— ხარები რა საკადრისია, ჩვენში ყველა თანასწორუფლებიანია, ერთიმეორის პატივისცემაზე გემართებს. ისე სახრე სქელკანიანებისთვისაა საჭირო, გესმის?

— ვითომ მე ვარ სქელკანიანი? — აზვიადებს ჯუმბერი.

— მაგასაც თუ ვერ ხედებოდი, არ მეგონა? — უყვავებს ამირანი.

— ამ ბიჭმა რა დააშავა, ესეც სქელკანიანია?

— ეს? — ორტოფულად იღიშება ამირანი და მუშტრის თვალით მამოწმებს: — არც მაგი სჩამს მამა აბრამის ბატკანი, კარგა მოზრდილი ზაქია.

ჯუშერი ზითითებს. მერე მეც ვევე-
 ბი და ბოლოს ამირანიც გვიერთდება.

მარტო რომ დამიხელოებდს ამირანი,
 თავისებურად მიხსნის ცხოვრების აე-
 კარგს:

— მინდობილი საქმე კეთილსინდის-
 სიერად შეასრულე, ყველაფერს თავისი
 დრო და ადგილი მოუჩინე. მაშინ დროც
 თავსაყრელი ვეჭნება, ალალი კაცის სა-
 ხელსაც მოიხვეჭ და საზოგადოებაშიც
 დაფასდება.

ასეთი საუბრისას ძია ლევანიც თუ
 შემოგვესწრო, მეტ ვასაქამს პოულობს
 „აღმზრდელობითი მუშაობა“ ლევანი
აქვითი ივარი-ბერძნული რომანის ავტორი

ფასდაუდებელია ექვთიმე ათონელის (ივარის) დავაწლი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში, დიდია მისი წვლილი ბიზანტიურა ლიტერატურის განვითარების საქმეშიც. დიდი ქართველი მწერლის მოღვაწეობის ამ მხარეს ეძღვნება ჩვენი ნაშრომი.

1. საკითხის ისტორიიდან.

„ვარლამისა და იოსახის“ რომანი შუა საუკუნეების ქრისტიანული ბელეტრისტიკის შედეგია. ბერძნული ენიდან შესრულებული ლათინური თარგმანის წყალობით ეს თხზულება მთელს მაშინდელ მსოფლიოში გავრცელდა. ჰლავერ ენაზე რომანი ჩნდება უკვე XII საუკუნიდან, XIII საუკუნეში შესრულდა ძველი გერმანული თარგმანი, იმ დროსვე ათარგმნა ფრანგულად, XIV საუკუნეში — იტალიურად, XV-ში ჩებურად და პოლონურად, ერთი საუკუნის შემდეგ — სერბულად. რუსულ ენაზე რომანის თარგმანი უკვე XVII საუკუნეში დაისტამბა. გავრცელებული იყო აგრეთვე ინგლისურ, შვედურ, ისლანდიურა და სხვა ენებზე შესრულებული თარგმანები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ თხზულების სამ ვერსიას — ქართულს, არაბულს და ბერძნულს. თხზულების გენეზისი, მისი ისტორია სწორედ ამ სამ ვერსიასთან არის დაკავშირებული. შეკლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმურობს ბერძნული ვერსიის წარმოშობის საკითხი, სწორედ ბერძნული ვერსიის წყალობით გავრცელდა რომანი შუა საუკუნეების საქრისტიანოში.

მულციერბანში დიდი ხანის დგას საკითხი ამის შესახებ, რომ ბერძნული ვერსია თარგმნი-

ლი უნდა იყოს ქართული ენიდან. ქართული და ბერძნული ვერსიებს ურთიერთობის პრობლემა ბუნებრივად უკავშირდება ავტორობისა და თხზულების დაწერის თარიღის საკითხსაც. ზოგიერთ შეკლევარს ბერძნული ვერსიის ავტორად შიანია ანონიმი, ამ ვინაზე ბერა იოანე. ამ შემთხვევაში თარიღის საკითხი სრულიად ზუნდოვანი და პრობლემატურია — ანონიმ ავტორს, ამ ვინაზე ბერ იოანეს შეეძლო ეცხოვრა ნებისმიერ ხანაში. შეკლევართა დიდ ნაწილს, ზოგს უკომანით, ზოგს კი დაბეჭდვით ბერძნული ვერსიის ავტორად, თუ მთარგმნელად ექვთიმე ათონელი შიანია და ამდენად ნაწარმოებს აუთენტიკს X საუკუნის ბოლო წლებს, ამ XI საუკუნის დასაწყისს. შეკლევარები, რომელნიც „ვარლამისა და იოსახის“ ავტორად იოანე დამასკელს მიიჩნევენ, ბუნებრივია, თხზულებას VIII საუკუნით ათარიღებენ. ვისაც ბერძნული ვერსია თარგმანად შიანია, აღიარებს არაბულ, სიარულ ან ქართულ წყაროს. არაბული და სიარული წყაროს მომხრენი მთარგმნელად ანონიმ ავტორს მიიჩნევენ და თხზულებას ნებისმიერად ათარიღებენ. ქართული წყაროს მომხრენი უცილობლად ექვთიმე ათონელს თვლიან მთარგმნელად და, აქედან გამომდინარე, ბერძნული ვერსიის შექმნას სავსებით გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ათავსებენ.

პირველ შეკლევარად ვინც შეეხო ქართულ და ბერძნულ ვერსიასა ურთიერთობის საკითხს, გიორგი მთაწმინდელი უნდა ჩაითვალოს. 1042-1044 წლებში დაწერილ იოანეს და ექვთიმეს „ცხოვრებაში“ გიორგი მთაწმინდელი ასეთ ცნობას ვეწევდის ექვთიმე ათონელზე:

„ავითარცა წამებენ მის მიერ თა-
რგმნილთა წიგნთა აღწერაღნი
ანდერძნი, იმის ღირსისა მოღვაწე-
ბთა განწმენილნი იქნა უკვლითა სიბრძ-
ნითა განწმენილბუნად და შენაშობუ-
ლად ეკლესიათა ჩუენთა; რომლისა-თჳს ნა-
წესევეი ახარებს შორიელთა და მახლობელ-
თა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტყობთა,
ვითარცა ნესტე ოქროსა ხმაშაღლი, ოქროს
უკვლესა ქუეყანასა, არა ხელთ ქართლისასა,
არამედ საბერძნეთისაცა; რამეთუ „ხალაჲარი“
და „ხალაჲარი“ და სხუანიცა რამდენიმე წე-
რადნი ქართლისაგან თარგმნი ბერძნულად.“¹
ბიოგრაფი იძლევა ზუსტ ცნობას იმის შესახ-
ებზე, რომ ექვთიმე ქართლიდან ბერძნულად
თარგმნი „ხალაჲარი“ ანუ „ხალაჲარი და იოსა-
ფი“ და პითიოტებულთა ხათანდო წყაროდ, რა-
საც ეს ცნობა ეურდნობა — ექვთიმეს მიერ თა-
რგმნილ წიგნებზე დართული ანდერძები. ასეთი
ანდერძი უნდა მქონოდა მის მიერ რომორც
ბერძნულადან ქართულად, ისე ქართულიდან
ბერძნულად თარგმნილ თხზულებებს.²

განსაკუთრებით უნდა ვახსოვო ხაზი გიორგი
ნოაწმინდელის ცნობის მნიშვნელობას. რასაც
ჩვენი სახელგანთი მოღვაწე თავის შრომაში
წერს, უკვლავად მტკიცედ შეცნობიერებულ საფუ-
ძველედ აქვს, დასტურდება ქართული ლიტე-
რატორის ისტორიის სხვა ფაქტებითაც, ცხადია,
არა გვაქვს საფუძველი ამ მხრივ გამოყენებაზე
მაიონიოს შემოთ მოტანილი ცნობაც „ხალა-
ჲარიანის“ შესახებ.

სწორედ ამიტომაც ჩვენი საკითხის ისტორია
წევსა გიორგი ნოაწმინდელისგან. მას შემდეგ
ყოფი XIX საუკუნემდე საკითხის შესწავლის
თვალსაზრისით ბევრი არაღერი გაკეთებულა,
ყო არ მივადებთ მხედველობაში ბერძნულ
ხელნაწერთა ლემებს. ამ ლემებში ვამოხატუ-
ლთა სამი განსხვავებული თვალსაზრისი:

1. ბერძნული „ხარდალი და იოსაფი“ თარ-
გმნილია ქართული ენიდან ექვთიმე ივერის
(ათონელის) მიერ;
2. ბერძნული ვერსიის ავტორი იყო ანონიმი
და არაა ცნობილი — თარგმანია თუ რაიგი-
მადღერი;
3. ბერძნული ვერსია ორიგინალური და ცუფ-
თენის ითანე დამასკელის კლამს.

არსებობს აშკარად მკვლარი ლემები, რომლე-
ბშიც ნათქვამია, რომ ექვთიმემ მან ითანე დამას-
კელის „ხარდალი და იოსაფი“ თარგმნის ეთა-
რთორიდან.

ერთმანეთის განმორიცხვად ცნობები ბერძ-
ნული ლემებზე, ცხადია, ეწმარება რელიგოზო-
თა და კალიგრაფთა გაკეთებულ თვალსაზრისს,
რომელსაც ჩვენ ვერ მივაჩნევთ კვლევის ტიპ-
სად, ისევე რომორც ბერძნული ტექსტის ად-
რეულ გამოკვლევებს, რომელსაც ამა თუ ამ ტრან-
სლიცის ეწმარებთან.

XIX ს. ბოლოს ბერძნულ ვერსიისთან და-
კავშირებული საკითხები შეისწავლა პ. ზოტენ-
ბერგმა.³ მან შეტავა მწუხარედ გაილაშქრა რომ-
გორც ექვთიმე ათონელის, ისე ითანე დამას-
კელის ავტორობის მომხრეთა წინააღმდეგ, თუ-
მცა, ვერც ავითონ დაახებულა ახალი ავტორი-
ფე ერწმუნა ბერძნულ ნუსხათა უმრავლესობას,
რომეოვინ „ხარდალი და იოსაფის“ ავტო-
რად ვინმე ითანეს მიიჩნევდნენ, სახაწმინდის
მონახტის ბერს, მაგრამ ვერ დაადგინა ამ ი-
თანეს ვინაობა. ფრანგი ორიენტალისტი თხზუ-
ლების იდეოლოგიური ანალიზის შედეგად მი-
კვალა ამ დამასკელად, რომ „ხარდალი და იოსა-
ფი“ უნდა შექმნილიყო VIII ს. პირველ ნახე-
ვარში, რადგან ქრისტილოგოგური შეხედულებე-
ბანი, რომელსაც ითანე დამასკელიც იწმარებ-
და, ადგილებლად რომი უკავშირდებოდა მის
სახელს. ასეთი თვალსაზრისი ბიზანტიურ მწერ-
ლობაში ითანე დამასკელამდე დიდი ხნით ად-
რეც იყო გაავრცელებული.

არა ნაკლები დაბეჭდებით, ერთგვარი გაღი-
ზიანებითაც უარყოფდა ზოტენბერგი ექვთიმე
ათონელის ავტორობასაც. ამ საკითზე არსე-
ბული ყველა ცნობა მას უაღსარეკაციად მიხა-
ნდა. პ. ზოტენბერგის თვალსაზრისის იწმარებ-
დნენ სხვა ევროპელი მეცნიერებრიც. მათ შო-
რის გამოჩენილი ბიზანტილოგოგ კ. კრულმან-
ბერიც. სიმწეხაროდ, ამ შემთხვევაში გარკვეული
როლი შეასრულა ზოგირთი მეცნიერის ევრო-
პოციტირისტულმა მისწრაფებამ და ქართული
წყაროების უცოდინარობამ, რაც თავის დრო-
ზე აღნიშნის კიდევ გამოჩენილმა რუმე ორი-
ენტალისტმა ვ. როზეშეა და აჯად. ნ. მარშან
საკითხის შესწავლის ახალი ეტაპი დავაძი-
რებულთა ზეღვრელი მეცნიერის პ. პეტერსის
სახელთან. 1921 წელს მან „ანალიკტა ბოლანდი-
ანთი“ გამოაკვეთა შრომა, რომელშიც დაბე-
ჭებულთა იცავდა ექვთიმე ათონელის ავტორო-
ბის თვალსაზრისს, ბოლო 1921 წელს იმავე
ორგანოში დაბეჭდილ ახალ შრომაში იმ აზრს
დაადგა, რომ ექვთიმე ათონელს კი არ უთარ-
გმნია ზალაჲარის რომანი ამ სიტყვის პირდაპი-
რი გაგებით, არამედ ქართული ტექსტის გამო-
ყენა კავად და მისი მეშვეობით შექმნა რომა-
ნის ახალი ბერძნული ვერსია. მისი აზრით ქა-
რთული „ხალაჲარიანის“ შექმნა ბოლოდ რამ-
დენამდე წლით უსწრებდა ბერძნული რედაქციის
ჩამოყალიბებას.⁴

პ. პეტერსის აზრი დასავლეთის ბერგმა მე-
ცნიერთა გაიწმარა. 1939 წელს ვ. ბენეშტინბერ-
გმა გამოაკვეთა სტატია, რომელშიც ავითარებ-
და პ. პეტერსის თვალსაზრისს.⁵ იმ დროს ამ
აზრს ემხრობოდა ფ. დიოლიგოვი, რადგან
მისთვისაც მკვლევარს 1938 წელს გამოკვეთი-
ლულ შრომაში პ. პეტერსისა თვების აზრი გა-
ნათობარა შეეღებუ 1949, 1950 წლებში გამოკვეთ-
ნილულ შრომებშიც.

ასეთი იყო ვახატონეზული თვალსაზრისის 1958 წლამდე. ამ წელს კი გამოცა ცნობილი უფროსი „ბიციანტინიუმ ციტირატის“ რედაქტორის, აწ განსვენებული ფ. დოლოგერის შრომა, რომელშიც მეცნიერის ფაქტიურად კვლავ დაუბრუნდა მეცნიერების განვლილ ეტაპს და ხე შევეთრად დავყენოთ იმანე დამასკელის ავტორობის საკითხი, რომ იგივე სათაურით განსაზღვრა მონოგრაფიის პათოსი „ვარლამის ბერძნული რომანი წმ. იოანე დამასკელის თხზულებითა“.⁸

იმისდა მიუხედავად, ვაჩიარებს თუ არა მეცნიერება ფ. დოლოგერის კონცეფციას, ობიექტურად მისმა ნაშრომმა სათავე დაუდო საკითხის შესწავლის ახალ, უფრო მაღალ ეტაპს მონოგრაფიის ძირითად ნაწილს ასეთი სათაური აქვს: „მოთხილვა ვარლამის რომანის ამ ადგილად, რომელშიც ამ ზედმიწევნით ამ პერიოდისად ემთხვევან იოანე დამასკელის სხვა თხზულებათა ადგილებს“.¹⁰ მეცნიერმა დიდაქვთა განწია პარალელურ ადგილთა მისაგნებად და ეს მადლიერების ვრძნობით უნდა აღნიშნონ როგორც მისმა მომხრეებმა, ისე მოწინააღმდეგეებმაც.

სოლი მოწინააღმდეგეა ფ. დოლოგერის თეორიის ცოტა რიდი აღმოჩნდა. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა აღნიშნოს ფ. ალქენის,¹¹ დ. ლანგის,¹² ბერძენი მეცნიერის ვ. ლურდინის,¹³ შ. თარხნიშვილის,¹⁴ ა. ვრცელარის¹⁵ შრომები. ფ. დოლოგერის გამოკვლევების გამოკვლევების შემდეგ მაღაჯარის რომანის ქართულ-ბერძნული ვერსიების ურთიერთობის კვლევის საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ ქართველი სამშობლო მეცნიერებიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. კეკელიძის,¹⁶ შ. ნუსტუბიძის,¹⁷ ს. ყაუხჩიშვილის,¹⁸ რ. თვარაძის¹⁹ გამოკვლევები.

კ. კეკელიძეს ბერძნული ვერსიის წყაროდ მიანდა ქართული ვრცელი რედაქცია. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მეცნიერის შემდეგ სახუთებს მიმართდა:

1. თხზულებების ამ ნაწილები, რომელნიც ვხვდებოა არაბულ და ვრცელ ქართულ რედაქციებში და რომელნიც არ დახტურდება ქართულ მოკლე რედაქციაში, თავს იჩენს ბერძნულ ვერსიაშიც.
2. ქართული ვრცელი რედაქციის ბოლი ნაწილი, რომელიც არ ემთხვევა არაბულ ვერსიას, ზედმიწევნით შეიკრება ბერძნულ ვერსიაში. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ბერძნული რედაქციის წყარო არ შეიძლება იყოს არაბული, იგი ქართულ ვრცელ რედაქციას უნდა ემყარებოდეს.
3. ბერძნული ვერსიის საკუთარი ხაზლები უნდა მომდინარეობდნენ ქართული ტექსტიდან: სახელი „საქორი“ (სიმბოლო) არაბულში არც ახსენიება (ამ პერსონაჟს რიდი ასრულებს

რქისი), „ვარახია“ არის ქართული „ვარახია“ (ეს სახელი არაბულ ვერსიაში სერთოდ არ ჩანს). კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ბერძნული აგენი უფრო ახლოა ქართულ ბუნებას. ბუნებრივ-ბუნებასთან... მის არაბული საერთო არ აქვს არაბულ ქანასართან. ბერძნული თვლია არის ქართული თვლია, არაბულში მის თვრის აღნიშნავს, არახია — ქართული რქის. ბერძნული წარდის არის ქართული წანდამ, არაბულში ეს სახელი სულ არაა. ბერძნული „ვარალამი“ და „იოანაფთ“ უფრო ახლოა ქართულ მაღაჯარიდანადათა, ვიდრე არაბული მაღაჯარი და ბუნებათა“.²⁰

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართულ საკუთარ სახელებზე დაკვირვება სრულადაც არ ზღის ადგილებზე ბერძნული ტექსტის მომდინარეობის მაინც და მაინც ქართული ვრცელი რედაქციადან, არაბულ უფრო მდებარეობს ზოგადედ ქართულ წყაროზე, რამდენადაც ასეთი სახელები ახასიათებს როგორც ქართულ ვრცელ, ისევე მოკლე რედაქციას.

შ. ნუსტუბიძის მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა ქართულ-ბერძნულ ვერსიათა ურთიერთობის საკითხს. მეცნიერის მიანდა, რომ ბერძნული ვერსიის უმთავრო წყაროს ქართული მოკლე რედაქცია წარმოადგენს, სოლი ვრცელი რედაქცია შედგენილია, განვრცობილია და შესწორებულია უმთავრესად ქართული მოკლე რედაქციის საფუძველზე და გათავისუფლებულია ბერძნული ვერსიის მონაცემები. მის დასამტკიცებლად, რომ ქართული მოკლე რედაქცია დიდაქვთა საფუძველად ბერძნულ ვერსიას, შ. ნუსტუბიძეს მოაქვს მრავალი მაგალითი წიგნის V თავში (გვ. 148-189).

ს. ყაუხჩიშვილს მოაქვს ქართული და ბერძნული ვერსიების პარალელური ადგილები და განსაზღვრებით გამოკვლევს non sens-ებს, რომელთა წყარო ქართული რედაქციაა. მისი მეშვეობით არის დაშვებული შევადგინება ბერძნულ ტექსტში. ეს non sens-ები მართლაც საინტერესოა.

მეცნიერის აზრით ბერძნული ტექსტის სიტყვა-სიტყვით თარგმანს და მოაქვს სათანადო პარალელური ტექსტი ქართული „მაღაჯარიანდა“.²¹ ბერძნ. ბუქარედი: „აღეს მათ ველს ჩაუზღებს ვერსიელი სამშენობით, ზედა კი სამშენობლად მტარის დაუღებს მათ“:

ქართული რედაქცია: „აღეს განწმადის ქამადი წოგავთოყუარესა და ზედა შესაქმენლად მატლთა მისცის იგი“.

აქ ლამარაჟია სოფლის სამშენობლზე, რომელიც არ ინდობს ადამიანს (სადამბდის, რომელი ადამადლია... განწმადის სიხარული მოხარული“ და სხვ.) და შენდვს ნათქვამია, რომ სამშენობლს აშენებს და ზედა თვით მის აქცევს საკვებადო. ვის კერძად აქცევს? ბერძნულ ვერსიაში სწერია მტერათო, ქართულში — მატლთა.

ამის თაობაზე ს. ყაუხჩიშვილი წერს. „ბერძნულ ტექსტში „ეზოროსის“ არსებობა უნდა ავსნათ ქართულ დაქარაგმბულ სიტყვას სხვათაგან დასოიბუთო: მ ა ტ თ ა — მ ტ თ ა — მ ტ ე რ თ ა. ესე იგი, ამ ადამიანს, რომელიც „ხალა-ვარაინის“ ბერძნულ ვერსიას აკეთებდა ქართულ „ხალავარაინის“ საფუძველზე, ხელთ ჰქონდა ისეთი ქართული ტექსტი, სადაც ქარაგმით ეწერა მ ტ თ ა, რაც მან წაიკითხა, როგორც მ ტ ე რ თ ა და ამას შეუფარდა ბერძნული „ეზოროსის“.²¹

სხვა ადგილას ბერძნულ ვერსიაში ქართული ვერსიის სიტყვას „მეტრავალი“ შეესაბამება „მეტრნალი“. არაბული ვერსიის მიხედვითაც აქ უნდა იყოს „მეტრნალი“. ეს სიტყვა გვხვდება ქართული „ხალავარაინის“ ორსავე რედაქციაში:

„შე ვარ კაცი სიტყვის მკერავი და მხედოვან შემწულ ვაჭარ და დაჯლბულ ასოთ-გან“.²² ხოლო ვრცელ რედაქციაში ცვათხულობს: „მხედოვან შემწოხვია ვე... მტკვა ვნებულმან მან: შე კაცი ვარ სიტყვის მკერავალი. მტკვა მას სეფე-კაცმან მან: ვითარ შებ-კერავ სიტყუთა? მტკვა ვნებულმან მან: უყუთო იყო სიტყუთა შინა წულუღება, მხედ-კერო, რამთა არა მოაწიოს მის მიერ ვნებად“. იგივე სიტყვა ვხვდებით ორსავე რედაქციაში სხვა ადგილასაც: „და მხედსენა კაცი იგი სიტყვის მკერავი და მოუწოდა და მტკვა მას: შენ მტყუდო ვითარმე: ვანეტურნებ სიტყუთა წულუღს“ (მოკლდ რედაქცია); „ანუ ვინ ვანეტურნოს გონებად მფისად... მოეხსენა კაცი იგი სიტყუთა მკერავი. მოუწოდა: ვანეტურნებ სიტყუთა წულუღს“.²³ ს. ყაუხჩიშვილს იქვე მოაქვს პარალელური ბერძნული ტექსტები, სადაც არ არის ღმარაკი სიტყვის მკერავზე, ყველგან ღმარაკია მხოლოდ ვანეტურნებაზე. არაბულ ვერსიაშიც ღმარაკია სიტყვის მკერავზე (მეტრავალზე). ბერძნულ ვერსიაში მეტრავალს ცვლის „მეტრავალტეს“ (მეტრნალი).

შ. ნუცუბიძემ შენიშნა ეს შესაბამისობა და იგი ახსნა ჩვენამდე მოღწეული ქართული წყაროს შესტუმრებით.²⁴ ძველ ქართულ ზღაპარში უნდა ყოფილიყო „მეტრნავი“ (ქარაგმით — მკავი), რომელიც სწორად ამოკითხა ქართული ტექსტის კარგად მკოდნემ — ბერძნული ვერსიის მთარგმნელმა (ექვთიმე ათონელმა) და ვერ ამოკლდა ქართული წყაროს გადამწერმა და დაქარაგმებულ სიტყვა მკ ა ვ ი მიიჩნია „მეტრავალი“. ეს მოსაზრება არ არის მისაღები, რადგან არაბულ ვერსიაშიც იგივე მეტრავი ვხვდებით. რასაც, ცხადია, ქართველი კალიგრაფის შეცდომად ვერ მივიჩნევთ და გარდა ამისა, ქართულ ტექსტში წაშდებულ არის ღმარაკი სიტყვის შედარებულ და ვხვდებით ვარა „მეტრავალს“ წმინდოდ „მეტრავალ“, „მეტრავალტეს“, „მეტრავალტეს“ და „მეტრავალტეს“.

ვისა“ წმინდოდ „მეტრავალ“, „მეტრავალ“, ამით დაქარაგმება კი შეუძლებელია იგი, რომ ამ ქარაგმიდან იკითხებოდეს მეტრნალით გამომხატველი წმინა. ამიტომ მისაღებია ამ მოკლედის ს. ყაუხჩიშვილის მიერ ახსნა იგივე ქარაგმის მეტრავალთ. მისი აზრით ქარაგმის გახსნის დროს შეცდომა უნდა დაეშვა ბერძნულ ენაზე მთარგმნელს: „მ კ ე რ თ ა ლ ი — მ კ რ ლ ი — მ კ უ რ ნ ა ლ ი...“ ქარაგმით დაწერილი მკ რ ლ ი წაკითხულ იქნა ამ ადამიანის მიერ, რომელიც „ხალავარაინის“ ბერძნულ ვერსიას ამოკლდებდა, როგორც მეტრნალი და ამიტომ მან ბერძნულად ეს გამოთქმა თარგმნა „მეტრავალტეს რედაქციის“. თუ ეს ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ვინც ბერძნულად დაწერა „მეტრავალტეს“, მას ხელთ უნდა ჰქონოდა ქართული გამოთქმა „მეტრალი“.²⁵

ს. ყაუხჩიშვილს და შ. ნუცუბიძეს მაინათ, რომ ქართული მოკლე რედაქცია უძველესია და წარმოადგენს ბერძნული ვერსიის წყაროს, კ. კუკელიძე, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული ვერსიის საფუძველს ქმნითელ ვრცელ რედაქციაში ხედავს. ბერძნული და ქართული ვერსიების ურთიერთობის საკითხიდან დამოუკიდებლად ქართულ რედაქციაში გამოქვეყნდა ი. აბულაძის მიხედვით ვრცელი რედაქცია უძველესად, ხოლო მოკლე რედაქციას მისგან გამოყრდნობად თვლის და თუ საქმე მიდგება ბერძნული ვერსიის წყაროზე, ასეთად, მისი აზრით, ქართული ვრცელი რედაქცია უნდა ვივარაუდოთ.²⁶

რ. თვარაძის აზრით ორივე ქართული რედაქცია და ბერძნული ვერსია ეყარება მტყუდულ ქართულ რედაქციაზე.²⁷

ამითაა შოკადად ქართულ მეკლავართა შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. როგორც ვხედავთ, ერთსულოვნება არ არის ერთ საკითხში — ქართულ რედაქციათაგან რომელი შეიძლება იყოს ბერძნული ვერსიის წყარო. რაც შეეხება ექვთიმე ათონელის როლს ქართულიდან ბერძნულად თარგმნის საქმეში, ეს არაკითარ იქნება არ იწვევს, არც იწვევდა იდენტურ ქართულ ფილოლოგიას.

2. იოსანი დამასკილის თხზულებაში, რომელიც „პარლაპისის და იოსანის“ ლიტერატურული წყარო.

ხალავარაინის ბერძნულ ვერსიაში ვხვდებით ცატატები ბიბლიური წიგნებიდან, რომელთა შესახებაც, გრივალ წინააღმდეგობას, ნემსიოს ემსი-სილის, მაქსიმე აღმსარებლის, გრივალის მოსვლის და სხვა ფაქტობა თხზულებებიდან. ბერძნული ვერსიით შემდგომად, ბუნებრივია, ყოველთვის წესტი ცატატები როდი მოაქვს, უმთავრესად ჩვენ მის შრომაში ვხვდებით მტრის-ურსის ან ანა თუ იმ მოსაზრებაზე მინაშენას. განსაუხარებთ დღე ვაძლენა „ვარადაინის

და იოსახის" ბერძნულ ვერსიაზე მოახდინა იოანე დამასკელმა, უნთარებსად „ყოფის წყაროს" ძირითადი ნაწილის „გარდაამოცემის" შეწყვეტა.

ფრ. დიოღეგრიმა „გარდაამისა და იოსახის" ბერძნულ ტექსტში მოიკვლია მასალა „გარდაამოცემის" 100 თავიდან 24 თავში (1, 2, 3, 5, 11, 13, 15, 22, 25, 26, 30, 44, 45, 46, 56, 72, 82, 84, 86, 87, 88, 89, 98, 100). მას შიითებულად აქვს პარალელური ადგილები სხვა თავებიდანაც, ციტატებიც აქვს იქიდან ამოწერილი, მაგრამ ძირითად წყაროდ მიუჩნევია ზემოთ შიითებულნი 24 თავი. დამატებითი თავები შემდეგია: 3, 17, 21, 36, 39, 41, 43, 51, 52, 59, 62, 64, 70, 77, 86 (სულ 15).

ბუნებრივად უნდა აღინიშნოს ერთი ვარაუზი. ფ. დიოღეგრის მიერ მოტანილი მრავალი პარალელური ადგილებიდან, ზუნებრივია, ყველაზე რთვი აქვს ერთგვაროვანი მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ეტება ასეთ პარალელებს, სადაც შეინიშნება არა ფრანგულადგოერი დანთხვევა, არამედ გამოყენებულია ტერმინოლოგია, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული იყო შუა საუკუნეების დოგმატიკაში. ასევე დიდი სახუთაობით ვერ გამოირჩევა ის პარალელური ადგილები, რომლებშიც აზრობრივი მსგავსებაა შეინიშნული. ასეთი რაგის მავალითობა არა თუ იმის დასამტკიცებლად გამოდგება, რომ თითქმის, ბერძნული ვერსიის ავტორი უცოდლობად იოანე დამასკელი უნდა იყოს, არამედ ვერც იმზე მივითითებს, რომ ზალავა. რიანის ავტორს ხელთ იყრა იოანე დამასკელის თხზულება და იქიდან სესხებულია ტერმინებს. ასეთი ხასიათის მავალითობს მხოლოდ ეს სამსახური შეუძლიათ გაგვიწიონ, რომ უფრო მნიშვნელოვან მავალითობა გავრცელებული შექმნან ფრ. რომელიც გაგვათავისწინებინებს, თუ რამდენად იყო გავლენილი იოანე დამასკელის მოძღვრებით „გარდაამისა და იოსახის" ბერძნული ვერსიის შექმნელი. სწორედ ამიტომაც ამ მეორე რაგის მავალითობა გამო ფრ. დიოღეგრის დებულების წინააღმდეგ მწვავედ გამოლაშქრეს ფ. ალექსანდა და ლანგმა. დ. ლანგმა, მავალითად, წერდა: „ჩვენ საქმი სახუთი მოგვეკვება იმისათვის, რომ ექვთიმეს თავი სწორედ ასე იყო გამოტანილი (იოანე დამასკელის შრომების ცოდნად). როგორც ე. რაზენი აღნიშნავდა, ბიზანტიაში მისი ხანგრძლივი ცხოვრება დამოუკიდებელი, ერთნაირი თუ არა, კულტურული თვალსაზრისით მიიწვ, უფრო ბერძნულ ქვეყნით, ვიდრე ქართველად. სამუბის ბუნების, ნების თავისუფლების, ზატა თაყვანისცემისა და სხვათა შესახებ მისი მოძღვრების თვალსაზრისი რომ დამასკელისას ემთხვეოდა, ეს უძვივლია მართლაც, მოძღვრების საერთოვანში. იოანე დამასკელის ქართული ცალსახა სხვადასხვა თვის უნთარებს ავტორიტეტებს

შორის თვლიდა. აღმათ შემთხვევითი არ არის, რომ თვითონ ექვთიმეს თარგმნა ქართულად დაწერილი ვერსია თხზულებებისა „გარდაამოცემა უცოდლობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა", აგრეთვე „ქრისტეს შორის ერთა ნებათათვის", „გარდაამოცემა" ქართულად ორჯერ თარგმნეს ექვთიმეს საქმის გამარქმელებლებმა, სახელდობრ ეტრემ შვიტრემ და არსენ იულიანოვლია. იოანე დამასკელის ბერძნული თხზულების მთელი ქართული ვერსიების არსებობა ადისტრუბის, რომ ათონელი ქართველები დიდი პატივისცემით ეტყობოდნენ მას".²⁸

ზოლო უ. ალექსანდა პარდაამარ დასვა საყიობი: „ნუთუ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რომელიმე განსწავლული ათონელი ან კონსტანტინოპოლელი ბერი იმდენად გაფრენილი უყოფილიყო დამასკელის თხზულებებით, რომ ესენი სკოდნოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეპირად და წამაუწყებლად ესებსა მათგან ციტატები და ადგილები".¹⁵

ძირითდად ასეთ თვალსაზრისს ადგანან ექვთიმე ათონელის ავტორობის სხვა მომხრენიც. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით ოპონენტები მეტად ზეპირად მოეპყრნენ ფ. დიოღეგრის დაცერებებს. მის მიერ შემნიშნულ პარალელურ ადგილთა უმრავლესობა ჩვენ, მართალია, მხოლოდ იმის უფლებას გვითვებებს, რომ ვადაროთ ბერძნული ვერსიის ავტორზე იოანე დამასკელის გავლენა, მაგრამ ფ. დიოღეგრის მომავს დიდი ციტატებიც, რომელიც თითქმის ზიტყვა-ზიტყვით იმერებენ იოანე დამასკელის „გარდაამოცემის" ტექსტს. ასეთ შემთხვევაში, ეტყობა, გაძრელებმა ლამაზი შეპირად ციტატებაც.

ჩვენთვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი იოანე დამასკელის მუშაობის მეთოდი. აგი თავის ნაწარმოებებში ხშირად იყენებს წინამორბედ მოაზროვნეთა თხზულებებს და თავისავე სხვა ნაწარმოებებს და (თუ უფრადღებას არ მივუქცევთ ბაბლიურ ციტატებს) არახდროს ზუსტი ციტატა არ მოჰყავს. ასე რომ ზიტყვა-ზიტყვითი დამთხვევა, რაც უნდა პარადოქსულად გვეჩვენოს ასეთი დასკვნა, უფრო მეტს მეტყველებს ფ. დიოღეგრის შეხედულების წინააღმდეგოდ, ვიდრე მის ხასარგებლოდ.

ფ. დიოღეგრის მიერ მოყვანილ პარალელთა ნაწილი დამყარებულია ცალკეულ ტერმინთა განმეორებაზე და არა აზრობრივ ან ფრანგულადგოერი სიახლოვეზე. ამ, მავალითად, ანაფრის არ გვიმტკიცებს დამთხვევა ზიტყვებისა „შეე", „მოვარე", „ვარსკვლავები" ან კიდევ განმეორება „თომის" და „უპოთიმიასი". ეს სიტყვები ერთნაირი გავრცელებულია შეიძლება შეგვხვედეს მრავალ თხზულებაში, მათ უმეტეს, ასეთ ნაწარმოებებში, რომლებიც დოგმატიკის ხასიობებს იხილვენ, ანაფრის არ იძლევა ისეთი

სიტყვების დამთხვევად, როგორცაა „ღმერთი, ადამიანი“, ეშმაკი“ და ა. შ. ერთგან ფ. დიოლგერის შეუმჩნეველი ზღაპარიანის ბერძნული ტექსტის მსგავსება გრაგულ ნაწიანზელის 22-ე სიტყვასთან. თანაც საყურადღებოა, რომ რომანის ტექსტი უფრო ზუსტად მიხედვს გრაგულ ნაწიანზელის ნაწარმოებს, ვიდრე იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ (როგორც აღწინააღმდეგობა, ფ. დიოლგერს კი მიაჩნია, რომ ზღაპარიანში ეს ციტატა ვადროსულია არა უშუალოდ გრაგულის დედნიდან, არამედ იოანეს ნაწარმოებში სახედონეროდ ბეწვმარტობას თავის წესი აქვს და სულაც არ ექვემდებარება მხოლოდ მეცვლეთარის სურვილს.

მაგრამ ასეთ ნაძალადეგ მავალითბთან ერთად ფ. დიოლგერმა მიაგნო ციტატებს, რომელიც წყარო მართლაც „გარდამოცემა“ უნდა იყოს. ასეთია, ჩვენი აზრით, მავალითბი, რომელიც ფ. დიოლგერის შრომაში შემდეგი ნომრები უნაი: 12, 14, 15, 16, 17, 26, 27, 31, 41, 60, 63, 65, 83. ამ მავალითბს კაცი ვერ გაუქცვდა, მათ ასწნა სჭირდებათ.

იმისდა მიუხედავად, გავიზიარებთ თუ არა ფ. დიოლგერის აზრს ბერძნული ვერსიის რომანის ავტორუფუნელების შესახებ, უნდა ვღიაროთ იმიჯადი ფაქტი: მან დამატებია, რომ „ვარლამისა და იოსაფის“ ბერძნული ვერსიის ძირითადი ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს იოანე დამასკელის „გარდამოცემა“. მაშ რატომ არ მივანია ბერძნული ვერსიის ავტორად აგივე იოანე დამასკელი?

3. იოანე დამასკელი და ძველი ქართული ლიტერატურა („ღმერთი-ადამიანი“, „ბერძნული რომანი“ და სხვა ლიტერატურული ძეგლები).

ძველი ქართული კულტურის მოღვაწეებს იშვიათად ეგონოთ ფართოდ და არაერთგვაროვანად ბიზანტიელ მწერალთა თხზულებანი, როგორც იოანე დამასკელისა. საქმარისი იოქვას, რომ მისი „ცოდნის წყარო“ ქართულ მწერლობაში შემონახულია სამი რედაქციით. ქართულად მოლიანად არის თარგმნილი „ცოდნის წყაროს“ ორი ნაწილი — „ღიაღვტეა“ და „გარდამოცემა“ უცვლელადი წართლადი დედნისა სარწმუნოებისა“, ხოლო ამ თხზულების მეორე ნაწილი „წვადებთათვის“ ქართულად მოლიანად არის დგეს თარგმნილი. ქართულ მწერლობას შემოუნახავს „გარდამოცემა“ სამი რედაქცია, შესრულებული ექვთიმე აბოთელის, ეფრემ მცირის და არსენ ავალითელის მიერ. თითოეული მათგანი ბერძნული ენიდან არის თარგმნილი, ყოველმა მთარგმნელმა შესანიშნავად უწყვიდა წინამორბედი რე-

დაქციის არსებობა. ეფრემ მცირე, მავალითად, საგანებოდ აფრთხილებდა მკითხველს, ჩემს ნაწარმს ექვთიმე აბოთელის რედაქციაში ნუ აურევთო, ხოლო „გარდამოცემის“ მესამე მთარგმნილი არსენ ავალითელი, ეფრემ მცირისავე ცნობით, მეორე, ეფრემისმიერი რედაქციის შექმნაში მონაწილეობასაც კი იღებდა.³⁰

„წყარო ცოდნისა“ იოანე დამასკელის ძირითადი თხზულებაა, ამან მოუხდევია ავტორის ბიზანტიური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტის, მართმადიდებლური (აღმოსავლურ-ბერძნული) დოგმატიკის სისტემატიზატორის რედაქციადა უნდა აღინიშნოს, სხვათა შორის, რომ თხზულების სათაური ზუსტად გამოსატყვის მის არსს. იგი მართლაც ცოდნის წყაროა შუახაუწყებების მეცნიერების სხვადასხვა დარგისა, წყაროა, რომელსაც ეწაფებოდნენ ბიზანტიური ლიტერატურის სხვა წარმომადგენლები და ის მწერლებიც, რომელნიც მის თხზულებას მხოლოდ თარგმანში იცნობდნენ. ძველ ქართულ მწერლობაში დიდად პაიუაარული იყო იოანე დამასკელის სხვა თხზულებანიც, როგორც მიმწარმოებელი, ისევე დოგმატიკური და მოღვაწეური ხასიათისა. განსაკუთრებით ცხოველი იყო ინტერესი ამ მწერლისადმი XI საუკუნეში არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებში. სწორედ ამ ეპოქაში შესრულდა უმრავლესობა მის თხზულებათა თარგმანებისა. არსენ ავალითელის ცნობილ კრებულში „დოგმატიკონი“ გარდა „ღიაღვტეისა“ და „გარდამოცემისა“, შესულია იოანეს ორი თხზულება ნეტორიანთა წინააღმდეგ. ერთი თხზულება იაკობიტთა წინააღმდეგ. დოგმატიკური ნაწარმი ქრისტეს ორი ბუნების შესახებ, „წმიდა პარაღვლება“. იოანე დამასკელის თხზულებებს იყენებდნენ შენდგომ საუკუნეებში სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ ცაგერ-ლუკონიანი, ანტონ კათოლიკოსი, იოანე ბატონიშვილი და სხვები. დიდა ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ზოგიერთი სტატია, მავალითად, „სულა“, „სხედლა“, „ქვეყანა“, „ცა“, „ციცელი“, „წყალი“, „სარწმუნეობა“, „შაერთი“ და მრავალი სხვა აღწერილია იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ გავლენით, ზოგან მოცემულია არსენ ავალითელის თარგმანიდან მომდინარე ზუსტი ციტატებაც.³¹ „გარდამოცემის“ ციტატებზე გვხვდება აგრეთვე ანტონ კათოლიკოსის „წმინტყველები“.³²

4. „ცოდნის წყაროს“ მეცხრედი-საულის რედაქცია.

როცა საუბარი მიმოვარდება ათონის სალიტერატურო სკოლაზე, ჩვეულებრივ მიუთითებენ ხოლმე ათონელ მოღვაწეთა შემოქმედების ერთ თავისებურებას — ეს არის, კ. კეკელიძის

სიტუაციაში რომ ვთქვათ, ნათარგმნი ძველების ახსილაცია, მათი გადმოცემა ისეთი ბუნებრივი ქართული და ჩვენი სინამდვილისათვის დამახასიათებელი დეტალებით შემოვა, რომ თარგმანი ორგანული ძველის შთაბეჭდილობას სტოვებს. ჩვეულებრივ ახსნით მთარგმნელობით მეთოდს უპირისპირებენ პეტროწიფიკული სკოლის მოღვაწეთა, უფრო სწორად, იოანე პეტრიწის შრომების ტრადიციებზე აღზრდილთა მეთოდს და აღნიშნავენ ამ მოღვაწეთა უკიდურეს პედანტიზმს, უცხოური სინტაქსური კონსტრუქციების გადმოღებას, ხელოვნური, შინაგონობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებას. არადა არ უშტაკებია, რომ ძველს ქართულ მწერლობაში მთარგმნელები ორ სხვადასხვა, ათონურ და პეტროწიფიკულ, პოლუსზე იდგნენ, — ამის მტკიცება უსაპრობოა იქნებოდა, — მაგრამ მთარგმნელობით სპატიკოში ამ ორი ძარბოაში მიმართულების აღნიშვნა და გათვალისწინება უდავოდ სჭირა.

ვინც შეეხება ათონური სკოლის მოღვაწეთა, პირველ რიგში ამ კერის მამამთავრის — ექვთიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს, უმკვიდელად გაერად ვერ აფიქსებს ეფრემ მცირის ცნობილ განმარტებას იმის შესახებ, რომ ექვთიმეს ხელწიფიებოდა „შემატებაჲცა და კლებიდაცა“.

ცნობილია, რომ ეფრემ მცირეს, რომელსაც ექვთიმეს ნათარგმნი ზოგაერთი თხზულების ხელწიფიერად გადმოთარგმნა მოუხდა, დასპირდა საჭაროდ დაცვა ხაყუთარა სარწმუნოებრივ კრედიტს და ერთგვარი გამართლება მოეძებნა თავისი მოქმედებისათვის.³³

ეფრემ მცირე აღნიშნავდა, რომ ექვთიმე ათონელის თავისუფალი თარგმანი გამოწვეული იყო ამით, რომ იგი ამარტავდა დედანში მძებლად გამოთქმულ აზრს, რადგანაც ათონელისწინებდა მკითხველის მოზიადებას: „რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩველ, ამისათვის რომელიმე თარგმანთაგანცა წმინდათა სიტყუათა შინა განეხავაო“.³⁴ ამიტომ, ეფრემის აზრით, იგი რბილად და ფხვლად ზრდიდა მკითხველთა ჩველ გონებას.

კ. კეკელიძე ამის თაობაზე შენიშნავს: „უფრო ნაშფოული მიზეზი ამისა იყო ის, რომ ექვთიმეს დროს ქართულ საზოგადოებაში კიდევ ძლიერი და მუდურყოველი იყო ძველი ლიტერატურული ტრადიციები და მოგონებანი, რომლებიც მას ნებას არ აძლევდნენ სიტყვისიტყვით ეთარგმნა, და იმულებულ ყოფდნენ ახალი თარგმანი ძველსათვის შეფთარდება და ყოველად ბერძნულ მოკლეწას სიფრთხილით მოპყრობოდა“³⁵

რა თქმა უნდა, მკვლევარმა სავსებით სამართლიანად შეხედა ექვთიმე ეფრემის განცხადებას. ეს ეჭვი არ განუღებულა მას შემდეგაც, როცა შეეხდებოდა ექვთიმე და გიორგი ათონე-

ლების მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლას მათი თარგმანების ბერძნულ დედანთან შედარების საფუძველზე. გამოირკვა, რომ არც ექვთიმე და არც გიორგი თარგმნის დროს არ ხელმძღვანელობდნენ პედაგოგიური მოსაზრებით, მათთვის, ცხადია, დიდი მნიშვნელობა მქონდა იმას, თუ როგორ აღიქვამდა მათს ნაღვაწს მკითხველი, მაგრამ „შემატება და კლება“ არასოდეს ამ თითქმის არასოდეს არ მოუხდენიათ მკითხველის მოზიადების სავარაუდოდ დახალი დონის გამო. პირიქით, ხშირ შემთხვევაში ისინი აღრმავებდნენ დედანში გამოთქმულ აზრს. ამას აკუთვნებდნენ არა იმიტომ, რომ უფროსი გამოთქმულ სიტყვებს მკითხველი ვერ გაიგებდა, არამედ იმიტომ, რომ მსჯელობა უფრო მწყობრი გაეხადათ, შეათოვდ გადმოცემა და გაემდიადრებინათ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი მაგალითებით.

ამასთან ერთად, ისინი, რა თქმა უნდა, ითვლისწინებდნენ ძველ ლიტერატურულ ტრადიციებსაც, როგორც სამართლიანად მიუთითებს კ. კეკელიძე.

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობა სხვა ნიადაგზე იდგა. იმიტირება, ცხადია, ეფრემის თარგმანი ლიტერატურული მემკვიდრის უფრო მაღალი ხარისხითაა. ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი გულდასმით სწავლობდა ბერძნული ტექსტის ისტორიას, ხელწიფიერთა აჯარგანობას, სარკებლობდა სხვადასხვა ნუსხით, სხვადასხვა ლექსიკონად და კონსულტაციისათვის მისმართავდა კიდევ ცნობილ სწავლულებს. ასე, რომ ეფრემ მცირის თარგმანი წარმოადგენდა მეცნიერული, ფილოლოგიური შრომის შედეგს.

მაგრამ ამდენად დიდი იყო მის დროს ექვთიმე ათონელის ავტორიტეტი, ამდენად ექვთიმე ათონელი იყო მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომ ეფრემ მცირის შივრ ხელწიფიერად თარგმნა, ექვთიმეს ნათარგმნი თხზულებებისა დიდ გამხედრობად უნდა ჩაითვალოს. მას არ შეეძლო საჭაროდ განეცხადებინა ის მიზეზები, რომელთაც განაპრობებს ათონელ მოღვაწეთა მემკვიდრის სტილი, — უნდა ეთიქიროთ, რომ მისთვის ეს არცაა იყო ცნობილი, — ამიტომ იგი კი არ იწუნებს ექვთიმეს ნაშრომს, კი არ აღნიშნავს მის ნაკლს, არამედ მთითითებს ხაზელთაწინა წინამორბედის უნარზე. რომელსაც სულწინაშის მემკვიდრით ძალა შესწევდა „წმიდა და მშაბათ“ ნაშარტი თავისი შეხედულებით შეეცავა, ხოლო მეორე მხრით ექვთიმე იძულებული იყო, მას სხვა გზა არა მქონდა, სხვაგვარად მკითხველი ვერ გაუგებდა!

ეფრემმა აღნიშნა ათონელ მოღვაწეთა მთარგმნელობითი მემკვიდრის თავისებურება ისტ, რომ არც ცდელია დამდგარბანა მათი ავტორიტეტი, პირიქით, სულწინაშის მაღლს მარწერა მათი უნარი და ამით აიცლია ეჭვი, რომელითაც

ფურცლის შემოკვეთებას შეხედვს თანამედროვეობაში.

როგორც არ უნდა იყოს, ჩვენთვის ამგვარად მთავარია ფურცლის ფორმულა — „შემატება და კლება“ შესახებ, რომლითაც ანე სხარტად და პეაფიოდ არის გადმოცემული ექვთიმე ათონელის მღვთაობის სტილი.

ერთ-ერთი ძირითადი ნაწარმოები, რომელშიც ეხრებ მცირეს გამოკატანა ასეთი დანაკვეთის ენის ექვთიმე ათონელის „წინამძღუარია“, ფურცელზე მის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ შესავალი წერხ:

„რომელსა... მოკლედ წინამძღუდარ არ უნდეს, წმიდისა შამისა ეფთვიმეს მიერ თარგმანებულად, იგი შეატკბოს, რამეთუ მას მადლითა ხელისა წმიდისა მადლითა ხელეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა, ხოლო უფროს ახალი ესე სწავლებს გარდაწერად, მას ამასთანა ნუ გარბევს, ნუღა ამის მისთანა... ამას უყოლებს ესებო სადაწურ იყავნ, ვითარმედ წინამძღუდარ არ ხახელად წმიდისა ანსტასი სინელისა თქმულთათვის შინახებს ბერძულსა შინა, ხოლო ამის წიგნისათვის არსახეა თვინიერ ქართულითა. ამისთვისცა ესრეთ გერ უნდინ სწომილესა თქუენსა, რათა ვითარ-იგი შედამწერწერახლსა ამისხა შინა თქუენის, აგარდა მოცემი“ უწოდებ წიგნსა ამას. რომელი იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს, და წინამძღუდარი მსებე წმიდისა შამისა ეფთვიმეს თარგმნილსა ხახელადებოლედ, რამეთუ თვით იგი ამისხვედ გამოკრებილი არს, ხოლო ესე არა უწეწ, თუ თვით შამისა ეფთვიმეს გამოკრებათა, ანუ ბერძნულადებსრეთ უპოვინა“.

ფურცელ მცირის წინახიტყვათაში ჩვენთვის ბევრი რამ არის საინტერესო. ჭერ-ერთი, იგი განსაზღვრავს ჩვენთვის საინტერესო სწავლებას წყაროს. ფურცელ მცირემ იცის, რომ „წინამძღუდარი“ არის იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ მოკლედ რედაქცია, ამიტომ ამისთვის იგი — ვისაც მოკლედ „წინამძღუდარი“ უნდა, ექვთიმეს ნაშრომის გადევნოს, ხოლო ვისაც „ახალი ესე“, ანუ „გარდამოცემის“ ახალი თარგმანი უნდა, ჩემი წყაროსგან, მას, ფურცელზე შეხედულუბით, „წინამძღუდარი“ არის „გარდამოცემის“ ძველი თარგმანი, თანაც გამოკრებილი. მეორე მხრით, ფურცელი გვაფრთხილებს, რომ „წინამძღუდარში“ ექვთიმეს არა მარტო გამოკრება „გარდამოცემის“ ადგილები, არამედ გამოკრებობა უნარი შემატებასა და კლებაზე, ანუ რაღაც თვისივად ჩაურთავს თხზულებაში, გარდა ამისა, ფურცელი გვაუწყებს, რომ „წინამძღუდარის“ ხახელით მისთვის ცნობილი მხოლოდ ანსტასი სინელის თხზულება, ანეთი ხართური მას სხვაგან ბიზანტიურ მწერლობაში არ შეხედურია. თუ გავითვალისწინებთ ფურცელზე მცირის ღარითი განმარტებას, ამ ცნობას უფო-

ოდ გარკვეული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. ესეც უფოოდ საინტერესოა, რომ ფურცელზე მცირემ არ იცის ბიზანტიურ მწერლობაში არა მარტო ასეთი სათაურის მქონე თხზულება, გარდა ანსტასი სინელის შრომისა, არამედ არც ანთონ რედაქცია იოანე დამასკელის „გარდამოცემისა“; „ხოლო ესე არა უწეწ, თუ თვით შამისა ეფთვიმეს გამოკრებილი, ანუ ბერძნულად ესრეთ უპოვინა“. უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი მოკლედ რედაქცია არ იყო ცნობილი არც სხვა ადრიატიკული ბიზანტიული სწავლებლებისთვის. ფურცელში, ალბათ, სხვაგვარად ეძებდა კლდე მას, ხანამ თვითონ შეუდგებოდა თარგმნას.

ექვთიმე ათონელის „წინამძღუდარი“ ჩვენთვის საინტერესოა არც თვალსაზრისით: იგი მნიშვნელოვანი ძეგლია ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის განსაზღვრისწინებლად, ხოლო მეორე მხრით საინტერესოა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც. ჩვენ ზელოა გვაქვს იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ თავისებური რედაქცია.

„წინამძღუდარს“, რომლის წესსებში ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი ზედამწერების ხახით მოაღწიეს ცვეთილად აღწინდელი წესის თარგმანად 1791 წლით, აქვს მეორე სათაურიც, რომლითაც განსაზღვრულია მისი დანიშნულება — „სარწმუნოებისათვის“. ეს სათაური მივანიშნებს ავტორის შინახს — გადმოცემის ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი მოცემები. „წინამძღუდარი“ კი გულისხმობს იმას, რომ ეს თხზულება არის შენახული, ერთგვარი პრაქტიკული ნაწილი დოგმატიკისა.

ექვთიმე ათონელის „წინამძღუდარი“ არის იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ ყველაზე აღწინდელი ქართული ვერსია შესრულებული არაუგვიანეს XI საუკუნის პირველი მეოთხედისა, იგი აწეედ დროს ამ თხზულებას ერთ-ერთი ყველაზე ძველი ვერსიაა ბოლშაგოვის ეგზარქოსის იოანეს სლავურ თარგმანთან ერთად. თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას, რომ პირველი ლათინური თარგმანი ამ თხზულებასა მხოლოდ 1144-1158 წლებში შეასრულა პეტრე ლომბარდი პაპის ეფეწილის მესამის დროს, თითქმის საუკუნეწინებრით ადრე შესრულებული ექვთიმეს ვერსია იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მით უფრო, რომ იგი „გარდამოცემის“ თავისებურ რედაქციას წარმოადგენს.

„წინამძღუდარი“ შედგება 24, ზოგ წესსაში 25 თავისაგან (ამ წესსებში ერთი თავი არ ნაწილად არის გაყოფილი). იგი არის ერთგვარი კომპლენდუმი და შეიცავს „გარდამოცემის“ განსაზღვრულ მნიშვნელობას, როგორც ანთონ რედაქციის „ცოდნის წყაროს“ მეორე ნაწილი — „წავალბოთათვის“, „წმინდა შირალილება“, „შეგარებულნი ბუნების-

სათვის. „წინამძღვარში“ გამოყენებულია „გარდამოცემის“ შემდეგი თავები:

1. დაწყება წიგნისა ამის, რომელსა ეწოდებოდა წინამძღვარ, თქმული იოანე დამასკელისა—„გარდამოცემის“ I თავს.
2. თქმულიათვის და გამოუთქმელთა და ხაერეთათვის და უცნაურთა II თავს.
3. გამოჩენება და დამტკიცება, ვითარმედ ქრისტიანად არს ღმერთთა III თავს.
4. ვითარმედ მოუწყდომელ არს ღმერთთა IV თავს.
5. წმიდის სამებასათვის—VIII თავს.
6. დაბადებულთათვის = XV და XVI თავებს.
7. ანგელოზთათვის—XVII თავს.
8. კაცთათვის—XXVI თავს.
9. სამოთხასათვის—XXV თავს.
10. ეშმაკთათვის—XVIII თავს.
11. ხალხრობისა მის განგებულდებისათვის და ჩუენისა მის წყალობისათვის და ცხობრებისა, რომელად ზეო უფალმან განაცხებიოთ თვისითა XLV და XLVI თავებს.
12. ორთა მათთვის ბუნებათა—XLVII და XLVIII თავებს.
13. ორთათვისეც ბუნებისა—XLIX თავს.
14. ერთისა მისთვის გუამისა უფლისა ჩუენის, იესო ქრისტისა—LI, LII, LIII და LV თავებს.
15. წმიდაი ღმერთთათვის—LIV თავს.
16. წმიდასა ღმერთთაწმინდისათვის—LXXVII და LVI თავებს.
17. თვისებათათვის ორთა ბუნებათასა—LVII თავს.
18. ორთა მათთვის მულობელთა ნებათათვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტისათვის—LVIII და LIX თავებს.
19. განდმერთობისათვის ბუნებისა მის ზორცითა ქრისტესითასა—LXI თავს.
20. ბუნებითთა კაცებისა საქმეთათვის—LXIV და LXX თავებს.
21. ვითარმედ განუშორებლად ეგო ღმერთთა სიტყვისა ზულისა მისგან სამეუფოსა და ხორცთა მათგან ჩუენთა ეშასა მისდა სიყუდილისასა, რაჟამს ერთი ეშაი ეგო ქრისტესი ორთა ბუნებითა—LXXI თავს.
22. ქორობითის შთასილვისათვის—LXXIII, LXXIV და LXXV თავებს.

ჩვენ აქ პირობით დავხიეთ ტოლობის წიგნი, მაგრამ იგი, პირდაპირ ვაგებულო, რა თქმა უნდა, არ გამოხატავს საქმის ნამდვილ არსს. გერცერთი, აქაც კი, სადაც ექვთიმეს ტექსტი თითქმის ღვინის მიხედვით, იგარანობა ერთგვარად თავისუფალი თარგმანი. ეს მით უმეტეს, ეტება ისეთ სტატუსებს, სადაც გავრთიანებულია „გარდამოცემის“ რამდენიმე თავი. აქ ვხვდებით ზოგან შეკუმშვას, ზოგან ვაკცრობას ტექსტისა, ხოლო ზოგან კი წინადადებითა გადამკრფვების,

ან რაიმე ნაწყვეტის გამოყენებას უთარგმნელად დატოვებული თავებიდან.

„წინამძღვარის“ 23-ე თავში ექვთიმეს გამოყენებია ნაწილი თხზულებისა „წყალებთათვის“, 24-ე თავში „წმიდა პარაღულებსა“, ხოლო მხოლოდ, 25-ე თავში ამოუკრფეთა „გარდამოცემიდან“, განსაკუთრებით 26-ე თავიდან ანტიმონოთეოზიტური ადგილები.

ამისათვის, რომ ვაგვერკვია, თუ რა წიგნი არჩევდა ექვთიმე ათონელი ადგილებს „გარდამოცემიდან“, ჩვენ განვიხილეთ მის მიერ გამოტოვებული თავები. ექვთიმეს ასე თუ ისე ზრულად უთარგმნია 1, 2, 3, 4, 8, 15, 16, 17, 25, 26, 28, 45, 46, 47, 48, 49, 51, 52, 58, 54, 55, 56, 57, 59, 59, 61, 64, 70, 71, 72, 74, 75, 87, თავები, ხელს 38 თავი „გარდამოცემის“ ახი თავიდან. რაზე იყო ლაპარაკი დანარჩენ 67 თავში? 1. იოანე დამასკელის თხზულებასში ზოგჯერ ერთისა და იმავე საკითხზე საუბარია სხვადასხვა ადგილას, მართალია, განსხვავებულ კონტექსტში, ისიც ხდება, რომ იოანე დამასკელი ამიერებს თვალსაჩინოებისათვის მოტანილ მაგალითებს, ანუ შეშინებულში ექვთიმე ათონელი გამოტოვებს მხოლოდ ერთ-ერთს, განწმორებს თავს არაღებს.

2. იოანე დამასკელი ამა თუ ამ დებულებამდე ლოკალური მსჯელობის გზით მიდის. ამდენდროს, მას მოსუყავს მისი დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებანიც, ხშირად წარმართ ფილოსოფოსთა ნაშრომები. ზოგჯერ მხოლოდ ერთს ხოლო, რომ ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ექვთიმე ათონელი ახეთ შეშინებულში ტექსტს ამიერებს და ავლდებს იქიდან ნაწყვეტებს, სადაც ეს სადაც აზრებია გადმოცემულში. თარგმნის მხოლოდ იმ აზრს, რომელსაც ადგას იოანე დამასკელი. ამდენ თვალსაჩინოთ ექვთიმეს რაღა თავებიც კი გამოუტოვებია, მაგალითად „გამოჩენება, ვითარმედ ერთ არს ღმერთი და არა მრავალნი“.

3. ექვთიმე ათონელს გამოუტოვებია ძირითადად „გარდამოცემის“ ის თავები, სადაც ლაპარაკი იყო ღმერთის ბუნების მოუწყდომლობაზე, მას გარემოუწყერებლობაზე, მის მიერ შექმნილ უსულო ბუნებაზე, აღმართის აგებულებაზე, მის ბოლოდაიერ და ფიზიოლოგიურ თვისებებზე.

4. „გარდამოცემის“, როგორც შუა საუკუნეების აზროვნების ბრწყინვალე ძეგლი, რა თქმა უნდა, ვაკილვით მტკ ცნობას ვაწყვიდის იმდროინდელი მეცნიერების დარგებიდან და ამ მხრივ, ბევრად უფრო მწიწნელოვანია, ვიდრე ექვთიმეს რედაქციის „წინამძღვარში“ რჩება ძირითადად თეომატიკის საკითხები. ამოკრფილია „გარდამოცემის“ მხოლოდ ის ადგილები, სადაც მსჯელობა მართლმადიდებლური დოგმატის შესახებ არის გაშლილი.

5. ექვთიმე ათონელი ხშირ შემთხვევაში უც-

გაღიდავს არ ტოვებს „გარდამოცემის“ გამოტოვებულ თავებს, არამედ მოკლედ გადმოხტვას მათს შინაარსს და იძლევა „წინამძღუარის“ თავებს შორის ერთგვარ დამაკავშირებელ ხაზებს. მაგრამ ზოგჯერ „გარდამოცემის“ არის ასეთი „ხაზი“, „წინამძღუარის“ კი არა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა იოანე დამასკელი გადარჩევებს ზოღმე ძირითადი პრობლემადანი და შიგნითადად თავებს, სადაც ლაპარაკია მოქმედივე საკითხებზე. ასეთ დროს წყდება მსჯელობის ძაფი და „გარდამოცემის“ ავტორი ახალ თავში ორიოდ სიტყვით შეგვახსენებს, თუ აღრე რაზე ჰქონდა საუბარი. ექვთიმე ათონელს არასოდეს არ წასცდენია ზედა ამ ადგილებზე სათარგმნელად, მას ახინი არ სჭირდებოდა.

6. „გარდამოცემის“ დაცულია მიხედვით კონსტანტინოს ქრონოლოგიურის პრინციპი. საკითხები აქ განხილულია ასეთი თანმიმდევრობით: ღმერთი-სტეფანოს ძალნი-ხილვადი სამყარო-სამოთხე-ადამიანი. „წინამძღუარის“ ეს თანმიმდევრობა არ არის დაცული. ექვთიმე ზღერთელს არ თარგმნის თავებს, რომლებშიც უხულოდ საგნებზეა საუბარი. იგი ამოსავალ წერტილად თვლის ღმერთს და არსობის თვალსაზრისით მასთან მიახლოვებულ არსებებს განიხილავს პირველად: ღმერთი-ანგელოზი-ადამიანი-სტეფანოს და მხოლოდ ამის შემდეგ — ხომოთხე.

7. „ექვთიმე“ ათონელის „წინამძღუარს“ დაუტყავს მსჯელობა ცნობადი ხის შესახებ, რომელიც არ გვხვდება „გარდამოცემის“ ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტში და ახასიათებს მხოლოდ არსენ იუალიოვს თარგმანს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ექვთიმე ათონელისა და არსენ იუალიოვლის თარგმანთა ბერძნული ნუსხები უფრო ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ეფრემ მცირის თარგმანის წყარო.

8. ექვთიმე ათონელი „წინამძღუარის“ შექმნისას არ აქცევდა „გარდამოცემის“ თავების მიხედვითობას ყურადღებას. მას თავისი სქემა ჰქონდა და ამის მიხედვით არჩევდა მასალას. ამიტომ, როცა იგი ერთ საკითხზე საუბრობდა, ჰქრდებოდა ადგილებს არა მარტო „გარდამოცემის“ შესაბამისი თავიდან, არამედ სხვა, ზოგჯერ ხაჭაოლ დამორებული ადგილებიდანაც.

9. „წინამძღუარის“ პირველ ოცდაორ თავში შედარებით ნაკლებია პოლიტიკური ელემენტები, რომლებიც უსოდენ მდებარია „გარდამოცემის“. ექვთიმე გამოტოვებს ზოღმე ასეთ თავებს. ხამაგორად „წინამძღუარის“ 23-ე თავი მთლიანად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. აგი ამოკარგულია „ცოცხლის წყაროს“ ისტორიული ნაწილიდან — „წინადასრულები“. უმთავრესად თარგმნილია ეს ნაწილი, სადაც ლაპარაკია მო-

ნოეზიტიზმზე და ავტორი იცავს დოქტრინულ რწმენას.

10. „წინამძღუარის“ ბოლო ორი თავიდან (XXIV და XXV) ერთი „წილია პარალელების“ ნაწყვეტს წარმოადგენს, ზოლო მეორე „გარდამოცემიდან“ ამოკრეფილ ადგილებს კრისტებს ორი ზუნების შესახებ. თუ კომპარატიულად ერთმანეთთან დავაკავშირებთ „წინამძღუარის“ ბოლო სამ თავს, დავინახებთ, რომ მათი ძირითადი პათოსია დოქტრინული მოძღვრების დაცვა. საერთოდ „გარდამოცემისთვის“ და „წინამძღუარის“ წინა 22 თავისთვის დამახასიათებელი თავგაშობიებულია დაცვა დოქტრინული, მაგრამ ექვთიმეს რედაქციის ბოლო სამი თავი, რომლებშიც უფრო მწვავედ არის დანახული ეს საკითხი, შეტყობილება იმაზე, თუ რაოდენ აქტიუალურად მოაჩნდა ექვთიმე ათონელს ბრძოლა მონოფიზიტობის წინააღმდეგ. უნდა დავსაყვანოთ, რომ „წინამძღუარი“ არის სტეფანოვრად მონოფიზიტობის საწინააღმდეგოდ შედგენილი დღგამპატიური თხზულება, რომელსაც საუფრედოდ უდევს იოანე დამასკელის რწმენით ნაწარმოები.

რკგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, XI-XII საუკუნეების ქართულ მოღვაწეებს იოანე დამასკელის ნაშრომებში განსაკუთრებით აზიდავდა ანტიმონოფიზიტური აქცენტები და ქადაგებლის კრების სულისკვეთების განსაზღვრებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანდ მოაჩნდათ მისი თხზულებანი. ამ შიდავ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ექვთიმე ათონელის „წინამძღუარი“. რომელიც სტეფანოვრად ამ მიზნით შედგენილ სახელმძღვანელოს წარმოადგენს და არსენ იუალიოვლის „დოგმატიკონი“, რომელიც მთლიანად ანტიმონოფიზიტური პათოსით არის გაფრენილი და მასში შესულია, ტყუობა, სტეფანოვრად ამ მიზნით თარგმნილი იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“.

5. ბერძნული „პარალაგმისა და იოანესაჟის ანტიმონოფიზიტური აპცენებანი.

როცა ბერძნული რომანის ამ ადგილებს ვეცნობით, რომელთაც ქართულ ვერსიაში ვერ ვხვდებით, ძნელია არ არის დავრწმუნდეთ, რომ მოცულობის გაზრდა ზდება საღვთისმეტყველო მსჯელობის საშუალებით. თუცა ბერძნული ვერსიის ავტორს რწმენე კორექტივი შეაქვს თხზულების ნარატული ნაწილში, ეს ყოველთვის გამოწვეულია ხასობის ეპიზოდთა დავაშორების მიზნით, რაკი მათ შორის ჩანსმულია ვარლამის მოზრდილი ქადაგებანი. ყურადღებას აქცევს თვით ამ მონოლოგთა სტრუქტურა. როცა ვახუტს არწმუნებს ქრისტანდული რწმენის ტყმარობაზე, ვარლამის მოხვედრამარავ ციტატა საღვთო წერილიდან და მ-

დღის მამათა თხზულებადან, მაგრამ არ მითითებებს თავის წყაროებს. რომანში ბიბლიურ პერსონაჟთა და მოცუქედთა გარდა არც ერთ პიროვნება არ არის დასახელებული. მსჭვალის დროს ვარლანი უგრძობია არა მარტო იოანე დამასკელის შრომებს, არამედ გრიგოლ ნოსის წიგნებს, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნოსელის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და სხვა მოღვაწეთა თხზულებებსაც. მაგრამ არსად არ ახსენებს ავტორებს. უ. დიოდორის მონოგრაფიის მითითებულია „ვარლანისა და იოანესის“ ეს წყაროებიც. თუ დავუშვებთ, რომ ეს წყაროები რომანის ავტორს გამოეყენებოდა აქვს იოანე დამასკელის თხზულების მეშვეობით, ეს გარემოება სულაც არ შეეხება იოანე დამასკელის მუშაობის სტილს, რომ არაფერია უკეთეს „წმინდა პარაფრაზზე“. რომელიც წარმოადგენს ფაქტობრივ ციტატების კრებულს და მითითებულია ავტორები, „უოღანის წყაროც“, კერძოდ, მისი ნაწილი „გარდამოცემა“ კმარა იმის ნათქვამად, რომ იოანე დამასკელი სულაც არ ერადება „წმიდა მამათა“ მითითებს და იხსენებს არა მხოლოდ მათ, არამედ მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის მიუღებელ მწვალებლებსაც — დიოსკოროს, აპოლინარიოსს, ნესტორიოსს და სხვებს.

ვარლანის ზოგიერთი მონოლოგი რომანში ბიბლიური ციტატების შთაღსნის მძივს წარმოადგენს. საერთოდ, ბიბლიური წიგნები „ვარლანისა და იოანესის“ ბერძნული ვერსიის ძირითადი წყაროა. მარტო ციტატებს ამ წიგნებიდან უჭირავს დაბლოცებით მის საავტორო თაბაზე, ხოლო ბიბლიური ეპიზოდების თბრობას — მ. შერს მერე ადგლია. ანუ, რომ თითქმის 1,5 თაბაზე ბერძნულ ვერსიაში ვაგერცობილი ტექსტისა უჭირავს ისეთ პაბაებზე, რომელთა მიხედვით ავტორის დადგენა შეუძლებელია. ბიბლიური წიგნებით შევადლო ესარგებლა არა მარტო იოანე დამასკელი, არამედ ყველა ბერძნულენოვან მწერალს, მათ შორის ბერძნულის მცოდნე ნებისმიერ ქართველს. ვარლანი ფაშობის იოანეს კვეციერების შექმნაზე, ადამის შეცოდებაზე, ისრაელთა ტომის თავადასავალზე, ვადროსტოს სხადასხვა ბიბლიურ ეპიზოდებს, აცნობს ქრისტეს ცხოვრებას. რომანის ამ ნაწილი ავტორის ხელთ აქვს ვარკვეული წყარო — ძველი და ახალი აღთქმის წიგნები და მას საეკლესიო მამათა დახმარება არ სჭირდება.

მაგრამ გარდა ამისა თხზულებაში ლაპარაკია რწმენის სიმბოლოებზე, ვადროსტულია მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითადი დოგმები და ამ შემთხვევაში ავტორი მამართავს ეკლესიის მამათა თხზულებებსაც. რომანის ამ ნაწილზე ლაპარაკი ვეუქნება კვეციოს, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი განსაკუთრებით მწვავედ სვამს საყთხს დიოფიზიტური მოძღვრების შესახებ.

რომანის დასაწყისშივე ნათქვამია (მოგვეყვი ნუენი თარგმანთ): „ჩვენს შემოქმედს შეეწყალა იგი — ქმნილება თვისი. დარჩა დმერთად, რომელიც იყო მარად და იქცა კაცობად, მინდო რა ყოველი კაცობრივი, თვინერ ცოდნისა და თვისი ნებაყოფლობითი ტანჯვით და ქვარკმით დაამხო ეშპაი“. ეს აზრი შეზღუდავ ვითარდება: „იყო რა სრული დმერთი, იქცა სრულად კაცად“ და კოდვს: „მინდო რა ყოვლადწმიდა ქალწულისგან ბორცვი, განცხოვრებული გონიერი სულით, ქრისტე ვამოვეყნებდა ჩვენ. შეერთებული ი რა ბუნებით — ღვთაებრივით და კაცობრივით და შეინახა უბრწულად მშობელი ნების ყოვლადწმიდა ქალწული. და მიიღო რა ყოველი კაცობრივი, თვინერ ცოდნისა, მან მიიღო ჩვენი უძღურებაც და სენა ჩვენი“.

რომანის ავტორი კვლავ უბრუნდება ქრისტეს ობრუნებრობის საყთხს: „ესე ყოველი ვნება უფლები ვანიცადა კაცობრივი სხეულით, და ამ დროს მისი ღვთაებრობა არ აცნობდა, რამეთუ იგი [ქრისტე] შედგებოდა ო რა ბუნების აგან: ღვთაებრივისა და კაცობრივისაგან“.

ამ აზრით არის გამსჭვალული მთელი ნაწარმოები, ამ აზრით არის გაძლიერებული თარგმანში ქართული ვერსია, რამეთუ ქართულ რედაქციებში, რომელიც ეტყობა, XI საუკუნეზე დიდი ხნით ადრე შეიქმნა, ანტიმონოთეისტური ტენდენციები ეგზომ მწვავედ არ გამოეკეთებოდა. ბერძნულ ვერსიაში ვარდა ზემოთ მოყვანილი ადგალებსა, ვებედება მსჭვალთა, სადაც უფრო დაწვრილებით არის საუბარი ქრისტეს ორ ბუნებაზე. ამ როგორ მოძღვრავს ვარლანი იოანეს: „შეიცან აგრეთვე ისიც, რომ მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღმრთისა, რომელიც არის დმერთი, ჩვენს საცხოვნებლად ჩამოვიდა ქვეყნად მამის კეთილი ნებით და ხელაწმიდის მოქმედებით, იგი განსაკუთრებულა წმიდა ქალწულის მართისა წიაღში უპამაცოდ სულიწმიდის შიერ. იშვა რა მისგან ყოვლად წმიდად და ყოვლად უმწყველოდ, ავი ვახდა სრული კაცობრივი, ყოველ ამ ორთაგანს ბუნება ერთ სახეში მქონდა შესაბამისად თვისი განსაკუთრებული ნება, განსაკუთრებული ვინება, გრძობა და ქმედება... ვწამდეს, რამეთუ ძგმ ღმრთისა, რომელიც ვანიცადა თვისი სათნოების სიმდიდრით, მიიღო ყოველი თვისება კაცობრივი ბუნებისა და ამიტომაც თვისება ვნებისა. კაცობრივი (ბუნებით) მას შიდად, სწუურად, მქონდა მოთხოვნილება ძილისა, ღებნება, შრომობდა და ა. შ. მაგრამ იგი ივნო და მოკვდა კაცობრივი (ბუნებით), ხოლო ღვთაებრივი (ბუნებით) იგი არ გამოცდოდა ვნე-

შანიანი

1. გორგი შაწშიდელი, იოანე და ეკუთმეს „ცხოვრების“ ი. წავახიშვილისეული გამოცემა, თბ., 1946, გვ. 15.

2. დაწერილებით იბ. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 210-213.

3. H. Zotenberg. Notice sur le livre de Barlaam et Ioasaph, Paris, 1886.

4. ვ. როზენის რეცენზია გამოქვეყნდა ფერნალში «Записки Восточного отделения Императорского русского археологического общества», т. II, вып. I, стр. 166—164.

5. H. Я. Мapp.

6. Analecta Bollandiana, t. XLIX, III-IV.

7. Byzant. Zeitschrift, 1933, 33, 162.

8. Eital, Buch-Kunstverlag, 1953, XI+104 (Studia patristica et byzantina 1).

9. «Der griechische Barlaam - Roman ein Werk des H. Johannes von Damaskos», იქვე.

10. «Übersicht über giejenigen Stellen des Barlaam - Romans, an welchen dieser mit Stellen aus anderen Werken des Johannes Damaskenos», იქვე, გვ. 69-95.

11. Fr. Halkin, «Analecta Bollandiana», t. LXXI, Bruxelles, 1955, გვ. 475-478.

12. D. M. Lang, St. Euthymius the Georgian and the Barlaam and Ioasaph romance «Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London, 1955, vol. XVII, part 2. 307-325; ქართული თარგმანი: მნათობი, 1956, № 3.

13. დაბეჭდილია ფერნალში «ეპეტორის ეტროის ბიზ. სპუდონი» 24(1955), გვ. 383 და შემდეგ.

14. M. Tarchnifvili, Die Anfänge der schriftstellerischen Tätigkeit des hl Euthymius und der Aufstand des Bardas Skleros. «Eriens Christianus», IV 2 (38) 1954, 113-124.

15. H. Grégoire, Le monastere d'Iviron et le rôle des Georgiens des Mont Athos.

16. კ. ყვავილიძე, ბალაგარის რომანი ქრისტეანულ ლიტერატურაში, «ლიტერატურული ძიებანი», ტ. XI, 1958.

17. Ш. И. Нуцубидзе, К происхождению

греческого романа «Варлаам и Иоасаф», Тб., 1956, VII-VIII+246.

18. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 219 და შემდეგ ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. III ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა, II გამოცემა, თბ., 1973, გვ. 204-236.

19. რ. თვარაძე, წიგნი და მკითხველი, თბ., 1971, გვ. 68-149.

20. კ. ყვავილიძე, მითითებული ნაშრომი, გვ. 165-166.

21. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 220.

22. ქართული რედაქციების ტექსტები აქაც და შემდგომად მოგვეყავს ი. აბულადის გამოცემის მიხედვით: ბალაგარიანის ქართული რედაქციები, ი. აბულადის გამოცემა, ა. შანიანის რედაქციით, თბ., 1957.

23. ს. ყაუხჩიშვილი, მითით. ნაშრ., გვ. 219.

24. შ. ნუცუბიძე, მითით. ნაშრომი, გვ. 151-152.

25. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 220.

26. ბალაგარიანის ქართული რედაქციები, ი. აბულადის გამოცემა, თბ., 1957, გვ. 011-048.

27. რ. თვარაძე, წიგნი და მკითხველი, თბ., 1971, გვ. 68-149.

28. დ. ლანგი, «მნათობი», 1956, № 3, გვ. 165.

29. Fr. Halkin, op. cit., 478.

30. დაწერილებით იბ. რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის «გარდამოცემის» ქართული თარგმანი, თბ., 1966.

31. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, ს. ორბელიანის გამოცემა, გვ. 10, 910, 935 და სხვ.

32. მზამეტველება ტფ., 1892.

33. კ. ყვავილიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 255.

34. რ. ბულიკი, ეფრემ მცირეს ლიტერატურული მოღვაწეობიდან, «მომომზადებული», გვ. 169.

35. კ. ყვავილიძე, მითით. ნაშრ., გვ. 192.

36. თ. გორდანი, ქრონიკები, I, 216-218.

კოტე ბაქრაძე და მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფია

კოტე ბაქრაძე მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის განვითარებაში. თუ ამ ფილოსოფიას აქვს თავისთავადი ხასიათი, პრობლემატულობა და განხილვის გარკვეული ხილრმე და დონე, ამში დიდი კ. ბაქრაძის ღვაწლიც.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

როდესაც მეოცე საუკუნის ქართულ ფილოსოფიაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს პროფესიული ფილოსოფიური მწერლობა, რომელიც დასაბამს იღებს ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში. იგი შექმნეს ამ ადამიანებმა, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს ფილოსოფიური პრობლემატულობა წარმოადგენდა. მათ ხელშეწყობა ჩაუყარეს იმეო ფილოსოფიის, რომელიც საგანგებოდ აკლდევს და ახადიწებს ფილოსოფიურ საქმიანობას. ამ ფილოსოფიის ფუნქციონირება და უზნაძე, შ. ნუცუბიძე და ს. დანელია.

მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის დასაბამად შეიძლება მივიჩნიოთ 1910 წელი, როდესაც ქართულ ენაზე გამოქვეყნდა დ. უზნაძის პირველი ფილოსოფიური ნაშრომი „აბასის შემეცნების თეორია“. ამის შემდეგ, 10-იან წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ფილოსოფიური წერილები. 1920 წელს გამოვიდა დ. უზნაძის წიგნი „აბასი ბერძენისა“, რომელშიც კრიტიკულად იყო განხილული ფრანგი ანტიკლიონისტი ბერძენის ფილოსოფიური კონცეფცია.

1918 წელს შ. ნუცუბიძემ რუსულ ენაზე გა-

მოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა „ბოლდენო და მეცნიერების თეორია“, რომელშიც კრიტიკულად განიხილა ჩვენი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის ნაშრომი მეცნიერებასა და მეცნიერების თეორიის შესახებ. 1922 წელს გამოვიდა მისი მონოგრაფია „აღეთოლოგიის ხელშეწყობა“, რომელშიც სცადა დაეხატებინა საკუთარი ორიგინალური ფილოსოფიური თეორია აღეთოლოგიური ტრადიციის სახელწოდებით.

ს. დანელია მოგვიანებით ჩართო ამ პროცესში. მისი პირველი ფილოსოფიური შრომა „მეცნიერების წინაშის გამოკვლევის ცდა“ გამოქვეყნდა 1922 წელს რუსულ ენაზე. ამის შემდეგ იგი სისტემატურად აქვეყნებს შრომებს, უმაჯრებელ ანტიკურ ფილოსოფიის ისტორიის საქმიანობებზე. ს. დანელიას ამ მოღვაწეობის შემდეგამებელი წიგნი — „ანტიკური ფილოსოფია (სოკრატის წინ)“ 1926 წელს გამოქვეყნდა, ამით ქართული პროფესიული ფილოსოფიური მწერლობის დაფუძნება დაამთავრებულა.

